მიხაილო უვიცი და ტლუა. მისი აზრით, წერა-კითხვა მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ ვექსილები, ქვითრები, ხელწერილები წაიკითხო, „რათა არ გაგატყაონ“. მიხაილო მტერია კულტურისა და განათლებისა. „დაინვას ყველა წიგნი“, – ამბობს იგი.

მიხაილო მხოლოდ ფულის მოხვეჭასა და გამდიდრებაზე ფიქრობს. ესაა მისი ოცნება.

ეს გმირი თბილისის სცენაზე მიკოლა სადოვსკის განუსახიერებია. მას „ფრიად ნიჭიერად ჩაუტარებია ეს რეზონიორული, რამდე-

ნადმე მოსაწყენი როლი“.<sup>1</sup> ის მთავარი, რისთვისაც შეიქმნა ი. კარპენკო-კარის პიესა, გაზეთის სიტყვით, მსახიობს კარგად წამოუნწევია წინა პლანზე. „მიხაილოს ხასიათში საკუთარი თავის სიყვარული, მყვლეფელი კულაკის თვისებები ბ-ნმა სადოვსკიმ ფაქიზად და ცხოვრებისეულად გამოკვეთა“,<sup>2</sup> – აღნიშნავს გაზეთი.

დრამატურგმა მიხაილოს საპირისპიროდ პიესაში დანილო ოკუნი და მეთევზეთა ატამანი ზინკო გამოიყვანა. მყვლეფელის მორალს დადებითი გმირების ადამიანურობა და კეთილი გული დაუპირისპირა.

დანილო ოკუნი თბილისის თეატრში კარპენკოს „გვარიანად განუსახიერებია“. თუმცა, რეცენზენტს ზოგჯერ მისი ტონი არ მოსწონს. მას მიაჩნია, რომ არტისტი ზედმეტად „საწყალობელ, მტირალა ტონს“ აძლევს თავის მონოლოგებს. იგი მებრძოლი გმირია და ამიტომაც „სცენაზე უფრო ენერგიული და მტკიცე უნდა იყოს“.<sup>3</sup>

ამ კომედიის სხვა გმირების – მოხუცი მამის როლი კარგად შეუსრულებია ნაუმენკოს, სოფლის ადვოკატისა – შჩერბინას, მარიანასი – ბაზილვსკას.

რეცენზიაში გამოსჭვივის, და არცთუ უსაფუძვლოდ, აზრი, რომ მსახიობთა კარგ თამაშს „არა იმდენად“ ძლიერი პიესისათვის სიცოცხლე შეუმატებია.

პიესის ხარვეზებზე გაზეთში გაკვრით რამდენჯერმე არის ნათქვამი. რეცენზენტის აზრით, მიხაილოს ზოგი მონოლოგი „რეზონანსული, მოსაწყენია“,<sup>4</sup> ხოლო სცენები – „გრძელი და საკმაოდ ერთფეროვანი“.<sup>5</sup>

პიესის მიმართ გამოთქმული ეს შენიშვნები სიმართლეს მოკლებული არ არის. მეტიც, შეიძლება ითქვას: ი. კარპენკო-კარიმ უარყოფითი გმირების საპირისპიროდ ვერ შეძლო წამდვილი, დადებითი გმირების შექმნა. მის დანილოსა და ზინკოს სიცოცხლე აკლია, ისინი უფრო სიტყვის კაცნი არიან, ვიდრე საქმისა. გარდა ამისა, ზინკო აშკარად გაიდევალებული ფიგურაა „კეთილი ბატონისა“,

---

<sup>1</sup> ვლ. თეატრი და მუსიკა, „კავკაზ“, 1897, №307, გვ. 3.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ვლ. თეატრი და მუსიკა, „კავკაზ“, 1897, №307, გვ. 3.

<sup>5</sup> იქვე.

რომელიც თითქოს არ უწევდა ექსპლუატაციას მეთევზეებს და „მათთან მშვიდობიანად და თანხმობით ცხოვრობდა“.<sup>1</sup>

ამიტომაც აღნიშნავდა პრესა, რომ „მალორუსული დასის მიერ წარმოდგენილი ახალი ნაწარმოები მისი რეპერტუარის საუკეთესო პიესა როდია“, მაგრამ მისი ნახვა მაინც „სიამოვნებით შეიძლება“.<sup>2</sup>

\* \* \*

სოფლად მდიდარი გლეხების მიერ მიწისა და ფულის დაგროვების ისტორია, კულაკის მტაცებელ-ექსპლუატატორად, ხოლო შემდეგ შეძლებულ მინათმფლობელ-კაპიტალისტად გადაქცევა რეალისტმა დრამატურგმა ი. კარპენკო-კარიმ თავის პიესებში შესანიშნავად დაგვიხატა. მიხაილო ოკუნი, მომავალი მინათმფლობელი მილიონერი, ავტორებისათვის წინაპირობა იყო დრამაში შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად. ჯერ „ასი ათასი“ და შემდეგ „ბატონ-პატრონი“ იყო ის ნაწარმოებები, რომლებშიც გაიშალა ავტორის მიერ „ჭკვიანსა და სულელში“ დასახული თემა.

80-90-იან წლებში მდიდარმა გლეხებმა, კულაკებმა დაიწყეს მიწების შესყიდვა და თავიანთ მამულებისათვის მიერთება. ამ პროცესის შედეგად სოფლად სულ უფრო ღრმავდებოდა ხრამი მშრომელ გლეხობასა და კულაკობას შორის, მწვავდებოდა გლეხობის სოციალური დიფერენციაცია.

ქონებისა და ფულის მოხვეჭით გაბრუებული კულაკობა სულ უფრო ღრმად ეფლობოდა სიბინძურის, მაქინაციების ჭაობში და ბატონი კუპონის მონა ხდებოდა. კულაკობა მინათმოქმედებაში ეძებდა კომერციულ გამორჩენას და დიდ ფულად შემოსავალს.

უკრაინაში მიწით ვაჭრობისა და ფულის მობოჭვის ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა, რაც განსაკუთრებით შეიმჩნეოდა მის სამხრეთ ნაწილში. „ამ დროისათვის მიხაილო ოკუნის ტიპის მყვლეფელებისაგან მსხვილი მინათმფლობელები, კაპიტალისტი-მილიონერები – ხარიტონენკოები, ტერეშჩენკოები წამოიზარდნენ“<sup>3</sup> – ნათქვამია „უკრაინული ლიტერატურის ისტორიის“ აკადემიურ გამოცემაში.

<sup>1</sup> უკრაინული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, 1954, გვ. 463.

<sup>2</sup> ვლ. თეატრი და მუსიკა, „კავკაზ“, 1897, №307, გვ. 3.

<sup>3</sup> უკრაინული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, 1954, გვ. 463.

მიწებისა და ფულის დამგროვებელი მყვლეფელების ერთი ასეთი სახე ი. კარპენკო-კარიმ მოგვცა თავის ცნობილ პიესაში „ასი ათასი“, რომელიც თბილისელებმა 1 დეკემბერს ნახეს, რამაც, როგორც გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ წერს, „გულიანად აცინა მაყურებელი“.<sup>1</sup>

რეცენზენტის აზრით, ეს პიესა „მწყობრადაა აგებული“, მდიდარია კომიზმით და „უახლოვდება ჭეშმარიტი კომედიის ნიმუშს, რომელიც არისტოტელეს განსაზღვრებით, უნდა ასახავდეს ცუდსა და საზრახისს, მაგრამ მხოლოდ ისეთს, რომელიც სიცილს იწვევს, მაგრამ არა ზიზღს“.<sup>2</sup>

„ნოვოე ობოზრენიე“ რეცენზენტი მართალია, როდესაც ლაპარაკობს ნაწარმოების საერთო ხასიათზე, აგებულებაზე, მაგრამ ცდება, როდესაც წერს, რომ უარყოფითმა გმირმა ზიზღი არ უნდა გამოიწვიოს მაყურებელში.

„ასი ათასის“ მთავარი გმირი გერასიმ კალიტკა ავტორს გამოყვანილი ჰყავს როგორც მტაცებელი, სასტიკი, ძუნწი, გაუნათლებელი კულაკი, რომლის ერთადერთი მიზანი და ოცნება გამდიდრებაა, მისთვის ფულზე უწმინდესი და უძლიერესი არაფერია, რადგან მისი მეშვეობით შეუძლია გერასიმეს მიწების ხელში ჩაგდება და კვლავ სიმდიდრის შემატება.

კალიტკასათვის მიწა განძია, ხოლო მის მოსაპოვებლად ფულია საჭირო. ფულის მოსახვეჭად კი მას მრავალი ხერხი აქვს – ექსპლუატაცია, გაიძვერობა, მევახშეობა და სხვ. იგი ათასგვარ მახინაცხას აწყობს იმისთვის, რომ ფული და მიწა იგდოს ხელთ.

გამდიდრებისაკენ სწრაფვით კალიტკას არაფრით ჩამოუვარდებიან ნაწარმოების სხვა გმირები – ბონავენტურა-კოპაჩი და სავლა. ბონავენტურა-კოპაჩი როტმისტრად ყოფნის დროს ურევდა ფულში ხელს და ახლაც განძის აღმოჩენისა და გამდიდრების ჟინი მშვიდ ძილს უკარგავს მას. სავკას ფულის მოპოვების დაუოკებელმა სურვილმა ხომ სულ დაუკარგა ადამიანური სახე. იგი ეშმაკსაც კი უხმობს და თავისი სული უნდა მიჰყიდოს მას, ოღონდ როგორმე გამდიდრდეს. „უსულოდ, ამბობენ, უფრო იოლია, ვიდრე უფულოდო“, – ამბობს იგი.

<sup>1</sup> ნვ., მალოროსიული სპექტაკლი, „ნოვოე ობოზრენიე“, 1897, № 4784, გვ.2.

<sup>2</sup> იქვე.

ეს სამი გმირი – გერასიმ კალიტკა, ბონავენტურა-კოპაჩი და სავკა – ავტორმა გამოიყვანა მკითხველისა თუ მაყურებლის წინაშე, რათა სამი სხვადასხვა ხასიათისა და მდგომარეობის პიროვნება დაეხატა, რომელთაც ასულდგმულებთ ერთი მიზანი – ფულისა და მინის მოპოვება.

ამათგან უმთავრესი მყვლეფელი გერასიმია. მან კარგად იცის ფულის ყადრი და ის გზებით, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ფულის მოხვეჭა. მას სავკა მიჰყვება, რომელთანაც შეამხანაგება, თვით გერასიმის აზრით, შეიძლება. ყველაზე ბოლოს კი ბონავენტურა დგას. იგი ვერ „ამაღლდა“ ამ მტაცებლებამდე, მთლად ვერ დაკარგა ადამიანური გრძნობები.

ასეთები იყვნენ ის უარყოფითი გმირები, რომელთა მიმართ მაყურებელს თუ მკითხველს, „ნოვოე ობოზრენიეს“ აზრით, ზიზღის გრძნობა არ უნდა აღძვროდა.

ნიჭიერ მსახიობს, ნაუმენკოს, გერასიმ კალიტკას როლი შეუსრულებია. „მსახიობს – გაზეთის შეხედულებით – თავის შესრულებაში ამჯერადაც შეუტანა ცხოვრებისეული სიმართლე“.<sup>1</sup>

უკრაინულ დასს იმდენად კარგად გაუთამაშებია ი. კარპენკო-კარის ეს პიესა, რომ გაზეთი იმედს გამოთქვამდა – „პიესა განმეორდება და ალბათ არაერთგზისო“.<sup>2</sup>

ი. კარპენკო-კარის პიესა ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია XIX საუკუნის უკრაინულ ლიტერატურაში. კულაკ კალიტკას შეძლება-სა და სურვილს შორის სხვაობამ, შესაბამისობამ ისეთი ძლიერი კონფლიქტის ჩვენების საშუალება მისცა დრამატურგს, რომ შესაძლებელი გახდა 80-იანი წლების უკრაინაში სოფლად მიმდინარე სოციალური პროცესების ნათლად წარმოდგენა.

ამ ნაწარმოებებით ი. კარპენკო-კარი გამოეხმაურა ოსტროვსკის, შჩედრინისა და სხვა მოწინავე მწერლების ნაწარმოებებს, რომლებშიც ასე მძლავრად იყო წინა პლანზე წამოწეული და რეალისტურად ნაჩვენები ფულის ბატონობის, ბურჟუაზიის მტაცებლური ხასიათის მხილების თემები.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „სიმართლის ტრილოგიის“ მესამე ნაწილი – „ბატონ-პატრონი“, სადაც ეს იდეა, ფორ-

<sup>1</sup> ნვ., მალოროსიული სპექტაკლი, <ნოვოე ობოზრენიე>, 1897, №4784, გვ.2.

<sup>2</sup> იქვე.



მისა და შინაარსის თვალსაზრისითაც, გაცილებით უფრო დახვეწილად არის წარმოდგენილი. ამ კომედიას ორგანული კავშირი აქვს პიესა „ასი ათასთან“. გერასიმ კალიტკა 80-იანი წლების მყვლეფელია, ხოლო ტერენტი პუზირი – 90-იანის დასასრულისა. პუზირმა აღასრულა კალიტკას ოცნება და საოცრად გამდიდრდა. მას უამრავი ფული და მიწა აქვს. იგი მთელი „სამთავროს“ მფლობელია. მაგრამ როგორც „ასი ათასში“, აქაც ნაწარმოების წამყვანი დრამატული კონფლიქტის შემქმნელი ძალა მაინც ფულია, მისი მოხვეჭისა და მისი საშუალებით კვლავ მიწის დაპატრონების დაუძლეველი სურვილია.

ეს ის პერიოდია, როდესაც კულაკი იმდროინდელი სოფლის სრული ბატონ-პატრონი ხდება. ნახევრად პატრიარქალური ექსპლუატაციის ფორმები უკვე ისტორიას ჩაბარდა. რჩება მხოლოდ ერთადერთი ურთიერთობა – დამქირავებლისა და დასაქირავებელთან, მხოლოდ ვაჭრული გარიგება სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

პიესა „ბატონ-პატრონი“ რეალისტური სატირის შესანიშნავი ნიმუშია.

ამ ხასიათის ნაწარმოების გამოტანას თბილისელი მაყურებლის სამსჯავროზე, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ დრამატურგის ოსტატობა, ხელოვნება, კომედია „ასი ათასში“ გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე „ჭკვიანსა და სულელში“. „ასი ათასი“ უკრაინულ დრამატურგიაში ერთ-ერთი ბრწყინვალე სატირული კომედიაა.

\* \* \*

უკრაინულმა დასმა თბილისის თეატრში ი. კარპენკო-კარის სხვა პიესებიც წარმოადგინა, რომლებშიც მშრომელი გლეხობის, მართალი ადამიანების გაუხარელი ცხოვრების სურათები იყო დახატული.

დრამა „მოჯამაგირე ქალში“ (1886 წ.), რომელიც თბილისის თეატრში 30 ნოემბერს დაიდგა, ტრადიციული სიუჟეტი და თემა იყო გამოყენებული: ღარიბ გოგონას თავბრუს ახვევს, აცდენს და სიკვდილის პირამდე მიიყვანს მდიდარი კაცი. მიუხედავად ამისა, კარპენკო-კარიმ მაინც მოახერხა ამ თემის ორიგინალურად გადაწყვე-

ტა: მათ თავის პიესაში ყურადღება გაამახვილა ღარიბი ხალხის მძიმე და გაუხარელ ცხოვრებაზე და გამდიდრებული გლეხების, კულაკების ამორალურობაზე.

დრამაში ნათლად იყო ნაჩვენები, რომ ობოლი მოჭამაგირე გოგონა ხარიტინა შეაცდინა, ნამუსი ახადა და საყვარლად გაიხადა გარყვნილმა, გაიძვერა, ფლიდმა და ბოროტმა კულაკმა ცოკულიამ. მაგრამ ამგვარ მდგომარეობას ხარიტინა ვერ შეეგუა, და, რადგან გამოსავალიც ვერ ნახა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა.

პიესაში საგანგებოდ გაესვა ხაზი იმას, რომ ხარიტინას ტრაგედიის საფუძველი სოციალური ხასიათისა იყო.

დაახლოებით ამგვარი შინაარსის ნაწარმოებებს თბილისელი მაყურებელი უკვე იცნობდა, მაგრამ ი. კარპენკო-კარის პიესამ მაინც ახალი კუთხით დაანახა მაყურებელს გლეხი გოგონას ტრაგედია.

ამის გამო აღნიშნავდა პრესა, რომ თუმცა პიესას „საკმაოდ შაბლონური ფაბულა აქვს“,<sup>1</sup> მაინც „მოეწონა მაყურებელს, რადგან იგი თავისი ლიტერატურობით მისდა სასარგებლოდ გამოირჩევა „მაზეპასა“, „ბოშა ქალ აზასა“, „მონათლულ ურიის ქალსა“ და მალოროსიული თეატრის მის მსგავს უკანონო პირმშოთაგან“.<sup>2</sup>

პრესის ეს განცხადება მრავალმხრივ არის საყურადღებო. ჯერ ერთი, აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ი. კარპენკო-კარის პიესის ფაბულა არ არის ორიგინალური; მეორე, მიუხედავად შაბლონურობისა, პიესა მაინც მოსწონს მაყურებელს და რეცენზენტსაც; მესამე, ახსნილია პიესის წარმატების მიზეზი – ნაწარმოები მაღალხარისხოვანია, ლიტერატურულად კარგადაა დამუშავებული; და მეოთხე, ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ისეთი პიესები, როგორებიცაა: ვ. მიროსლავსკის „მაზეპა“, მ. სტარიცკის „ბოშა ქალი აზა“, ი. ტოგობოჩნის „მონათლული ურიის ქალი“ და სხვ., არ შეეფერება აკადემიურ სცენას, ვერ დგას უკრაინული კლასიკური დრამატურგიის მაღალი ნიმუშებს გვერდით.

რა საფუძველი ჰქონდათ თბილისელებს ი. ტობილევჩის პიესისა და სპექტაკლის ამგვარი შეფასებისათვის?

ი. კარპენკო-კარის პიესას „მოჭამაგირე ქალს“ ქეშმარიტად ძალიან მაღალი მხატვრული ღირსებები ჰქონდა. თავისი სცენური მო-

<sup>1</sup> ვლ. თეატრი და მუსიკა, „კავკაზ“, 1897, №319, გვ. 3.

<sup>2</sup> ნვ., მალოროსიული სპექტაკლი, „ნოვოე ობოზრებიე“, 1897, №4783, გვ.2.

ნაცემებით, იგი აღიარებულია უკრაინული დრამატურგიის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად, რომელშიც ცალკეულ გმირთა სახეები ნათლად და სრულად არის გამოკვეთილი, მოქმედება ლაკონურად და ექსპრესიულად ვითარდება, ზედმეტი ნიაღვრების გარეშე ავტორს მაყურებლების წინაშე გამოაქვს მთავარი პრობლემა და მას ამუშავებს. დრამაში მონოლოგები დახვეწილია და ყოველი მოქმედება გააზრებული. განსაკუთრებით ძლიერია ხარითინას უკანასკნელი მონოლოგი და პანასთან მისი დიალოგი, რომლებიც დრამატული ხელოვნების შედეგებადაა აღიარებული.

ამ პიესაში მარია ზანკოვეცკას შეუსრულებია მოჭამაგირე ქალის – ხარითინას როლი. მას გამოუკვეთია „ცოცხალი და ბრწყინვალე სცენური ტიპი“.<sup>1</sup> ზანკოვეცკამ ამ როლში „თბილისში ყოფნის დროს თითქმის პირველად მთელი სისრულით გამოავლინა თავისი შეუდარებელი სცენური ნიჭი“<sup>2</sup> და მაყურებელი მოხიბლა „ტონის გულწრფელობითა და შესრულების სიმართლით, ყოველგვარი თეატრალობის გარეშე“.<sup>3</sup>

მდიდარი სოფელელის როლში „ბ-ნი ნაუმენკო სრულიად დამსახურებულად იზიარებდა ქ-ნ ზანკოვეცკასთან ერთად წარმატებასა და მაყურებლის მოწონებას“<sup>4</sup>.

დანარჩენ შემსრულებლებსაც კარგად გაურთმევიათ თავი როლებისთვის. „ქ-ნმა პივინსკამ, ნიჭიერმა კომიკურმა მსახიობმა და ბ-ნმა ზაგორსკიმ, ცქვიტმა, მაგრამ ზოგჯერს ზედმეტად რომ იცის გატაცება, კომიკოსმა, თავის როლებით მაყურებელს დიდი სიამოვნება მიანიჭეს“.<sup>5</sup>

პრესის ერთხმად აღიარებით, „მოჭამაგირე ქალში“ მთელი დასი შეხმატკბილებულად თამაშობდა. ეს აძლევდა საბაბს თეატრალებს ეფიქრათ, რომ „მოჭამაგირე ქალი“ ალბათ მთელი მალოროსიული რეპერტუარიდან თბილისელების საყვარელი პიესა გახდებოდა“.<sup>6</sup>

<sup>1</sup> ვლ. თეატრი და მუსიკა, „კავკაზ“, 1897, №319, გვ. 3.

<sup>2</sup> ნვ., მალოროსიული სპექტაკლი, „ნოვოე ობოზრებიე“, 1897, №4783, გვ.2.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ვლ. თეატრი და მუსიკა, „კავკაზ“, 1897, №319, გვ. 3.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> ვლ. თეატრი და მუსიკა, „კავკაზ“, 1897, №319, გვ. 3.

\* \* \*

მშრომელი ხალხის მძიმე ცხოვრების თემას შეეხო ი. კარპენკო-კარი აგრეთვე დრამაში „უბედური ქალი“ (1886 წ.), რომელიც თბილისის სათავადაზნაურო თეატრის სცენაზე დაიდგა 2 დეკემბერს.

ამ სპექტაკლს გამოეხმაურა თბილისის პრესა. გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ თავის პატარა ინფორმაციაში, წარმოდგენის ანალიზთან ერთად, მკითხველს პიესის შინაარსსაც აცნობდა. „უბედური ქალი, – წერდა იგი, – ეყრდნობა ცოლქმრულ ღალატს გნატისა, რომელმაც სოფია მოიყვანა ცოლად თავის გოგონა „ვარკასთან“ წაჩხუბების შემდეგ. ვარკა, თავის მხრივ, სხვა ჩოფურა ყმანვილს, სტეფანეს, გაჰყვა ცოლად. ამ უკანასკნელს ჯარში წაიყვანენ. უქმროდ დარჩენილი ვარკა ისევ უბნევს გონებას გნატს. სოფიო ჩამოხმება, როგორც მისდამი ქმრის გულგაგრილების, ისე დედამთილისაგან შევიწროების გამო. დრამა მთავრდება იმით, რომ გნატი სიფიცხისას კლავს თავის ცოლს“.<sup>1</sup>

შინაარსის გადმოცემის შემდეგ რეცენზენტი მსახიობთა თამაშს განიხილავს. მაგრამ არც ამ რეცენზიაში და არც სხვა გაზეთში დაბეჭდილ ინფორმაციაში არ გამოჩნდა, რომ რეცენზენტებმა პიესაში ის დაინახეს, რისი წამოწვევაც სურდა დრამატურგს.

მ. სტარიცკისადმი მიმართულ ერთ-ერთ თავის წერილში ი. კარპენკო-კარი „უბედური ქალის“ თაობაზე წერდა: „მე უპირატესობა მნიშვნელოვან ფრაზებს მივანიჭე: დაე, მაყურებელმა მესამე მოქმედების დასაწყისში წარმოიდგინოს, რომ ქორწილი მისი მთელი აქსესუარებით უკვე იყო, რომ პოეზიამ ჩაიარა, ხოლო ახლა იწყება ცხოვრება-პროზა. მე სრულიად არ მინდოდა სოფიასა და მისი ოჯახის უბედურება დამეჭვებდებარებინა ვარკას ნათლად გარკვეული განზრახვისადმი – დაამსხვრიოს მისი ბედნიერება, პირიქით, მე ეს გადავიტანე ოჯახურ თაობაზე და ცხოვრების სხვა დინებებზე, რომელთა შემჩნევა ძნელია“.

ი. კარპენკო-კარის ამგვარი პასუხის გამოწვეული იყო მ. სტარიცკის რჩევით – პიესაში ჩართე ქორწილის სცენა და გაამდიდრე ეთნოგრაფიული ელემენტებითო. ი. კარპენკო-კარის მიაჩნია, რომ ნაწარმოების ეთნოგრაფიული ელემენტებითა და მელოდრამატუ-

---

<sup>1</sup> ნვ., მალოროსიული სპექტაკლი, „ნოვოე ობოზრენიე“, 1897, №4785, გვ. 3.

ლი სცენებით გადატვირთვა პიესას არ არგებს. უმჯობესია მაყურებლის ყურადღების კონცენტრირება მნიშვნელოვან ფაზებზე მოხდეს. თუ ფრჩხილებს მოვხსნით დრამატურგის ფრაზას – „ცხოვრების სხვა დინებებზე, რომელთა შემჩნევა ძნელია“ – შეიძლება პირდაპირ ვთქვათ: ი. კარპენკო-კარის სურდა ყოფით მასალაზე გლესთა ტრაგედიის, ცხოვრების მიძიმე პირობების სოციალური საფუძველი ეჩვენებინა, უნდოდა მკითხველისა და მაყურებლისთვის აშკარად დაენახვებინა, რომ მისი ნაწარმოებების მოქმედი გმირების ტრაგედიის „ძნელად შესამჩნევი“ მიზეზი თვით იმდროინდელ სისტემაში, ბურჟუაზიულ-მემამულურ წყობაში იმალება, რომ უბედურია არა მხოლოდ სოფიო, არამედ დრამის სხვა მოქმედი გმირებიც. ამგვარი აზრი გამოსჭვიოდა ნაწარმოების თვით სათაურიდანაც.

„უბედური ქალის“ პირვანდელი სათაური იყო „ვინ არის დამნაშავე?“ ამ პიესაში ავტორი სრულიად აშკარად მიუთითებდა მშრომელთა ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე – ბურჟუაზიულ-მემამულურ სისტემაში ცხოვრების აუტანელ პირობებზე. ამის გამო იყო, რომ მეფის ცენზურამ პიესა „ვინ არის დამნაშავე?“ აკრძალა.

დრამატურგმა არ დაყარა ფარ-ხმალი და 1886 წელს გადაკეთებული პიესა „ჯადოქრის“ სახელწოდებით კვლავ წარუდგინა ცენზორს. როგორც ჩანს, ამ ვარიანტშიც საკმაოდ იყო მწარედ სიმართლე ნათქვამი და ნაჩვენები, რის გამოც ავტორმა ამჯერადაც ვერ მიიღო მისი დადგმის ნებართვა.

ი. კარპენკო-კარიმ კიდევ ერთხელ გადააკეთა დრამა და ახალი სათაურით „მწარე ხვედრი“ საცენზურო კომიტეტს გადასცა. ცენზურისაგან სათაურშეცვლილი ეს პიესა ნებადართული დაუბრუნდა ავტორს.

რა თქმა უნდა, ნაწარმოების პირვანდელი სათაურები „ვინ არის დამნაშავე?“ და „მწარე ხვედრი“ უფრო შეესატყვისებოდა ავტორისეულ ჩანაფიქრს, რომელსაც იგი მ. სტარიცკისადმი გაგზავნილ ბარათში ააშკარავებდა. საცენზურო კომიტეტში პიესისათვის სახელის გადაარქმევა უფრო ზღუდავდა, შემოფარგლავდა ნაწარმოების ღრმა ფილოსოფიურ აზრს და არეკლავდა მხოლოდ ერთი მოქმედი გმირის – სოფიას ტრაგედიას, მაშინ, როდესაც ავტორისეულ სათაურში უბედურად ნაგულისხმევი იყო არა მარტო სოფია, არამედ გნატიც, ვარკაც და სხვანიც.

ასე ჰქონდა გააზრებული თავისი ნაწარმოები ი. კარპენკო-კარის, მაგრამ, სამწუხაროდ, „ნოვოე ობოზრენიეს“ რეცენზენტმაც „ცოლ-ქმრული ღალატის“ მეტი საფუძველი და მიზეზი ადამიანების უბედურებისა ნაწარმოებში ვერ დაინახა.

რაც შეეხება მსახიობთა ოსტატობას, ყველა გაზეთი ერთხმად აქებს მ. ზანკოვეცკას, მ. სადოვსკისა და სხვა შემსრულებლებსაც. მ. ზანკოვეცკამ სოფლელი გოგონას როლი „უაღრესად გრაციოზულად და ცოცხლად ჩაატარა“,<sup>1</sup> ხოლო გნატის როლში მ. სადოვსკი „ფრიად ტიპური და ბუნებრივი“<sup>2</sup> ყოფილა. ჭირვეული დედამთილის როლი პივინსკამ „ნატიფი კომიზმით შეასრულა“<sup>3</sup>. „გვარიანი“ ყოფილა მოხუცი ჯარისკაცის როლში ზაგორსკი, ვარკასი – ბაზილევსკა, სტეფანესი – კარპენკო. ყველამ „რელიეფურად გამოკვეთილი ხასიათები შექმნა“.<sup>4</sup>

რეცენზენტებს ერთი გარემოებისათვისაც მიუქცევიათ ყურადღება. ამ პიესამდე მ. ზანკოვეცკა თბილისელი მაყურებლის წინაშე მხოლოდ დრამატულ როლებში გამოდიოდა, მაგრამ, მათი აზრით, „მისი ნიჭისათვის არ არის უცხო „მხიარული“ როლები, როგორც ამას „უბედური ქალის“ მესამე მოქმედება ადასტურებს“,<sup>5</sup> ამიტომაც გამოთქვამენ სურვილს, მ. ზანკოვეცკა კომიკურ როლებშიც გვანახეთო.

\* \* \*

თანამედროვე ცხოვრების მწვავე საკითხებისა და პრობლემების გვერდით, ი. კარპენკო-კარი ცდილობდა მხატვრულ ტექსტში ისტორიული სიმართლის შენარჩუნებას, თუმცა, ამას იგი ყოველთვის ვერ ახერხებდა. მაგალითად, მელოდრამა „ბოროტი ნაპერწკალი“, დრამა „განძია“ (1902 წ.).

ისტორიულ თემაზე შექმნილი დრამა „ბონდარივნა“, რომელიც უკრაინულმა დასმა თბილისელებს ორჯერ – 25 ნოემბერსა და 14 დეკემბერს – უჩვენა.

---

<sup>1</sup> ვლ. თეატრი და მუსიკა, „კავკაზ“, 1897, №321, გვ. 2.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ნვ., მალოროსიული სპექტაკლი, „ნოვოე ობოზრენიე“, 1897, №4785, გვ.2.

<sup>5</sup> იქვე.

გაზეთის მართებული შენიშვნით, „ეს დრამა ისტორიულია“, მასში ასახულია XVII საუკუნის უკრაინის ცხოვრების ერთი ეპიზოდი. ნაწარმოების თემა და ნაწილობრივ სიუჟეტიც ი. კარპენკო-კარიმ ბონდარივნას შესახებ საკმაოდ ცნობილი ხალხური ბალადიდან აიღო.

ნაწარმოებში გადმოცემულია პოლონელი „კეთილშობილი პანის“ მიერ ხალხის ჩაგვრის, შევიწროებისა და დამპყრობლების წინააღმდეგ ხმელნიცკისა და მისი მომხრეების ამხედრების ამბავი. რეალურ ისტორიულ ფონზე ავტორს უკრაინელი პატრიოტი გოგონას ტრაგედია აქვს დახატული, რომელსაც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარს სამშობლო, გოგონა კვდება, მაგრამ რწმენასა და პატიოსნებას არ დალატობს.

გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ აღნიშნავს, რომ ამ სპექტაკლმა „საკმაოდ ბევრი მაყურებელი მოიზიდა“ და წარმოდგენა წარმატებით ჩატარდა“.<sup>1</sup>

რეცენზიის ავტორი, როგორც ჩანს, ი. კარპენკო-კარის შემოქმედებასა და, საერთოდ, უკრაინულ დრამატურგიას იცნობს არა მხოლოდ იმ პიესებით, რომლებიც თბილისში დაიდგა. იგი საკმაოდ გაცნობიერებულია, გარკვეულია მალოროსიული დასების მოღვაწეობაში, იცნობს უკრაინული სცენის სხვა გამოჩენილ მსახიობებსა თუ ხელოვანებს, მათ სცენურ თუ დრამატულ შემოქმედებით საქმიანობასაც.

„ნოვოე ობოზრენიეს“ რეცენზენტი წერს: „ბ-ნ კარპენკოს პიესათა შორის არის ნაწარმოებები „ბონდარივნაზე“ უფრო საინტერესოა, აღვნიშნავ თუნდაც მის უკანასკნელ დრამებს „ბურლაკა“ და „დნეპრზე“, რომლებიც ეხება თანამედროვე გლეხობის მწვავე საკითხებს – არტელისა და გადასახლებისას“.<sup>2</sup>

რა ნაწარმოებები იყო „ბურლაკა“ და „დნეპრზე“, ასე რომ მიიქცია რეცენზენტის ყურადღება?

კარპენკო-კარის შემოქმედებაში დრამა „ბურლაკას“ განსაკუთრებული ადგილი უკავია. მასში მწერალმა 70-იანი წლების დასასრულისა და 90-იანი წლების დამდეგის უკრაინული სოფლის ცხოვრების მართალი სურათები დაგვიხატა. ნაწარმოებში კვლავ გლეხ-

<sup>1</sup> ნვ., მალოროსიული სპექტაკლი, „ნოვოე ობოზრენიე“, 1897, №4778, გვ. 2-3.

<sup>2</sup> იქვე.

თა უბედურება, მათი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა ასახული. ავტორის ყურადღება პიესაში კონცენტრირებულია სოფლის ბატონკაცების თავგასულობათა მხილებასა და მათ წინააღმდეგ მშრომელი ადამიანების ბრძოლაზე.

ავტორი სოფლის მდიდარ მამასახლისს მიხაილო მიხაილოვიჩს გვიხატავს, როგორც სოფლის წურბელას, რომელიც სხვისი შრომით ისე ეღობება კისერსა და ჯიბეს.

გაჭირვებული გლეხები ოპანასი, პეტრო, ოლექსა და გალის ის ადამიანები არიან, რომელთაც, მართალია, არაფერი გააჩნიათ, მაგრამ შრომის სიყვარული და პატიოსნება მათი პირველი ნიშან-თვისებაა.

„ბურლაკში“ პირველადაა უკრაინულ დრამატურგიაში ასე მკაფიოდ და დახვეწილად გამოკვეთილი გლეხი ბუნტარის მხატვრული სახელი. დრამის ცენტრალური გმირი ოპანასი მძიმე წარსულის კაცია. ყოფილმა ყმამ ვერ იგუა ბატონის მძიმე უღელი, ეურჩა მას. სიმართლისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე ბევრი რამ გამოსცადა, წლების განმავლობაში ბურლაკად ყოფნამ კი მთლად გააკაჟა მისი სხეული და სული ერთი ნებისყოფით – ბოლომდე იბრძოდა სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ. ეს რწმენა არ ღალატობს მას და ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, იგი მტკიცედ ებრძვის ყოველი ჯურის მოძალადეებს.

ოპანასი, „გრომადაზე“ დაყრდნობით, ცდილობს სოფლის მამასახლისთან ბრძოლის მოგებას, მაგრამ მას სათანადო დახმარებას ვერ უწევს. საქმე ის იყო, რომ გრომადის ერთ ნაწილს ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა იმით, რომ ისინი მამასახლისმა ეკონომიკურად დაიმონა, მეორე ნაწილი ეგზეკუციებით იყო დაშინებული და პირში წყალი ჰქონდა დაგუბებული. მხოლოდ პეტრო და ორიოდ თამამი ვაჟკაცი ამოუდგნენ გვერდში ბურლაკას. ამიტომაც იყო, რომ თვით ოპანასი ჩაუფიქრდა საკუთარ თავს და მერყეობა დაიწყო. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს მერყეობა ტიპური, დამახასიათებელი იყო გლეხი-ბუნტარებისათვის.

პიესის კეთილი დასასრული, მაღალი ხელისუფლების ჩამოხვლა და სიმართლის გარკვევა ცენზურისადმი მწერლის რევერანსი იყო, რომელიც ნაწარმოების იდეურ არსს ვერ ცვლიდა. ამიტომაც



წერდა მაქსიმ რილსკი, რომ „ტობილვეიჩის პირველი პიესა – „ბურლაკა“ – ერთგვარად მის მხატვრულ-იდეურ მანიფესტს წარმოადგენს“.<sup>1</sup>

„ნოვოე ობოზრენიეს“ რეცენზენტს მითითებული აქვს კარპენკო-კარის მეორე დრამა – „დნეპრზე“. ეს ნაწარმოები სოციალურ-ყოფითი დრამაა. შეიძლება ითქვას, რომ იგი კარპენკო-კარის შემოქმედებითი მარცხია დრამატურგიაში. მისი ნაკითხვის დროს, მაქსიმ რილსკის თქმით, უნებლიეთ გაგონდება „არტელის მამის“ ლევიტსკის მოღვაწეობა.

პიესის გმირის, მირონ სერპოკრილის, მხატვრული სახე რეალისტურობით არ გამოირჩევა. იგი ყალბი და გაიდეალებულია. მიუხედავად ამისა, ამ გმირს ავტორმა იმდენი რამ მიანიჭა ცხოვრებისეული, რომ, როგორც მაქსიმ რილსკი ამბობს, „ჩვენ მზადა ვართ ვირწმუნოთ მისი რეალობა“.<sup>2</sup>

მირონ სერპოკრილის როლის საუკეთესო შემსრულებელი ყოფილა პანას საქსაგანსი. იგი დიდი ნიჭის წყალობით ახერხებდა ამ გმირში დადებითი მხარეების წინ წამოწევას. მაქსიმ რილსკი, რომელიც უკრაინული ხელოვნების აღორძინების მოწმე იყო, თავის გულისტკივილს გვაცნობს იმის გამო, რომ არ როლში ამ მინახავს დიადი საქსაგანსკი. ამბობენ, იგი, მირონის თამაშის დროს ამ სახეში გახაზავდა სწორედ ადამიანურ სითბოს, ჩვეულებრიობას, „ნატურალურობას“, თვით კარპენკო-კარის საყვარელ გამოთქმას თუ გამოვიყენებთ“.<sup>3</sup>

აი, ეს დრამები, „ბურლაკა“ და „დნეპრზე“, – ამბობს „ნოვოე ობოზრენიეს“ რეცენზენტი, – „ამჟამად წარმატებით იდგმება ბ. საქსაგანსკის დასის მიერ“.<sup>4</sup>

„ნოვოე ობოზრენიეს“ აზრით, ეს დრამები და, აგრეთვე, სხვა უკრაინული დრამატურგების საუკეთესო პიესები უნდა ნახოს თბილისელმა მაყურებელმა. „აი, ესენი იყო სასურველი გვენახა თბი-

---

<sup>1</sup> მ. რილსკი, უკრაინული დრამატურგიის სიამაყე, წიგნში - ი. ტობილვეიჩი. პიესები. 1958, გვ. 5.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> მ. რილსკი, უკრაინული დრამატურგიის სიამაყე, წიგნში - ი. ტობილვეიჩი. პიესები. 1958, გვ. 5.

<sup>4</sup> იქვე.

ლისის სცენაზე, ისევე, როგორც ბ-მ კროპივნიცკის („ვიი“, მაგალითად) და სხვა მალროსი ავტორების ზოგი ახალი ნაწარმოები“.<sup>1</sup>

\* \* \*

თუ რა პერიოდი იყო ეს გამოჩენილი ხელოვანის ი. კარპენკო-კარის მოღვაწეობაში და რატომ იყო ასეთი ძლიერი მისი შემოქმედებითი ცხოვრების რეზონანსი, ამაზე ნაწილობრივ უკვე ითქვა. მაგრამ იყო კიდევ ერთი მომენტი ი. კარპენკო-კარისა და პანას საქსაგანსკის ბიოგრაფიაში, რომელსაც უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი ესთეტიკური პრინციპების გარკვევისა და, აგრეთვე, პოპულარობის ახსნისთვის.

1897 წელი, შეიძლება ითქვას, ფრიად მნიშვნელოვანი იყო ი. კარპენკო-კარისა და პანას საქსაგანსკისათვის, და არა მარტო მათთვის, არამედ მთელი რუსეთის თეატრალური სამყაროსთვის. ამ წელს მოსკოვში შეიკრიბა სრულიად რუსეთის თეატრალური მოღვაწეების პირველი ყრილობა, რომელსაც თეატრალური ცხოვრების მრავალ საჭირობოროტო საკითხზე უნდა ემსჯელა და გადაეწყვიტა კიდევ რამე.

ყრილობაზე თავისი სიტყვა თქვეს უკრაინული თეატრის კორიფეებმა – მიხაილო სტარიცკიმ, მარია ზანკოვეცკამ, პანას საქსაგანსკიმ და ი. კარპენკო-კარიმ.

ი. კარპენკო-კარიმ თავისი შეხედულებანი თეატრის ამოცანებისა და უკრაინული თეატრის იმდროინდელ მდგომარეობაზე ფართო საზოგადოებას გააცნო; 1897 წელს მოსკოვში შეკრებილ თეატრალთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის ტრიბუნიდან პანას საქსაგანსკიმ ი. კარპენკო-კართან ერთად დაწერილი მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. ამ სიტყვაში ნათლად არის გამოხატული ი. კარპენკო-კარისა და საქსაგანსკის შეხედულებანი თანამედროვე თეატრზე.

ამ დროისათვის ხელოვნებაში ორი ფრთა იბრძოდა – რეაქციული და რევოლუციური. რევოლუციური ფრთის წარმოდგენით თეატრი საერთო-სახალხო ინტერესებს უნდა პასუხობდეს. იგი ადვილად მისახვედრი უნდა იყოს დაბალი ფენებისთვისაც, როგორც სტანის-

---

<sup>1</sup> ნვ., მალროსიული სპექტაკლი, „ნოვოე ობოზრებიე“, 1847, №4778, გვ.2-3.

ლავსკი იტყოდა, „წერა-კითხვის უცოდინართათვისაც კი“. თეატრის ამოცანა იყო ამ გაუნათლებლებისათვისაც კი სცენა კათედრად გადაექციათ, დარბაზი კი – აუდიტორიად.

სცენაზე წარმოდგენილ პიესასა და მსახიობებს ხალხის სულიერ სამყაროზე უნდა მოეხდინათ გავლენა და პროპაგანდა გაეწიათ „მაღალი აზრებისა და კეთილშობილური გრძნობებისათვის“.<sup>1</sup>

ამ ფრთას თავისი იდეებით ემხრობოდნენ ი. ტობილევჩი და პანას საქსაგანსკი, რომელმაც მოსკოვის თეატრალთა მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა: პროვინციაში უნდა შეიქმნას ისეთი თეატრი, „რომელიც საშუალებას მისცემს ღარიბი მაყურებლის უდიდეს უმრავლესობას, დაესწროს ხელფასის მიხედვით მისაწვდომ სპექტაკლებს, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ საზოგადოებრიობაში ზნეობრივი იდეალების განვითარებას“.<sup>2</sup>

თეატრზე ამგვარი რევოლუციური შეხედულებების წინააღმდეგ გამოდიოდა ინტელიგენციის ერთი ჯგუფი, რომელიც „გულსა და სულს“ აცლიდა პიესას და, საერთოდ, წარმოდგენას. რეაქციონერი თეატრის პოლიტიკოსები ისეთი თეატრის შექმნას მოითხოვდნენ, სადაც უგულვებელყოფილი იქნებოდა თანამედროვეობის ძირითადი ინტერესები და ხალხის სურვილები, სადაც მოქმედი გმირი სულიერად განძარცული წარმოდგებოდა მაყურებლის წინაშე, სადაც ლიბერალიზმის წყალობით „დიდი იდეები დაკნინებული იქნებოდა“.<sup>3</sup> ასეთი თეატრი მაყურებელს მხოლოდ „გარყვნიდა“.

კ. სტანისლავსკის შეხედულებით, რეაქციონერი, ბურჟუაზიული „თეორეტიკოსები“ და მათი პიესები „დიდი წარმატებით უწევენ კულტივირებას უხამსობას, ბანალურობასა და პორნოგაფიას“.<sup>4</sup>

ხელისუფლება მთელი ძალით ებრძოდა ქვეშარითი თეატრების როლის ამაღლებას ცხოვრებაში და ყოველმხრივ უწყობდა ხელს საეჭვო ღირსებისა და უხამსობით დაღდასმული პიესების

<sup>1</sup> კ. სტანისლავსკი, მოხსენება ცენზურაზე, წაკითხული მოსკოვის ლიტერატურულ-მხატვრულ წრეში. „ეფეგოდნიკ მხატ.“; მ; 1994, გვ. 331-332

<sup>2</sup> ი. ტობილევჩი და პ. საქსაგანსკი, წერილი თეატრალურ მოღვაწეთა ყრილობისადმი. შრომები თეატრის მოღვაწეთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობისა, 1897, ნაწილი II, გვ. 274.

<sup>3</sup> კ. სტანისლავსკი, მოხსენება ცენზურაზე, წაკითხული მოსკოვის ლიტერატურულ-მხატვრულ წრეში. „ეფეგოდნიკ მხატ.“; მ; 1994, გვ. 331-332

<sup>4</sup> კ. სტანისლავსკი, მოხსენება ცენზურაზე. . . გვ, 337

დადგმას სცენაზე. პანას საქსაგანსკის საგანგებო მოწმობით, უკრაინულ პროვინციებში ხელს უწყობდნენ კაფე-შანტანის ტიპის თეატრების ჩამოყალიბებას, „რათა გართობის ამ სახით, რომლებიც მდაბალი ხარისხის თეატრალურ სპექტაკლებს წააგავდა, გაერყვნათ მაყურებელი, განსაკუთრებით ის მაყურებელი, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა ნამდვილ თეატრზე“.<sup>1</sup>

უკრაინელ ხელოვანთა შეხედულებით, მათი თეატრალური რეპერტუარი საოცრად სუსტი იყო, მცირე გამონაკლისის გარდა, ის სრულიად არ ასახავდა ხალხის ცხოვრებასა და საძაგელ მდგომარეობას, რომელშიც უბრალო ადამიანები იყვნენ, არ ამხელდა მანკიერებას და არ იბრძოდა მის წინააღმდეგ. ამ დროის უკრაინული თეატრის სცენას, მეფის ხელისუფლების მლიქვნელთა ხელშეწყობით, როგორც ივან ფრანკო ამბობს, მიაწყდა კარიკატურისტთა და პლაგიატთა მთელი ჯოგი, რომლებიც ეთნოგრაფიული ელემენტების გაზვიადებული, გაშარჟებული გამოყენებით სოფლის სურათს ხატავდნენ.

ყოველ პროგრესულ მოაზროვნესა და პატიოსან ხელოვანს აფიქრებდა და აღელვებდა ეს გარემოება. „თეატრი სულს ღაფავს ინსტანციების, მეურვეობისა და თვითნებობის გამო“, – აღშფოთებით წერდა კ.სტანისლავსკი. სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო უკრაინულ თეატრში. „ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში, – წერდა პირველი ყრილობისადმი შედგენილ ბარათში საქსაგანსკი და აცხადებდა მისი ტრიბუნიდანაც, – სცენაზე ისეთი არაფერი გამოჩენილა, რაც რამდენადმე მაინც ამსახველი იქნებოდა ჩვენი ნამდვილი ცხოვრებისა თავისი ტკივილით, მუხრუჭით, მანკიერებით. ჭეშმარიტი ცხოვრება არ არის სცენაზე, და სცენას არ შეუძლია ემსახუროს იმ მიზნებს, რომლებისთვისაც ის არსებობს“.<sup>2</sup> ამიტომაც იყო, რომ უკრაინული თეატრების მეთაურები საგანგაშო ნიშანს იძლეოდნენ და ხალხს მოუწოდებდნენ: „უნდა ვიხსნათ ის, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ი. ტობილევჩი და პ. საქსაგანსკი, წერილი თეატრალურ მოღვაწეთა ყრილობისადმი. შრომები თეატრის მოღვაწეთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობისა, 1897, ნაწილი II, გვ. 214.

<sup>2</sup> ი. ტობილევჩი და პ. საქსაგანსკი, წერილი თეატრალურ მოღვაწეთა ყრილობისადმი. შრომები თეატრის მოღვაწეთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობისა, 1897, ნაწილი II, გვ. 214.

<sup>3</sup> იქვე.

მათი აზრით, ერთადერთი გზა ის არის, რომ თეატრი „ჭეშმარიტად სახალხო“ უნდა გახდეს, – აცხადებდა თავის მოხსენებაში მარია ზანკოვეცკა.

ი. კარპენკო-კარის ღრმად სჯერა, რომ საზოგადოებას ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები იტაცებს და აღელვებს, მაგრამ უკრაინელი დრამატურგი იმასაც ითვალისწინებს, რომ სცენიდან ამ ნამდვილი პიესების ამოგდებითა და მაცურებლისათვის მხოლოდ იაფფასიანი, ყალბი ნაწარმოებების ჩვენებით საზოგადოებას გემოვნება არ გაუფუჭდეს. „ხალხს უყვარს სერიოზული, მორალური, ზნეობის აღმზრდელი, ისტორიული პიესების ყურება, – წერს იგი, – მაცურებელი, უყურებს რა ცუდ პიესებს, რომლებიც გათვალისწინებულია მხოლოდ გასართობად, ბოლოს და ბოლოს, რყვნის თავის გემოვნებას“.<sup>1</sup>

პანას საქსაგანსკი და ი. ტობილევჩი ენერგიულად ილაშქრებენ ხმაურიანი პიესების წინააღმდეგ, სადაც ჭეშმარიტი ვაჟკაცობა და გმირობა ყალბად არის წარმოდგენილი, სადაც, საჭიროა თუ არა, დანების ტრიალი, სისხლი და სიკვდილია, არასწორად მიაჩნიათ დრამების დატვირთვა ეთნოგრაფიული ელემენტებით.

ი. კარპენკო-კარი ყალბი დრამატურგიის წინააღმდეგ ბრძოლას იმითაც აძლიერებდა, რომ ცდილობდა თვითონ შეექმნა „ჭეშმარიტი ლიტერატურული დრამა“. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამას უკრაინელი შემოქმედი წარმატებით ახერხებდა.

ერთ-ერთ თავის კომედია „ამაოებაში“ მოქმედი გმირის, ივან ბარილჩენკოს პირით, დრამატურგი თეატრის შესახებ გოგოლის მსგავს თავის სანუკვარ ოცნებებს გვამცნობს: „თეატრში, – ამბობს ივან ბარილჩენკო, – უნდა თამაშობდნენ მხოლოდ ჭეშმარიტ ლიტერატურულ დრამას, რომელიც ადამიანური სულის ტანჯვით ქვის გულებს აღელვებს და ამსხვრევს რა მათი გულგრილობის ყინულოვან ქერქს, მსმენლის სულში სიმართლისაკენ სწრაფვა მიაქვს, საერთო სიკეთისადმი სწრაფვა... მოგვეცით კომედია, ის კომედია, რომელიც საშინელი სატირით ამათრახებს ყველას, ცრემლნარევი სიცილით დასცინის მანკიერებას და აიძულებს ადამიანებს თავიანთი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ შერცხვით თავიანთი ცუდი საქციელისა!“

---

<sup>1</sup> ი. ტობილევჩი და პ. საქსაგანსკი, წერილი..., გვ. 274.

უკრაინელი მკვლევარი მ. იოსიპენკო სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ „რუსეთსა და უკრაინაში განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელი მსვლელობა განუყოფელია ხელოვნებაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ანტიხალხური ტენდენციების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაგან. სწორედ ამ ამოცანას ასახავდნენ ფუძემდებლები და დამწყებნი საზოგადოებრივ-პროგრესული აზრისა ახალი დროის თეატრალურ კულტურაში – სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანიჩენკო“<sup>1</sup>. რუსული პროგრესული თეატრის კვალში იდგა უკრაინული პროგრესული თეატრიც.

უნდა ვიფიქროთ, რომ მარია ზანკოვეცკას, ი. კარპენკო-კარსა და პანას საქსაგანსკის სიტყვებმა ყრილობაზე მათმა ესთეტიკურმა პლატფორმამ ფართო გამოხმაურება პოვა რუსეთის საზოგადოებაში და საქართველომდეც ჩამოაღწია. ამ ყრილობის ჩატარების შემდეგ, იმავე წლის ბოლოსათვის, საქართველოში მიკოლა სადოვსკისა და მარია ზანკოვეცკას მეთაურობით უკრაინული დასის გამოჩენასა და ი. კარპენკო-კარის პიესების წარმოდგენას ამიტომაც მიექცა განსაკუთრებული ყურადღება.

საქართველოში ი. კარპენკო-კარის პიესების წარმატების ერთ-ერთი საწინდარი, მათი იდეურობის გარდა, თვით ნაწარმოებთა მაღალმხატვრულობა იყო. უკრაინულმა დასმა იპოვა ჭეშმარიტი ხელოვანი ი. კარპენკო-კარის სახით.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ის მრავალმხრივი დრამატული ხერხები და საშუალებანი, რომელთა გამოყენებითაც ი. კარპენკო-კარი ახერხებდა თავისი იდეისა და ჩანაფიქრის მაყურებელამდე მიტანას.

დრამატურგი თავისი ნაწარმოებების ღერძად მთავარ მოქმედ გმირს არჩევს ხოლმე, მის ირგვლივ თავს უყრის სხვა მოქმედ გმირებსა თუ მოვლენებს და მათ შუაგულში საგანგებოდ წამოსწევს ცენტრალურ გმირს. ასე ექცევა მწერალი ხარიტინას – „მოჭამაგირე ქალში“, კლიტკას – „ასი ათასში“, პუზირს – „ბატონ-პატრონში“ და სხვ.

პიესის მეორეხარისხოვანი გმირები თუ სიტუაციები ავტორს ისე აქვს შერჩეული და დახასიათებული, რომ ისინი ხშირად კონტრასტს ქმნის ცენტრალურ გმირთან შეხვედრისას, უფრო გამოკვე-

---

<sup>1</sup> მ. იოსიპენკო, დიადი მეგობრობა, კიევი, 1961 წელი, გვ. 106.

თს მის ხასიათს. ასეა ეს კალიტკასა და ბონავენტურას, პუზირისა და ზოლოტნიცკის, ხარითინასა და ცოკულიას ურთიერთშეპირისპირებისას.

თავის ნაწარმოებში ი. კარპენკო-კარი ცდილობს, მთავარი მოქმედი გმირის სურათის ყოველი მხრიდან გაშუქებისთვის მისი გარემომცველი საზოგადოების ღრმად დახასიათებას, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ამ შემთხვევაში უკრაინელი დრამატურგი სავსებით ეთანხმებოდა ა. ოსტროვსკისა და ნ. დობროლუბოვის შეხედულებებს.

მკვლევრებს შენიშნული აქვთ ისიც, რომ დრამატურგი ცდილობს მაყურებელს ფარდის გახსნისთანავე გააცნოს გმირების (განსაკუთრებით, მთავარი გმირების) პორტრეტების ძირითადი მონახაზები, შტრიხები, საერთო ხასიათი და შემდეგ თანდათან შეავსოს, გაამდიდროს, მაგრამ შეცვლით კი აღარ შეცვალოს. თუ ნაწარმოების დასაწყისში ავტორმა კულაკი გამოიყვანა (მაგალითად, კალიტკა, პუზირი თუ სხვ.), ეს კულაკი ფარდის დახურვამდე თავისი შინაგანი „მეს“ ერთგული რჩება.

ი. კარპენკო-კარი ცნობილია, როგორც გმირთა ხასიათების ოსტატურად გამომკვეთი დრამატურგი, მაგრამ ისეთი, რომელიც პიესის პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს ჩვენებას ახერხებს მათი ჩვეულებრივი საუბრისა თუ მოქმედების მეშვეობით. დრამატურგი ღრმად სწვდება გმირის ფსიქოლოგიას და ასევე ღრმად და სრულად წარმოუდგენს მას მაყურებელს.

უკრაინელი დრამატურგი სატირის ბრწყინვალე ოსტატია. მის მრავალ ნაწარმოებში გმირთა სატირულად წარმოსახულ მხატვრულ სურათებში გამოვლინდა მწერლის ეს ნიჭი.

ი. კარპენკო-კარის პიესები უკრაინული ცხოვრების სხვადასხვა მხარეა და მრავალგვარ გმირს ასახავს. მწერალს დახატული აქვს XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა გმირი. მათი სრულყოფილი დასურათებისათვის დრამატურგს შესანიშნავად აქვს მომარჯვებული სამეტყველო ენის ინდივიდუალიზაციის მეთოდი.

მისი ყოველი გმირი შინაგანი ხასიათის შესაბამისად თავისი ენით მეტყველებს, თავისებურად ლაპარაკობს. მაგალითად, კომე-

დია „ასი ათასის“ მთავარი გმირის, გერსაიმ კაპიტკას, ენა გამოირჩევა შეკუმშულობით, ლაკონიურობით. იგი ერიდება ზედმეტი სიტყვის თქმასაც კი. ხოლო სხვა მოქმედი პირი იმავე პიესიდან – მეოცნებე ბონავენტურა – ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების მოყვარულია; 90-იანი წლების ცხოვრების ბატონ-პატრონი პუზირი ბრძანებებს არის მიჩვეული. იგი კი არ საუბრობს, არამედ თითქმის მექანიკურად ისვრის ფრაზებს და სხვ. მიხაილო ოკუნის, ამ პრაქტიკოსი კომერსანტის, სამეტყველო ენა სავსეა სიტყვებით „ხელწერილი“, „ვექსილი“, „ქვითარი“, „კომერცია“ და სხვ.

სულ სხვაგვარია უბრალო ხალხის შვილების სასაუბრო ენა. პიესა „უბედური ქალის“ გმირის, შეყვარებული სოფიას, მეტყველება უაღრესად თბილი და ლირიკულია, ჰაიდამაკების ერთ-ერთ მეთაურს, გნატ გოლის, მგზნებარე მეტყველება აქვს.

ი. კარპენკო-კარის პიესები გამდიდრებულია ხალხური თქმებით, ანდაზებით, მოქმედი გმირების მეტყველება – ხალხური სიმღერებით. დრამატურგი ფართოდ ეყრდნობა ხალხურ შემოქმედებას და მას სხვადასხვა ფორმით ხშირად იყენებს პიესებში.

ი. კარპენკო-კარი აშკარად გამოდიოდა ყოფითი სცენებით, ეთნოგრაფიზმით პიესების დატვირთვის წინააღმდეგ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი თავის ნაწარმოებებში საერთოდ უგულვებელყოფს ხალხის ყოფითი მხარეების ჩვენებას, პირიქით, უკრაინულ ლიტერატურაში ი. კარპენკო-კარი ყოფის ერთ-ერთ შეუდარებელ ამსახველად ითვლება.

უკრაინული დრამატურგიის დიდ მიღწევად მეცნიერების თვლიან იმ ფაქტს, რომ მოქმედების განვითარების დინამიკურობას ავტორი ახერხებს არა გარეგნული ეფექტების საშუალებით, არამედ მოქმედ გმირთა შინაგანი სამყაროს, მათი სოციალური და ფსიქოლოგიური ხასიათების გამოკვეთის საშუალებით. მისი ყოველი სცენა, ფრაზა თუ სიტყვაც კი საოცრად გააზრებული და ლაკონიურია, გამონჭეულია მხოლოდ მოქმედებისა თუ გმირის შინაგანი მდგომარეობის აუცილებლობით.

ი. კარპენკო-კარის დრამატული ტექნიკა, ივანე ფრანკოს მართებული თქმით, „ყოველთვის უბრალოა და მასში წარმოდგენილი ცხოვრებისეული ფაქტები თვით ბუნებით არის ნაკარნახევი“.



დახვეწილი შემოქმედებითი ოსტატობა, ნაწარმოების იდეურობა კიდევ უფრო ფაქიზი და სრულყოფილი ხდება საქართველოში მისი პიესების პირველად წარმოდგენის დროიდან - 1897 წლის შემდეგ. ამავე ხანებში უფრო ფართო და მრავალმხრივი, მიზანდასახული ხდება ი. კარპენკო-კარის თეატრალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობაც.

თეატრალურ ასპარეზზე ბრძოლა ი. კარპენკო-კარის და მის თანამოძმეებს უფრო გაუადვილდათ მას შემდეგ, როდესაც 1898 წელს მოსკოვში მხატვრული თეატრი შეიქმნა. მისი დამაარსებლების, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს, მოღვაწეობა ალაფრთოვანებდა და შემოქმედების გეზსა და სტიმულს აძლევდა უკრაინელ დრამატურგს.

XX საუკუნის მიჯნაზე ი. კარპენკო-კარის რუდუნებით შეიქმნა ახალი უკრაინული დასი. ყველა საუკეთესო ძალამ აქ მოიყარა თავი. აქ იყვნენ პანას საქსაგანსკი, მიკოლა სადოვსკი, მარკო კროპივნიცი და სხვ. დასმა ააღორძინა და არნახულ სიმაღლეზე აიტაცა უკრაინული ხელოვნების დიდება.

საქსაგანსკისა და კარპენკო-კარის მიერ შემუშავებული სამოღვაწეო პროგრამა, მანამდე არსებული უკრაინული დასებისაგან განსხვავებით, თეატრის პრინციპულად ახალ ორგანიზაციულ საფუძვლებს ითვალისწინებდა. უკრაინული თეატრის მოღვაწეთა ამ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული იყო აგრეთვე თეატრის ახალი ესთეტიკური და ეთიკური კოდექსი.

საქსაგანსკი და კარპენკო-კარი ილაშქრებდნენ „სახალხო თეატრის ყველა ექსპლუატატორის“ წინააღმდეგ, ხალხური შემოქმედების გამყალბებელი, პროვინციული შეკონინებული თეატრალური კოლექტივების წინააღმდეგ, ე.წ. თვითმარქვია შემოქმედთა წინააღმდეგ, „რომლებიც პიესას, როგორც მოხვდებათ, ისე აკეთებენ“. ორივე შემოქმედი მკვეთრად ილაშქრებდა მხატვრულ ნაწარმოებებში ეთნოგრაფიულ-ყოფითი ელემენტების გაზვიადების წინააღმდეგ.

საქსაგანსკიმ და კარპენკო-კარიმ ცხოვრებისეული სიმართლე აღიარეს ხელოვნების საფუძვლად, მხოლოდ ამ სიმართლეს შეუძლია, მათი აზრით, ეპოქაში მიმდინარე მძლავრი სოციალური და ეკონომიკური პროცესების ასახვა.

დეკლარაციის ავტორებმა დრამატულ კოლექტივში მკაცრი შრომითი დისციპლინის დაცვა მოითხოვეს. „შრომითი დისციპლინის დაცვა და იმ კანონების უსიტყვოდ შესრულება, რომელთაც ჩვენ ჩვენთვის დავწერთ“, – ასეთი იყო მათი მოთხოვნა. მთელი შემოქმედებითი პროცესის ხელმძღვანელობა კი, მათი აზრით, რეჟისორს უნდა დაკისრებოდა, იგი უნდა ყოფილიყო სული და გული დასისა. „ხოლო მამა ყოველი ჩვენგანისათვის იქნება გონება, რეჟისორისადმი პატივისცემა და დამორჩილება“.

როგორც ცნობილია, რეჟისორის უფლებების აღიარებამდე მივიდა რუსული თეატრალური სამყაროს მამა კონსტანტინე სტანისლავსკი.

„თავის შემოქმედებით საქმიანობაში საქსაგანსკი და კარპენკო-კარი ეყრდნობოდნენ უკრაინული თეატრის გამოჩენილ წარმომადგენლებს, სტარიცკისა და კროპივნიცკის, თეატრალურ-ესთეტიკურ პრინციპებსა და პრაქტიკას, – წერს მ. ოსიპენკო და იქვე აღნიშნავს, რომ – საქსაგანსკიმ გააღრმავა კროპივნიცკის თეატრის ესთეტიკა, ასწია რა ამით უკრაინული თეატრის ხელოვნება არნახულ სიმაღლემდე“.<sup>1</sup>

მკვლევრის შეხედულებით, გამოჩენილი პროგრესული თეატრალური მოღვაწეების – სტანისლავსკისა და საქსაგანსკის – შემოქმედებითი იდეების ერთიანობამ განაპირობა, აგრეთვე, მათი მხატვრულ-ორგანიზატორული ღონისძიებების ერთიანობა.

თეატრის ცხოვრებაში რეპერტუარს ბევრი რამის გაკეთება შეეძლო. კარპენკო-კარის დრამატურგიამ, ისე როგორც სამხატვრო თეატრმა ჩეხოვისამ, ახალი ფურცელი გადაშალა უკრაინულ ლიტერატურასა და თეატრში.

ივან ფრანკოს სავსებით სამართლიანი აზრით, ი. კარპენკო-კარიმ ყველა მის თანამედროვე დრამატურგთან შედარებით ცხოვრების „ფართო ჰორიზონტი“ მოიცვა და თავისი სამყარო „დაასახლა მრავალი ტიპით“.

ივანე ტობილევჩის თვალმა და კალამმა დაიჭირა XIX საუკუნის დასასრულის უკრაინაში მიმდინარე პროცესები და გამოკვეთა ის გმირები თუ მოვლენები, რომლებიც ამ პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი. მის პიესებში ასე აისახა კაპიტალისტური სოფელი

---

<sup>1</sup> მ. ოსიპენკო, დიადი მეგობრობა, კიევი, 1961 წელი, გვ. 107.

თუ ქალაქი, სასამართლოები, მსახიობის ოთახი, მილიონერთა ქარვასლა თუ ღატაკი გლეხის კედლებჩამონგრეული ქოხი, თავისი გმირების – კულაკისა თუ მშრომელი გლეხის, მექრთამე მოხელისა თუ მსახიობის, მებატონეებისა და სიმართლისათვის მებრძოლი ადამიანების – დაღბინებული და გაჭირვებული ცხოვრება.

ი. კარპენკო-კარის დიდი დამსახურება ის არის, რომ მისი კალმის ძირითადი ობიექტი ყოველთვის სოციალური სინამდვილე იყო. მონინავე დრამატურგი სწორედ სოციალური სინამდვილის უკუღმართობათა თუ უსამართლობათა წინააღმდეგ იბრძოდა და ხალხის უკეთეს მერმისზე ფიქრობდა,

მწერალმა უარყოფითი გმირების – სოფლის მყვლეფელების, მტაცებლების, უსინდისო კულაკებისა და მოხელეების გვერდით გამოძერწა მათ წინააღმდეგ მებრძოლი ნამდვილი ვაჟკაცების სახეები. ოპანასი („ბურლაკა“) და გნატ გოლი („სავვა ჩალი“) ჭეშმარიტად დადებითი გმირები არიან.

ივან კარპენკო-კარი მრავალმხრივი შემოქმედი იყო. იგი ერთნაირი მხატვრული სიძლიერით ქმნიდა თავის დრამებს („ბურლაკა“, „მოჭამაგირე ქალი“, „უბედური ქალი“), ისტორიულ ტრაგედიას („სავვა ჩალი“), კომედიებს („მარტინ ბორულია“, „ასი ათასი“, „ბატონ პატრონი“, „ამაოება“).

მისი მხატვრული ნაწარმოებების წყარო იყო თვით რეალური ცხოვრება, უკრაინული სინამდვილე, მისი მოქმედი გმირები ასევე ხშირ შემთხვევაში ცხოვრებაში ნახულობდნენ თავიანთ პროტოტიპებს.

ზოგჯერ იმდენად ახლოს იდგა ნაწარმოებში ასახული გმირი და მასთან დაკავშირებული მოვლენა სინამდვილესთან, რომ საქმე კურიოზებამდეც კი მიდიოდა. ივან ფრანკო პირდაპირ უთითებდა „ბატონ-პატრონის“ მთავარი მოქმედი გმირის, ტერენტი გაბირელის ძე პუზირის, პროტოტიპს – მილიონერ ხარიტონენკოს, ხოლო მეორე მილიონერმა ტერეშჩენკომ პუზირში თავისი თავი ამოიცნო და სხვა რომ ვერაფერს გახდა, კარპენკო-კარის შუამავალი მიუგზავნა: ნუ დადგამ შენს პიესას და სანაცვლოდ 30 ათასი მანეთი მიირთვიო.

თავისთავად ცხადია, რომ ი. ტობილვეიჩს არც მხოლოდ ტერეშჩენკო და ხარიტონენკო არ განუსახიერებია. მისი პუზირი მი-

ლიონერი მიწათმფლობელების განზოგადებული ტიპი იყო, რომელსაც, რა თქმა უნდა, გარკვეული მსგავსება ჰქონდა მათთან, ისეთი, როგორიც, პანას საქსაგანსკის მოსწრებული შენიშვნით, „ხერსონშიჩინის ყოველ მყვლეფელთან“.

მწერლის მიერ ნათქვამი ფრაზა – „მე ავიღე ცხოვრება“ – სავსებით მართებულია მთელი მისი შემოქმედების მიმართ.

ამ სიმართლის გამო იყო, რომ მისი ნაწარმოებების მთავარ პრობლემად ბურჟუაზიის ზრდა იქცა, ახალი ტიპის კულაკი-ექსპლუატატორი ასახვის ძირითადი ობიექტი გახდა.

სავსებით სამართლიანად წერდა ივან ფრანკო ი. კარპენკო-კარის შესახებ: „თუ რა იყო იგი უკრაინისათვის მისი საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების განვითარებისათვის, ამას გრძნობს ყოველი, ვინც ნახა სცენაზე ან მხოლოდ წაიკითხა მაინც მისი თხზულებანი; ამას გაიგებს ყოველი, ვინც იცის, რომ ის იყო ახალი უკრაინული თეატრის ერთი მამათაგანი, გამოჩენილი მსახიობი და, ამასთანავე, უდიდესი დრამატურგი, რომლის ბადალი ჩვენს ლიტერატურაში არ არის“.

ამ დიდი შემოქმედის თითქმის ყველა უმთავრესი ნაწარმოები ნახა თბილისის საზოგადოებამ თავის სცენაზე და ისიც უნიჭიერესი მსახიობების შესრულებით.

ამიტომაც იყო, რომ მიკოლა სადოვსკისა და მარია ზანკოვეცკას მეთაურობით უკრაინული დასის გასტროლები თბილისში ახალ ეტაპს წარმოადგენდა ქართველი ხალხის მიერ უკრაინული ხელოვნების მიღწევების, ჭეშმარიტი უკრაინული ხელოვნებისა და დრამატურგიის გაცნობის საქმეში.

## **ნანა გაფრინდაშვილი**

### **კლასიკოსი მწერლის იუბილე, როგორც კულტურათა დიალოგის ფორმა (ბელორუსიაში შოთა რუსთაველის იუბილეების მაგალითზე)**

იუბილეების სახალხო დღესასწაულის არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს და უკავშირდება ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლას, რაც ყოველ 50 წელიწადში ერთხელ აღინიშნებოდა. როგორც წესი, საიუბილეო დღესასწაულს კომემორატიული მნიშვნელობა აქვს, ადამიანები ამ ფორმით პატივს მიაგებენ და უკვდავყოფენ იმ გამორჩეული პიროვნებებს: მეცნიერებს, პოლიტიკოსებს, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებსა და სხვ., რომელთა საქმიანობასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ამა თუ იმ თვალსაზრისით. ჭეშმარიტ მოღვაწეებსა და მათ შემოქმედებას აქვს არაჩვეულებრივი უნარი, თავიანთ გარშემო გააერთიანონ სხვადასხვა ეროვნების, რელიგიური თუ პოლიტიკურ-იდეური შეხედულებების მქონე ადამიანები და ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება ხოლმე მასშტაბური იუბილეების აღნიშვნის დროს. ამიტომ იუბილე, ერთი მხრივ, ერის, ხალხის, საზოგადოების კულტურული მეხსიერებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, მეორე მხრივ, კი გარკვეული პიროვნებების გარშემო აერთიანებს ადამიანებს, ამძაფრებს მათ მიმართ საზოგადოების ინტერესს და სხვ.

მწერალთა იუბილეების შესწავლა მეტად საინტერესო მასალას იძლევა ლიტერატურული კომპარატივისტიკის თვალსაზრისითაც, სამწუხაროდ, ეს პრობლემა ჯერ კიდევ არ არის სიღრმისეულად შესწავლილი, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მწერალთა იუბილეების კვლევა კულტურათა დიალოგისა და კულტურათა ტრანსფერის კონტექსტში. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა შოთა რუსთაველის იუბილეების შესწავლა.

მიუხედავად იმისა, რომ პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის ჭეშმარიტი შედეგია, საუკუნეების განმავლობაში

იგი ნაკლებად იყო ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთ<sup>1</sup>. მისი ორიოდ თარგმანი<sup>2</sup> პოემის პოპულარობას ვერ უზრუნველყოფდა. დღეს რომ დიდი ქართველი კლასიკოსი, მე-12 საუკუნეში აღმოსავლური რენესანსის ფუძემდებელი, პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, შოთა რუსთაველი, მხოლოდ ქართულ ლიტერატურას კი არ ეკუთვნის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ორგანული ნაწილიცაა, დღეს რომ მას იცნობს მსოფლიოს კულტურული საზოგადოება და თავისი რეალური ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, მსოფლიო კულტურულ და ინტელექტუალურ სივრცეში, გარკვეულწილად მისი იუბილეების დამსახურებაცაა: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნისადმი ინტერესი როგორც საკავშირო, ასევე მსოფლიო მასშტაბით, სწორედ პოემის პირველი (1937 წ.) და განსაკუთრებით მეორე (1966 წ.) იუბილეების დროს გაძლიერდა. ძნელი წარმოსადგენია, სხვა რა საშუალებით შეიძლებოდა ასე მას-

<sup>1</sup> თუმცა ბოლო გამოკვლევები აჩვენებს, რომ თავად შექსპირისათვისაც კი ყოფილა ცნობილი და მასაც კი გამოუყენებია თავის პოემებში. პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ მეცნიერულად დაასაბუთა, რომ რუსთაველმა გავლენას მოახდინა ინგლისურ ლიტერატურაზე. კერძოდ, შექსპირზე, ფრენსის ბომონტსა და ჯონ ფლეტჩერზე და მისი პოემა მათი პიესებისათვის ერთგვარ შემოქმედებით იმპულსად და შემოქმედებით წყაროდ იქცა. მან უჩვენა და დაასაბუთა მსგავსებები, რომლებიც გამოვლინდა მათ ნაწარმოებებში გარემოს, თემატიკის, სიუჟეტის განვითარების, პერსონაჟთა გარკვეული მოქმედებების თუ ბედის წარმოჩენის თვალსაზრისით. პროფ. ხინთიბიძის კვლევის მიხედვით მსოფლიო სალიტერატურო სამყარო ვეფხისტყაოსანს უკვე მე-17 საუკუნეში იცნობდა, აღიარებდა და აფასებდა. პროფ. ე. ხინთიბიძე ვარაუდობს, რომ სპარსეთში მცხოვრებმა ქართველებმა სპარსეთის მეფის, შაჰ-აბას 1-ლის, სასახლეში შეხვედრის დროს ბრიტანელ დიპლომატებს გააცნეს რუსთაველის პოემა. მეცნიერი ფიქრობს, რომ ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ამბავი ინგლისიდან სპარსეთში ჩასულმა 26-კაციანმა დელეგაციამ ქართველი გენერლის, ალავერდი-ხანი უნდილაძისგან მოისმინა. (უფრო ვრცლად იხ. E. Khintibidze. Medieval Georgian Romance "The Man in a Panther-Skin" and Shakespeare's Late Plays. Adolf M. Hakkert – Publisher- Amsterdam. 2018).

<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორია იწყება XIX საუკუნის დასაწყისიდან. 1802 წელს ევგენი ბოლხოვიტინოვმა გამოაქვეყნა პოემის პირველი სტროფის რუსული თარგმანი, 1828-1831 წლებში მარი ბროსემ ფრანგულ ენაზე პროზაულად თარგმნა პოემის რამდენიმე ფრაგმენტი, 1845 წელს გამოქვეყნდა იპოლიტე ბარტდინსკის რუსული თარგმანი, 1840-იან წლებში კაზიმირ ლაფჩინსკიმ გიორგი ერისთავის დახმარებით პოემა პროზაულად თარგმნა პოლონურად, 1889 წელს არტურ ლაისტის გერმანული თარგმანი გამოქვეყნდა, 1912 წელს გამოიცა მარჯორი უორდროპის ინგლისურენოვანი პროზაული თარგმანი და სხვ.

შტაბურად გაგვეტანა რუსთაველის პოემა მსოფლიო სალიტერატურო ასპარეზზე> (გაფრინდაშვილი, ოძელი 1987:48).

რუსთაველის 750 წლისა და 800 წლის იუბილეები სახელმწიფო დონეზე დაიგეგმა და განხორციელდა არა მარტო, როგორც ეროვნული დღესასწაული და ზეიმი, არამედ, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მქონე კულტურული მოვლენა, რომლითაც რუსთაველის სახელის ცნობადობა უნდა ამაღლებულიყო როგორც მაშინდელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მასშტაბით, ისე მსოფლიო სალიტერატურო სამყაროშიც.

შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეს მოწყობის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში წერია, რომ ვეფხისტყაოსანი ეკუთვნის მთელ ქართველ ხალხს, მან უდიდესი გავლენა მოახდინა მთელი ქართული ლიტერატურის განვითარებაზე და წარმოადგენს პოეტური შემოქმედების ჯერ კიდევ მიუწვდომელ მწვერვალს (საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილება <http://rustveli.yolasite.com/newera-anniversary-750.php>). პოემის შესწავლა-პოპულარიზების მიზნით დაიგეგმა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება: რუსთაველის ძეგლის შექმნა, რუსთაველის სახელობის პირველი ჯილდოს დაწესება საუკეთესო ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოებისათვის, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის მომზადება, ღონისძიებების გატარება პოემის სხვა ენებზე თარგმნისა და გამოცემის ხელშეწყობის მიზნით, კონკურსის გამოცხადება პოემის აკადემიური გამოცემისათვის საუკეთესო ილუსტრაციების გამოვლენის მიზნით, კონკურსი „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოების გამოსავლენად, კონკურსის გამოცხადება პოემისა და რუსთაველის ეპოქისადმი მიძღვნილი საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომის გამოსავლენად და სხვ. (საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილება <http://rustveli.yolasite.com/newera-anniversary-750.php>). რუსთაველის იუბილე, რომელიც 1937 წელს ჩატარდა, დიდი ზეიმიტ აღინიშნა როგორც საქართველოში, ასევე მთელ საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთაც (საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილება <http://rustveli.yolasite.com/newera-anniversary-750.php>). საიუბილეოდ პოემა ითარგმნა რუსულად, უკრაინუ-

ლად, სომხურად, აზერბაიჯანულად, უზბეკურად, ყაზახურად, ფრანგულად და სხვ. ენებზე. ასევე უზარმაზარი სამუშაო ჩატარდა, რათა 1966 წელს რუსთაველის 800 წლის იუბილევ მაღალ დონეზე ჩატარებულიყო.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „Классические литературные произведения ... неизбежно редуцируются в процессе функционирования до особых ярлыков и кодов, в виде которых они и входят в общую культурную матрицу, превращаясь в литературные феномены” (Загудулина, 2002:9). იგივე მექანიზმი მოქმედებს, როდესაც კლასიკური ლიტერატურის ნიმუში მსოფლიო ასპარეზზე გადის ან სხვა სოციო-კულტურულ და ეროვნულ ასპარეზზე იწყებს ფუნქციონირებას. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ იუბილევების შესწავლა ბელორუსიაში, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბელორუსულ სალიტერატურო სამყაროში „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფციის თვალსაზრისით. ბელორუსიაში „ვეფხისტყაოსნის“ აღქმის თვალსაზრისით ორი „ბუმი“ იყო – გასული საუკუნის 30-იან და 60-იან წლებში. ორივეს იუბილევებმა – რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისა და 800 წლის იუბილევებმა – მისცა ბიძგი. საიუბილეო პერიოდებს ეკუთვნით დიდი ნაწილი იმ ლიტერატურულ-შემოქმედებითი და სამეცნიერო სამუშაოებისა, რომლებიც ბელორუსიაში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის, პოეტური რეცეფციის თუ შესწავლა-პოპულარიზაციის თვალსაზრისით ჩატარებულია.

აღსანიშნავია, რომ კლასიკოსი მწერლების საიუბილეო ღონისძიებები აყალიბებს მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტს<sup>1</sup> ახალ სოციო-კულტურულ გარემოში, სადაც იუბილარი კლასიკოსი მწერლის შემოქმედება სულ არ არის ცნობილი ან ნაკლებადცნობილია და მკითხველის პირველი დაინტერესება ამ შემოქმედით საიუბილეო ღონისძიებებით იწყება. ხოლო რამდენად შესაბამისობაში აღმოჩნდება მკითხველის მოლოდინი რეალურ მხატვრულ-ესთეტიკურ სინამდვილესთან, ამას იგი იუბილარი კლასიკოსის შემოქმედების

<sup>1</sup> „მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტის“ შესახებ იხ. ნ. გაფრინდაშვილი, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები. თბ. მერიდიანი. 2012:46.



გაცნობის შემდეგ გაიაზრებს და გააანალიზებს. როგორც წესი, მკითხველთა დიდი უმრავლესობა იუბილარის შემოქმედებას მისი ნაწარმოებების თარგმანებით ეცნობა, რაც კიდევ უფრო ზრდის თარგმანის მნიშვნელობას და მთარგმნელების პასუხისმგებლობის საკითხს.

„ვეფხისტყაოსნით“ ბელორუსი მთარგმნელებიდან პირველი მ. ხვედოროვიჩი დაინტერესდა. იგი იმ ბელორუს მწერალთა ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც 1935 წელს საქართველოს ესტუმრა<sup>1</sup>. სწორედ ამ დროს გაეცნო მ. ხვედოროვიჩი ქართველ მწერლებს, ქართულ ლიტერატურას, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანს“, მოიხიბლა პოემით და გადაწყვიტა მისი თარგმნა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შეხვდა რუსთველოლოგებს, პოეტ გ. ლეონიძისაგან მიიღო ყველა საჭირო მასალა და კონსულტაცია (Хведорович, 1966, 25 сентября). პოეტმა სანდრო ეულმა მას გააცნო რუსი პოეტი და მთარგმნელი პ. პეტრენკო, რომელიც პოემის რუსულ თარგმანზე მუშაობდა. პ. პეტრენკოსაგან მ. ხვედოროვიჩმა მიიღო პოემის რუსული პნკარედული თარგმანი, რომელიც მის თარგმანს დაედო საფუძვლად (Хведорович, Литературная Грузия. 1975. N 9:67).

---

<sup>1</sup> მწერალთა ბრიგადების გაცვლა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების საბჭოთა სინამდვილეში მეტად პოპულარული ლიტერატურული ღონისძიება იყო, რომელიც მიზნად ისახავდა, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მწერალთა ჯგუფი, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ბრიგადა, ჩასულიყო სხვა რესპუბლიკაში, გაეცნო იქაური ლიტერატურა, კულტურა, მწერლებთან დაემყარებინა პირადი კონტაქტები, შეესწავლა იქაური სოციო-კულტურული გარემო და ეს ყოველივე აეხსნათავის მხატვრულ ნაწარმოებებში; ეთარგმნა და თავისი ხალხისათვის გაეცნო მასპინძელი რესპუბლიკის ლიტერატურის ნიმუშები. ამ ღონისძიების მიზანი იყო სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკების კულტურულ-მენტალური თვალსაზრისით დაახლოება, რაშიც გადამწყვეტი როლი იდეოლოგიურ ფაქტორს ჰქონდა, თუმცა ნიჭიერი მწერლები ამ ღონისძიებას ხშირად მხოლოდ ქვეშაირიტი მხატვრულ-ესთეტიკური მიზნით იყენებდნენ და არაჩვეულებრივ მხატვრულ ნაწარმოებებს ქმნიდნენ, რომლებსაც შემოცლილი ჰქონდა იდეოლოგიური საფარველი და მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. 1935 წლის მაისში მოეწყო ქართველ და ბელორუს მწერალთა ბრიგადების გაცვლა. ბელორუსიას ბ. ბუაჩიძის ხელმძღვანელობით ესტუმრნენ ქართველი მწერლები ა. ქუთათელი, კ. ლორთქიფანიძე, რ. გვეტაძე და ი. მოსაშვილი, ხოლო საქართველოში ჩამოვიდა ბელორუს მწერალთა ბრიგადა ვ. ვოლსკის ხელმძღვანელობით. დელეგაციის წევრები იყვნენ: მ. ხვედოროვიჩი, ბ. მიკულიჩი, ვ. სამუილიონოვი და ვ. კოვალსკი.

1938 წლისათვის მ. ხვედროვიჩმა დაასრულა პოემის თარგმნა, დასაბეჭდადაც გადასცა, მაგრამ ისიც და მისი თარგმანიც წითელი ტერორის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. მთარგმნელი დააპატიმრეს და 20 წლით გადაასახლეს, თარგმანი კი ამოიღეს და ისე გაანადგურეს მთელი ტირაჟი, რომ არც მისი ხელნაწერი და არც ნაბეჭდი ეგზემპლარი არ შემორჩენილა. საბედნიეროდ, გადარჩა პოემის რამდენიმე თავის თარგმანი, რომლებიც მ. ხვედროვიჩმა პოემის 750 წლის საიუბილეო დღეებში, 1937 წელს, გამოაქვეყნა (პროლოგი; ამბავი როსტევან არაბთა მეფისა; ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა; თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებნად; ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე ოდეს გაიპარა; წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი). ასე რომ, მ. ხვედროვიჩის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ არის ბელორუსიაში ამ პოემის თარგმნის პირველი ცდა<sup>1</sup>.

რუსთაველის 750 წლის იუბილეს აღსანიშნავად სერიოზულად მოემზადა ბელორუსული სალიტერატურო სამყარო, განსაკუთრებით ბელორუსი მთარგმნელები, რომლებიც პროფესიულად დაინტერესდნენ რუსთაველის პოემით და ცდილობდნენ, მისი ცალკეული ფრაგმენტების თარგმნით მოესინჯათ საკუთარი პოეტური ძალები, თუ რამდენად შეძლებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ფორმისეულ სირთულეებთან გამკლავებას და არანაკლებ რთული ფილოსოფიურ-შინაარსობრივი ასპექტების გაგება-გადმოცემას.

1937 წელს საიუბილეოდ გამოქვეყნებულმა პოემის არასრულმა პოეტურმა თარგმანებმა ჯამში თითქმის „ვეფხისტყაოსნის“ მთელი ტექსტის ნახევარი შეადგინეს. მ. ხვედროვიჩის თარგმანის გვერდით დაიბეჭდა ა. ზარიცკის, ა. უშაკოვის, ა. ალექსანდროვიჩის, ა. გურლოს, ა. კულიშოვის, კ. კრაპივასა და პ. ბროვკას თარგმანები. ითარგმნა პოემის შემდეგი თავები:

პროლოგი (მთარგმნელი მ. ხვედროვიჩი. Маладосць. 1966. №9. გვ. 5-8);

<sup>1</sup> გარდა იმისა, რომ მ. ხვედროვიჩმა ამ თარგმანით საფუძველი ჩაუყარა „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელობით-პოეტური აღქმის ტრადიციას, თვითონ მთარგმნელსაც დაუგროვდა უზარმაზარი მთარგმნელობითი გამოცდილება, რისი რეალიზებაც მან მოახდინა რუსთაველის 800 წლის იუბილესათვის. მან 1966 წელს ახალგაზრდა პოეტ ა. ზვონაკთან ერთად თარგმნა პოემა ბელორუსულად და გამოსცა მისი მეორე სრული პოეტური თარგმანი.

ამბავი როსტევან არაბთა მეფისა (მთარგმნელი მ. ხვედროროვიჩი. Бальшэвік Палесся. 1937. 28 სი.)

ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა (მთარგმნელი მ. ხვედროროვიჩი; Полымя рэвалюцыі. 1937. N 12. გვ. 249).

წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი (მთარგმნელები ა. ზარიცკი და ა. უშაკოვი. Літаратура і мастацтва. 1937. 27 кастрыч. ).

ტარიელისაგან თავისი ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო (მთარგმნელები ა. ზარიცკი და ა. უშაკოვი. Літаратура і мастацтва. 1937. 27 кастрыч. )

წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი (მთარგმნელი კ. კრაპივა. Чырвоная змэна. 1937. 26 снеж.)

აქა რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა (მთარგმნელი კ. კრაპივა. Чырвоная змэна. 1937. 26 снеж.)

ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა (მთარგმნელი კ. კრაპივა. Чырвоная змэна. 1937. 26 снеж.).

ლოცვა ავთანდილისა (მთარგმნელი ა. გურლო. Полымя рэвалюцыі. 1937. N 12. გვ. 40-48).

ტარიელისა და ავთანდილისაგან ქვაბს მისვლა და ასმათის ნახვა (მთარგმნელი ა. გურლო. Полымя рэвалюцыі. 1937. N 12. გვ. 38-40).

სამთაგანვე ქვაბსა მისვლა და მუნით არაბეთს წასვლა (მთარგმნელი ა. კულიშოვი. Звязда. 1937. 25 снежань).

ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან (მთარგმნელი პ.ბროვკა. Полымя рэвалюцыі. 1937. N 12. გვ. 10-17).

წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა (მთარგმნელი ა. ალექსანდროვიჩი. Полымя рэвалюцыі. 1937. N 12. გვ. 21).

როგორც ვხედავთ, ბელორუსიის ყველა წამყვანი ჟურნალი და გაზეთი (Полымя рэвалюцыі, Звязда, Чырвоная змэна, Літаратура і мастацтва, Бальшэвік Палесся, Маладосць) გამოეხმაურა რუსთაველის 750 წლის იუბილეს. ამ არასრული პოეტური თარგმანებით „ვეფხისტყაოსანი“ მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა ბელორუსი მკითხველისათვის მშობლიურ ენაზე, ხოლო ბელორუსულ ლიტერატურასა და მთარგმნელობით ხელოვნებაში დაგროვდა „ვეფხისტყაოსნის“ თარ-

გმნის საინტერესო გამოცდილება. 30-იან წლებში პოემის საიუბილეოდ გამოქვეყნებულ თარგმანებს დიდი მნიშვნელობა იმ თვალსაზრისითაც ჰქონდა, რომ ამ პერიოდში ბელორუსიაში ჯერ კიდევ არ იყო ისე ძლიერად ფეხმოკიდებული ბელორუსულ-რუსული ორენოვნება და ბელორუსი ხალხის მრავალი წარმომადგენლისათვის ბელორუსული ენა რჩებოდა კომუნიკაციისა და სამეცნიერო თუ მხატვრული ინფორმაციის მიღების ძირითად საშუალებად.

750 წლის იუბილეს ფარგლებში ბელორუსიაში „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ წმინდა ლიტერატურული ან მეცნიერული, არამედ ექსტრალიტერატურული ფაქტორებიც. ბელორუსიაში პოემის საიუბილეო ღონისძიებებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საინფორმაციო საშუალებები: პრესა და რადიო, რომლებიც სისტემატურად აშუქებდნენ როგორც იუბილესათვის მზადების დეტალებს, ასევე თვით იუბილეს სხვადასხვა ასპექტებს, აქვეყნებდნენ არა მარტო პოემის არასრულ პოეტურ თარგმანებს, არამედ მისი ავტორისადმი მიძღვნილ სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული შინაარსის მქონე მასალებს.

1937 წლის 23 ნოემბერს ბელორუსიის მწერალთა კავშირში გაიმართა რუსთაველის 750 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო--საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა ბელორუსიის სახალხო პოეტმა, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა, იაკუბ კოლასმა. სწორედ ამ სხდომაზე წაიკითხა იაკუბ კოლასმა პირველად შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ლექსი „ცოცხლობს რუსთაველი“, რომელშიც ემოციურად და მაღალმხატვრულად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ქართული პოეზიის გენიოსის მიმართ (Чырвоная змяна. 1937. 26 лістапад).

ბელორუს მწერალთა ერთი ნაწილი საქართველოში გამოემგზავრა საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი თბილისში გამართულ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მე-5 შემაჯამებელი პლენუმის მუშაობაში. ბელორუს მწერალთა დელეგაციას ცნობილი ბელორუსი პოეტი იანკა კუპაკა ხელმძღვანელობდა. დელეგაციის წევრები იყვნენ მ. ლინკოვი, პ. ბროვკა, პ. გლებკა და მ. ხვედოროვიჩი. იანკა კუპალამ მგზნებარე

სიტყვით მიმართა ქართველ ხალხს: „ძვირფასო მეგობრებო, მე ბედნიერი ვარ, აყვავებულ ქართულ მიწაზე მივულოცო გმირ ქართველ ხალხს დიდი სასიხარულო დღესასწაული – შოთა რუსთაველის გენიალური პოემის დაწერიდან 750 წელი“ (Пагойна, 1981:79).

იაკუბ კოლასმა მოსკოვში, გაზეთ „იზვესტიაში“, 24 დეკემბრის ნომერში, რომელიც მთლიანად შოთა რუსთაველს მიეძღვნა, დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი წერილი, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად ხაზი გაუსვა საიუბილეო ღონისძიებების მნიშვნელობას სწორედ საქართველოს ფარგლებს გარეთ პოემის პოპულარიზების საქმეში: „შვიდასორმოცდაათი წელი გვაშორებს რუსთაველის გენიალური პოემის შექმნიდან. ისტორიული გარემოებების გამო შოთა რუსთაველის პოეზია ბოლო დღეებამდე არ იყო ხელმისაწვდომი მკითხველთა ფართო მასებისათვის. პოემა პოპულარობით სარგებლობდა მხოლოდ თავის სამშობლოში და მხოლოდ ჩვენს დღეებში... გახდა ყველასათვის ხელმისაწვდომი ქეშმარიტი პოეზიის ეს გასაოცარი საგანძური.

ახლა „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ბოლომდეა თარგმნილი ბელორუსულ ენაზე. შოთა რუსთაველის პოემის ფართოდ გაცნობა ხელს შეუწყობს ხალხთა მეგობრობას, მათ სწრაფ განვითარებასა და ურთიერთგაგებას“ (Пагойна, 1981:80).

იანკა კუპალამ თავისი ლირიკული ლექსი „მზიურ შოთა რუსთაველს“ რუსთაველის საიუბილეოდ შექმნა და ქართველ მკითხველებს პირველად თვითონ გააცნო ერთ-ერთ საიუბილეო ღონისძიებაზე. გარდა ამისა, მან თავისი მოსაზრებები დიდი ქართველი კლასიკოსის შესახებ გამოაქვეყნა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისში“, რომელმაც დაბეჭდა მისი სტატია სათაურით: „მისი პოემის იდეები მთელი კაცობრიობის იდეებია“. იანკა კუპალამ სავსებით სამართლიანად შენიშნა: „ბევრნი, ვინც რუსთაველამდე ან მის შემდეგ წერდა, დავინწყებას მიეცნენ. რუსთაველი კი არა მარტო ცხოვრობს, არამედ მარად თანამედროვეა. იდეები, რომლებიც გამოხატულია მის პოემაში, მთელი მოწინავე კაცობრიობის იდეებია. ადრე, მეფის რუსეთში, ბელორუსიასა და უკრაინაში საქართველოს შესახებ ლერმონტოვის ლექსებით იცოდნენ. რუსთაველი კი ცოტა ვინმესათვის თუ იყო ცნობილი ბალმონტის თარგმანიდან.

ჩვენმა თანამედროვეობამ თვალისმომჭრელი სინათლით განათა გენიალური პოეტის შემოქმედება, საშუალება მისცა ხალხებს, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ, სულიერი სიმდიდრე შეიძინონ მისგან“ (Рагойша, 1981: 83).

საიუბილეო სხდომებზე სიტყვით გამოვიდნენ ბელორუსი მწერლები: პ. ბროვკა, მ. ხვედოროვიჩი, პ. გლებკა და სხვ. მ. ლინკოვმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ასე შეაფასა რუსთაველის შემოქმედების მნიშვნელობა: „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ იქცა ქართველი ხალხის გენიის, ქართული შემოქმედების, აზროვნების სიმბოლოდ“ (Рагойша, 1981: 83).

პოემის 750 წლის გრანდიოზული იუბილეს გამოცდილების გათვალისწინებით დიდი მონდომებითა და რუდუნებით დაიგეგმა რუსთაველის 800 წლის იუბილე, რომლისათვის სამზადისი უკვე 1958 წლიდან დაიწყო და რომელიც თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბურობით ასევე უნდა გასცდენოდა ეროვნულ საზღვრებს და საკავშირო და მსოფლიო დონის კულტურულ-ლიტერატურულ მოვლენად ქცეულიყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის 800 წლის იუბილე მე-20 საუკუნის საქართველოს კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრალურ მოვლენად იქცა. საქართველოს საიუბილეო დღეებში მრავალი მწერალი და მეცნიერი (ფილოსოფოსები, ლიტერატურათმცოდნეები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები) ეწვია მთელი მსოფლიოდან, რათა ემსჯელათ რუსთაველის როლისა და ადგილის შესახებ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

გაიმართა უამრავი კულტურულ-ლიტერატურული და სამეცნიერო ღონისძიება. გარდა ქართველი და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების წარმომადგენლებისა, მსოფლიოს 45 ქვეყნის თვალსაჩინო მწერალი, მეცნიერი და კულტურის მოღვაწე მონაწილეობდა საზეიმო ღონისძიებებში. 1966 წლის სექტემბერში გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სესია, ახალციხეში გაიხსნა რუსთაველის ძეგლი, ს.ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში – რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ამსახველი გამოფენა, ზეიმის დღეებში შესრულდა კომპოზიტორების: ო. თაქთაქიშვილის, ა. ჩიმაკაძის, რ. ლალიძისა და შ. შველიძის ახალი მუსიკალური ნაწარმოებები,

რუსთაველის სახ. აკადემიურმა თეატრმა დადგა ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია „ვეფხისტყაოსანი“, ქართველმა კინემატოგრაფისტებმა გადაიღეს დოკუმენტური ფილმი „რუსთაველის ნაკვალევზე“, ქართველმა მხატვრებმა: ს. ქობულაძემ, უ. ჯაფარიძემ, ნ. იანქოშვილმა, ს. მათაბერიძემ და სხვ. შექმნეს პოემის ახალი ილუსტრაციები, გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ ალბომები: მ. ზიჩის, ლ. გუდიაშვილის, ს. ქობულაძის, უ. ჯაფარიძის თ. აბაკელიას, ი. თოიძის, ნ. იანქოშვილის, ს. მათაბერიძის ილუსტრაციებით.

ჩატარდა სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გაერთიანებული პლენუმი, ბორჯომსა და თბილისში გაიმართა ხუთი კონტინენტის პოეტების დიდი საერთაშორისო შეხვედრა.

ოქტომბერში ქართული პოეზიის დღეებით დაიწყო მოსკოვში რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო ზეიმი, მოსკოვში „ბოლშაია გრუზინსკაიას“ სკვერში გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი, 1966 წლის ოქტომბერი. რუსთაველის სახელობის პრემიები მიენიჭათ უკრაინელ პოეტს მიკოლა ბაჟანს („ვეფხისტყაოსნის“ უკრაინული თარგმანისათვის) და რუს მწერალს ნიკოლოზ ტიხონოვს (საქართველოსათვის მიძღვნილი ლექსებისათვის)<sup>1</sup>.

გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემები ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, მოლდავურ, არაბულ, ჩეჩნურ და სხვა ენებზე და სხვ.

რუსთაველის 800 წლის იუბილის ღონისძიებებში აქტიურად ჩართვნენ ბელორუსი ლიტერატორები. ყველაზე მნიშვნელოვანი პოემის ახალი სრული თარგმანის გამოცემა იყო. პოემის მეორე სრული

<sup>1</sup> (<https://ka-ge.facebook.com/233293846845176/posts/1965-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-800-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%A1/719122558262300>).

თარგმანი დაისტამბა 1966 წელს და მიეძღვნა რუსთაველის 800 წლის იუბილეს. მისი მთარგმნელების, მიკოლა ხვედოროვიჩისა და ალეს ზვონაკის, „წინაშე სერიოზული და ურთულესი პრობლემა იდგა. მათ მიერ შესრულებულ თარგმანს კონკურენცია უნდა გაენია არასრული ბელორუსული თარგმანებისათვის...და პოემის რუსული თარგმანებისათვის. 60-იან წლებში ბელორუსიაში რუსულ-ბელორუსულმა ორენოვნებამ უკვე გლობალური მასშტაბები მიიღო. ორენოვანი ბელორუსი მკითხველი კი მასობრივი ბილინგვიზმის პირობებში წაიკითხავდა იმ თარგმანს, რომელსაც უპირატესობას მიანიჭებდა“ (გაფრინდაშვილი, 2001: 26).

მთარგმნელებიც აცნობიერებდნენ დიდ პასუხისმგებლობას. „როცა მიზნად დავისახეთ ქართველი მგოსნის გენიალური ქმნილების თარგმნა ბელორუსულ ენაზე, ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ეს ძალიან დიდი და საპასუხისმგებლო საქმე იყო. კარგად გვესმოდა, რომ პოემის ღრმა იდეურობის, მაღალმხატვრული სახეების გადმოცემა არ არის იოლი საქმე. ლექსიკურად და მხატვრულად მდიდარი ქართული ენის თავისებურებების გაცნობამ კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი პასუხისმგებლობა“, – წერდნენ ისინი (М. Хведаровіч, Чырвоная змэна, 1966, 28 верасня.). ბელორუსმა მარგმნელებმა პოემა თარგმნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ვეფხისტყაოსნის საიუბილეო ტექსტოლოგიური კომისიის მიერ მომზადებული რუსული პნკარედული თარგმანის დახმარებით. ამ თარგმანის წარმატებით დასრულება და დასტამბვა ქართულ-ბელორუსული ლიტერატურული ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო და ნიშანდობლივია, რომ ეს მოვლენაც რუსთაველის იუბილესთან არის დაკავშირებული.

ბელორუსიაში დიდი ზემოთ აღინიშნა პოემის 800 წლის იუბილე, რომელიც ფართოდ გააშუქა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა: პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ. გამოქვეყნდა მრავალი მხატვრული, პუბლიცისტური და სამეცნიერო ნაშრომი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ბელორუსიაში რუსთაველის შემოქმედების აღქმასა და მის პოპულარიზებას. იანკა კუპალას სახელობის ბელორუსიის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო (Літаратура і мастацтва, 1966, 23



ვერცხი). საღამოს უძღვებოდა გამოჩენილი ბელორუსი პოეტი პიმენ პანჩენკო. მოხსენება გააკეთა პოემის მთარგმნელმა მ. ხვედოროვიჩმა. მსახიობებმა წაიკითხეს ნაწყვეტები პოემის ბელორუსული თარგმანიდან. ცნობილმა ქართველმა მსახიობმა, თამარ ნულუკიძემ, რომელიც დიდი ხნით იყო გადასახლებული და ბოლოს ბელორუსიაში დამკვიდრდა და იქ ეწეოდა სამწერლო მოღვაწეობას (საბავშვო მოთხრობებს წერდა) ბელორუს მკითხველს ქართულად წაუკითხა ნაწყვეტები პოემიდან. აღნიშნულ შეხვედრაზე ბელორუსმა ხალხმა თავისი უაღრესად პოზიტიური დამოკიდებულება და ღრმა პატივისცემა გამოხატა დიდი ქართველი პოეტისა და ჰუმანისტის მიმართ.

ბელორუსი მწერლები საქართველოში გამართულ საიუბილეო ღონისძიებებსაც დაესწრნენ, სადაც მათ ჩამოიტანეს და წარადგინეს პოემის დონეზე გამოცემული ბელორული თარგმანი.

ამრიგად, რუსთაველი ქართული კულტურის მატრიცის ის ნაწილია და ისეთი სპეციფიკური ფუნქციების მატარებელი ფენომენი, რომლის გარეშეც არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ ზოგადად ქართული კულტურის გააზრებაა შეუძლებელი. შოთა რუსთაველის იუბილეები ნამდვილად ეპოქალური და მსოფლიო დონის კულტურული ღონისძიებები იყო, რომლებსაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს, რადგან მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს მსოფლიო სალიტერატურო სამყაროში რუსთაველის შემოქმედების პოპულარიზების საქმეში.

რუსთაველის იუბილეების მთავარი მიზანი იყო, ერთი მხრივ, პატივი მიეგოთ პოეტის ხსოვნისათვის, მეორე მხრივ, კი მსოფლიოს გაეცნო და ეღიარებინა დიდი ქართველი ჰუმანისტი და მოაზროვნე. ბელორუსული სალიტერატურო სამყაროს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, პოემის იუბილეების ძირითადი მიზნები წარმატებით იქნა მიღწეული.

რუსთაველის 750 და 800 წლის იუბილეების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მწერლის იუბილე კულტურათა დიალოგის, კერძოდ, ქართულ-ბელორუსული კულტურული დიალოგის საინტერესო ფორმაა და უნდა გავიაზროთ კულტურათა ტრანსფერის კონტექსტში.

მწერლის იუბილეს პირობებში იზრდება კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ინტეგრაციული ფუნქცია და უფრო ინტენსიურად წარმოჩინდება მისი პოტენციალი, რაც მკაფიოდ დასტურდება „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფციის თავისებურებებით ბელორუსულ ლიტერატურაში.

რუსთაველის იუბილეების ქართულ-ბელორუსული ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში კვლევამ საშუალება მოგვცა, შეგვეფასებინა კლასიკური ლიტერატურის ნიმუშის, „ვეფხისტყაოსნის“, ფუნქციონირების თავისებურებანი შეცვლილ სოციო-კულტურულ რეალობაში. „ვეფხისტყაოსანი“ არის არა მხოლოდ ზოგადად ლიტერატურის ინსტიტუტის, არამედ ექსტრალიტერატურული სფეროს ფუნდამენტური ნაწილიც როგორც საქართველოში, ასევე მის აღმქმელ სხვა სოციო-კულტურულ გარემოშიც.

იუბილეების პრაქტიკამ უჩვენა, რომ კლასიკა არ თმობს პოზიციებს და მისი რეცეფცია იუბილეების პირობებში ყველა დონეზე ხდება მასობრივი მკითხველიდან დაწყებული ელიტარულ მკითხველამდე, სწორედ ამიტომ ბევრი ადამიანის თვალსაწიერში მოხვდა პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რაც ხელს უწყობს მისი პოპულარიზების ზრდას.

საიუბილეო ღონისძიებებმა გარკვეულწილად განაპირობა ახალ სოციო-კულტურულ ვითარებაში რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ კოდების ერთგვარი რედუცირება: მსოფლიო გაეცნო რუსთაველს, როგორც დიდ ჰუმანისტს, აღმოსავლური რენესანსის ფუძემდებელს, ქართული მწერლობის დღემდე მიუღწეველ მწვერვალს, ქართული კლასიკური ლიტერატურული პანთეონის ლიდერს.

კლასიკოს მწერალთა კერძოდ, რუსთაველის, იუბილეების აღნიშვნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი მცირერიცხოვანი ერებისათვის, როგორიც საქართველოა, რომლის ლიტერატურასა და კულტურას ჯერ კიდევ არ იცნობს მსოფლიო. იუბილეები, როგორც წარმოდგენილმა მასალამ დაადასტურა, შეიძლება იქცეს მძლავრ მექანიზმად, რომ მოხდეს კონკრეტული ერის ლიტერატურულ-ესთეტიკური ფასეულობების მსოფლიო სალიტერატური ასპარეზზე გატანა. ამ ტიპის სამეცნიერო-შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებების მნიშვნელობა დღესაც დიდია ჩვენი ქვეყნისათვის. მათ სამეცნიეროსთან ერთად დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ღი-

რებულება აქვთ. საქართველომ დიდი ხანი არ არის, რაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა და ახლა იგი იღვწის იმისათვის, რომ თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო კულტურულ რუკაზე.

### ლიტერატურა:

1. **გაფრინდაშვილი, ნ.... 1987:** გაფრინდაშვილი, ნ. ოძელი, მ. ნარკვევები ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ისტორიისა და თეორიის საკითხებზე. თბილისი, გამომცემლობა განათლება, 1987.
2. **გაფრინდაშვილი 2001:** გაფრინდაშვილი, ნ. ვეფხისტყაოსანი და ბელორუსული სალიტერატურო სამყარო. თბ.თსუ გამომცემლობა, 2001.
3. **Загудулина 2002:** Загудулина М.В. Классические литературные феномены как историко-функциональная проблема (творчество А.С. Пушкина в рецептивном аспекте). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологических наук. Екатеринбург, 2002.
4. **Рагойша 1981:** Рагойша, В. На свяце братніх сэрцаў. У кн: Напісана рукой Купалы. Мінск, 1981.
5. **Хведорович 1966:** Хведорович. М. Потомкам на века. –Сельская газета. 1966. 25 сентября.
6. **Хведорович 1966:** Хведорович, М. Сплав драгоценный. – Литературная Грузия. 1975. N 9.
7. **Хведаровіч 1966:** Хведаровіч, М. Бяценны паэтычны дар. -Чырвоная змэна,1966. 28 верасня.
8. Бальшэвік Палесся. 1937. 28 сн.
9. Звезда. 1937. 25 снежань.
10. Літаратура і мастацтва. 1937. 27 кастрыч.
11. Літаратура і мастацтва. 1937. 27 кастрыч.
12. Літаратура і мастацтва, 1966, 23 верас.
13. Маладосць. 1966. N9.
14. Польша рэвалюцыі. 1937. N 12.
15. Польша рэвалюцыі. 1937. N 12.
16. Польша рэвалюцыі. 1937. N 12.
17. Польша рэвалюцыі. 1937. N 12.
18. Польша рэвалюцыі. 1937. N 12.
19. Чырвоная змэна. 1937. 26 лістапад
20. Чырвоная змэна. 1937. 26 снеж.
21. Чырвоная змэна. 1937. 26 снеж.
22. Чырвоная змэна. 1937. 26 снеж.

## ინტერნეტრესურსები:

- (საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილება  
<http://rustvelli.yolasite.com/newera-anniversary-750.php>)
- <https://ka-ge.facebook.com/233293846845176/posts/1965-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-800-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%A1/719122558262300>).

**Nana Gaprindashvili**

**Jubilee of a classic writer as a form  
of intercultural dialogue**

**(Illustrated by the example of Shota Rustaveli Jubilees held in Belarus)**

S u m m a r y

The study of writers' jubilees is an interesting phenomenon in the context of intercultural dialogue and culture transfer. In this respect, the study of Shota Rustaveli jubilees is important and informative. The 750<sup>th</sup> and 800<sup>th</sup> anniversaries of *the Knight in the Panther's Skin* celebrated in 1937 and 1966, respectively, played a major role in the development and deepening of Georgian-Belarusian literary relations and in the introduction of the poem to the Belarusian literary world. In terms of the perception of *the Knight in the Panther's Skin*, Belarus witnessed two "booms" in the 1930s and 1960s; both triggered by jubilees celebrating the 750<sup>th</sup> and the 800<sup>th</sup> anniversaries of Rustaveli and *The Knight in the Panther's Skin*. Most of the literary-creative and scientific work carried out in Belarus in terms of translation, poetic reception, study and promotion of *the Knight in the Panther's Skin* in Belarus are associated with the periods of the jubilees.

The chief aim of Rustaveli jubilees, on the one hand, was to commemorate the great writer and on the other, to introduce and win world acclaim for the great Georgian humanist and thinker. Considering the examples of the Belarusian literary scene, we could claim both of the aims have been successfully reached.

By analyzing the examples of Rustaveli's 750<sup>th</sup> and 800<sup>th</sup> anniversaries, it can be concluded that a writer's jubilee is a very interesting form of intercultural dialogue, namely of Georgian-Belarusian cultural dialogue, which should be interpreted in the context of culture transfer.

In the format of the writer's jubilee, the integrative function of the classic literature intensifies, while its potential manifests itself more intensely, which is clearly corroborated by individuality of reception of *the Knight in the Panther's Skin* in Belarusian literature.

Close scrutiny of Shota Rustaveli's jubilees in the context of Georgian-Belarusian literary relations allowed us to evaluate uniqueness of functioning of a piece of classic literature - *the Knight in the Panther's Skin* in the different socio-cultural realities. *The Knight in the Panther's Skin* is not only a fundamental part of literature as of an institution in and of itself but also is an essential

part of extra-literary sphere in Georgia as well as in any other socio-cultural setting conceptualizing it.

The practice of celebrating Rustaveli's jubilees in Belarus made it evident that classic literature maintains its position. During jubilees its reception is high on all the levels: beginning from the masses and up to the elite readers, which was why *the Knight in the Panther's Skin* came into focus of many readers and Rustaveli's popularity boosted.

The jubilee events led to a partial reduction of the codes of *the Knight in the Panther's Skin* in Belarusian socio-cultural setting: the Belarusian literary world was introduced to Rustaveli as being one of the greatest of humanists, a founder of the Oriental renaissance, the summit of Georgian literature not yet fully explored, and the leader of the Georgian classic literary pantheon.

Holding jubilees of classic writers, namely of Rustaveli, acquires special significance for such small nations as Georgia, whose literature and culture still remain little known to the outside world. The close scrutiny of the studied materials shows jubilees can become a powerful tool for introducing literary-esthetical values of a particular nation to the world literary scene. The significance of scientific-creative events of this type is of great importance for Georgia even today. Along with scientific significance, they have a major socio-political significance. Not a long time has passed since Georgia gained its political independence and now it is striving to establish its place on the world cultural map.

Rustaveli is a part of the matrix of Georgian cultural heritage and a phenomenon with such specific functions without which not only Georgian literature but also the whole Georgian culture cannot be conceptualized. Shota Rustaveli's jubilees were cultural events of epochal significance and valuable for the whole world, having great national implication and making momentous contributions, not only to the promotion of Rustaveli's work in Belarusian but also in the world literature.

**Людмила Грицик**

## **Моделі взаємопізнання, або кому потрібна україністика в Грузії і картвелологія в Україні\***

У лютому 2018 року один із найстаріших на Кавказі вищих навчальних закладів – Тбіліський державний університет відзначає столітній ювілей. З часу укладеної угоди – 1939 року – Тбіліський університет тісно пов'язаний різними напрямками діяльності з Київським університетом імені Тараса Шевченка. Період плідної співпраці знайшов своє відображення у роботах багатьох дослідників. Чи не найсвіжішою з них є книга О. Баканідзе "Київський університет – осередок освіти грузинської молоді", видана кілька років тому. Ця співпраця – багатий матеріал для роздумів про значення її і в розвитку українсько-грузинських літературно-культурних взаємин, перекладацької діяльності, підготовці картвелологів для України й україністів для Грузії, усього, що сприяє взаємопізнанню наших літератур і народів. А тут важливі різні аспекти. Література, показує акад. Д. Наливайко на матеріалі світової, є "найактивнішим чинником творення образу Чужого / Іншого". Бо, відомо, інтерес до образу іншого є вираженням інтересу до самого себе. "Я", - зауважував П. Рікер, - не може існувати без "не-я", без "ансамблю уявлень та ідей про іншого".

Отож, коли 1968 року до декади грузинської літератури в Україні з'явився бібліографічний покажчик перекладача грузинської літератури О. Синиченка, а з часом додаток до нього на сторінках "Радянського літературознавства", "Систематичний покажчик" до ж. "Східний світ – Червоний світ", усі, хто цікавилися Грузією, були приємно вражені багатством і розмаїттям матеріалу, імен, творів. І це при тому, що хронологічно покажчики охоплювали ХХ ст.; 20-30-ті роки були представлені з відомих причин неповно, фрагментарно. Доповнені фундаментальним фактичним матеріалом монографій О. Баканідзе "Грузинсько-ук-

---

\* Ця доповідь почесного доктора Тбіліського державного університету була прочитана на 100 річному ювілеї ТДУ

раїнські літературно-мистецькі взаємини" (це в основному XIX ст.) та двома студіями О. Мушкудіані "З історії українсько-грузинських літературно-культурних взаємин XIX – поч. XX ст." та "Українсько-грузинські літературно-культурні зв'язки 20-30-х рр. XX століття" вони, ці взаємини, постали в інших вимірах, були поглиблені також працями менше згадуваних, але затребуваних фахівцями науковців В. Імедадзе, І. Луценка, надто тим, що стосувалося грузинських земляцтв Харківського та Одеського університетів. Із визначеного в дослідженнях об'єктного матеріалу (поезії, прози, драматургії, індивідуальних контактів) постала багатотемна, різновекторна картина міжлітературних взаємин, унікальна відображеними явищами. Вона не накладалася на національний літературний процес у будь-якій із літератур (вибір твору, автора в багатьох випадках був ідеологічно обумовлений), але відбитки / особливості його проявлялися у багатьох репрезентованих постатях, творах, дискусіях: Ш. Руставелі, Д. Гурамішвілі, Н. Бараташвілі, І. Чавчавадзе, А.Церетелі, Т. Табідзе, С. Чиковані, М. Джавахішвілі, А. Казбегі поставали з періодичних видань, перекладів тощо. Те ж стосувалося й українських авторів на сторінках грузинської періодики. По тому, як поверталися до життя вилучені / репресовані імена, очевидно була потреба зібрати, систематизувати втрачене, ввести вилучене / загублене в літературу, а це стосувалося як початку XX ст., так і століття XIX. Мова йшла про ґрунт, на якому почали розвиватися сучасні міжлітературні взаємини, і низку проблем, вирішувати які судилося з часом. Треба віддати належне дослідникам і перекладачам (О. Баканідзе, О. Мушкудіані, Р. Хведелідзе, Р. Чілачаві), які сторінка за сторінкою відстежували, опрацьовували матеріали, супроводжуючи їх новими літературно-критичними розвідками і перекладами. В контекст українсько-грузинських взаємин увійшли не лише традиційно Т. Шевченко, І. Франко, М. Гулак, М. Грушевський, Б. Грінченко, П. Грабовський, М. Драгоманов, Леся Українка, А. Кримський, М. Бажан, М. Рильський, П. Тичина, а й Д. Мордовець, О. Олесь, П. Петренко, М. Драй-Хмара та ін. Грузинський матеріал доповнював, розкривав нові грані творчості українських письменників. Немає, наприклад, сумнівів у тому, що своєрідним тлом, на якому відбувалася зустріч А. Церетелі з українським



поетом на квартирі професора М. Костомарова у Петербурзі, був Шевченків "Кавказ". Детально виписане І. Дзюбою, а також Л. Хінкуловим та Ю. Івакіним, воно, тло, проливає світло на характер, зміст питань, з якими звертався поет до юного А. Церетелі, і його реакцію на "безсумнівні докази" давньої грузинської культури, яку Т. Шевченко сприймав у "людському вимірі", широкому контексті культур інших поневолених народів. "Такого "повороту" кавказької теми, - міркує І. Дзюба, - не знайдемо в жодному іншому творі про Кавказ, принаймні до ХІХ ст." То вже пізніше, 1911 року, А. Церетелі згадає сказане Шевченком при зустрічі: "Як багато спільного у цього народу з нашим". Іншим прикладом може бути й лист українських письменників, серед яких М. Коцюбинський, Б. Грінченко, В. Самійленко – всього 17 підписів – до І. Чавчавадзе 1897 року, оприлюднений в Україні лише 1957 року; або Грузія у творчості Лесі Українки. З'ясування невідомих / нових фактів, характеру міжлітературних взаємин вносить корективи у здавалося б прийняті назавжди висновки. Так було, наприклад, у жовтні 2017 під час проведення в Інституті філології Київського університету імені Тараса Шевченка круглого столу, присвяченого 200-річчю Ніколоза Бараташвілі, коли один із доповідачів – О. Мушкудіані – переконливо довів, що переклади з грузинської, підписані іменем Сергія Палія і приписувані Лесі Українці, належать іншому авторові. Певне не випадково українські картвелологи так уперто з часів А. Церетелі, О. Хаханашвілі, Г. Наморадзе дошуковуються і дотепер матеріалів, пов'язаних із діяльністю О. Потебні та М. Сумцова в контексті українсько-грузинських взаємин... Вони набувають різних форм, урізноманітнюються індивідуальні контакти, вносячи нові теми, образи в літературу, як-от "Українська Феміда" К. Гамсахурдії. Прикметним стає інтерес / нове прочитання класичної й сучасної літератури. "Мені здається, що в світовій поезії ХVІІІ ст. патріотичною спрямованістю, благородством вираження почуттів, туги за батьківщиною немає нічого рівного "Давидовому плачу" Гурамішвілі, - так писав про цього "незвичайного" чоловіка М. Бажан. Грузинська тема органічно входить в українську літературу: згадати хоча б М. Бажана, П. Тичину, М. Рильського... Перечитавши Тичинин твір "Давид Гурамішвілі читає Григорію Сковороді "Витязя в тиг-

ровій шкурі" Ш. Руставелі", відомий грузинський літературознавець Г. Маргвелашвілі відгукнувся про нього як "чудовий зразок глибокого осмислення того історичного діалогу, який із давніх-давен існує між нашими народами, щоб уже не замовкати ніколи". А в часи, коли "з незалежних від авторів обставин" невільно було друкувати оригінальні твори, переклади з грузинської заповнювали лакуни. Це була робота над близькими духом, естетичними смаками текстами. Інтересом до грузинського слова відзначена й діяльність українських письменників в еміграції: В. Державина, Є. Маланюка, С. Гординського. Про це свідчить, наприклад, своєрідна поетична антологія "Східна поезія", підготовлена в Подєбрадах: у ній грузинський матеріал представлений перекладами з оригіналів. Стимулом до появи нових творів, налагодження індивідуальних контактів стали декади української та грузинської літератур 1964 і 1968 років, підготовка двотомної антології "Поезія грузинського народу" – від давніх віків до XIX-XX ст., матеріалів до 16-томної "Української радянської енциклопедії", яку за кількістю і науковим рівнем статей без перебільшень називали "своєрідним підручником грузинської літератури від найдавніших часів до наших днів" (І. Глинський). Участь грузинської сторони в налагодженні й розвитку міжлітературних взаємин була найактивнішою. Це стосувалося не лише письменників, науковців, але й навчальних закладів.

Заснування 1918 року Тбіліського університету ім. І. Джавахішвілі активізувало україністику. З одного боку спрацювала традиція, а також наявність у новоствореному навчальному закладі фахівців, які так чи інакше були зв'язані з Україною та україністикою. Ще навіть у 60-ті роки там працювали Лідія Хатіашвілі, Соломон Хуцішвілі, доповідь якого про Шевченка виголошена українською в Інституті літератури. 1956 року здобула схвальну оцінку, так само, як і висвітлена ним тема "Україна в грузинській літературі". З другого боку – виключно важливим було те, що біля витоків цього навчального закладу стояли люди, пов'язані з Україною: першим ректором університету став Петре Мелікішвілі, хімік за фахом, засновник одеського ботанічного саду; академік Гіоргі Ахвледіані, який іще з Харківських часів і до останніх днів підтримував найтісніші контакти з Ол. Білецьким та його родиною. Це

Г. Ахвледіані належала ідея створення грузинсько-українського словника (разом з Г. Наморадзе), який доведений був до літери "П", близько 30 тисяч слів. Його завершує сьогодні нове покоління грузинських українців, підготовлене університетським центром на чолі з О. Баканідзе. Це й Дм. Узнадзе, який іще з харківських часів захоплювався філософією та психологією; В. Петріашвілі, що свого часу працював ректором Новоросійського (Одеського) університету. Особлива роль належала вихованцям Київської духовної академії, серед яких був згодом відомий учений, фахівець давньої грузинської літератури акад. Корнелі Кекелідзе, перекладач Шевченкової "Наймички" Н. Ломоурі, доцент історико-філософського факультету університету фольклорист Ол. Грен, який мав у своєму архіві понад чотири тисячі зібраних і записаних текстів. Проте нестача українців ще позначалася на тому, що перекладалося і, звичайно, як. Важко повірити зараз у правдоподібність думок, якими після однієї з ознайомчих поїздок ділився О. Полторацький: "Експерт орієнтується в українській літературі слабувато. Як не як, а він чи не єдиний літератор, що читає українські книжки, ... за невеликими винятками майже ніхто з грузинських культурних працівників не знає про українську культуру більше, ніж ми про грузинську". Аналогічні думки не раз з'являлися і в К. Кекелідзе: "Моїх українських товаришів, - згадував він у виступі на одному із Шевченківських зібрань, - дуже цікавила Грузія, її історія, культура і література. Але, на жаль, вони мали дуже слабке уявлення про неї. Я краще знав Україну, ніж вони - Грузію, я краще знав їх божественного Шевченка, ніж вони якого-небудь грузинського письменника або Руставелі". Попереду будуть переклади М. Бажана, П. Тичини, М. Рильського, А. Малишка, подвижницька праця Д. Косарика, О. Новицького, активна перекладацька діяльність українських і грузинських шістдесятників. Крига скресала швидко. І велика заслуга тут передовсім належала культурним, навчальним осередкам, які долучалися до того і своїми знаннями, досвідом, умінням переконувати в перспективах і перевагах наших знань про інших, робили добру справу. Це В. Коптілов, П. Федченко, Г. Кочур, Л. Губерський, О. Баканідзе, А. Урушадзе, І. Богомолів, Н. Абесадзе. Ш. Апридонідзе.

1962 року за ініціативи Вчених рад Київського та Тбіліського університетів був здійснений перший трирічний обмін студентами, які мали б на місцях займатися україністикою та картвелологією. З часом до цієї акції долучився й тодішній педагогічний інститут. За якістю і кількістю зробленого на науковій, педагогічній й перекладацькій ниві ця група не знала собі рівних. На сьогодні – це шість докторів наук – Р. Хведелідзе, Н. Вердзадзе, О. Мушкудіані, Г. Халимоненко, Р. Чілачава, Л. Грицик, ціла бібліотека перекладів того, що визначало обличчя української та грузинської літератур, особливості літературного процесу, це, нарешті, спроба визначити подальші / нові напрямки розвитку українсько-грузинських літературно-культурних взаємин. Це й перший виконаний А. Асанідзе, переклад "Енеїди" І. Котляревського. І спроба зробити подібні обміни постійними. Очевидним було те, що переклад із перекладу, з підрядника поступово витісняється виконаним з оригіналу. Постійна співпраця з теоретиками і практиками художнього перекладу – В. Коптіловим, Г. Гачечіладзе, Г. Кочуром сприяла вирішенню низки проблем, пов'язаних із роботою з віддаленими мовами, відображенням національної специфіки першотвору тощо. "Перша хвиля" обміну справами відповіла на питання / сумніви в доцільності започаткованого. Про численні "для / заради чого", що виникали у різних контролюючих органів, не раз згадував П. Федченко, який був тоді деканом філологічного факультету. Не менше подібних питань, безперечно, виникало і в грузинської сторони, що їх найчастіше змушений був спростовувати О. Баканідзе, який уже почав збирати наступну групу для підготовки україністів у Київський університет: Рауля Чілачаву, Н. Гавашелі, Дж. Асатіані. До Тбілісі тоді відрядили С. Жолоб і Л. Грицик. Треба було так працювати на цій ниві, використовуючи найрізноманітніші види / форми роботи, аби переконати: започаткована справа має майбутнє. Підрядник "здався" остаточно, з'явилася низка наукових праць. Про майстерні переклади С. Жолоб та Р. Чілачави навряд чи й треба говорити у такому матеріалі: каталог перекладів Р. Чілачави, його досліджень складає сотні назв. Високо оцінені його дослідження про переклад "Витязя в тигровій шкурі" Ш. Руставелі, виконаний М. Бажаном, потому роботу П. Петренка над "Витязем...". Перекладацька спадщина Р. Чілачави дає багатющий

матеріал для розмислів над внутрішніми (Д. Дюришин визначає ще й зовнішні) функціями перекладу, явищем, що "вростає" в тканину іншої літератури, збагачуючи її жанрове, тематичне, образне поле.

У переддень поважного ювілею Тбіліського університету ім. І. Джавахішвілі з вдячністю говоримо про колектив, який став осередком україністики в цьому навчальному закладі. Про засновника Інституту україністики в ТДУ О. Баканідзе, ініційований ним клуб "Україна", його участь у діяльності української недільної школи написано багато. До розмов про це справді унікальне явище долучалися М. Бажан, О. Гончар, П. Загребельний, Д. Павличко, І. Драч ("спробуймо щось подібне зорганізувати у нас", - повторював він). Зворушливою була його готовність підтримати студентів літературної творчості КДУ і видати за участю грузинських україністів збірку "Мованеба", проведені круглі столи, симпозіуми – це те, що захоплює, творить свято і вражає масштабами роботи. Зрозуміло, що без підтримки керівництва університету, зокрема ректора, департаменту гуманітарних наук зорганізувати і розвивати далі (особливо в теперішніх фінансових умовах не кращих за наші) цю структуру було б неможливо. Але будь-яка підтримка, це добре відома істина, реалізується, коли є кому рухати справу. У Тбіліському університеті таким є академік, професор О. Баканідзе, автор тридцяти монографій, з яких 25 присвячені українській літературі, педагог, що виховав двадцять кандидатів і дев'ять докторів наук, видав десятки збірок-білінгв, які репрезентують українську класичну й сучасну літературу. Останню, Франкову, вихованці О. Баканідзе презентували минулого року в Києві та Львові. А зовсім недавно, під час святкування ювілею Ш. Руставелі, яке проводилося в університеті за участю посольства Грузії в Україні, присутні в залі могли спостерігати, як двоє учасників-грузин – Ніно Наскідашвілі та Вано Мchedладзе – буквально штурмували записками посла пана Уклебу та його помічника. Нарешті посол піднявся і спустився в зал до неспокійних земляків. Вони одразу зреагували і передали лист-прохання втрутитися і допомогти львівській бібліотеці ім. А. Церетелі. Самі ж привезли цілу партію грузинської художньої літератури та книг про Грузію. Посол реагував одразу. Грузинські гості-учасники руставелівських урочистостей тут же доповідали про розмову своєму шефові О. Баканідзе.

Проявлена доробком О. Баканідзе та його учнів сучасна грузинська україністика (в ній учений посідає визначальну роль) відтак дає підстави говорити як про найголовніші здобутки, нові науково-навчальні проекти, так і ще не до кінця зреалізовані задуми, зокрема спостереження над змінами, еволюцією україністики в Грузії від так званого донаукового періоду, епохи епізодичних (через віки) зацікавлень, що підкріплювалися появою нових науково-популярних розвідок, переспівів та перекладів, до планомірного скоординованого вивчення (від грузинської української школи, українських осередків у різних куточках Грузії – до вузу) й подальшої роботи на материках "Україна" і "Грузія". Можна сказати, що в усі часи йому було нелегко: нагороди, яких він має досить багато, не падали з неба. Ідеологічно змонтований дах дружби народів вимагав багатовекторності. Союзний центр не витримував будь-яких "перекосів". Відтак до україністики долучалася білорусистика. Не всім подобалося, що обмін грузинськими й українськими студентами з метою вивчення мов, літератур, підготовки перекладацьких кадрів, започаткований у кінці 60-70-х років, поступово поширювався й на Мінськ та Прибалтику. Він пов'язаний був із численними ризиками і з погляду амбітних планів самого О. Баканідзе, і можливостей, перспектив його вихованців. Реалізація виношуваних роками ідей вимагала, окрім титанічних організаторських зусиль, ще й уміння переконувати в щирості почуттів і задумів; це були обов'язкові "знаки" на торованій О. Баканідзе дорозі двостороннього руху.

Важливе значення мали і чотири останні наукові конференції (присвячені Лесі Українці, І. Чавчавадзе, О. Гончару, А. Церетелі), які порушували проблеми українсько-грузинських взаємин, етноімагології, художнього перекладу, постколоніальних студій, аспекти національних жанрових систем тощо. Знаковим у науковому житті О. Баканідзе стало видання третього тому "Української літератури", що охоплює ХХ ст. – від раннього П. Тичини до романів О. Гончара. Як і в двох попередніх ("Нариси з історії української літератури", "Українська література (I-а половина ХІХ ст. – початок ХХ ст.)"), автор дотримується сповідуваного М. Дашкевичем, хоч і критикованого В. Перетцом, принципу "характеристичності" постатей і творів у висвітленні світової літератури. Свій

вибір О. Баканідзе потверджує й іншим, не менш важливим у компаративному дослідженні, матеріалом, що складає той же "ансамбль уявлень та ідей про іншого, не свій світ і культуру". Вичленений з історії грузинсько-українських літературно-мистецьких взаємин, які ґрунтовно студював автор (зокрема у монографії "Грузинсько-українські літературні і театральні взаємини", низці інших публікацій), цей матеріал розширює межі його студій.

Студії О. Баканідзе яскраво висвітлюють етапи розвитку і постаті української літератури, так само, як і грузинсько-українських літературних взаємин в цілому. Вони покликані до життя глибокою любов'ю до свого й українського народу і їх Слова, - а тому назавжди залишаться великим даром щедрого таланту наступним поколінням.

Великою любов'ю до Грузії відзначене і зроблене українськими картвелологами в науковій, педагогічній, перекладацькій галузях. Прошу повірити: усе, що ми пізнали, відчули в Грузії, одержали в стінах Тбіліського університету, активно працює на взаєморозуміння між нашими народами. Це так важливо у наш час.

## **ლუდმილა გრიციკი**

### **ურთიერთშემეცნების მოდელები, ანუ ვის სჭირდება უკრაინისტიკა საქართველოში და ქართველოლოგია უკრაინაში\***

კავკასიაში ყველაზე ძველ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ასი წლის იუბილე აქვს. ხელშეკრულების გაფორმების დროიდან 1939 წელს თბილისის უნივერსიტეტი საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებით მჭიდროდ არის დაკავშირებული კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ნაციონალურ უნივერსიტეტთან. ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის პერიოდმა

---

\* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ეს მოხსენება წაკითხულია თსუ 100 წლის იუბილეზე.

ასახვა პოვა მკვლევრების ნაშრომებში. მათ შორის არის ო. ბაქანიძის უახლესი გამოკვლევა „კიევის უნივერსიტეტი ქართველი ახალგაზრდების სავანე“ (თბილისი:2015) ეს თანამშრომლობა წარმოადგენს მდიდარ მასალას უკრაინულ-ქართული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების განვითარების გააზრების, მთარგმნელობითი მოღვაწეობის, უკრაინელებისთვის ქართველოლოგების, საქართველოსთვის უკრაინისტების მომზადების თაობაზე, ყველაფერი იმის შესახებ რისი საშუალებითაც ხდებოდა ჩვენს ხალხებსა და ლიტერატურებს შორის ურთიერთაღქმის მრავალგანზომილებიანი პროცესები. აქ მნიშვნელოვანია სხვადასხვა ასპექტი. ლიტერატურა, როგორც ამას მიუთითებს დ. ნალივაიკო, მსოფლიო ლიტერატურის მაგალითზე არის „ყველაზე აქტიური მექანიზმი უცხო/ სხვის სახის შექმნაში“. როგორც ცნობილია, უცხო სახისადმი ინტერესი არის საკუთარისადმი ინტერესის გამოხატვაც. „მე“ - შენიშნავს პ. რიკიორი არ შეიძლება არსებობდეს „არა-მეს“, „უცხო შესახებ იდეებისა და წარმოდგენების მთელი ანსამბლის გარეშე“. 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამ განაპირობა უკრაინისტიკის აქტუალიზებაც.

ერთი მხრივ მუშაობდა უკვე ტრადიცია, ასევე ახალშექმნილ სასწავლებელში გამოჩნდნენ სპეციალისტები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით იყვნენ დაკავშირებული უკრაინასთან. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ უნივერსიტეტის სათავეებთან იდგნენ ასევე უკრაინასთან დაკავშირებული ადამიანები: უნივერსიტეტის პირველი რექტორი გახდა პროფესორი ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი, ოდესის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი, რომელიც ჯერ კიდევ ხარკოვის პერიოდიდან უკანასკნელ დღეებამდე მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ალექსანდრ ბილცკისა და მის ოჯახთან. სწორედ გიორგი ახვლედიანს ეკუთვნოდა „ქართულ-უკრაინული ლექსიკონის“ შექმნის იდეა (გ. ნამორაძესთან ერთად). დღესდღეობით ამ საქმეს ასრულებენ უნივერსიტეტში პროფ. ო. ბაქანიძის ხელმძღვანელობით შექმნილ ცენტრში ქართველი უკრაინისტების ახალი თაობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკრაინის შესწავლისა და პროპაგანდისათვის საგანგებოდ შეიქმნა უკრაინისტიკის ინსტიტუტი. ამ ერთეულის ბაზაზე ქართულ-უკრაინული ურთიერთობების კვლევაში ენერგიულად მოღვაწეობენ ახალი თაობის მკვლევრები ნ. ნასყიდაშვილი, ს. ჩხატარაშვილი, ივანე მჭედელაძე.



ასეთია ასევე დიმიტრი უზნაძე, რომელიც ჯერ კიდევ ხარკოვში ყოფნის დროს დაინტერესდა ფსიქოლოგიითა და ფილოსოფიით; ვასილ პეტრიაშვილი, რომელიც იყო ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტის რექტორი.

ოთარ ბაქანიძის კვლევები მნიშვნელოვანი ეტაპია როგორც უკრაინული ლიტერატურის, ისე მთლიანად ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში. ეს ნაკარნახევია გულწრფელი, ღრმა სიყვარულით საკუთარი და უკრაინული ხალხისა და მისი სიტყვიერებისადმი – ამიტომაც, მომავალი თაობებისთვის იგი ყოველთვის დარჩება დიდ საჩუქრად. საქართველოსადმი დიდი სიყვარულით არის აღბეჭდილი უკრაინელი ქართველოლოგების სამეცნიერო, პედაგოგიური და მთარგმნელობითი მოღვაწეობის სფეროები. გთხოვთ, მერწმუნეთ: ყველაფერი რაც ჩვენ აღვიქვით და შევიგრძენით საქართველოში, მივიღეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში, რომლის წინააღმდეგ ყოველთვის აქტიური იყო ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთშემეცნების საქმე. და ეს როგორი მნიშვნელოვანია ჩვენს დროშიც.

## ნატალია გვენცაძე

### ივანე ბუნინის მინიატურების მხატვრული თავისებურებები

მინიატურის ჟანრული ნიშნები დამახასიათებელია ივანე ბუნი-  
ნის ციკლისთვის „მოკლე მოთხრობები“, რომელიც მან შექმნა მე-  
20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში. ამ ნაწარმოებებიდან ყვე-  
ლაზე დიდი მოცულობა სულ რამდენიმე გვერდია, ყველაზე პატარე-  
ბის – რამდენიმე ხაზი, მაგრამ ყველა მათგანში იგრძნობა მწერლის  
მაღალი ოსტატობა.

ივანე ბუნინის მიერ პარიზში დაწერილი მინიატურები რუსეთ-  
თან ათწლიანი განშორების შემდეგ იბეჭდებოდა ჟურნალებში სა-  
თაურებით: „შორეული“, „სიტყვები“ „ზმანებები“, „გარეთ“ (Вне) და  
ისინი შევიდნენ ნაკრებში „ღვთის ხე“ (Божье Древо) [1931 წ.]

უდავოა, რომ ივანე ბუნინი ხელმძღვანელობდა თანამედროვე-  
ობის მსგავსი შემოქმედებითი პრინციპებით. ისინი გამომდინარე-  
ობდა მუდმივი მისწრაფებიდან მოკლე ფორმისკენ: „მე თითქოს რა-  
ღაც დაავადება მჭირს, ყველაფერი მინდა შევკვეცო“, – ამბობდა იგი.

ის, რაც ბუნინის ნამუშევრებში კრიტიკოსებს მიაჩნდათ ტექ-  
სტის სიჭარბედ, უსარგებლო დეტალებად, ყველაზე მთავარი აღ-  
მოჩნდა. „დეტალი იქცა მოთხრობად, ხოლო თვითონ ტექსტი კი  
გაქრა როგორც ზედმეტი რამ. მაგრამ ეს არ არის უბრალოდ სწრაფ-  
ვა ლაკონიურობისაკენ თვით მისთვის, არამედ ბუნინის პროზის  
ძველი კონცეფციის შედეგია, რომელიც მან ახლა განსაკუთრებუ-  
ლად ნათლად გამოხატა ერთ-ერთ მინიატურაში „ნიგნი“ 1924 წელს:  
„რად გვინდა გმირები: რად გვინდა რომანი, მოთხრობა კვანძით ან  
კვანძის გახსნით?“ [ბუნინი, 1933:10]

მინიატურის ჟანრის ათვისების ინტერესი მწერალს გაუჩნდა  
1900-1910 წლებში. ივანე ბუნინის 20-30 წლების მინიატურების ანა-  
ლიზის საფუძველზე განვიხილოთ მათი იდეური და მხატვრული თა-  
ვისებურებები.

ივანე ბუნიინის მინიატურების მხატვრულ თავისებურებას არ მიუპყრია მისი შემოქმედების მკვლევრების სერიოზული ყურადღება. ივანე ბუნიინის 20-30 წლების მინიატურებში „პოეზია და პროზა ერწყმის ერთმანეთს სრულიად ახალ სინთეზურ ჟანრში“. ეს ნაწარმოებები თანამედროვეების მიერ შეფასებული იყო როგორც ფილოსოფიური, მეტაფიზიკური, ერთდროულად მოვლენის გარეგნული სახისა და მისი ანალიზის მატარებელი. ი.ბუნიინის მინიატურებში, გაგრძელება პოვა მწერლის მიერ უკვე ადრე გაჟღერებულმა თემებმა. მთავარი მათს შორის იყო „სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოება“. ვ.ა. აფანასიევი გამოყოფს მინიატურების ჯგუფს, რომლებიც ასახავს 1917 წლის რევოლუციის წინა და დასაწყისში არსებულ სიტუაციას („წინააღმდეგ“, „გამარჯვებამდე“, „წერილი“ და სხვ.). ის მათ „თითქმის ყველაზე საინტერესოდ და მხატვრულად მიიჩნევს სოციალური თვალსაზრისით“.

ივანე ბუნიინის პროზის მცირე ჟანრის ხასიათის შესახებ არსებული სხვადასხვა შეხედულება გვაძლევს მიზეზს, ვივარაუდოთ მისი მინიატურების სხვადასხვა ტიპების არსებობა. მინიატურების ტიპოლოგიის შექმნის საფუძვლად ავიღოთ შემდეგი კატეგორიები: 1. მათი თემატიკის თავისებურება; 2. ავტორის უნიკალური პოზიციები; 3. მთავარი სახეებისა და მოტივების შემუშავება.

განვიხილოთ თემისა და მოტივის გაგება.

თემა – მხატვრული ასახვის ობიექტი, ის ცხოვრებისეული ხასიათები და სიტუაციები, რომლებიც არსებული რეალობიდან გადმოდის მხატვრულ ნაწარმოებში და ქმნის მისი შინაარსის ობიექტურ მხარეს.

მოტივი (ლიტერატურაში) – მკვლევრების მიერ განიხილება როგორც 1. სიუჟეტის მინიმალური თხრობითი ერთეული; 2. ტექსტის სემანტიკურად დაძაბული ადგილი, რომელიც ავლენს ავტორის კონცეფციის აზრობრივ სიღრმეებს. მოტივს აქვს ლექსიკური გამომხატველობა, განმეორებადობა და ვარირება ნაწარმოებში.

1913 წლის ინტერვიუში ი. ბუნიინმა გამოთქვა შემდეგი მოსაზრება: „ცხოვრება ძალიან საინტერესოა, ადამიანი კი ცხოვრების მისეულ გაგებაში შეზღუდულია; მალე მას სიკვდილი მოუწევს. მე თანახმა ვიქნებოდი, მეცოცხლა განუსაზღვრელად ბევრი წელი...“. [ბუნი-

ნი, 1933:14] ეს მოსაზრება ავლენს მწერლისათვის თითქმის ყველაზე მტანჯველ დაპირისპირებას: ერთი მხრივ, ადამიანური არსებობის ხანმოკლეობის აღიარებას, ხოლო მეორე მხრივ, უმაღლესი ქეშმარიტების წვდომის სურვილს, რომელიც განაცალკევებდა პიროვნებების არსებობას და შეავსებდა მას მაღალი აზრით. 20-30 წლების მინიატურებში ადამიანი და მისი ცხოვრება, ბუნინის კალმით, წარმოგვიდგება ერთიან კონტექსტში – კოსმოსისა და მარადისობის კონტექსტში. მაგალითად, მინიატურაში „ჭიანჭველა“ [ბუნინი, 1933:45] ივანე ბუნინის თვალთახედვის არეშია მთელი სამყარო. მუდმივი საიდუმლოების, გამოუთქმელობის. გაუმჭვირვალე აზრობრივი სიღრმის შეგრძნება – აი, ეს არის არსებითი ბირთვი მინიატურისა „ჭიანჭველა“ [ბუნინი, 1933:46]

მინიატურაში „ცა კედლის ზემოთ“ [ბუნინი, 1933:50] ურმიდან გადმოვარდნილი მოხუცი შიშით ალაპყრობს თვალებს ზევით და წამოიძახებს: „მადონა! მადონა!“ რაც გამოხატავს შიშს, ადამიანის სიცოცხლის სიმყიფით, გამჭვირვალობით გამოწვეულ გრძნობას მარადისობის წინაშე. ავტორი აღიარებს ბუნების ძალების სიდიადეს, რომელიც უსასრულოდ აღემატება ადამიანურ შესაძლებლობებს.

ყველაფერი არსებულის წარმავლობის გამძაფრებულ შეგრძნებას ივანე ბუნინი გამოხატავს მინიატურაში „პინგვინები“ [ბუნინი, 1933:60]. სამყარო წარმოგვიდგება ქაოსის სახით: „ზემოთ, წვიმისგან დაბინდულ და ნელა მოძრავ სინათლეში, გაშმაგებული წივილითა და კივილით ტრიალებენ და იბრძვიან სამგლოვიარო პინგვინები. ქვემოთ სიბნელე, ფისი, ხრამია... ზევით კი პინგვინები. პინგვინები!“. ამ უცნაურ და ბნელ სივრცეში მთხრობელი თავისთვის ადგილს პოვებს მხოლოდ „დედამინის კიდებზე“ – საშინელ ფლატეზე, სადაც თავის შეკავება მხოლოდ მაღალ და მრგვალ კოშკთან მიკრულს შეუძლია.

უკვე თავისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზე ივანე ბუნინი ინტერესდება სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოებით, უფრო სწორედ, ამ საიდუმლოებაში ჩანწდომის შეუძლებლობით. ნათელი შეგრძნება იმისა, რომ ყველაფერი ცხოვრებაში მიაქვს სიკვდილს, ვერ არიგებს მას სიკვდილთან, როგორც სულის სხვა ცხოვრებასთან.

ბუნიტან სიკვდილი ეს არის მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ყოფიერების წიაღში, მასზე სიტყვებში ისმის იდუმალება და მისტიკურობა, მინიატურა „ლანდოს“ პირველი ფრაზა ამას ადასტურებს: „სიკვდილს ყველაფერი თავისი აქვს, განსაკუთრებული“ [ბუნიტანი, 1933:64]. ლანდოს, ცხენების და თვით მეეტლის წვერის სასაფლაო შავი ფერი იძლევა „ყოველ საათობრივ სიკვდილის შეგრძნებას“.

მინიატურაში „ხბოს თავუკა“ [ბუნიტანი, 1933:70] აღწერილია სულ ახლახან მოკლული ხბოს სხეული „ის შუბლიანია, დიდი, უკან მომზირალი შუშისმაგვარი თვალებით... მაგრამ მთელი მისი სხეული უკვე ქვასავით მყარი და ცივია...“ მთხრობელი აღიქვამს მას „გაოცებით და ალტაცებით“. ცხოველის აღწერაში სიკვდილის, შიშის, საშინელების არავითარი აურა არ არის; პირიქით, სიკვდილი სიცოცხლის სტიმულს წარმოადგენს. იმ დეტალების მეშვეობით, რომლებიც აღწერს ხბოს, როგორც ცოცხალს, ივანე ბუნიტანი ხაზს უსვამს სიცოცხლის გაძლიერებულ გრძნობას და მთელ სამყაროს. ავტორი ავლენს სიცოცხლისა და სიკვდილის ხილვას: სიკვდილი სიცოცხლესთან განუყრელია და სიცოცხლესთან თანაბარუფლებიანი: სიკვდილის გარეშე, ისევე, როგორც სიცოცხლის გარეშე, არ არსებობს ყოფიერების სისრულის შეგრძნება. სიცოცხლისა და სიკვდილის თემა, ადამიანისა და დროის თემა ასევე გაჟღერებულია მინიატურაში „ხოჭო“ (სკარაბეი) [ბუნიტანი, 1933:80]. „მუზეუმში არსებობს ის, რაც შემორჩა ეგვიპტის ისტორიიდან – ხოჭოები – სკარაბეები, რომლებსაც სამეფო მუმიებს მკერდზე აწყობდნენ, როგორც მუდმივი სიცოცხლის სიმბოლოებს. გმირი-მთხრობელი ფიქრობს იმაზე, რომ ადამიანის გულს ხუთი ათასი წლის წინ გაციებულ გულთან აკავშირებს სიცოცხლის რწმენა და არა რწმენა სიკვდილისა. მინიატურაში გამოხატულია დროის ფილოსოფიური გაგება.

ივანე ბუნიტანის მინიატურებში „წერილი“ და „მედდა“ [ბუნიტანი, 1933:85] გმირების დამოკიდებულება სიკვდილთან უფრო პირქუში და განწირულია. ჯარისკაცის წერილი გაჟღერებულია სევდითა და უიმედობით; მას უკვე აღარ აქვს იმედი, რომ ნახავს თავის ახლობლებს, მაგრამ სულ ბოლოს ყვება რა, თუ როგორ მოკლეს მისი თანასოფლელი, ის მოულოდნელად ამატებს: „ის მოკვდა რუსული იარა-

ღის სადიდებლად“ და ეს სიტყვები ნაწარმოების ფინალს პირქუმ, უიმედო ირონიას მატებს.

მინიატურაში „მედა“ დაჭრილი მონყალების დის კითხვაზე კაცი მოწინებით წამოიწვეს ყავარჯნების საყრდენებზე, წონასწორობას იჭერს ფეხის კულტით და ურცხვად ცრუობს დაშაქრული ხმით: „რას იზამ დაიკო, უნდა გავუძლოთ... ყველამ თავისი უნდა გაიღოს... მადლობას მოგახსენებთ...“ [ბუნინი, 1933:85]

სიცოცხლისა და სიკვდილის, მკვლევლობისა და სიკვდილის თემა ივანე ბუნინის 20-30 წლების მინიატურებში ემორჩილება ყოფიერების ფილოსოფიურ გააზრებას. მათში ჟღერს მუდმივი გადაუჭრელი კითხვები ადამიანის არსებობის საიდუმლოებაზე, ადამიანის სულის მიუწვდომლობაზე. ბუნინის 20-30 წლების მინიატურებში გარკვეულ როლს თამაშობს მახსოვრობის/ხსოვნის კატეგორია, რომელიც საშუალებას იძლევა, წარმოვიდგინოთ წარსულისა და მომავლის სამყარო, როგორც ერთიანი მთელი, დროის გარეშე. მინიატურაში „დღეობა“ [ბუნინი, 1933:90] მთხრობელი იგონებს სასიხარულო დაბადების დღეს ბავშვობიდან, მაგრამ მას უყურებს სევდით: „მე ვგრძნობ საშინელ სიძველეს, ყველაფერი იმის სიძველეს, რასაც მე ვხედავ, რაშიც მე მონაწილეობას ვიღებ იმ საბედისწერო, არაფრის მსგავს დაბადების დღეს, იმ აგრერიგად მშობლიურ და ამავდროულად ასე შორეულ და ზღაპრულ ქვეყანაში...“ მაგალითად, მინიატურაში „წიგნი“ [ბუნინი: 1933:10] ერთიანდება ორი სიუჟეტური ხაზი: ერთი მხრივ, მოცემულია დროის ფილოსოფიური წვდომა, ხოლო მეორე მხრივ, დროის სახე უკავშირდება კულტურას. ივანე ბუნინის 20-30 წლების მინიატურებში ცხოვრებას აგრძელებს თემა. მწერალი ამტკიცებს, რომ ადამიანის სიცოცხლის და ბუნების კავშირი მუდმივია. ივანე ბუნინი გვიხატავს ბუნებას, როგორც უნივერსალურ საწყისს. მისი სამყაროს მეშვეობით ის ქმნის სიცოცხლის ნაკადის შეგრძნებას, რომელშიც ადამიანი ბუნების ნაწილია. მინიატურაში „შუადღე“ ადამიანი და ბუნების სახეები ჰარმონიულ გადაძახილში არიან, ისინი ერთმანეთს ავსებენ. მინიატურაში „პირველი სიყვარული“ ივანე ბუნინი, ლაკონიზმის მიუხედავად, გადმოსცემს დროისა და ბუნების მოუხელთებელ მოძრაობას, ჰარმონიას, რომელიც მასშია: „ზაფხული... მთელი დღის განმავლობაში უწყვეტი წვი-

მა... მორჩილად იხრებიან სველი ხეები... ოთხი საათისათვის წვიმა უფრო ნათდება, უფრო გაიშვიათებულია... მზის ჩასვლისათვის სრულიად სუფთაა, სიჩუმე... სადამო უკვე ლურჯ ფერს იღებს..." [ბუნინი, 1933:30]. ი.ბუნინის ზოგი მინიატურა ბიბლიურ თემებს უკავშირდება.

„რელიგიურ თემებზე ბუნინის მინიატურები ნაკლებ წარმატებულია იდეური და მხატვრული თვალსაზრისით“. ჩვენი აზრით, ივანე ბუნინისთვის ყოფიერების რელიგიური გაგება ემთხვევა რუსული ეროვნული/ნაციონალური ხასიათის ღრმა ფილოსოფიურ გააზრებას, ამიტომ რელიგიურ თემაზე დაწერილ მინიატურებს არ შეუძლიათ არ გამოიწვიოს ინტერესი იდეურ პლანში, მათი აზრი დამალულია ყოველი მხატვრული დეტალის უკან იმის მიხედვით, თუ ტექსტის ელემენტები მკითხველის აღქმაში რა აზრობრივ რიგში მოხვდება.,

მინიატურაში „რუსეთი“ [ბუნინი,1933:102] მწერალი გამოხატავს აზრს მართლმადიდებლობაზე რუსული ეროვნული ხასიათის გათვალისწინებით.

სიუჟეტის საფუძველშია მათხოვარი, რომელიც მთვრალი დადის სოფლად და თხოულობს მოწყალებას და თავს ღმერთის მოციქულად ასაღებს. თავის სიტყვაში ის უწინასწარმეტყველებს ჯოჯოხეთს იმათ, ვინც არ ეხმარება სხვას. ეს ცოდვიანი ქცევა ასახავს რუსი ადამიანის ხასიათის მკვეთრად წინააღმდეგობრივ თვისებებს. ავტორი უფიქრდება ადამიანის სულში ღმერთის არსებობის საკითხს. ერთი მხრივ, პერსონაჟმა იცის საკრალური წყაროების შესახებ, მეორე მხრივ კი, მისი ქმედება ამას უარყოფს. ივანე ბუნინი აკნინებს ადამიანის სახეს, მიუთითებს რა მისი ბუნების ცოდვიანობაზე.

ივანე ბუნინი ცალკე ჯგუფად გამოყოფს მინიატურებს, რომლებიც ერთიანდება სოციალური თემატიკით. ეს არის მინიატურების ჯგუფი, თითქმის ყველაზე საინტერესო მხატვრული და სოციალური მიმართებით. ივანე ბუნინის მიერ შემოთავაზებული სოციალური თემატიკა ქმნის მაკროისტორიულ ფონს, სადაც განვითარდა ისტორიისა და ადამიანის ისტორიის გაერთიანებული თვისებები. ჩავატაროთ ამ მინიატურების ანალიზი: აი პატარა, მხოლოდ ნახევარგვერდიანი მინიატურა „წინადღე“ [ბუნინი; 1933:77]. ავტორი-მთხრო-

ბელი სადგურისაკენ მიმავალ გზაზე გაივლის რა ეტლით ხიდზე, ხედავს, რომ ხიდის ქვეშ, ნაპირის მეჩრეზე დგას მანანწალა, რომელიც აჩქარებული ჭამს ჭუჭყიანი ნაჭრიდან რაღაცას, შიგთავსის მსგავსს. ამის შემდეგ მეორე კლასის კუბეში მთხრობელი აკვირდება თავის თანამგზავრს. ეს არის თავის თავში დარწმუნებული ბატონი, თავისი კეთილდღეობით მშვიდი.

ნაუცბათევად უპირისპირებს რა ერთმანეთს მის მიერ დანახულ ორ განსხვავებული წრის ადამიანს, ივანე ბუნინი თავს იკავებს რაიმე დასკვნის გაკეთებისგან, და მხოლოდ სულ ბოლოს მოკლედ ამბობს: „იყო შემოდგომა, თექვსმეტი წლისა...“ [ბუნინი, 1933:78], ეს ფრაზა ძალზე მნიშვნელოვან ფინალურ აკორდს წარმოადგენს: ავტორი გადადის თავის შეხედულებაზე. სოციალური პრობლემები გადადის განზოგადებულ პლანში.

მინიატურა „გამარჯვებამდე“ [ბუნინი, 1933:15] წარმოადგენს გლეხის მონათხრობს იმის შესახებ, რომ სოფლის მღვდელმა, უგულისყუროდ, როგორღაც დაასაფლავა მისი ქალიშვილი. გლეხი შეჰპირდა მას რომ უჩივლებდა. ყველაზე არსებითი აქ დასკვნით წინადადებაებშია. მღვდლის სიტყვებზე „არ გაბედო ჩემთან ასე თავისუფლად ლაპარაკი“ გლეხი პასუხობს: „არა, მამაო, უფრო ჩუმათ! ის დრო წავიდა! ღმერთმა ქნას და თავი გავართვათ ომს, ჩვენ თქვენ „გაზეთს-კოპეიკას“ გაგახსენებთ! მაშინ გაიგებთ „გამარჯვებამდე!“. [ბუნინი, 1933:16]. გლეხს უკვე აღარ სჯერა სახელმწიფო მოწოდებებისა და მზად არის, თავისებურად გაუსწორდეს იმათ, ვინც მათი მეშვეობით ატყუებს და თრგუნავს ხალხს.

ბუნინის გარკვეული მინიატურები გაერთიანებულია სოციალურ-ზნეობრივი თემატიკით.

მინიატურა „ახალგაზრდობა“ [ბუნინი, 1933:20] – სტუდენტი, რომელიც მაღალი წრის ცხოვრების წესს მისდევს და საზოგადოებაში მხიარულია, ღარიბი აღმოჩნდება; მისი მხიარულება მხოლოდ წილაბია.

მინიატურაში „შეხვედრა“ [ბუნინი, 1933:25] – ერთმანეთს შეხვედნენ ოდესღაც შეყვარებული ახალგაზრდები, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ წრეებს მიეკუთვნებიან. შეხვედნენ, მოხარულები არიან, სალაპარაკო კი არაფერი აქვთ. ი.ბუნინი მსუბუქი იუმორით



გვიჩვენებს აბსოლუტურად უცხო არსებების შემთხვევით შეხვედრას.

მინატურებში, რომლებშიც სოციალური კომპონენტი არსებობს, ივანე ბუნინი გვიხატავს სცენებს ხალხის ცხოვრებიდან, რომლებიც რუსული ხასიათის სხვადასხვა მხარეს წარმოადგენს, მაგალითად, მინიატურა „კაპიტალი“: მასში გლეხი ბურახის გამყიდველს ევაჭრება ფასზე, მაგრამ ისეც ვერ ბედავს ყიდვას, ვინაიდან ერთ გროშად გამყიდველი ბურახს არ ასხამს, ხოლო „სემიტკა“ (ორი გროში), ძალზე დიდი თანხაა. „არა, ორ გროშს ვერ მივცემ, კაპიტალი არ მაძლევს ამის საშუალებას!“ – ასკვნის მყიდველი [ბუნინი, 1933:50].

მწერლის უნიკალურ მიგნებას მცირე ფორმის ნაწარმოებების ჩარჩოში წარმოადგენს პერსონაჟების ხასიათების კვლევა ტექსტის ჟანრობრივი თვისებების გათვალისწინებით დამუშავებული პორტრეტის, საგნობრივი სამყაროს და პეიზაჟური სახეების მეშვეობით. მაგალითად, პერსონაჟების პორტრეტები იქმნება ეგზოტიკური დეტალების, კონტრასტის საფუძველზე. გამოყენებული ხერხების მინიმუმამდე დაყვანით ავტორი ქმნის თავისი გმირების გარეგნული და შინაგანი სახის ერთიანობას. ხაზს უსვამს ეროვნულ თვითმყოფადობას, მათ ნატურას.

საგნობრივი სამყაროს სახე მწერლის მინიატურებში მრავალნახნაგოვანია და ის გადმოსცემს ყოფითი ფონის რეალობას და მის სიმბოლურ განზოგადობას.

განსაკუთრებული ადგილი ივანე ბუნინის მინიატურებში უკავია ბუნების თემას, რომელშიც იგრძნობა ბუნებისა და ადამიანის უწყვეტი კავშირი. იმისათვის, რომ ასახოს ბუნების სრულყოფილი სურათები, მწერალი იყენებს სხვადასხვა პეიზაჟურ შტრიხებს: ხმის, ფერის, შეხებითს და ყნოსვითს.

ივანე ბუნინის მინიატურებში დროის ხასიათის მიხედვით, ზამთრისა და ზაფხულის პეიზაჟები ატარებს მშობლიური ბუნების განზოგადოებულ სახეს. ბუნების გარდამავალი მდგომარეობები (გაზაფხული, ზაფხული), პრაქტიკულად, მათში არ არის, პეიზაჟი დაკავშირებულია მარადიულობის სახესთან, საგნობრივი სამყარო ერწყმის ადამიანისა და ბუნების სამყაროს.

ბუნების დომინანტურ სახეებად გვევლინება ლურჯი ცა, სინათლისა და წყვიადის, ცისა და მიწის კონტრასტი, სიჩუმის მოტივი, ბუნების სამყაროს ნათელი მახასიათებლები. სიმბოლურებია წითელი და შავი ფერები.

მხატვრული სახის შექმნისას ბუნინი იყენებს სტილისტურ ხერხებს: მონტაჟის ხერხს, აღწერილობითი ფრაზული სახელების, ხალხური გამოთქმების და დიალოგების შემოტანას.

ივანე ბუნინის მინიატურების ტექსტი შეიძლება გავიგოთ და ავხსნათ მკითხველის ცხოვრებისეული და ესთეტიკური გამოცდილების მიხედვით. მწერლისთვის მნიშვნელოვანია მკითხველის კითხვადობის გაძლიერებული აქტივობა.

მთლიანად, ივანე ბუნინის მინიატურები იძლევა მხატვრული ჰარმონიის მწვავე შეგრძნებას, მათ უმეტესობას ახასიათებს თითოეული მხატვრული დეტალის, თითოეული სიტყვის ღრმა და საგულდაგულო მოფიქრება, ორიგინალურობა და სიუჟეტის შეკუმშულობა.

### **ლიტერატურა:**

1. ივანე ბუნინი მცირე მოთხრობები, 2018.
2. ივანე ბუნინი მოთხრობების კრებული II ტომი, 1922-1935.
3. Бунин И.А. 1921-1952 Собрание сочинений в пяти томах.Том четвертый. Повести и рассказы.
4. Бунин И.А. 1986, Стихотворения.
5. Литературное наследство. 1972 Том 84, в двух книгах. Иван Бунин. Книга первая.
6. Афанасьев В.А., 1966, Бунин И.А. Очерк творчества.
7. Есин А.Б., 2002, Литературоведение. Культурология
8. Карпов И. П., 2003, Проза Ивана Бунина.
9. Хализев В.Е., 2000, Теория литературы.
10. Максимова Е., 1997, N1. О миниатюрах И. Бунина.

## **Natalia Gventsadze**

### **Artistic Features of Ivan Bunin's Literary Miniatures**

#### **S u m m a r y**

The paper investigates aesthetic peculiarities of the Russian writer Ivan Bunin's literary miniatures. The artistic distinctiveness of Bunin's miniatures lies in their conceptual orientation, composition, artistic expressiveness, and the choice of the means of expression.

Considering miniature as a literary genre, one may observe its certain characteristics: small size and compactness of the piece, its thematic completeness, composition tightness; bipartite composition with vigorous ending; enhanced meaningfulness of poetic utterance; symbolic nature of tangible details.

Based on distinctive characteristics of Bunin's literary miniatures, the paper proposes their typology, assorting them into lyrical-philosophical, religious-philosophical and social-moral categories/groups. However, this type of typology can only be considered as rather tentative, since a number of miniatures can be attributed to several groups at once.

The paper discusses several groups of Bunin's miniatures and determines their conceptual content and topicality.

Setting apart the social-moral category allows focusing on describing the people, and the Russian national character. In this type of texts, the author focuses on the disharmony of social relations, observing the bitter fate of the poor, desperate protagonists. This group comprises such miniatures as: *The Date*, *Capital*, *Youth*, *First Class*, *Maria*, *Tears*, *The Cannibal Girl*, *Noon*, *Until Victory*, *The Mask*, and *The Previous Day*.

A wide range of Bunin's miniatures belong to the lyrical-philosophical category (*The Sky above the Wall*, *The Calf's Head*, *The Landau*, *The Grandfather*, *Bast Shoes*, *The Doomed House*, *Tears*, *The Gorge*, *First Love*, *The Ants' Path*, *The Birthday*, *Music*, *Penguins*, etc.). The main topic for this type of miniatures is that of life and death, of contrariety between the light and dark sides of the Russian national character. Here the great attention is paid to the theme of nature, which is lyrically expressed through bright epithets, metaphors, and details. In the texts of this group, lyricism is also achieved through the presentation of mysteries, solid motifs, mystical visions, and dreams. A small group of miniatures (*The Blind*, *The Virgin's Dream*, *The Bast Shoes*, *The Fathers*, *Roosters*, *The Eagle*, *Flies*)

belong to the religious-philosophical category; the range of the covered topics directly corresponds to the essence of the human being, his or her relationship with God, death, and the kingdom of nature. The unique innovation of the writer within the framework of similar small form and the specifics of the genres, the revealing of the characters of protagonists through presenting their elaborate portraits, the outlines of the material environment and landscapes. So, for example, the portraits of characters are created by presenting exotic details, and contrasts. By applying this approach in a minimalist way, the author creates certain unity of the exterior and interior of his characters. He thus highlights their national identity, their essence.

The material world is presented in the author's miniatures as multifaceted, and its description conveys the reality of the respective background but also the possibility of its symbolic generalisation.

The special place in Bunin's miniatures is allocated to the topic of nature, stressing the perpetual connection between nature and the human being. In order to reflect the perfect images of nature, and landscapes, the writer uses different strokes, rendering sound, colour, touch or smell. We have observed that in Bunin's miniatures, depending on seasonality, depictions of the winter or summer landscapes serve as the generalised image of mother nature. The transitional states of nature (spring, autumn) are virtually absent, as the landscape is associated with the image of eternity, while the material, tangible world merges with the internal human world and that of nature.

The dominant images of nature comprise the blue sky, the contrasts of light and the dark, of heaven and earth, the motif of silence, and the bright-coloured characteristics of the natural world. Frequently depicted red and black colours are symbolic.

While creating artistic images, Bunin uses a few of stylistic techniques, such as: montage, descriptive phrasal names, folk sayings and dialogues.

The Bunin's text can be understood and explained through the reader's own life and aesthetic experience. Enhanced and active engagement of the reader is important for the writer.

In general, Ivan Bunin's miniatures provide an acute feel of artistic harmony; most of them are characterised by thorough and meticulous design of every single artistic detail and word, along with ultimate originality and tightness of the plot.

## დარუჯან მენაბდე

### ძველი ქართული ლიტერატურის უცხოურ ენებზე თარგმნის ისტორიიდან

ძველი ქართული ლიტერატურის უცხოურ ენებზე თარგმნა და პოპულარიზაცია განსაკუთრებით ინტენსიურ სახეს იძენს XIX საუკუნის II ნახევრიდან. ერთ-ერთი პირველი, ვინც სათავეში ჩაუდგა ამ რთულ და საპასუსიმგებლო საქმეს, იყო პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929).

ალ. ცაგარელი ცნობილია, როგორც ფილოლოგი და ისტორიკოსი, პალეოგრაფი და არქეოგრაფი, პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც სპეციალურად ქართველოლოგიური მიზნებით გაეცნო ახლო აღმოსავლეთის სიძველეებს... მაგრამ ნაკლებად შესწავლილია მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. ვფიქრობთ, ალ. ცაგარელის დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე სათანადოდ ვერ შეფასდება მისი თარგმანების გათვალისწინების გარეშე. მან პირველმა თარგმნა და უცხოენოვან მკითხველს გააცნო სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება, კერძოდ, „სიბრძნე სიცრუისა“ (აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ უცხოურ ენებზე შესრულებული თარგმანების რაოდენობით მხოლოდ „ვეფხისტყაოსანს“ ჩამოუვარდება). ვიდრე საკუთრივ თარგმანი გამოქვეყნდებოდა, 1873 წელს სანქტ-პეტერბურგში ალ. ცაგარელმა გამოაქვეყნა ნაშრომი „О грамматической литературе грузинского языка“ („ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ“) (ცაგარელი 1873). წიგნის შენიშვნებში დიდი ადგილი ეთმობა სულხან-საბას ცხოვრებასა და შემოქმედებას („სამოთხის კარი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „ქართული ლექსიკონი“). ავტორი იზიარებს დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას „სიბრძნე სიცრუისას“ დათარიღებისა და ლიტერატურული წყაროების შესახებ, ოღონდ არ ეთანხმება ტექსტის დ. ჩუბინაშვილისეულ დასათაურებას („Мудрость и ложь“) და მიაჩნია, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ რუსულად უნდა ითარგმნოს როგორც „Муд-

рость вымысла“. ალ. ცაგარელი იქვე ეხება სულხან-საბას „ქართული ლექსიკონის“ შედგენის ისტორიასა და წყაროებს. როგორც აღვნიშნეთ, ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ პირველი თარგმანი რუსულ ენაზე იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი საფუძვლად დაედო „სიბრძნე სიცრუისას“ რამდენიმე თარგმანს, რომლებიც მოგვიანებით შესრულდა ევროპულ ენებზე.

ალ. ცაგარელის თარგმანი „Книга мудрости и лжи“ დაიბეჭდა 1878 წელს სანქტ-პეტერბურგში, სადაც იმხანად მეცნიერი მოღვაწეობდა (ცაგარელი 1878). ამ თარგმანმა, და საერთოდ სულხან-საბა ორბელიანმა, დიდი ადგილი დაიკავა ალ. ცაგარელის სამეცნიერო ნაშრომებში. ჯერ კიდევ 1876 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩატარებულ ორიენტალისტთა III საერთაშორისო კონგრესზე (სადაც ალ. ცაგარელმა წარმოადგინა საქართველოს შესახებ არსებული მასალის ეთნოგრაფიული და ლინგვისტურ-ლიტერატურული მიმოხილვა), მან ვრცლად ისაუბრა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ლიტერატურულ ღირსებებზე, ხოლო მის შემდეგ გამოსულმა მომხსენებელმა მარი ბროსემ „ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის მუშაობა დადებითად შეაფასა და სასურველად მიიჩნია ამ მიმართებით კვლევის შემდგომი გაგრძელება, რათა შესანიშნავი ქართველი მწერლის ნაწარმოებები რუს მკითხველებს გაეცნოთ“ (კინწურაშვილი 1986: 81-82). 1899 წელს რომში საერთაშორისო კონგრესზე წაკითხულ მოხსენებაში ალ. ცაგარელმა „დიდი ადგილი დაუთმო სულხან-საბა ორბელიანის როლის შეფასებას და მის ელჩობას ევროპაში“ (კინწურაშვილი 1986: 187). სხვათა შორის, სულხან-საბა ორბელიანსა და მის „სიბრძნე სიცრუისას“ ალ. ცაგარელი მოიხსენიებდა აგრეთვე თავის სტატიაში, რომელიც ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში გამოქვეყნდა (ცაგარელი 1893: 799).

ალ. ცაგარელის თარგმანი გამოიცა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ნებართვით. თარგმანის წინასიტყვაობაში ალ. ცაგარელი წერს: „სიბრძნე სიცრუისა“ არ არის თარგმანი, არც მიბაძვა, არც რომელიმე ანალოგიური თხზულების უცვლელი გადმოკეთება, არამედ იგი თავიდან ბოლომდე ორიგინალური და ქართული წარმოშობის ძეგლია. მისი კომპოზიცია ეკუთვნის თვითონ ავტორს; იგავების, ზღაპრების და ანეგ-

დოტების ერთი ნაწილი ნასესხებია ხალხური სიტყვიერებიდან, ერთი ნაწილიც ხალხშია გადასული სულხან-საბას წიგნიდან. ქართველი ხალხი „სიბრძნე სიცრუის“ იგავებს დღესაც მოგვითხრობს საქართველოს ყველა კუთხეში“ (ცაგარელი 1878: X; ლოლაშვილი 1986: 123) და იქვე აღნიშნავს, რომ მისი მიზანი იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოეტური თქმულებებისა და გადმოცემების ნათესაობის დადგენა და ამიტომაც მოჰკიდა ხელი „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმნას, რომელიც მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავებს, ლეგენდებს, ანეგდოტებს, გამოცანებს, ანდაზებსა და სენტენციებს შეიცავს (ცაგარელი 1878: II).

წინასიტყვაობაში ალ. ცაგარელი მიმოიხილავს აგრეთვე ს.-ს. ორბელიანის ბიოგრაფიასა და მოღვაწეობას, მის თხზულებებს („მოგზაურობა ევროპაში“, „ქართული ლექსიკონი“), საგანგებოდ ჩერდება „სიბრძნე სიცრუისაზე“, მსჯელობს რუსულად თარგმნის სირთულებებზე, ეხება თხზულების დათარიღებისა და ორიგინალობის საკითხებს. მკვლევარმა თხზულება შეუდარა „ქილილა და დამანას“, „პანჩატანტრას“, „ჰიტოპადეშს“ და „ათასერთლამიანს“. „სიბრძნე სიცრუისას“ წყაროდ ალ. ცაგარელმა ქართული ხალხური სიტყვიერება მიიჩნია, თუმცა არც ლიტერატურული პროტოტიპების ძიება გამოურიცხავს. დასასრულ, ალ. ცაგარელი საგანგებოდ მიუთითებდა იმ სირთულებებზე, რომლებიც ახლდა იგავ-არაკთა კრებულის თარგმნას რუსულ ენაზე (საილუსტრაციოდ მოყვანილია კრილოვის იგავები). იგი ცდილობდა, თარგმანი შეძლებისდაგვარად ახლოს ყოფილიყო ორიგინალთან, რის გამოც, შესაძლოა, ზოგჯერ შეილახა კიდევ რუსული ენის ნორმები, მაგრამ აუცილებელი იყო ტექსტის ზუსტად თარგმნა. სწორედ ეს იყო ჩემი მთავარი მიზანიო, – წერდა ალ. ცაგარელი და იქვე აზუსტებდა, რომ თარგმანი განკუთვნილი იყო მისი პეტერბურგელი სტუდენტებისათვის ქართული ენის ცოდნის გაღრმავების მიზნით (ცაგარელი 1878: XIII). ისიც ცნობილია, რომ ალ. ცაგარელი თავის პეტერბურგელ სტუდენტებს ავარჯიშებდა ქართული ლიტერატურის ნიმუშების რუსულ ენაზე თარგმნაში და ამ მიზნით „სიბრძნე სიცრუისას“ ტექსტსაც ხშირად მიმართავდა (მახათაძე 1967: 251).

აღ. ცაგარელმა თხზულება სრულად თარგმნა და გამოყო 162 იგავი (ცაგარელი 1878: 2-178). „სიბრძნე სიცრუისას“ ტექსტს მოსდევს ფილოლოგიური შენიშვნები (ცაგარელი 1878: 179-181); გეოგრაფიული, საკუთარი და ცხოველთა სახელებისა და სოციალურ ტერმინთა საძიებელი (ცაგარელი 1878: 198-203); განმარტება იმ სიტყვებისა, რომლებიც „ლექსიკონებში არ მოიპოვება, ან ავტორი სხვა მნიშვნელობით ხმარობს“ (ცაგარელი 1878: 204-205). წიგნში არის დამატებანი, სადაც შესულია „ქართული ლექსიკონის“ აღწერილობა, ლექსიკონის წინასიტყვაობისა და ანდერძ-ნამაგის რუსული თარგმანები, ნაწყვეტი თხზულებიდან „მოგზაურობა ევროპაში“ და გარკვეული ამ თხზულებათა დათარიღების საკითხები (ცაგარელი 1878: 206-217).

აქვე სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ პ. უმიკაშვილისეულ ქართულ გამოცემასაც უნდა შევხვით. ცნობილია, რომ ა. ცაგარელს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა პ. უმიკაშვილთან, რომელმაც 1871 წელს ხელმეორედ გამოსცა „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“. წიგნს ერთვის პ. უმიკაშვილის გამოკვლევა ს.-ს. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი საკითხების შესახებ. ლ. გვარამაძის დაკვირვებით, პეტრე უმიკაშვილი „პასუხისმგებლობით მოკიდებია ტექსტს, გადმოუბეჭდავს იგი სრულად, სათანადოდ ერთმანეთისაგან გამოუყვია ნაწარმოების ძირითადი სიუჟეტური თხრობა და მასში ჩართული არაკების ტექსტი, რასაც ჩუბინაშვილის გამოცემაში ვერ ვხვდებით. ენობრივი თვალსაზრისითაც უმიკაშვილის გამოცემა უფრო მეტადაა დაცული ლაფსუსებისაგან და უკეთესი ვარიანტული ნაკითხვის სურათს იძლევა. მთელი რიგი პასაჟები, რომლებიც ჩუბინაშვილისეულ გამოცემაში არ გვხვდება, უმიკაშვილთან აღდგენილია. ძირითადად მთელი ტექსტი „სიბრძნე სიცრუისა“ თითქმის დღევანდელი გამოცემის ტექსტს მიჰყვება. მაგრამ სამეცნიერო აპარატის უქონლობის გამო, რა თქმა უნდა, უმიკაშვილის სხვა გამოცემასთან შედარებით, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ უფრო პოპულარული გამოცემის სახეს ატარებს“ (გვარამაძე 1971: 52). ვფიქრობთ, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ რუსულ თარგმანშიც ნაწარმოების ძირითადი სიუჟეტური თხრობა იგავებისაგან გამოცალკევებულია და დასათაურებულაც კი, რის გამოც



ტექტის შედგენილობა ზოგადად გაიზარდა. მაგალითად, „სიბრძნე სიცრუისას“ დასაწყისი: „იყო ხელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისაგან მოიგონებინ...“ (7-8) დასათაურებულია ასე „Царь Финез“ (1-2); „გამოხდეს ხანი და ჟამი რაოდენიმე...“ (10-11) – „Джумбер сын Финеза“, „Сон царя“ (5-7); „ხის ჩრდილსა ჭაბუკი მძინარე იყო...“ (16-17); ჯ „Спящий юноша“ (13-14); შეგონებები (19-21); „მეფისა თანა მყოფი კაცი...“ „Две заповеди“ (19-21) და ა.შ.

ამგვარი დაყოფის პარალელურად მოცემულია საბასეული თანამიმდევრობა იგავებისა: „Царь хорасанский“ („მეფე ხორასანისა“), „Сон нищего“ („ხარბი გლახაკი“), „Скупой богач“ („ძუნწი ვაჭარი“), „Человек с решетом“ („ცხრილიანი კაცი“), „Недогадливый пловец“ („უგუნური მცურავი“), „Царь Индии и его везиры“ „ინდოთ მეფე და ვაზირნი“), „Царь и живописец“ („მეფე და მხატვარი“), „Вороватый портной“ (ქურდი მკერვალი“), „Лисица в роли духовника“ („მოძღვარი მელი“) და სხვ.<sup>1</sup>

სხვათა შორის, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა აღ. ცაგარელი „სიბრძნე სიცრუისას“ უცხოურ ენაზე თარგმნასა და პოპულარიზაციას, კარგად ჩანს მისი მიმოწერიდან პეტრე უმიკაშვილთან და კირილე ლორთქიფანიძესთან. 1876 წელს აღ. ცაგარელი პეტერბურგიდან სწერდა პ. უმიკაშვილს:

„ძმაო პეტრე! გთხოვ გაისარჯო და ორიოდე ქვემდებარე კითხვებზედ ჩვენი ლიტერატურის შესახებ პასუხი მომცე. ჯერ ერთი, საბა ორბელიანის შენგნით გამოცემული „სიბრძნე სიცრუის წიგნზედა“, წინასიტყვაობის ბოლოს (სტრ. XIV) ამბობ, „რომ პირველ დაბეჭდილს 1859 წ. სპბ ბევრი ალაგი ანუ აკლდა ანუ შეცვლილი იყო; ამ მეორე გამოცემაში ეს ყოველივე გავასწორეთ, ისე როგორც ნამდვილი უნდა ყოფილიყო და ისე დავიცავით ალაგები როგორც მთელ წერილებში ვპოვეთ“. მე ამ საბას წიგნსა ვთარგმნი, ამიტომ საჭიროა ჩემთვის სრული, რაც შეიძლება ძველი და ნამდვილი დედანი; ამიტომ დიდათ დამავალებ, თუ შემატყობინებ: რავდენი დედანი გქონდა ამ წიგნის ტექსტის გასასწორებლად, ამინწერე გარეგანი და შინაგანი სახე რაც შეიძლებოდა ვრცლად, როდის არიან დაწერილი თვითეული იმათგანი, ვისგან, სად, როგორი ასოებით, როგორი

<sup>1</sup> გვერდები დამონმებულია გამოცემებიდან: ორბელიანი 1959; ორბელიანი 1939.

მელნიტ, როგორ იაპალდიქდ, არ გაირჩევიან ერთმანეთისაგან ენით ან შინაარსით, ზოგი იქნება მოკლეა, ზოგი გრელი; უძველესი დედანი, რომელსაც ხმარობდით დაბეჭდვის დროს, რა დროს იყო დანერლი. ეს ბიოგრაფია საბა ორბელიანისა, რომელიც წინასიტყვაობაშია დაბეჭდილი, განირჩევა ცოტაოდნათ სხვა იმის ბიოგრაფიებიდან, საიდან მოგყავს ესა და ან იმის თხზულებებზედ ბიბლიოგრაფიული ცნობა, – გთხოვ დანვრილებით შემატყობინო ესა; რასაკვირველია, შენი სახელი შესაფერის პატივისცემით თავის ალაგას იქნება მოხსენებული, ამასთანავე, რალა ჩიჩინი უნდა პასუხის მგებელიც შენ იქნები ამ ცნობების ქეშმარიტებაზედ... მართლა, გთხოვ, შემატყობინო, თუ შესაძლო დაინახო, შენი არაკო კრების მდგომარეობაზედ დაახლოებით რამე. განა არა გვანან ზოგიერთი ქართველი ხალხის არაკები სიბრძნე-სიცრუის არაკებს? დავშთები შენი ერთგული” (კინწურაშვილი 1974: 190-192). ხოლო კ. ლორთქიფანიძეს წინასწარ აცნობებდა თავის მთავარ მიზანს – ევროპელებისათვის გაეცნო ს.-ს. ორბელიანის შემოქმედება: „მოუთმენლად მოველი უმიკაშვილის შეკრებულების გამოცემასა... მეტადრე ვთხოვ თავის გამოცემულ „სიბრძნე სიცრუის წიგნსა“, რომელიც ჩემთვის ეხლა ძალიან საჭიროა. თუ შეიძლება მომწეროს ისიც, რომელი და როგორი ხელწერილი ვარიანტებით შავსო ადრინდელი დაბეჭდილი ს. პეტ-ში? (ასწეროს მოკლეთ ხელწერები, რომლებიც ჰქონდა ხელში და ალაგები, რომლებიც შავსო). ამითი დიდათ დამავალებს მეცა და ჩვენ ლიტერატურასაც, მინდა ევროპა გავაცნო ამ დიდათ შესანიშნავ წიგნთან“ (კინწურაშვილი 1974: 186-187).

ალ. ცაგარელისეული რუსული თარგმანი განმეორებით დაიბეჭდა 1939 წელს თბილისში ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და კომენტარებით (იორდანიშვილი 1939), მხატვრულად გააფორმა ლ. გუდიაშვილმა, ჩართულია ილუსტრაციები, ახლავს სულხან-საბას 2 ავტოგრაფიული ტექსტის ფოტო (იორდანიშვილი 1939: 189-210). წიგნის წინასიტყვაობაში "Сулхан Саба Орбелиани и его Мудрость лжи" („სულხან-საბა ორბელიანი და მისი „სიბრძნე სიცრუისა“) (იორდანიშვილი 1939: V-XXII) ს. იორდანიშვილი საგანგებოდ ეხება ცაგარელისეული თარგმანის წინასიტყვაობას და რიგ საკითხებზე საკუთარ მოსაზრებებსაც გვთავაზობს. მაგალითად, ალ. ცაგარელის

აზრით, „სიბრძნე სიცრუისა“ საბას მოხუცებულობაში დაუწერია, ს. იორდანიშვილი კი მიიჩნევს, რომ „წიგნი დაწერილია მის ახალგაზრდობაში, ბერად აღკვეცამდე“ (იორდანიშვილი 1953: 153).

„სიბრძნე სიცრუისას“ მომდევნო რუსული თარგმანი ეკუთვნის ელენე ლოლობერიძეს. იგი პირველად 1948 წელს დაიბეჭდა მოსკოვში ე. ლუნდბერგის რედაქციით – „О Мудрости вымысла“ (ლოლობერიძე 1948). ამ თარგმანის საფუძველზე სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავთან დაკავშირებით „სიბრძნე სიცრუისა“ ითარგმნა უნგრულ (მარტონ იშტვანოვიჩი), პოლონურ (თადეუშ მონგირდი), ჩეხურ (ივო ვაცულინი), ლიტვურ (გოდა ფერენსენე), უკრაინულ (ოლექსა ნოვიცკი), ყაზახურ (მუზაფარ ალიმბაევი) ენებზე (მენაბდე 2016: 279-283).

როგორც აღვნიშნეთ, ალ. ცაგარელის რუსული თარგმანი დაედო საფუძვლად „სიბრძნე სიცრუისას“ იგავების ფრანგულ და ინგლისურ თარგმანებს. XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში მოღვაწეობდა ფრანგი ორიენტალისტი ჟიულ მურიე. მან 1885 წელს თბილისში ფრანგულ ენაზე გამოსცა წიგნაკი: „Les Contes Géorgiens“ (მურიე 1885: IV-35), რომელშიც შეიტანა სულხან-საბა ორბელიანის ათი იგავი და იქვე მიუთითა, რომ ფრანგულად „სიბრძნე სიცრუისას“ იგავები თარგმნა ალ. ცაგარელისეული რუსული თარგმანის გამოყენებით.

1894 წელს ლონდონში გამოქვეყნდა ოლივერ უორდროპის თარგმანი „Orbeliani Sul Khan-Saba. The Book of Wisdom and Lies. A Book of Traditional Stories from Georgia, in Asia, Translated by O. Wardrop“ (სულხან-საბა ორბელიანი, „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“) (უორდროპი 1894). წიგნის წინასიტყვაობაში (უორდროპი 1894: X-XVI) ო. უორდროპი ინგლისურენოვან მკითხველს მოკლედ აცნობს სულხან-საბა ორბელიანის ვინაობას, ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მის როლსა და ადგილს ქართულ მწერლობაში. წინასიტყვაობიდანვე ჩანს, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ უორდროპისეული თარგმანი შესრულებულია ალ. ცაგარელის რუსული თარგმანის მიხედვით (ცაგარელი 1878). ამასთანავე, მთარგმნელისათვის ცნობილი ყოფილა „სიბრძნე სიცრუისას“ ქართული გამოცემა (ორბელიანი 1892). სხვათა შორის, ალ. ცაგარელის არქივში ინახება უორდროპისეული თარგმანის ეგზემპლარი წარწერით: „To Professor Tsagareli with kind regards from Oliver Wardrop“ (მაჭავარიანი 1980: 206).

საინტერესოა თარგმანის ინგლისურ ენაზე დასათაურების საკითხი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თხზულების ინგლისური სათაურია „The Book of Wisdom and Lies“ – „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“. ამკარაა, რომ ო. უორდროპი იზიარებდა თხზულების სათაურის აღ. ცაგარელისეულ რუსულ თარგმანს: „Книга Мудрости и Лжи“. მოგვიანებით „სიბრძნე სიცრუისას“ სათაურის ამგვარ გაგებას მხარს უჭერდა ქართველოლოგი დევიდ ლანგი (1924-1991). 1957 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა მისი სტატია „წიგნი სიბრძნე-სიცრუისას სათაურისათვის“ (ლანგი 1957: 159-167), რომლის ინგლისური ვარიანტი ადრევე დაიბეჭდა (ლანგი 1956: 436-448). დ. ლანგის დასკვნით: „აღ. ცაგარლისა და უორდროპისეული წაკითხვა სულხან-საბას უცნაური სათაურისა, როგორც „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“, სწორია... სულხან-საბა ორბელიანისათვის სიბრძნე და ჭეშმარიტება არ გამოდის სიცრუისაგან და არც დაფუძნებულია მასზე. სიბრძნე უფრო სიცრუის საწინააღმდეგო წამალია; ტყუილთან დაპირისპირებით სიბრძნე უფრო ბრწყინვალედ კაშკაშებს“ (ლანგი 1957: 167). მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მეცნიერებმა დ. ლანგის ყველა მოსაზრება არ გაიზიარეს (კეკელიძე 1959: 143), ეს ნაშრომი საკმაოდ საინტერესო და გასათვალისწინებელია მკვლევართათვის.

„სიბრძნე სიცრუისას“ პირველი თარგმანი გერმანულ ენაზე დაიბეჭდა ბერლინში, 1933 წელს, გამომცემელი – არჩილ მეტრეველი. წიგნს ამშვენებს ქართული ჩუქურთმით გაფორმებული თავფურცელი და სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტი. თარგმანი „Die Weisheit der Lüge“ („სიბრძნე სიცრუისა“) (წერეთელი 1933) ეკუთვნის ცნობილ აღმოსავლეთმცოდნესა და ქართველოლოგს მიხეილ (მიხაკო) წერეთელს (1878-1965). მთარგმნელს არ გაუზიარებია ტექსტის იმგვარი აგებულება, როგორც იყო აღ. ცაგარელისა და ო. უორდროპის თარგმანებში (162 იგავი). თხზულება დასათაურებულია გ. ლეონიძის გამოცემის მიხედვით (ორბელიანი 1928) და შეიცავს 152 იგავს. აი, რას წერს მ. წერეთელი წიგნის წინასიტყვაობაში: „წიგნის სათაური ჩვენ ასე ვთარგმნეთ „Die Weisheit der Lüge“ – „სიბრძნე სიცრუისა“. გრამატიკული თვალსაზრისით აქ საორჭოფო არაფერია. ცაგარელმა თავდაპირველად სწორად გაიგო ორივე ქართული სიტყვის მნიშვნელობა, თუმცა, მოგვიანებით, წიგნის თარგმნისას... – ჩვენი აზრით – არასწო-

რი თარგმანი ამჟობინა. ცალკეული არაკების სათაურები ორბელიანს არ ეკუთვნის. ისინი ცაგარელის თარგმანში მხოლოდ სარჩევშია შეტანილი არაკის შინაარსის შესატყვისად და არა თარგმნილ ტექსტში, რომელსაც ცაგარელი 162 ნაწილად ყოფს. თხრობის რიტმის გათვალისწინებით ჩვენ წიგნის ლეონიძისეული 152 ნაწილად დაყოფა ვამჯობინეთ, არაკების მოკლე სათაურებიც დავაზუსტეთ და ჩვენი თარგმანის ტექსტში ისე გადმოვიტანეთ" (ორბელიანი 2017: 15-16).

„სიბრძნე სიცრუისას“ ალ. ცაგარელისეული რუსული თარგმანი ჯერ კიდევ კარგადაა შესასწავლი, უნდა გამოვლინდეს მისი ღირსება-ნაკლოვანებანი, მაგრამ თავისთავად, დიდი მეცნიერის მხრიდან ამ წიგნის თარგმნა უცხო ენაზე იყო კიდევ ერთი დიდი პატრიოტული და ქართველოლოგიური საქმის დასაწყისი. ალ. ცაგარელის შემდეგ XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ქართული ლიტერატურის უცხოურ (კერძოდ, რუსულ) ენებზე თარგმნას. მთარგმნელობით საქმიანობაში ჩაებნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: ნ. მარი („პეტრე იბერის ცხოვრება“ – 1896; „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – 1911), ივ. ჯავახიშვილი ("სიბრძნე ბალავარისი" – 1899), ე. თაყაიშვილი („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ – 1900), მ. ჯანაშვილი (ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფია“ – 1904) და სხვ.

გარკვეულ ინტერესს იმსახურებს ისიც, რომ ალ. ცაგარელი აქტიურად ერთვებოდა „ვეფხისტყაოსნის“ უცხოურ ენებზე თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამის თვალსაჩინო მაგალითებია გერმანიის ქალაქ ტიუბინგენში ცხოვრებისას მისი ურთიერთობა გერმანულ მწერალსა და მთარგმნელთან ფრიდრიხ ბოდენშტედტთან, რომელიც ნამყოფი იყო საქართველოში და ალ. ცაგარელთან საუბრისას ხშირად იხსენებდა კიდევ თბილისში გატარებულ დღეებსა და ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობას. ალ. ცაგარელს მიზნად დაუსახავს ფ. ბოდენშტედტის დაინტერესება „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნით. ამ ფაქტის შესახებ საინტერესო მასალაა დაცული მის პირად წერილებში ქართველ მოღვაწეებთან.

რამდენადაც ალ. ცაგარელისთვის ცნობილი იყო ფ. ბოდენშტედტის წიგნებისა და მთარგმნელობითი მუშაობის შესახებ, გადაწყვიტა მისთვის „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნა შე-

ეთავაზებინა. როგორც აღვნიშნეთ, ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალაა დაცული ალ. ცაგარელის პირად წერილებში ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. ყურადღებას იქცევს ალ. ცაგარელის ორი წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი, რომლებიც გამოგზავნილია მიუნხენიდან 1868 წელს:

„...აქ, მიუნხენში რომ მოვდიოდი, გამოვლაზედ მაინინგენში ვნახე აქაური (გერმანიის) გვარიანი, როგორც ამბობენ, პოეტი ფრიდრიხ ბოდეშტედი. ეს კაცი იყო ჩვენში, საქართველოში, 40-იან წლებში, ორ წელიწადს მოიარა სულ იქაურობა და დასწერა წიგნი ორ ნაწილად „კავკაზი და იმის მცხოვრებნი“... მე ვთხოვე, რომ დაასრულოს თავის შრომა კავკაზზედ და ჩვენ ხალხზედ, გადათარგმნოს „ვეფხვის ტყაოსანი“, რომლის ისტორიულ და ლიტერატურულ ღირსებაზედ ძალიან საჭირო იქნება მეტი გავიგონოთ გერმანიის მსწავლულების აზრი მეტი... არ ვიცი, თუ ავადმყოფობამ, სნეულებამ არ დააბრკოლა, მე მგონი, აასრულოს, მე ჩემი მხრით მზათ ვიქნები; პროზით ვსთარგმნი რამდენსამე თავსა „ვეფხისტყაოსნიდგან“ და მემრის მაისში წავალ იმასთან და არ მოუსვენებ, მინამ არ სთარგმნის, ძალიან კარგი იქნება, რომ გააცნოს ევროპა ჩვენ საგანგებო პოეტთან. А если возьмется, то наверно можно сказать, что его перевод будет достоин аргинала, он настоящий немецкий Жуковский, в переводах он не заменим, он занят в настоящее время переводом Шекспира и здешние критики единогласно отзываются об них как о наилучше-довлетворительнейших, за что и английское "общество словестности" прислала ему большую Хартию с разными лентами и надписью министров, каторую и показывал, არ ვიცი რათა, მე არ მითხოვნია. ერთი სიტყვით, კარგ საქმეს იზამს თუ გადათარგმნა. მე მითხრეს, ფრანცუზულ ენაზედ არის, არ ვიცი ბროსესეს, თუ ვიდაცას გადაუთარგმნია, არ ვიცი რამტელათ არის ეს მართალი, თუ ასრეა, უნდა ვიშოვნო და შენაგთხოვ, კირილე, უთხრა მ ა ჩ ა ბ ე ლ ს ა, როდესაც იქნება ორბელიანთან, ჰკითხოს, თუ სადმე იცის, რომ ვისმეს გადაეთარგმნოს ფრანცუზულათ და თუ მეცოდინება მთარგმნელი და გამომცემი, ადვილად ვიშოვნი, რომელიც თუ კარგათ არის ნათარგმნი, რასაკვირველია, დიდ შემწეობას მისცემს თარგმნის დროს ნემეცურს ენაზედ“ (მასალები... 1981: 184-185).

„ძმაო კირილე!

... წინა წიგნში „ვეფხვის ტყაოსნის“ თარგმნის სიძნელეებზედ მწერდი, თუ თითონ მთარგმნელმა ორიგინალის ენა არ იცის, ან თუ ორიგინალი დაკვირვებით არ უსწავლია, სრულიად მჭერა შენი აზრი და მართალიც არის, მაგრამ ნათქოშია: როგორც გიჭირდეს ისე გიღირდესო, მე მგონი, რომ ნ ე ს ი ე რ ი თარგმნის ქონა სჯობია (თუ კარგი არ შეიძლება) სულ არ ქონასა. მე ნამდვილათ ვიცი, რომ იმის თარგმანი, როგორიც უნდა იყოს, ბევრს ევროპიულ სწავლულს წააქეზებს, გამოიძიონ ჩვენი ისტორია და ლიტერატურა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, თუ ბოდეშტედტმა გადათარგმნა, ისეთი გამოვა, რომ უკეთესის წადილი აღარ მოგვინდება...

მე, რასაკვირველია, „ვეფხვისტყაოსანი“ აზრისა და სიტყვების ახსნით არ მისწავლია, ღრმათ არ დაკვირვებივარ, თუმც იმტელი მიკითხამს, რომ მთელი „თავები“ ეხლაც ზეპირათ ვიცი... და თარგმნა არ გამიჭირდება, ბევრს დროს წამართმევდა, მართალია, რომ მაინც ნემეცური ენის სწავლაზედ არ ვცდებოდე, და არა ვთარგმნიდე, მეორეც ესა, ნემეცურად იმ ალაგების თარგმნა მომინდება, რომლებსაც რუსულათ ვერ გაიგებს, მაგრამ ეს ლაპარაკი იმასა ჰგავს, „ჯერ არ დაბადებულიყო და ტეტიას არქმევდნენო“, იმათი არ იყოს, ჩვენც ისეთ საქმეზედ ვცდილობთ, თუ ვთათბირობთ, რომელიც საეჭვო არ არის, ადრე თუ გვიან მაინც უნდა გადაითარგმნოს“ (კინწურაშვილი 1974: 170-171).

ამ წერილებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ იყო მონდომებული ალექსანდრე ცაგარელი, „ვეფხვისტყაოსანი“ ეთარგმნათ გერმანულად. სამწუხაროდ, მის ამ განზრახვას იმ ეტაპზე განხორციელება არ ეწერა – ფ. ბოდენშტედტმა „ვეფხვისტყაოსანი“ ვერ თარგმნა გერმანულ ენაზე და თუ რატომ, ამისი მიზეზი დღემდე უცნობია.

გავიდა დრო და აღ. ცაგარელი ჩართული აღმოჩნდა „ვეფხვისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის საქმეშიც. ეს ამბავი გარკვეულნილად უკავშირდება „ვეფხვისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემას.

როგორც ცნობილია, „ვეფხვისტყაოსნის“ ე. წ. გ. ქართველიშვილისეული გამოცემა იყო სრულიად განსაკუთრებული. ამ გამოცემით შემდგომში ქართველებმა არაერთხელ მოიწონეს თავი. როგორც წიგნის გამოცემის ინიციატორი იონა მეუნარგია ავტობიოგრაფიაში

აღნიშნავდა, „1888 წელს, როდესაც რუსეთის ხელმწიფე ალექსანდრე მესამე ჩამოვიდა ქალაქს (თბილისში – დ. მ.), გ. ქართველიშვილმა და მე მივართვით დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს, პირველმა თავისი გამოცემა ძვირფასის ყდით და მე ამ შემთხვევისათვის ჩემგან შედგენილი რუსულს ენაზე: "Барсова кожа" в рассказе И. Мейнаргиа. 1888 г." (ცაიშვილი 1956: 187). აღნიშნული რუსული პროზაული თარგმანი არის პოემის მოკლე შინაარსის თავისუფალი გარდათქმა. ირკვევა, რომ ი. მეუნარგიას პოემის მოკლე შინაარსი თავდაპირველად ქართულად დაუნერია, ხოლო შემდეგ უთარგმნია რუსულ ენაზე (ზუგდიდის მუზეუმში დაცულია ორივე დედანი; ვრცლად ამ საკითხზე იხ.: მენაბდე 2016: 96-100).

ჩანს, ამ თარგმანის გამოცემის შემდეგ ქართველ საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ ი. მეუნარგიას შეეძლო პოემა სრულად ეთარგმნა რუსულ ენაზე. თავის დროზე ცნობილი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, პოეტი გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი) (1888 წლის ბოლოს ქუთაისიდან სწერს იმპერატორის სასახლის მინისტრს ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს, რომელიც იმპერატორს ახლდა საქართველოში ყოფნისას. ამ წერილით გრ. დადიანი შეახსენებს სასახლის მინისტრს, რომ სწორედ მისი შემწეობით შეძლო ახალგაზრდა მწერალმა ი. მეუნარგიამ, დედოფლისთვის მიერთმია „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი რუსულ ენაზე. განუმარტავდა რა მინისტრს რუსთველისა და მისი პოემის მნიშვნელობას, გრ. დადიანი აღნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართველებისთვის იგივეა, რაც „ილიადა“ ბერძნებისთვის. ამასთანავე, გრ. დადიანი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ი. მეუნარგიას დამსახურებაზე პოემის ახალი გამოცემის მომზადებაში და მიუთითებს, რომ იონა ორი წლის მანძილზე წარმართავდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მთელ საქმიანობას; მაგრამ დადგა დრო, პოემა სრულად გაიცნოს რუსმა მკითხველმაც: "Барсова кожа", до сих пор не переведена на русский язык и неизвестна русской читающей публике, которой грешно не знать такое крупное литературное произведение" (ყუბანიევილი 1947: 387) დასასრულ, წერილის ავტორი საგანგებოდ სთხოვდა ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს შუამდგომლობას დედოფლის წინაშე, რათა მეუნარგიას დაკისრებოდა პოემის თარგმნა რუსულად,



ხოლო მისი გამოცემა განხორციელებულიყო სახელმწიფო ხარჯით (ყუბანიშვილი 1947: 387-388).

გრიგოლ დადიანის წერილი სასახლის მინისტრს გაუგზავნია სახალხო განათლების მინისტრისთვის, გრაფ. ი. დ. დელიანოვის-თვის, რომელმაც წერილის ასლი, თავის მხრივ, გაუგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ა. ცაგარელს. თავის პასუხში ა. ცაგარელი აღნიშნავდა: „ამ თხზულების რუსულ ენაზე დამაკმაყოფილებლად გადმოღებისათვის, გარდა ორივე ენის ღრმა ცოდნისა და პოეტური ქმნილების მეორე ენაზე თარგმნის დიდი გამოცდილებისა, საჭიროა საქართველოსა და მისი მოსაზღვრე აღმოსავლური ქვეყნების ძველი ისტორიის საკითხებში ფართო გასწავლელობა, საქართველოს ეთნოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიის, სიძველეთა კარგი ცოდნა, საერთოდ, აღმოსავლური კულტურისა და პოეზიის ხასიათის გათვალისწინება. ყოველივე ეს, ძნელი საფიქრებელია, ჰქონდეს ერთ პიროვნებას. მით უფრო შეუძლებელია მოვთხოვოთ ყოველივე ამის ცოდნა ახალგაზრდა ქართველ ლიტერატორს ი. მეუნარგიას. ამ განზრახვის წარმატებით განხორციელების მიზნით, ჩემი აზრით, საჭიროა თარგმანისა და გამოცემის ტვირთი რამდენიმე პიროვნებას გავუნაწილოთ. ასეთ პიროვნებად, ი. მეუნარგიას გარდა, მიმაჩნია: თავადი რ. ერისთავი, ქართული განმარტებითი ლექსიკონის გამომცემელი, ცნობილი ქართველი პოეტი და მწერალი, რუსული ენის კარგი მცოდნე; თავადი ი. ჭავჭავაძე, აგრეთვე ცნობილი ქართველი პოეტი და მწერალი; ნაფიცი მსაჯულის თანაშემწე თხორევესკი, რომელიც ცნობილია ქართველ მწერალთა რუსულ ენაზე მშვენიერი თარგმანებით. ყველა ეს პირი თბილისში ცხოვრობს. ალბათ, ქართული ენის ღრმა მცოდნე გენერალ-ლეიტენანტი, თავადი გ. დადიანიც მოისურვებს გაუზიაროს ხსენებულ პირთ თავისი რჩევა-- დარიგება თარგმანთან დაკავშირებით“ (რუსთველი... 1988: 209-210).

ამის შემდეგ ი. დელიანოვმა თანხის გაღებისაგან თავი შეიკავა, ეს საქმე აქ შეწყდა, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნა კი კარგა ხნით გადაიდო (მენაბდე 2016: 99-100). ალ. ცაგარელის მხრიდან ეს იყო არა ხელის შეშლა ტექსტის თარგმნისათვის (როგორც ზოგმა მაშინ გაიგო), არამედ საკითხის სირთულისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სწორი გადაწყვეტილება.

## დამონებანი:

1. **ანდლულაძე 1968:** ანდლულაძე ლ. ვეფხისტყაოსნის რეკოლუციამდელი რუსი მთარგმნელები. // „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“. III. თბილისი: 1968.
2. **გვარამაძე 1971:** გვარამაძე ლ. პეტრე უმიკაშვილი – რედაქტორ-გამომცემელი. „მაცნე“ (ელს), 1971, # 2.
3. **იორდანიშვილი 1939:** Иорданишвили С. Сулхан-Саба Орбелиани и его "Мудрость лжи". // С.-С. Орбелиани и его "Мудрость лжи". Пер. с груз. Ал. Цагарели, под. ред. С. Иорданишвили. Тбилиси: 1939.
4. **იორდანიშვილი 1953:** იორდანიშვილი ს. სულხან-საბა ორბელიანი და მისი წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“. // ს. იორდანიშვილი. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი: 1953.
5. **კეკელიძე 1959:** კეკელიძე კ. ზოგიერთი მომენტი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიისა. // სულხან-საბა ორბელიანი (საიუბილეო კრებული). თბილისი: 1959.
6. **კინწურაშვილი 1974:** კინწურაშვილი კ. ალექსანდრე ცაგარელი. თბილისი: 1974.
7. **ლანგი 1956:** Lang D. M. Wisdom and Lies. Variations on a Georgian Literary Theme. – BSOAS. XVIII/3. 1956.
8. **ლანგი 1957:** ლენგი დ. წიგნი სიბრძნე-სიცრუისა-ს სათაურისათვის. ჟ. „მნათობი“, 1957, #5.
9. **ლოლაშვილი 1986:** ლოლაშვილი ი. ალექსანდრე ცაგარელი. // კრბ. „ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი“ (თბილისი: 1986).
10. **მასალები... 1981:** მასალები XIX ს. 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან (კირილე ლორთქიფანიძის მიმონერა). ტექსტი შესავალი წერილით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ელისო აბრამიშვილმა. თბილისი: 1981.
11. **მაჭავარიანი 1980:** მაჭავარიანი მ. აღ. ცაგარელის კოლექციის ავტორაფები. „მნიგნობარი“. 1980.
12. **მეგრელიძე 1970:** მეგრელიძე ი. რუსთველოლოგები. თბილისი: 1970.
13. **მენაბდე 2016:** მენაბდე დ. იონა მეუნარგია – „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი და მთარგმნელი. // დ. მენაბდე. ლიტერატურულ ურთიერთობათა ვექტორები (V-XVIII სს.). თბილისი: 2016.
14. **მურიე 1885:** Mourier J. Prince Saba Sulxhan Orbeliani. Les Contes Georgiens du XVII- ème et XVIII- ème siècles. D'après le texte de Tsagarelli, Professeur à la Faculté des Langues orientales à Saint-Petersbourg; par J. Mourier, Officier de l'Instruction publique. Tbilissi: 1885.

15. **ორბელიანი 1892:** წიგნი სიბრძნე-სიცრუვისა საბა-სულხან ორბელიანისა. სხვადასხვა ხელნაწერებთან ახლად შედარებული და გამართული ნ. მთვარელიშვილის მიერ. ტფილისი: 1892.
16. **ორბელიანი 1928:** ორბელიანი ს.-ს. სიბრძნე-სიცრუისა. გ. ლეონიძის რედაქციით და წინასიტყვაობით. ტფილისი: 1928.
17. **ორბელიანი 1959:** ორბელიანი ს.-ს. სიბრძნე სიცრუისა. // ს.-ს. ორბელიანი. თხზულებანი. I. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ. თბილისი: 1959.
18. **ორბელიანი 1939:** Орбелиани С.С. Мудрость лжи. Пер. с груз. Ал. Цагарели. Редакция, предсповие, комментарии С. Иорданишвили. Тбилиси: 1939.
19. **ორბელიანი 2017:** Orbeliani S.-S. Die Weisheit der Lüge. Übersetzt aus dem Georgischen von Prof. Michael von Tseretheli. Tbilissi: 2017.
20. **რუსთველი... 1988:** რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. III (შემდგენლები: ნ. ბეჰიევა, ო. გოლიაძე, დ. დგებუაძე, დ. მენაბდე, ლ. მენაბდე, ვ. შადური, ო. ქურდულია). თბილისი: 1988.
21. **უორდროპი 1894:** Wardrop O. Orbeliani Sul Khan-Saba, The Book of Wisdom and Lies, A Book of Traditional Stories from Georgia, in Asia, Translated by O. Wardrop. London: 1894.
22. **ლოლობერიძე 1948:** Орбелиани С.-С. О мудрости вымысла. Пер. с груз. Е. Гогоберидзе. Предисловие А. Барамидзе. Москва: 1948.
23. **ყუბანეიშვილი 1947:** ყუბანეიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის პირველი ცდა (დოკუმენტები). // ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. I. 1947.
24. **ცაგარელი 1873:** Цагарели А. О грамматической литературе грузинского языка. Критический очерк. Санкт-Петербург: 1873.
25. **ცაგარელი 1878:** Книга Мудрости и Лжи (Грузинские басни и сказки XVII-XVIII стол.). Саввы-Сулхана Орбелиани. Перевод и объяснения Ал. Цагарели. Санкт-Петербург: 1878.
26. **ცაგარელი 1893:** Цагарели А. Грузия. // Энциклопедический словарь Брокгауза и Эфрона. т. IX-А. Санкт-Петербург: 1893.
27. **ცაიშვილი 1956:** ცაიშვილი სოლ. იონა მეუნარგიას ავტობიოგრაფია. ჟ. „მნათობი“, 1956, #2.
28. **წერეთელი 1933:** Die Weisheit der Lüge, gesprochen von Sulchan-Saba Orbeliani (georgische Bibliothek. Herausgegeben von A. Metreveli. N1). Berlin-Wilmersdorf. Übersetzt aus dem Georgischen von Prof. Dr. M. von Tseretheli. Einleitung von Dr. Surab Avalischwili. 1933.

## Darejan Menabde

# From History of Translations of Georgian Literature into Foreign Languages

### S u m m a r y

Translation of ancient Georgian literature into foreign languages became particularly intensive by the second half of the XIX century. One of the first leaders of this hard and responsible work was a remarkable representative of St. Petersburg Kartvelological School Aleksandre Tsagareli (1844-1929). Aleksandre Tsagareli is known as an outstanding linguist and historian, paleographer and archeographer, the first Georgian scientist who travelled to the Near East with special Kartvelological mission to obtain and study Georgian antiquities... However, his capacity as a translator has hardly been studied so far.

Aleksandre Tsagareli's contribution to Georgian literature cannot be properly estimated without considering his translations. A. Tsagareli was the first to translate Sulkhan-Saba Orbeliani's creative works and made them familiar to foreign readers. Particularly, Russian translation of "The Wisdom of Lie" by S.Orebliani ("Книга мудрости и лжи"), published in St.Petersburg where the scholar lived and worked at that time. A. Tsagareli's translation was published in 1878 with the permission of the Faculty of Oriental languages at the Saint Petersburg State University. The translation is preceded with a preface in which Tsagareli surveys S.S.Orbeliani's biography and activities, his works, specially dwells on "The Wisdom of Lie", deals with the issues of dating of the composition and its peculiarity, specially indicates the difficulties while making Russian translation of parables.

A. Tsagareli made a full translation of the collection of Fables and singled out 162 parables. The text of "The Wisdom of Lies" is followed with: philological remarks; the index of geographic, proper and animal names and social terminology; definition of the words, which are either unavailable in dictionaries or the author uses them in a different sense. The book has a supplement which includes a description of the "Georgian Dictionary" and Russian translation of a preface to the Dictionary, an excerpt from the work "A Journey through Europe" and the issues of dating these works are defined.

The importance of this translation derives from the fact that it served as the basis for several translations of "The Wisdom and Lies" made later in European languages.

A.Tsagareli was well aware of the significance of introducing Georgian culture beyond the borders of Georgia. In the period of living in the old university city of **Tübingen**, he made the acquaintance of German writer **Friedrich Bodenstedt** (1819-1892) who had visited Georgia and had published materials on the peoples of the Caucasus. A. Tsagareli was set to interest **Bodenstedt** in translating *Vepkhistqaosani* into the German language. Interesting information around this fact is preserved in his correspondence with Georgian figures. Although this project was not destined to be implemented, the above-mentioned correspondence clearly demonstrates A.Tsagareli's approach towards the translation of *Vepkhistqaosani* into a foreign language and introducing it to the Europeans. Equally interesting is A. Tsagareli's attitude to the Russian translation of *Vepkhistqaosani*, which was obvious in his reply to I. Delianov, Minister of Public Education of that period (the question was related to the preparation of a possible complete Russian translation of the text, after the edition of *Vepkhistqaosani* in 1888). This was not an act of prevention of translation of the text (as was interpreted at that time by some people), but a right decision proceeding from the difficulty and significance of the question. A.Tsagareli treated with great responsibility the issues of translation of *Vepkhistqaosani* into foreign languages as well as all initiatives related with the poem in general.

## ნინო მესხი

### ნესტან-ნენე კვინიკაძის მოთხრობის სტილი და თარგმანში მისი შენარჩუნების სირთულეები

**ნესტან-ნენე კვინიკაძე** ქართველი მწერალი, სცენარისტი და ჟურნალისტი; არის რამდენიმე კინოსცენარისა და პიესის ავტორი; გამოქვეყნებული აქვს არაერთი პროზაული კრებული და რომანი „ისპაჰანის ბუღბუღები“. 2006 წლიდან ქართულ-ინგლისური ყოველთვიური უფასო ჟურნალის „ფოკუსის“ მთავარი რედაქტორია. თავის ესეებსა და სტატიებს რეგულარულად აქვეყნებს ჟურნალ „ანაბეჭდში“. 2007–2008 წწ. იყო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ტელეგადაცემის, თოქ-შოუს – „ნანიკოს შოუს“ ერთ-ერთი პროდიუსერი.

ნესტან-ნენე კვინიკაძე თანამედროვე ქართული პროზის წარმომადგენელია. მისი ნაწარმოები **„დისკოს ტრიალი, პარნასუს აპოლოები და ჯექსონები“**, (ვებგვერდის მისამართია [http://lib.ge/-body\\_text.php?5390](http://lib.ge/-body_text.php?5390)) ძალზე საინტერესოა როგორც პოსტმოდერნისტული პროზის ნიმუში, შესრულებული დღიურების ჟანრში. საქართველოში უკანასკნელ ხანებში განვითარებულმა მოვლენებმა და ომებმა დაღი დააჩნიეს ახალგაზრდობის ცნობიერებას, მათ ლექსიკასა და ქცევას. დღიურებში კარგად ჩანს, თუ მეშვიდე დღეს როგორ მწიფდება ნიადაგი აზრის გამოსატანად და დასკვნების გასაკეთებლად. ტექსტი თითქოს სიურეალისტური ბმით გამოირჩევა და ლოგიკურ განვითარებას ნაკლებად ემორჩილება. ფრაზები ზოგჯერ ბუნდოვანია და ალუზიური, სხვათა შორის, ნაწარმოები ამითაც მიმზიდველი ხდება.

მოთხრობის **„დისკოს ტრიალი, პარნასუს აპოლოები და ჯექსონები“** რუსული თარგმანი ეკუთვნის ირინა მოდებაძეს (Дружба Народов, Вращение диска, Аполло Парнасус и Джексоны, Независимый литературно-художественный и общественно-политический журнал, №9, 2008.). ის საკმაოდ კარგი და გამოცდილი მთარგმნელია, შესანიშნავად ფლობს რუსულ ენას, რაშიც თარგმანი გვარწმუნებს.

ირინა მოდებაძე დაიბადა 1953 წელს. თარგმნის სამეცნიერო ლიტერატურას, პუბლიცისტიკასა და მხატვრულ პროზას, ძირითადად ქართულიდან რუსულ ენაზე. სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანისთვის მიიღო გივი გაჩეჩილაძის სახელობის პრემია (2013). მუშაობს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. ცხოვრობს თბილისში.

ნესტან-ნენე კვინიკაძე გამიზნულად არ იყენებს სინონიმებს, სტილისტურად ტვირთავს სლენგით და სიტყვის გამომსახველობით ძალას აძლიერებს. მას ხელენიფება სიტყვების რიგიანი თამაში – სავსებით უტყუარი საბუთი მისი დიდი ენობრივი კულტურისა, ვინაიდან რაც უფრო ვიწროა სიტყვით მნიშვნელობათა სკალა, მით უფრო ზუსტია იგი, ოღონდ სტილისტმა შესაფერისი ადგილი მიუჩინოს და მაშინ ყველაზე უმნიშვნელო სიტყვა ყველა სხვა სიტყვაზე უფრო მეტ დატვირთვასა და სიზუსტეს იძენს:

**ჩაჭაში ჩამოვდით. სოფელი წოღა... სახდი ხისაა, დაკეცილი და მოუწყობედი. ვახთ ექვსნი. საქმე გადავინაწიდეთ. ეზოს და ოთახებს ვასუფთავებთ.**

**Приехали в Рачу. Деревня Тцола. Дом деревянный, закрытый и неблагоустроенный. Нас шестеро. Распределили, что кому делать. Убираем дом и комнаты.**

მოკლე ფრაზები ლაკონიურად, ზუსტად აღწერს სიტუაციას. ე. წ. თითქმის სახელდებითი წინადადებები არაჩვეულებრივ განწყობასა და პეიზაჟს ქმნიან. მათში ზმნას ყველაზე ნაკლები დატვირთვა აქვს. წინადადებების სიმძიმის ცენტრი ნომინატიურია და, შესაბამისად, მას „ნარატიულ ნომინატივებს“ ვუწოდებდით. ასეთ დროს ირინა მოდებაძე ყველაზე მეტად გაურბის მთარგმნელობით ინოვაციებს და ცდილობს, მაქსიმალურად დაიცვას დედნის როგორც თანმიმდევრობა და ოდენობა, ასევე ლექსიკური სიზუსტე, რისი ნიმუშიც ზემომოყვანილი თარგმანია. სადაა დედანი, რომელიც დანურულად ლალი და მარტივია, მაგრამ ეს ლიტერატურული ხერხი დღიურების – „ანა ფრანკისეული“ – თხრობის ასოციაციას იწვევს.

განსაკუთრებით საგულისხმოა მუსიკალურ-რიტმული მხარე, რომელიც ასე ბუნებრივსა და აუცილებელს ხდის ყოველ ფრაზასა და გადასვლებს ამ ფრაზებს შორის. ამ მიზანს ასევე ემსახურება ფრაზის სტრუქტურული აგებულება, რასაც აზრის უფრო და უფრო დაზუსტებისაკენ მიყვავართ. მკითხველს იპყრობს თვით აზრის

მსვლელობა, რომელიც სიღრმისაკენ მიემართება. ასევე დამახასიათებელია ნ. კვინიკაძისთვის სიტუაციის განმეორებითი ჩაღრმავება და აბსოლუტური ამონურვა მასალისა. საგნის ან პიროვნების პირველი ზუსტი აღწერით მისი ინტერესი მიმართულია საგნის, მოვლენის შინაგანი არსისაკენ. იგი თითქოს ყოველ სიტყვას წონის, თითქოს მერყეობს, საბოლოოდ ზუსტად მიიჩნის თუ არა ეს სიტყვა. აღნიშნული სიღრმე, სირთულე და სინამდვილის მოვლენების დიფერენცირება იქამდე მიდის, რომ საგანი ან მოვლენა ერთი რომელიმე ზუსტი სიტყვით კი არ ხასიათდება, არამედ სინონიმურად შეფერილი სიტყვების მთელი ჯგუფით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სინონიმებისა და შინაარსობრივად მსგავსი სიტყვების ეს დახვავება უბრალოდ სიტყვების თამაში როდია, იგი გონების მოძრაობის სურათს გვიჩვენებს. შეიძლება ნ. კვინიკაძის ფრაზა შევადაროთ ნახევარტონებით შედგენილ აღმავალ გამას, სადაც თითოეულ ნახევარტონს თავისი ფუნქცია აკისრია და წინამავალი ტონის ჟღერადობით არის განპირობებული. ნ. კვინიკაძის ნაწარმოებში არ არსებობს ზედმეტი ფრაზა, ზედმეტი სიტყვა. აქ ყოველი სიტყვა ისე ზის მცირე და დიდ კონტექსტში, ისე თვალსაჩინოდ ემსახურება აზრის გახსნას, რომ შეუძლებელი ხდება მისი ფრაზიდან ამოგდება. ნ. კვინიკაძის სტილის ეს თავისებურება მოითხოვს ამ მწერლის ზუსტად თარგმნას. ხშირად ერთ ფრაზაში საჭირო ხდება ერთმანეთისაგან სულ ოდნავ განსხვავებული შინაარსის გამოძებნა, სადაც თითოეული მათგანი რაღაც ნიუანსს უმატებს ასასახ ობიექტს და საბოლოო აზრის დადასტურებას ემსახურება:

**მოულოდნელად, ჩემგან მაჩცხნივ კახი გაიღო. შუახნის ქაღმა თავი გამოყო და დაიძახა: ამეჩიკები მოგვიანებით, გეჩმანია შემოვიდესო, – ეს იყო მასპინძელ-კომუტატორი ნანიკო, 40-ს გადაცილებული, ხვეული თმითა და კობცად ჩაცმული.**

**Неожиданно слева от меня открылась дверь. Выглянула женщина средних лет и воззвала: америку — позже, Германия пусть заходит, — это была хозяйка коммутатора Нанико. Лет за сорок, с вьющимися волосами, аккуратно одетая.**

**...– ჰეჩაკიღეც ამგკიცებდა, სამყაიხოს ხანძაიხი შთანთქავსო, მაგხამ თვითონ წყადმანკით მოკვდა, – აიცი კი ვიცი, საიდან აღმომხდა, – ეს ხომ ჩემი სიტყვები იყო, მაშინ მივხვდი, როცა ყველას მზეჩა ეხთეხოუდაც მომევედო.**



წამოვწითღდი. იჩაკდომ და ღუღამ, გაოგნებული თვალებით, შიგ გუღში ჩამ-  
ხედეს და, ეჰთი სიგყვით, მათ ჭგუფში გავწევჩიანდი.

...- *И Гераклит доказывал, что мир охвачен пламенем, но сам умер от водянки, — даже не знаю, как это у меня вырвалось, — о том, что это были мои слова, я догадалась, когда заметила, что взоры всех присутствующих обращены на меня. Я покраснела. Ираклий и Дуда изумленными глазами заглянули мне в самую душу, и, одним словом, я стала членом их группы.*

ღუღამ თავი დახაია, ნაფაზი დააჩგყა და ბოღი ცხვიჩიდან გამოუშვა. მეც ვისწავდე დაკვიჩვება და აჩასოღეს დამავიწყება იხ ბოღი, ჩომეღმაც ღუღას მთღიანად დაუფაია სახე... საღღაც დაკაჩგუღს, ჩომეღიც ვეჩაფჩით შეეგუა ასაკის მომაგებას და იხეუ პაგაჩა ბიჭვიით ჩაცმუღი, თავისხე ბეჩაღ უმ-  
ცხოსთან საეჩთოს პოვნას ცღიღობდა.

*Дуда опустил голову, глубоко затянулся и выпустил дым из носа. Я тоже научилась быть внимательной и никогда не забуду этот дым, который полностью скрыл лицо Дуды... Потерянного, который никак не мог смириться со своим возрастом и, одетый как юноша, пытался найти что-то общее с той, которая была намного младше него.*

შესაძლოა, მთარგმნელს ეს ყურადღებიდან გამორჩა, მაგრამ სასურველი იყო წინადადებაში „ჭერაკლიტეც ამტკიცებდა, სამყაროს ხანძარი შთანთქავსო“ ეთარგმნა არა ანმყოთი „И Гераклит доказывал, что мир охвачен пламенем“, არამედ მყოფადის დროით, რადგან აქ აზრობრივადაც მცირე უზუსტობა გამოდის, ჭერაკლიტე იმას ვერ იწინასწარმეტყველებდა და დაამტკიცებდა, რაც არის (ანმყო), მას დამტკიცება და წინასწარმეტყველება აღარ სჭირდება, არამედ იმას, რაც სამომავლოდ მოხდებოდა (მყოფადი) და ასე უნდა გადაეთარგმნა: „**что мир охватит пламя**“, ამავდროულად ეს წინადადება დედნის სრული ადეკვატი იქნებოდა და აზრიც არ დაკ-  
ნინდებოდა. ამდენად, თარგმანში დამოკიდებულ წინადადებებში დროთა აღრევა ზოგჯერ გადაულახავ სემანტიკურ ბარიერებს ქმნის და მეტი სიფრთხილეა საჭირო. მაგრამ, საბედნიეროდ, თარგმანში ეს შემთხვევა გამონაკლისია.

გარდა მუსიკალურ-რიტმული ფუნქციისა, რაც უეჭველად თვით ლაიტმოტივის ბუნებიდან, გამომდინარეობს ლაიტმოტივს მოთხ-  
რობაში „**დისკოს ტრიალი, პარნასუს აპოლოები და ჯექსონები**“ სხვადასხვა სტილისტური ფუნქცია აკისრია. ქვემოთ შევეცდებით

ცხადვყოთ, რამდენად მნიშვნელოვანია თარგმანში ყოველგვარი ტიპის ლაიტმოტივის შენარჩუნება.

**„დისკოს ტრიალი, პარნასუს აპოლოები და ჯექსონებში“** შეიძლება გავარჩიოთ გმირის ფიზიონომიური და ფსიქოლოგიური პორტრეტის შემქმნელი ლაიტმოტივი და ლაიტმოტივი – სიმბოლო. უპირატესად კი მასში ლაიტმოტივი მაინც სახასიათო დეტალის სახით გვევლინება. ამგვარი ლაიტმოტივი პირველივე სტრიქონებში გვხვდება. მაგალითად, **„მთელი გასული კვირის მანძილზე თავს დათოია ჯექსონით ვეხდნობდი, – პედოფილი ძმა რომ ჰყავს, უნიჭო დამ კი სამუდამოდ ჩაუკდა 80-იანელების სულისკვეთება“**. / **„Всю прошлую неделю я чувствовала себя как Латоя Джексон, у которого брат-педофил, а сестра-бездарь навечно погубили дух восьмидесятих“**. როცა დუდას და ირაკლის ენობრივ პორტრეტში უხეში სლენგი წამდაუნუმ და თან დამახინჯებულად მეორდება, ეს უკვე გმირების დამახასიათებელ დეტალად იქცევა; იგი რამდენჯერმე გამეორების შემდეგ ისე ერწყმის პერსონაჟებს, რომ მათ განუყრელ თვისებად აღიქმება. ხსენებული ლაიტმოტივის მეშვეობით ისე ნათლად იხატება დუდას და ირაკლის ხასიათები, რომ ეს პერსონაჟები მკითხველის სიმპათიას იმსახურებენ.

თავისებურად იყენებს ნ. კვინიკაძე ლაიტმოტივის ტექნიკას, როცა ორი პერსონაჟის სულიერ მსგავსებაზე ან ერთის მეორის გავლენაზე სურს გაამახვილოს მკითხველის ყურადღება; ამ ტიპის ლაიტმოტივის მაგალითად გამოდგება დუდას და ირაკლის თანაბარ-ზომადი ფრაზები:

**„ეით სავაჩძედში ჩაკვეტებული იჩაკი და ღუდა მოპიხდაპიხე მხაიეს მჯღომ ოხ ქადბაგონს ესაუბხებოდნენ.**

**– ახლა, ჩვენ ნახევხადსიზმისეუდ მდგომაიეობაში ვაიხთ და ძიიეული ცვიდეებებისთვის ვემზადებით, – თქვა იჩაკიმ მტკიცედ და თავდაჯეხებულად. თან თვადი მოავდო საზოგადოებას. მე ცოცა ნეხვები ამეშადა; ვიფიქიე, ახლა ესენი პოდიგიკაზე საუბაიხს თუ შეუყვნენ, ხოგოი ჩავაკვეხო ეიითი მაიგივი კითხვა: ხოგოი ჩავეწეხო იიგში? გწ, გწ, გწ, – გაისმა ქადების ბაგეებიდან. ზოგმა მაიჯვნივ გადაისხოლა თავი, ზოგმა მაიხცნივ. ხალაც მიუზიკის ესთეტიკის პდასტიკას ჰქონდა ადგილი.**

**– შენ მეგისმეგად დაჩწმუნებული ხაი ხოდმე საკუთაი თავში, – შეეპასუხა ღუდა იჩაკის და თან აღმაცეხად გახედა.**

**იჩაკვიმ საპასუხოდ თმაში ხელი შეუყო და, ვითარცა სოკიატე ფედონს, მხიებზე ჩამოშლივ ვაჩუებს მიეფეხა. თან ჩაიდაპაჩაკა: ოდესმე შევმცდაჩ-ვაჩ?“ და სხვ.**

ამ ლაიტმოტივებით იხატება დუდას და ირაკლის ფსიქოლოგიური პორტრეტები, მათი მიამიტური ხასიათები და გონებაშეზღუდულობაც, სადაც, შეიძლება ითქვას, მწერლის გულთბილი ირონიაც გამოსჭვივის. დუდასა და ირაკლის ერთნაირ განცდებზე მიგვანიშნებს რომანის სხვადასხვა ადგილზე მათი ერთნაირი აღწერილობა დიალოგების გზით. ეს მონაკვეთები ორივე შემთხვევაში სევდიანი განწყობილების შექმნასაც ემსახურება და დუდასა და ირაკლის სულიერ ნათესაობასაც უსვამს ხაზს. თარგმანში ერთი ამოცანაა იმავე განწყობილების აღდგენა, მეორე კი ის, რომ ამოცნობი არ დაგვრჩეს ამ მონაკვეთის ლაიტმოტივის ფუნქცია. თარგმანში ეს ადგილი ასე გადმოიცა:

**„Втиснувшиеся в одно кресло, Ираклий и Дуда беседовали с двумя сидящими напротив женщинами.**

**— Сейчас мы находимся в полусонном состоянии и готовимся к коренным переменам, — сказал Ираклий твердо и убедительно. И обвел глазами присутствующих. Я начинала нервничать; думала, если они теперь увлекутся беседой о политике, то как мне вклинить в разговор один простой вопрос: а как записаться в очередь?**

**— Т-сс, т-сс, — донеслось из женских уст. Кто-то кинулся вправо, кто-то влево. Это была пластика в стиле эстетики мюзиклов.**

**— Ты бываешь излишне самоуверен, — ответил Дуда и бросил на Ираклия неприязненный взгляд.**

**В ответ Ираклий запустил пятерню ему в волосы и, как Сократ Федону, ласково пригладил рассыпавшиеся по плечам пряди. И при этом проговорил: — Я когда-нибудь ошибался?“.**

თხზულების პირველსავე თავებში ლაიტმოტივი ხშირად გამოდის ძლიერად აქცენტირებულ ადგილებზე. ამ საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ ლაიტმოტივები, რომლებიც რომანის მნიშვნელოვან ადგილებზე მეორდება და კიდევ უფრო ამძაფრებს სიტუაციას, ამავე დროს, ეს ლაიტმოტივები ხშირად პერსონაჟის სახასიათო დეტალების როლშიც გვევლინებიან. რამდენად მნიშვნელოვანია ლაიტმოტივის ეს ტიპი და რა აზრობრივი და სტილისმიერი დარ-

ღვევა შეიძლება გამოიწვიოს თარგმანში ასეთი ლაიტმოტივის გამოტოვებამ ან შეცვლილი სახით გადმოცემამ, შეიძლება დავინახოთ ერთ-ერთი ასეთი ლაიტმოტივის განხილვის მაგალითზე, მითუმეტეს, რომ ეს ლაიტმოტივი რეფრენივით გასდევს ყველა დღეს:

**სალამოა. ხოგოხც ბეჰი ჩემი კოდეგა იგყოდა, ხაჭუდი სალამო. ჩაის მივიხთმევთ. ახდა მივხვდი: ჩეხოვის პიესების ინგეხიეხს ჰგავს ეს სახდიც და თითოეული ჩვენგანის სიხცეში განდაგებაც ძალიან ჰგავს ქაითუდ სცენაზე გადაგანიდ ჩეხოვის პიესას: დაძაბუდი ზუხგები, უჭიხიებული შეფასებები.**

**Вечер. Как сказали бы многие из моих коллег, рачинский вечер. Пьем чай. Теперь догадалась: похоже на интерьер пьес Чехова, и этот дом, и расположение каждого из нас в пространстве очень похоже на чеховскую пьесу, перенесенную на грузинскую сцену: напряженные спины, утрированные оценки.**

ეს ნაწარმოები პოსტმოდერნისტული პროზის ნიმუშია. ნაწარმოებში ასახულია XXს-ის 80-90 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები და ომები, რამაც დაღი დააჩნია ახალგაზრდობის ცნობიერებას. ტექსტი, თითქოს სიურეალისტური ბმით გამოირჩევა. ფრაზები ზოგჯერ ბუნდოვანია და ალუზიური. მოთხრობის მთარგმნელი ირინა მოდებაძე, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნეა. იგი, როგორც მკვლევარი, პოსტმოდერნისტური პროზის ნიმუშთა კვლევით არის დაინტერესებული და როგორც მთარგმნელი, ასევე პოსტმოდერნისტული ნაშრომების თარგმნას უფრო ეშურება. იგი, როგორც მთარგმნელი, ცდილობს მიყვეს დედანს და შეძლებისდაგვარად დედნის სტილი და ყველა ნიუანსი გადმოიღოს, თუმცა ეს ყოველთვის ვერ ხერხდება, ამიტომ მას ზოგჯერ მცირეოდენი განმარტება შეაქვს, რაც ვფიქრობთ, დედანს არ ამახინჯებს.

ნესტან-ნენე კვინიკაძის მეორე ნაწარმოები „Lee“ (ვებგვერდის მისამართია [http://lib.ge/body\\_text.php?5390](http://lib.ge/body_text.php?5390)) ასევე პოსტმოდერნისტული პროზის ნიმუშია.

მოთხრობის „Lee“ რუსული თარგმანიც ასევე ეკუთვნის ირინა მოდებაძეს (Дружба Народов, Независимый литературно-художественный и общественно-политический журнал, №9, 2008.).

ოთხი გიაც იყო და ოჩგიაც. ციხისავანგანდუდმინაბუდი კლოუნობში გვიან ანტიკუხი იუდაიზმიც. ხისი თქმა მინდა ამით ქიხისციანულ აღმოსავლეთში დაბადებულ, იბეხიური და კოდხუხი კულტუხების გადაკვეთაზე ჩამოყალიბებულ, კავკასიური გავლენების, ხიდით გაყოფილი ოხი უბნის გზაჯვარედინზე დაღეჟიდი იდეოლოგიის, შინაგანად კი მებხძოდი საზოგადოების წევხს?!  
*Были и оргиу1, и четыре Гуи... Нежнотрансавангарднѳй клоунизм и позднеантичнѳй иудаизм. Что я хочу этим сказать?! Рожденная на христианском востоке; сформировавшаяся на перекрестке иберийской и колхской культур; кавказских влияний; идеологии, выкристаллизовавшейся и осевшей на разделенном мостом перекрестке двух районов, а в душе – член воинственного общества?!*

თარგმანი ზოგჯერ მოითხოვს ახსნას. ამისათვის მთარგმნელი ხშირად მიმართავს სქოლიოს. რადგან სიტყვა სიტყვითი განმარტება ტექსტს უკარგავს მხატვრულ ღირებულებას.

**1 Игра слов: „оргиу“ может быть интерпретировано и как „два Гуи“: от груз. „ору“ – 2.**

აღსანიხნავია, რომ ირინა მოდებამე, წინა თარგმანისგან განსხვავებით, აქ მიმართავს მთარგმნელობით ინოვაციებს. რაც თვალნათლივ ჩანს წინამდებარე ნიმუშში. მთარგმნელი, სიტყვიერად შეიძლება დაშორდა ტექსტს, მაგრამ დაიცვა მხატვრული სინამდვილე.

**თქმა ახა, დაწეხა მინდა! ხამე აღვიდი, ვთქვათ სასიყვარულო წეხიდის, ხადგან ესა ყვედაზე მახცივი ეპისტოდახური ჟანხი, სადაც მხოლოდ სიყვარულია საჭიხი.**

**Не сказать, нет, я хочу написать! Что-нибудь простое, скажем, любовное послание, поскольку это самый простой эпистолярный жанр, для которого нужна лишь любовь.**

პირველი ფრაზის გადმოტანისას მთარგმნელი ცდილობს, ემოცია გააძლიეროს განმეორების მეშვეობით (ის, რაც ქართულ ენაში ისედაც ემოციურ ზეგავლენას ახდენს), რაც არაერთხელ გვხვდება თვით ნენე კვინიკაძის შემოქმედებაში. დედნის ავტორისთვის დამახასიათებელია სიტუაციის განმეორებითი ჩაღრმავება.

**გამაჩუბა, დი! გწეხ ესა და ეს. სიმახთდე ვთქვა, ახ მიყვარხხა, უბხადლოდ, ამ ჟანხში მინდა მოგწეხო. ისედაც ვაპიხებდი, ხოგოხც ჩემს ქვეყანაში სტუმხად ჩამოსუდისთვის, ხოგოხც პიხვედი ავსტხადიედისთვის, ხომედსაც**

**შევხვდი; ჩოგოჩი ინგლისური ენის მასწავლებლისთვის და ჩოგოჩი იმ იშვიათი გამონაკლისი უცხოელისთვის, რომელსაც ასე ძალიან ახ მოეწონა საქაჩთველო.**

***Здравствуй, Ли! Пишу такая-то и такая-то. По правде сказать, я тебя не люблю, просто хочу написать тебе в этом жанре. Я и так собиралась, как гостю моей страны, как первому австралийцу, которого я встретила; как моему учителю английского и как тому редкому исключению из иностранцев, которому так сильно не понравилась Грузия.***

როგორც წინა ტექსტში, დიალოგს აქაც მთავარი ადგილი უჭირავს, რაც სინამდვილეს ცოცხლად წარმოგვიჩენს. მთარგმნელი აქაც მიყვება ავტორს და ზოგჯერ აჭარბებს კიდევ, რითაც საუკეთესო ეფექტს აღწევს.

ავტორიასევე ხშირად მიმართავს მოგონებას. ის სევდით და სიამოვნებით აღწერს თბილისს. და ჩვენ წინ მე-20 საუკუნის 60-იანი წლების თბილისს ცვლის 21-ე საუკუნის ჩვენი თანამედროვე თბილისი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მთარგმნელიც თბილისელია და მისთვის აღწერილი სიტუაციის აღწერა არის არა მარტო დედნის სინამდვილე, არამედ რეალური ცხოვრების სინამდვილე.

**დი, გახსოვს, ცენტრალური ქუჩაზე რომ ვსეიხნობდით და ყველა სადახბაზოსა თუ მაღაზიის შესახებ კომენტაჟები მქონდა? აი, აქ 60-იან წლებში პიჩვებად თბილისის ისტორიაში დიდი ვიციანები ჩასვს, ჩამდენი ადამიანი დაზახადა ამის შედეგად! მიუჩვევედნი და გამოუცდედნი შიგ ვიციანაში დადიოდნენ კაფეში შესასვლელად. შენ გეცინებოდა, ხალაც სიდნუხი უცხოობით. იქ, თქვენთან მტვეხის ფეხიც ხომ უცხო და უჩვეულოა – წითელი... მთები ყოფიდა წითელი და ქაჩიც, შესაბამისად, ამავე ფეხის მტვეხის ატყიანებს ჰაეხში. გზაში მოუდოდელად სახე შეგეცვალა, ხედზე დამქაჩე და მითხაჩი:**

**- ჩა ქიხს ამას... ქაღია?... მათხოვაჩია?**

**- აჩა, ეს ქაღაქის ცნობილი ბომჟია...**

**- ქაღია?**

**- ხო.**

**- აბა წვეხი ჩაგომ აქვს?**

**- დაჩლვეუდი აქვს ფუნქციები... ადბათ.**

**- ნაგავს ჭამს? – აჩ მეშვებოდი.**

**- აჩა, სადლაც ნაგავსაყიებზე მიაქვს, ჩო კითხო ჩად გინდა ეს ნაგავი, გიპასუხებს, ქაღაქს ვადაგებო.**

**შენ თვადები გაგიდიდა და მკითხე: ჩა აზჩი აქვს ამის ცხოვხებასო.**

**- აჩ ვიცი-მეთქი.**

*Ли, помнишь, когда мы гуляли по центральной улице и у меня были комментарии обо всех подъездах и магазинах? Вот тут в 60-е годы, впервые в истории Тбилиси, установили огромные витрины, сколько народу из-за этого пострадало! Непривычные и неопытные, входя в кафе, помились сквозь витрину. Ты смеялся с какой-то сиднейской отчужденностью, там у вас ведь даже цвет пыли иной, непривычный, – красный... Горы, оказывает-ся, красные, вот и ветер носит по воздуху пыль того же цвета. По дороге у тебя неожиданно изменилось выражение лица, ты дернул меня за руку и сказал:*

*– Что это с ней... Это женщина?.. Попрошайка?*

*– Нет, это известная городская бомжиха...*

*– Женщина?*

*– Да.*

*– А почему у нее борода?*

*– Функции нарушены... Наверное.*

*– Ест мусор? – не отставал ты.*

*– Нет, несет куда-то на свалку, если спросить, зачем ей это, ответит, что убирает город.*

*У тебя округлились глаза, и ты спросил: какой, мол, смысл в ее жизни.*

*– Не знаю, – ответила я.*

ავტორი ასევე კარგად იცნობს უცხო ქვეყნის, ამ შემთხვევაში ავსტრალიის, თანამედროვე ყოფისათვის დამახასიათებელ რეალი-ებს და მთარგმნელის შეძლებისდაგვარად ზუსტად გადმოგვცემს რუსულ ენაზე.

*ღი! ხატომღაც ავიჩემე, რომ შენნაიხებს სიყვარული ახ შეუძლიათ. ასე რომ ახ იყო, მოკადატებოდი სიღნეში, ოკეანის პიხას, კანბეხედ გიძედ-თმიან გოგონასთან ეხთად და დედოფლის კაპიხებს აყოდიღს, ინგლისუხ მო-დაზე ჩაცმულს შეუხსნიდი კაბას და ჩაუგოიგოდავებდი გეჭიებს, the body shop-ის ზეთებით დანამუღ სხეულს დაუკოცნიდი და ტანგას, რომედზეც პიხიცესა დი-ანას ფოტოა გამოსახული, თითებზე წამოიცვამდი და მეხე ოჩივენი ეხთად ტანგათი იმას ითამაშებდით, თითებზე თოკს რომ ჭიმავენ, დაუშეღდად რომ უნდა გადავიდეს ხედიდან ხედში. მაგჩამ შენ სხვა ცხოვრება აჩივე, ხეტიადი, ხეტიადი და კიდეუ ეხთხედ ხეტიადი. და ამიტომ ალაჩ იცი, როგოჩი მოდა და ტენდენციაა დღევანდელ ავსტრალიაში. ნიკ ქეივი, კაიდი მინოუგი და მედ გიბ-სონი, – სუღ ესა ხაით.*

*Ли! Я почему-то вбила себе в голову, что такие, как ты, не могут любить. Если бы это было не так, ты осел бы в Сиднее, на берегу океана,*

*вместе с длинноволосой камберийкой и расстегивал бы на следующей капризам королевы и одетой по английской моде девушке ее платье, скатывал бы ей гетры, целовал бы ухоженное маслами из the body shop-а тело и нанизывал бы на пальцы тангу с фотографией принцессы Дианы, а потом вы оба играли бы тангой в эту игру, когда натягивают и переплетают пальцами веревочку, которая должна, не расплетаясь и не путаясь, переходить из рук в руки. Но ты выбрал другую жизнь – бродяжничество, бродяжничество и еще раз бродяжничество. И поэтому я не знаю, какая в сегодняшней Австралии мода и тенденция. Ник Кэйв, Кайли Миноуг и Мел Гибсон, вот и все.*

მთავარი აზრი და მთავარი სათქმელი ავტორის სამშობლო-ლოთან არის დაკავშირებული. აქვე ვგებულობთ, თუ რატომ არ შეუყვარდა მას ლიი, იმიტომ რომ ლიის მისი სამშობლო არ უყვარს.

*თანდათან მივხვდი, ხატომ დავკაიგე შენდამი ინტეხესი, ხატომაც ახ შემიყვარედი, – პოტენციუხად შესაძლებელი ხედუხლებელი დანდშაფტი?! იმიტომ ხომ შეუძლებელია გიყვარდეს ადამიანი, ხომედსაც ასე ძადიან ახ მოსწონს შენი სამშობლო.*

*Постепенно я поняла, почему утратила к тебе интерес. Почему не полюбила, – потенциально, возможно, девственный ландшафт? Потому что невозможно любить человека, которому так сильно не нравится твоя родина.*

ისევე, როგორც წინა თარგმანში, აქაც გვხვდება ზმნასთან დაკავშირებული დროის აღრევა. ავტორი კატეგორიულად აღნიშნავს, რომ უკანასკნელად ბოლომდე ეხმარება უცხოელს, თარგმანის მიხედვით კი ისე ჩანს, რომ იგი მზადაა ლამის სიცოცხლის ბოლომდე დაეხმაროს მას.

*დეხუფანში ვიდექი და ვეწოდი, ხომ მომიახლოვდი: ოდესაში გემით მინდა წასვდა და ხოგოხ უნდა წავიდეო. შენდამი დამოკიდებულებადაკაიგულს მაინც აღმომაჩნდა ძადა, ბოლომდე დაგხმაიებოდი, ხადგან მადე საქაიხოვედოს დატოვებდი და მჯეხა, ახასდროს ჩამოხვად ისევ.*

*Я стояла в коридоре и курила, когда ты подошел ко мне: хочу поплыть на корабле в Одессу, как это сделать. И хотя отношение к тебе у меня и поменялось, я все же нашла в себе силы помочь тебе до конца, потому что скоро ты покидал Грузию и, верю, никогда не приедешь снова.*

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ნაწარმოების ფინალი. ასევე ამ ფინალის მთარგმნელისეული გააზრებაც. და აქვე ვანყდებით მოულოდნელ, სრულიად გაუაზრებელ ლაფსუს, რომელიც ჩვენი



ღრმა რწმენით, მექანიკურია, თუმცა ერთი ასოს შეცვლამ რადიკალურად შეცვალა აზრი.

**ღი! ხომელიმე ქვეყნის სიძუვიდის უფლება, მხოლოდ მისსავე მოქადაქეს აქვს. მეხე კიდე ვიფიქხე და მივხვდი: გახსოვს იმ წვეხოსან ბომჟ ქადზე ხომ მკითხე, ჰა აზხი აქვს იმის ცხოვხებასო... ღი, მე ვიცი, ჰა აზხიც აქვს: ხომ ეხთ დღესაც საკუთაი თავში ის სათნოება იპოვო, ხომელიც შეგაძლებინებს იმ ბომჟთან მნიხვიდე და ხედი მოჰკიდო, მაგხამ, ღიი, მე ჩემში ეს სათნოება ვეი აღმოვაჩინე, თუმცა ყვედაზე ხშიხად ვიმეოხე, ხომ ქხისციანუდ აღმოსავდეთში დავიბადე! ხომ მიმზიდვედად სენსუადუხი ხასის წაჩმომადგენელი ვაი... ხომ საიდუმდო დოჟები და ოხდენები, მსოფდიოში საშინელების სინდხომს თესავენ და ხომ გადის დხო, ძადიან დიდი დხო დახომ „მშვენიეხი ძნე-ღია“...**

**ლი! Право ненавидеть какую-либо страну имеет только ее гражданин. А потом я еще подумала и догадалась: помнишь, когда ты меня спрашивал о той бородатой бомжихе, какой смысл в ее жизни... Ли, я знаю, какой в ней смысл: однажды найти в себе ту добродетель, которая поможет подойти к той бомжихе и прикоснуться к ней... Но, Ли, в себе я эту добродетель не обнаружила. Хотя чаще всего повторяю, что родилась на христианском востоке! Что являюсь представительницей притягательной своей сексуальностью расы... Что тайные логи и ордена сеют в мире синдром ужасного и что проходит время, очень большое время, и что „прекрасное — сложно“..**

საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ, რომ სენსუალური არის გრძნობებსა და შეგრძნებებზე დამყარებული შემეცნებაა, ხოლო სიტყვა სექსუალურს კი არაფერი აქვს ამასთან საერთო.

ნაწარმოებში საგულისხმოა მუსიკალურ-რიტმული მხარე, რომელიც ასე ბუნებრივსა და აუცილებელს ხდის ყოველ ფრაზასა და გადასვლებს ამ ფრაზებს შორის. ამ მიზანს ასევე ემსახურება ფრაზის სტრუქტურული აგებულება, რასაც აზრის უფრო და უფრო დაზუსტებისაკენ მივყავართ.

ირინა მოდებაძე თავის თარგმანში ბუნებრივად იმეორებს დედნის მუსიკალურ-რიტმულ მხარეს და დედნის ფრაზის სტრუქტურულ აგებულებასაც შეძლებისდაგვარად უნარჩუნებს თარგმანს, როცა ამის შესაძლებლობას იძლევა რუსული ენის სინტაქსი.

ჩვენი აზრით, ნესტან-ნენე კვინიკაძის სახით, თანამედროვე ქართულ პროზას საიმედო მწერალი გამოუჩნდა. გარდა უმნიშვნელო ლაფსუსებისა, ირინა მოდებაძის თარგმანი წარმოადგენს ტექსტთან ადეკვატური თარგმანის ყველაზე დაახლოებული თარგმანის ნიმუშს, რაც ასე იშვიათია ქართულიდან რუსულად თარგმნილ პროზაში.

### **ლიტერატურა:**

1. **გაჩეჩილაძე 2014:** გაჩეჩილაძე, გ., მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, მეორე შესწორებული გამოცემა, „უნივერსიტეტის“ გამომცემლობა, თბ.,2014.
2. **ფანჯიკიძე 1988:** ფანჯიკიძე, დ., თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გამომც. „განათლება“, თბ., 1988.
3. **წიბახაშვილი 2000:** წიბახაშვილი, გ., თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ., 2000.
4. **Бархударов 1975:** Бархударов, Л. С., Язык и перевод, изд. "Международные отношения", М., 1975.
5. **Хухуни 1990:** Хухуни, Г. Т., Русская и западноевропейская переводческая мысль, изд. "Мецниереба", Тб.,1990.
6. **Квиникадзе 2008:** Квиникадзе, Н., "Вращение диска, Аполло Парнасус и Джексоны" (Перевод с грузинского Ирины Модебадзе): ж. "Дружба народов", № 9, Тб., 2008, стр.4- 10.
7. **Квиникадзе 2008:** Квиникадзе, Н., "Lee" (Перевод с грузинского Ирины Модевадзе) : ж. "Дружба народов", № 9, Тб., 2008, стр. 18- 23.

### **ინტერნეტრესურსები:**

1. <http://lib.ge/body text.php?5390>  
კვინიკაძე, ნ., "დისკოს ტრიალი, პარნასუს აპოლოები და ჯექსონები":
2. <http://lib.ge/body text.php?5390>  
კვინიკაძე, ნ., "Lee"

**Nino Meskhi**

## **Nestan-Nene Kvinikadze's storytelling style and the difficulties of maintaining it in translation**

### **S u m m a r y**

Researching Georgian prose and poetry and its translation into foreign languages considering its fictional and linguistic peculiarities has a long history. Working about this kind of problem is always of immediate interest in any period of time. Different foreign languages, in our case - Russian, can contribute a lot to make Georgian prose and poetry popular, because of this, researching the given issue and systematic approach to solving this problem means a lot to the translator.

In this article, different ways of literary translation from Georgian to the Russian language are shown, together with its practical and theoretical approaches, more precisely, this article shows the problems of the certainty of the original text, acceptable and unacceptable formalism, semasiology and the difficulties of the translation itself.

The article shows us the difficulties of translation of Georgian poetry into Russian. The research is done according to two short stories by Nestan-Nene Kvinikadze's "The Rotating Disc, Parnassus Apollos and The Jacksons" and "Lee"; Translations are performed by Irina Modebadze. Despite the differences between genres and times, they create paradigmatic relations and enable us to come to certain generalizable conclusions.

The theory of translation creates the circle of difficulties in translation and this is revealed on the basis of disciplines which we are going to talk about below. It doesn't represent any borrowed theoretical provisions and the methods of research. The literal translation is connected to the fundamental study of philology. In the process of translation, while researching creative problems, the results will be common to any translation, whereas the problems and difficulties connected to the technique of translation, which usually arouses during the process of translation, belong to the private field of translation.

It is known for everyone that the real problem while translating is the existing worldwide differences between the languages. At the same time, if there weren't any dialectal differences between languages, then there would not be any translations. But the language has an ability of modification, despite the fact

that any word or phrase has a different semantic group; Syntactic structure and the order of words is different; Phraseological and Idiomatic expression can create any kind of difficulties, however the translator should know the language quite well, otherwise he/she would not be able to cope with real situations described in a text.

In the original text, the author describes reality (the subjective reality of the artist), he shows what is seen by him and the translator sees everything this from his own point of view. It is not in crude form, but it is saturated with the literary devices. Consequently, it is very complicated for a translator to do the job because of the writer's own approaches and difficulties which are so difficult to interpret. It is worth to distinguish the fictional and real reality. It is known, that the meaning of the literary work is to understand its purpose and how to convert it into the translation. Literary work should make a real impression on the reader. Hence, for a translator it is crucial to maintain the subjective attitude of the author in translation. The translator has his own author, who created his own reality, by combining the plot and the form of the novel. In this case, on the one hand, we see that the translator is not interested in the author's attitude towards reality, but, on the other hand, for a translator it is important to like the subjective opinion of the author, which might not even be satisfactory for a translator.

Finally, we can say that, in the long process of translation the two cultures meet each other with their own peculiarities, with their own literary traditions, sometimes even absolutely different concepts. Considering all of these differences, translation does not mean translating the text word-by-word. The precision of translation cannot be used as the criteria of the assessment of translation - dynamic equivalency is more significant between the original and translation language than formal similarities, which means the enlargement of the concept and the information of the original text and the existence of dynamic relationship among the readers of the text.

## ეკატერინე მიხელიძე

### **მოჩვენებითი სულიერება - ნილაბი თუ თავშესაფარი არსებობისთვის? (დავით კლდიაშვილის ორი მოთხრობის მიხედვით)**

მათეს სახარების მიხედვით, ფარისევლობა და თვალთმაქცობა არის სხვების დასანახად სიკეთისქმნადობა (ბიბლია 2013: 794), სხვათათვის თავის მოსაჩვენებლად ლოცვა (ბიბლია 2013:794), სიტყვის თქმა და მისი შეუსრულებლობა (ბიბლია 2013:810), ყველანაირი საქმის კეთება სხვებისთვის შესამჩნევად და თვალში საცემად (ბიბლია 2013:810), წვეულებებსა თუ თავშეყრის ადგილებში წინა რიგებში ჯდომა, საიდანაც უფრო კარგად გამოჩნდება და შესამჩნევი იქნება ადამიანი (ბიბლია 2013:810).

მაშასადამე, ფარისევლობა, თვალთმაქცობა, მოჩვენებითობა (სხვების მოსაჩვენებლად ცხოვრება), ნილაბაფარებული არსებობა, სარგებელის მიღების მიზნით რაიმესკეთება ღვთისთვის სათნო ქცევა არ არის; პირმოთნეობისა და ორგულობის ნიშანია არა მხოლოდ ქრისტიანული, არამედ თანამედროვე, ასე ვთქვათ, ყოფითი გაგებითაც.

როგორ ეხმიანება მოჩვენებითი სულიერების თემას დავით კლდიაშვილის შემოქმედება?! როგორ იქცევიან და როგორ ცხოვრობენ მისი გმირები, ჩანს თუ არა მათ ფიქრსა და ქმედებაში თვალთმაქცობა?! ამ კუთხით მეტად საინტერესოა მწერლის ორი მოთხრობა („სოლომონ მორბელაძე“, „ქამუშაძის გაჭირვება“) და მათი გმირები: სოლომონი, ეკვირინე, პორფირ ბიაშვილი და ბეგლარ ჭინჭარაძე.

სოლომონი გაღარიბებული აზნაური გახლავთ. თავზე პატარა ქუდი ახურავს, მხარზე ყაბალახი აქვს მოგდებული და მოჩაქჩაქე ჯორით დადის ოჯახ-ოჯახ, რათა ორი კაპიკი სამაშვლო აიღოს და ვალები გაისტუმროს. სოლომონის ამპარტავნული აზრით, აზნაურიშვილს თოხი და მიწაზე მუშაობა არ ეკადრება. ამიტომაც, შრომას და მიწასთან გულწრფელ ურთიერთობას მაშვლობაარჩია გალა-

რიბებულმა და ვალებში ჩაფლულმა აზნაურმა და ამ გადანყვეტილებით იმთავითვე შეესისხლხორცა ისეთ მავნე ჩვევას, როგორიცაა ტყუილი.

მოგეხსენებათ, მაჭანკლობა გარკვეულ თანხებთან (ე.წ. სამზითვოსთან) იყო დაკავშირებული. სოლომონის თქმით, უმზითვო ქალს ხელს არავინ მოჰკიდებდა და რაც უფრო მოქნილი გახლდათ მაშვალი, მით მეტი გასამრჯელო ეძლეოდა. ამ აზრით გულმოცემული სოლომონი დარწმუნებით აიმედებს მევალე პლატონს და ფულის მალე გასტუმრებას ჰპირდება: „მალე მოვიშორებ თავიდან შენს ვალს... ცოტა ფეხის გადადგმა შემეზარა, თვარა ფულს ვერ ვიშოვიდი მე?!“ (კლდიაშვილი 1987:31) თუმცა თავად არ სჯერა სოლომონს საკუთარი სიტყვებისა, ეჭვი ეპარება, მაგრამ იძულებულია, მევალე დაააჯეროს თავის მოჩვენებით გულწრფელობაში. კეთილისმსურველობის გამოსავლენად შინაც შეიპატიჟებს პლატონს, ამაზე ავტორი დასძენს: სოლომონმა იმერული ჩვეულება იცოდა და ფიქრობდა, ერთი-ორი შეპატიჟებით სტუმარი როგორ დარჩებაო. მოჩვენებითი სტუმართმოყვარეობის გამო ცოლისგან უკმეხად ნათქვამსაც დაიმსახურებს, კუდაბზიკა ხარ, რა გაგაჩნდა მისართმევი, რომ ეპატიჟებოდიო; საყვედურობს, წანწალს უნდებოო ტყუილებრალოდ.მაშასადამე, როგორც აკაკი ბაქრაძე წერს: ეს „თავაზიანობა, სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა, მოჩვენებითია ყველაფერი...“ (ბაქრაძე 2004:154)

რა აიძულებთ კლდიაშვილის გმირებს (ამ შემთხვევაში სოლომონს), რომ იცრუნონ და ითვალთმაქცონ?ტყუილი და პირფერობა სინამდვილეში ხომ ადამიანის სულის მეტად მძიმე მდგომარეობაა? რასაკვირველია, თვითგადარჩენის სურვილი, არსებობისათვის ბრძოლა; რაც არა მხოლოდ რამდენადმე ამართლებს მათ არაგულწრფელ საქციელს, არამედ შესაბრალისსაც ხდის მათ ცხოვრებას.

სოლომონი არ ჰკავს მედროვე აზნაურს, როგორც ეს გოგოლის „მკვდარ სულებშია“ ჩიჩიკოვის მაგალითზე. სოლომონი არ არის ისეთი გაიძვერა, როგორცჩიჩიკოვი. ეს უკანასკნელი ხომ „დიდი თაღლითი ვინმეა“ (გოგოლი 1937) და ისეთივე ჭუჭყიანი სულის პატრონი, როგორც ის ქვეშაგები, „ბლინივით დაზეპილი და ბრტყელი“ (გოგოლი 1937), რომელიც „ტრაქტირის“ მეპატრონემ დაუგო ღამის

გასათევად დუქანში შეჩერებულს. მას ხომ მხოლოდ ჩემოდანი აქვს შეძლებისდგვარად თეთრი – ბევრი მგზავრობისგან გაცვეთილი, სულს კი სითეთრისა არაფერი სცხია. შემორჩენილი აქვს თაღლითობითა და მკვდარი სულების შესყიდვით ნაშოვნი მემამულის, აზნურის ჩინი და ამიტომ ხაზგასმით, გულბრყვილო ადამიანებთან შეფარვით მოწყობილი თითოეული დაკითხვის შემდეგ, საიდანაც სათავისო ლუკმას ეძებს ყოველთვის, საგულდაგულოდ ტოვებს წარწერას: „კოლეჟსკი სოვეტნიკი პაველ ივანოვიჩ ჩიჩიკოვი, მემამულე, პირადი საქმეებისათვის ჩამოსული“ (გოგოლი 1937). ჩიჩიკოვს, სოლომონისაგან განსხვავებით, არც კუჭი აქვს გაფშევილი, ნაირნირებს მიირთმევს. თუმცა ერთია: ისიც სოლომონივით დაწანწალებს. მხოლოდ სამოქმედო ასპარეზი აქვს გაცილებით ფართო: „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ თავშეყრის ადგილები. მოქნილობითაც სჯობს სოლომონს. ხელისუფლებთან საუბრის დროსდიდი ოსტატობით ახერხებს თითოეული მათგანის გულის მოგებას. ხოტბას ასხამს მათ, ხოლო საკუთარ თავზე ისე ბუნდოვნად საუბრობს, თავშეკავებული და თავმდაბალი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს.

გმირები სხვადასხვაგვარად ცდილობენ თვითგადარჩენას. სოლომონი წვალობს, რომ ვალი გაისტუროს და მაშვლობას ამიტომაც იწყებს; პორფირ ბიაშვილი და ჩიჩიკოვი კი საცხოვრებელი ადგილების შერჩევით არიან გატაცებულნი დაამიტომ დაძრწიან: პორფირი – სოფელ-სოფელ. ჩიჩიკოვი – ქუჩა-ქუჩა, ქალაქიდან ქალაქში, დარბაზ-დარბაზ, სახლიდან სახლში, გუბერნატორიდან პოლიცმაისტერამდე. ყველაფერში ერკვევა (მოჩვენებითად!) და თქვენ წარმოიდგინეთ, სათნოებაშიც! „სათნოებაზე ჩამოვარდებოდა მუსაიფი, სათნოებაზეც ძალიან კარგად მსჯელობდა ისე, რომ ცრემლიც კი მოერეოდა თვალზე“ (გოგოლი 1937). ერთი სიტყვით, გოგოლის ჩიჩიკოვთან შედარებით, კლდიაშვილის სოლომონ მორბელაძე ნამდვილი ანგელოზია – ბევრად გულწრფელი, გამოუცდელი, ნაკლებად სულშერყვნილი და რაც მეტად საგულისხმოა, გაჭირვებული და უმწეო მდგომარეობაში მყოფი. მაშასადამე, სოლომონი ცრუობს იმითომ, რომ უჭირს, გაჭირვებულია. მას მარტოსულობისთვისაც კი არ სცალია ჩეხოვის გაღატაკებული აზნაურებისგან განსხვავებით, მართებულად შენიშნავს ბეჟან ბარდაველიძე (ბარდაველიძე 1986:

150). თუმცა ქაიხოსრო ქათამაძის ვითომ იუმორით ნათქვამი – „მელა ხარ, მელა“ (კლდიაშვილი 1987:58) – სოლომონის გაიძვერობაზე მეტყველებს, მაგრამ ამ უკანასკნელში შიში უფროა ჩაბუდებული, ვიდრე ვინმეს მოტყუების სურვილი. შიში ათვალთმაქცებს და ატყუებინებს, შიში შიმშილის, გაუსტუმრებელი ვალების, თითოეული სიტყვის, მცირე ეჭვისგან გულში გაღებული ჩქამისაც კი. გავიხსენოთ, რა გრძნობამ შეიპყრო სოლომონი, როცა ბესარიონ საქარაძისგან სიტყვა „მარა“ მოისმინა („სასიამოვნოა, სოლომონ ჩემო, მარა...“ (კლდიაშვილი 1987:40)): სამაშვლოს დაკარგვის შიშმა, ეჭვის გრძნობამ, ვაითუ ბესარიონმა მზითვის მიცემა გადაიფიქროსო. საბრალოა სოლომონი, რომელიც იძულებულია, იცრუოს და ეს სიბრაღული განსაკუთრებით ძლიერია მაშინ, როცა ბესარიონთან სამაშვლოზე მოსალაპარაკებლად მისულ მაჭანკალს მასპინძელი უარს ეუბნება მზითვის მიცემაზე იმ შემთხვევაში, ფასს თუ არ დაუკლებენ. უარით მოსხლეტილი და ძალაგამოღებული სოლომონი, ის სოლომონი, რომელიც ძალღივით დანანნალებს და იძულებულია, იცრუოს, ტანჯვით ეუბნება ბესარიონს: „რალაზე მარბენინებდი, შე დალოცვილო, ამდენ ხანს? მუცელში ნალველი ჩამექცა, გული გამისივდა ამდენი წანწალით, თავი გამისკდა გაუთავებელი ლაპარაკით“ (კლდიაშვილი 1987:43). თავის მხრივ, არც ბესარიონს აქვს სამაშვლო ფული, მაგრამ ქალიშვილის გათხოვება რომ სურს? ამიტომ არ ამჟღავნებს, რომ ასი მანეთი აკლდება; იტყუება და ხმას არ იღებს, როცა სამაშვლოდაკარგული სოლომონი საყვედურებით ავსებს.

იძულებითი ტყუილი და პირფერობა კლდიაშვილის გმირთა არასასურველი როლია, სამწუხაროდ. ისინი შორს არიან გულწრფელი სულიერებისაგან. როგორც აკაკი ბაქრაძე შენიშნავს, ამპარტავნება აიძულებსმათ, ჯერ იცრუონ, მერე კი თავმოყვარეობა დაკარგონ (ბაქრაძე 2004:555).

გარკვეულწილად უხერხულიცაა ფარისევლობისა და თვალთმაქცობის თემაზე საუბარი იმ საზოგადოებაში, სადაც ადამიანებს უჭირთ, „ადამიანები ითხოვენ შველას, ადამიანები ითხოვენ სიბრაღულს, თანაგრძნობას, სიყვარულს, ნდობას“ (ბარდაველიძე 1986:149). კლდიაშვილის მოთხრობების პერსონაჟები დაცლილნი არიან



ყოველგვარი ადამიანური გრძნობებისაგან, მათი სული გაუხეშებულია, გამწარებული... რაზეც მეტყველებს მორბელადის განწირულად ნათქვამი: „მოვატყუე, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ“ (კლდიაშვილი 1987:67).

სოლომონმა ვერ დაუბრუნა შეპირებული ვალი პლატონს, რადგან: ბესარიონ საქარაძისა და ქაიხოსრო ქათამაძის ოჯახებს შორის საქმე ვერ მოარიგა.

ქაიხოსრო ქათამაძის ვაჟი, სასიძო ნიკო („სოლომონ მორბელადენ)აზნაური არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ეკლესიის მსახურია, სასულიერო წრეში ტრიალებს; ეპისკოპოსი მის მღვდლად კურთხევას აპირებს, შემდეგ დიდმრევლიან ეკლესიაში გამწესებას და შემდეგ საკუთარ სოფელში გადაყვანას. ამიტომ აჩქარებენ ცოლის შერთვას. და აქ ჩნდება კიდევ ერთი ახალი შტრიხი მოჩვენებითი სულიერებისა. ნიკო კი არის მორიდებული ყმანვილი, მაგრამ მის მიერ არჩეულ ღვთისთვის სათნო გზას იმიტომ კი არ იწონებენ გარშემომყოფები, რომ ეს მათი სულის მოთხოვნილებაა სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად, არამედ სილატაკეს რომ გაუმკლავდნენ და თავი გადაირჩინონ. „დღევანდელ მღვდლებს უზრუნველი ლუკმა რომ აქვთ, ბევრ თავადიშვილს არ აქვსო“, – ამბობს ავტორი (კლდიაშვილი 1987:40). ცხადად ჩანს, რომ ნიკოქათამაძემდენადაა სასურველი სასიძო, რამდენადაც მასთან ასოცირდება „უზრუნველი ცხოვრება და გამოუღვეველი ლუკმა-პური“.

პორფირ ბიაშვილს – „ქამუშაძის გაჭირვების“ პერსონაჟს ბევრი რამ აქვს საერთო და საოცრად ჰგავსგაიძვერა, მაგრამ ნიჭიერი ჩიჩიკოვს. პორფირისოფლიდან გაქცეული ღარიბი აზნაურის შვილია – ხრიკების სპეციალისტი, რათა საარსებო წყარო მოიპოვოს. პორფირმა სოფლებში ვექილობა (ადვოკატობა) დაიწყო და შეიქმნა შუმავალი ქალაქის ადვოკატებსა და სოფლელებს შორის. როგორც ავტორი ამბობს: „მუდამ ჰყავდა თითო სოფელი „საჭმელად“ (კლდიაშვილი 1987:169). როგორც კი რომელიმე ქალაქის ადვოკატს სახელი შეურცხვებოდა და ხელი შეეშლებოდა საქმის მოსაგვარებლად, პორფირი ტოვებდა სამოქმედო ადგილს-სოფელს და სხვა სოფელში გადაინაცვლებდა სარჩოს მოსაპოვებლად.

ჩიჩიკოვის მსგავსად, პორფირიც იოლად აცურებდა ადამიანებს და მარტივად მოიპოვებდა მათ კეთილგანწყობასა და ნდობას. სხვათა წარმოდგენით, ჩიჩიკოვი ხომ კეთილმზრახველი კაცი იყო, საქმის კაცი, ნასწავლი კაცი, მცოდნე და პატივსაცემი კაცი, ღირსეული და თავაზიანი, რომელიც კანონის წინაშე მუნჯდება. სინამდვილეში ეს გარეგნობით სავსებით წესური ადამიანიყალბი ასიგნაციების მკეთებელია. ჩიჩიკოვსაც უამრავი ხალხი ჰყავს მოტყუებული – მასწავლებელი, კანცელარიის უფროსი, უკვე ხელმოკლეობის გზაზე დამგარი მემამულეები; თან ისეთ აზნაურებს ეძებს სახრავად, რომლებიც ისედაც შეცბუნებულები არიან თავიანთი ხელმოკლეობითა და განსაცდელებით – ჭირი, სახადი და ათასი რამ და ჰაერივით სჭირდებათ ფული. მათგან უფრო მარტივად ახერხებს მკვდარი ყმაგლეხების ყიდვას, რათა მათი რიცხოვნობის წყალობით აზნაურის სახელი განიმტკიცოს. თუ მოჰკითხავენ, აბა, გვიჩვენე შენი ყმებიო, სასაფლაოზე მიუთითებს, სახადმა განყვიტა და აგერ წვანანო.

ბიაშვილიც – ვისაც ხელში ჩაიგდებდა, ბოლომდე გააძრობდა ტყავს, როგორც იტყვიან, არ დაინდობდა, ვიდრე ეს უკანასკნელი არ მიხვდებოდა მის გაიძვერობასა და თაღლითობას. ბევრმა იცოდა მისიორპირობისა და გაუტანლობის ამბავი, ვიღაცებს გაულახავთ კიდეც ორპირობის გამო (სხვათა შორის, ჩიჩიკოვიც სცემეს), მაგრამ ის უდრტვინველად და ქლესურად მოცინარე სახით განაგრძობდა ქმედებას; „ხან ტყუოდა, ხან ტრაბახობდა“ (კლდიაშვილი 1987:183). ასე მიაღწია ქამუშაძეების ოჯახამდე, მაგრამ არა როგორც ადვოკატმა, არამედ როგორც მაშვალმა და ვითომ შორეულმა ნათესავმა. ბიაშვილმა ოტია ქამუშაძეს გაურიგა ქალაქელი ქალი, სონია ჯინჭარაძე.

სონიას შესვლამ ქამუშაძეების ოჯახში ვითარება შეცვალა. ახლა უკვე ეკვირინეს (ოტიას დედას) თვალთმაქცობის დრო დადგა. თავი უნდა მოეჩვენებინა და მოეწონებინა კიდეც რძლისთვის. მოსამსახურე გოგო აუყვანა ერთი თვით, ცარიელი ჭურები აჩვენა, რომელიც წინა წელს თურმე „სავსე“ იყო ღვინით, სასიმიინდე უჩვენა, ვითომ სავსე, მაგრამ „არ ჩაახედვინა რძალს სასიმიინდეში“ (კლდიაშვილი 1987:213). ვენახიც დაანახა და წართმეული მიწის ნაჭერიც. რძალი მიუხვდა ეკვირინეს, რომ „გაბერვით ლაპარაკობდაო“.

სწყინდა, „რადგან მასში ხედავდა დედამთილის განზრახვას, მოეტყუებინაო იგი“ (კლდიაშვილი 1987:214).

ეკვირინე თავის ახალმოყვანილ რძალს (სონიას) ეუბნება: „ხალხს ისეთი უნდა ეჩვენო, შვილო, რომ მტერს თვალი დაუდგეს, გული მოუკლა და ენა მუცელში ჩაუგდო. ძალათი, რომ არ უნდოდეს, მაინც ათქმევინო შენი თავის ქებაო“ (კლდიაშვილი 1987:28).

ეკვირინეს „ფარისევლობა, ამ შემთხვევაშიც, ემყარება ამპარტავნებასა და პატივმოყვარეობას. ეკვირინეს თავისი რძალი საყდარში მიჰყავს წირვაზე, სადაც ხალხის დასანახად გულმხურვალედ ლოცულობს. „რამდენჯერმე მეტანია გააკეთა და გულმოდგინედ პირჯვარს ისახავდა, თითქოს ამით უნდოდა ყველასთვის დაენახებინა, უფალს მადლობას ვწირავ იმისათვის, რომ ასეთი კარგი რძალი შემახვედრაო“. ასეთ ადამიანს მკაცრად ვერ უწოდებ ფარისევლს, მაგრამ მოჩვენებითობა ნამდვილად ღრმად არის გამჭდარი მის ფსიქიკაში. თუმცა დავით კლდიაშვილს თავისი პერსონაჟების ფარისევლობა მათ მიმართ სიბრალულში გადააქვს. ისინი სიბრალულს უფრო იმსახურებენ, ვიდრე გაკიცხვას.“ (ჩხარტიშვილი 2006:13)

ქამუშაძეების რძლის, სონიას ძმა არაფრით ჰგავს თავის სიძე ოტიას წესიერებასა და თავშეკავებულობაში. როგორია ბეგლარ ჯინჭარაძე? – ისიც გაიძვერა და ორპირია. მუდამ ხალხში ტრიალებს და თავს გულწრფელ ადამიანად აჩვენებს ეშმაკი, ცბიერი და ეგოისტი, „რომლის მიმართ მკითხველი, ალბათ, ნაკლებად მიმტევებელია. ბეგლარ ჯინჭარაძე „ცხოვრებისთვის საკმაოდ მომზადებული იყო... მისი ნამდვილი აზრი, შეხედულება, ფიქრი ამა თუ იმ საქმის, პირის შესახებ არავინ იცოდაო“, – ამბობს მწერალი. გამოდის, რომ ბეგლარი არ არის გულწრფელი, შენიღბული და დამალულია. თუმცა საკვირველი მოხერხებით შეუძლია ეს შენიღბვა და ხალხისთვის თავის გულწრფელ ადამიანად მოჩვენება. არავინ იცოდა და ვერავის გაეგო მისი ნადილი, თუ რა სურდა. იგი „უგულოდ ეპყრობოდა ყველაფერს, რისგანაც რამე სარგებელს არ გამოელოდაო... კაცს აფასებდა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად მისგან რამე უსარგებელია“. ბეგლარი თავის დანიშნულ საცოლეს

მიატოვებს, რადგან უმზითვოა. ამ პერსონაჟს ნამდვილად შეიძლება ეწოდოს „ფარისეველთა საფუარით გამომცხვარი“ (ჩხარტიშვილი 2006:13).

დავით კლდიაშვილის თანადროული საზოგადოება ვერ ვიტყვით, რომ ახლოს იყოს ქრისტიანულ ზნეობასა და სახარებისეულ სწავლებებთან, მაგრამ მწერალი აშკარად ახერხებს იმას, რომ გვიჩვენოს და დაგვარწმუნოს, რომ ფარისევლობა და თვალთმაქცობა ადამიანის დამღუპველი სენია. ამპარტავნებამ აიძულა სოლომონიც, პორფირიც და ბეგლარიც. რომ ეთვალთმაქცათ და თავიანთი სიყალბითა და ტყუილებით გადაერჩინათ თავი. კეთილშობილების ნილაბაფარებულებმა სხვა, უფრო ღირსეული და სწორი გზა ვერ ნახეს.

კლდიაშვილმა სამხედრო პირისათვის ჩვეული სიზუსტით გადმოგვცა იმერელ აზნაურთა „ისტორიულად ჩამოყალიბებული“ (ბარდაველიძე 1986:63), „იმერული ხასიათის მოდელში“ ჩამჭდარი (ბარდაველიძე 1986:67) ზნე და ხასიათი – ზრდილობიანი, „ერთობ გადაპრანჭული“, ზოგჯერ ფრთხილი, ეჭვიანი, ხანაც კი ცბიერი, ნილბიანი, არტისტული და კუდაბზიკა; ამავედროულად, „შემუსვრილი იმედითა“ და „საერთო გაჭირვებით“ (ბარდაველიძე 1986:151) საკვებრივი სიამაყის გრძნობით (ბარდაველიძე 1986:63, 168).

გადარიბებულ აზნაურთა სიცრუეზე, ფარისევლობაზე, ტრაბახსა და ცხოვრებისეულ ნილაბზე მიუთითებს ასევე კლდიაშვილის შემოქმედების მეტად საინტერესო და დაკვირვებულმკვლევარი, მაკა ჯოხაძე, რომელიც შენიშნავს, რომ „ნილაბი გახდა შემოდგომის აზნაურთა, ზოგადად, დავით კლდიაშვილის გმირთა თავშესაფარი. ამ ნილაბში მათ მოაქციეს თავიანთი არტისტიზმიც, თამაშიც და გადარჩენის გზაც“. (ჩხარტიშვილი 2006:12) და მართლაც, „ნილაბი ანუ მოჩვენებითობა დავით კლდიაშვილის გმირებისთვის არსებობის შიშით გამოწვეული თავდაცვის საშუალებაა. გადარჩენისა და თვითდამკვიდრების სურვილით არის განპირობებული მათი ფარისევლობა და თვალთმაქცობა“. (ჩხარტიშვილი 2006: 12) იმავედროულად, მწერალს სწორედაც რომ სრული უფლება ჰქონდა, ეთქვა: „სულს მიხედეთ, ბატონებო, სულს“, რაც ეპოქისთვის აქტუალურ გამოძახილად იქცა დღევანდელ, XXI საუკუნის საქართველოშიც.

გვარიშვილობის ნილაბაფარებული იმერელი აზნაურების ყოფა კლდიაშვილის მოთხრობების მთავარი და ტკივილიანი თემაა. როგორც თავად მწერალი აერთიანებს თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ორ საუკუნეს (XIX-XX), ასე მისი გმირებიც კვლავ ცოცხლობენ და მყოფობენ დღესაც, 21-ე საუკუნის თითქმისშუაგზაზე, სადაც თითქოს ისევ „მითოხარიკობს“ პლატონის გაძვალტყავებული ცხენი, ისევ „დანანწალებს“ მაშვალ სოლომანი და ვინ მოსთვლის, რამდენი მოტყუებული თუ მოსატყუებელი ადამიანი. კლდიაშვილის პერსონაჟები ველარ იტევენ ეპოქას თავის თავში და გადაჰყვებიან საუკუნეებს, დროს, როცა ტექნიკის უახლესი მიღწევებიც ვერ შლის მათ უკვდავ და ცხოველ სახეებს.

### **ლიტერატურა:**

**ბიბლია, 2013:** ბიბლია. თბილისი. 2013.

**ბარდაველიძე, ბ. 1986:** ბარდაველიძე, ბ. *ღავით კდღიაშვიდი*. თბილისი, 1986.

**ბაქრაძე, ა. 2004:** ბაქრაძე, ა. *თხზულებანი*, ტ.2. თბილისი. 2004.

**გოგოლი, ნ. 1937:** გოგოლი, ნ. *მკვდახი სუღები* (თარგმანი ღავით კასრადისა), თბილისი. 1937.

**კლდიაშვილი, დ. 1987:** კლდიაშვილი, დ. *სამი მოთხრობა*. თბილისი, 1987.

**ჯოხაძე, მ. 1995:** ჯოხაძე, მ. *ჩემი ღავით კდღიაშვიდი*. თბილისი. 1995.

**ჩხარტიშვილი, ლ. 2006:** ჩხარტიშვილი, ლ. *სუღს მიხეღეთ, ბაგონებო, სუღს!* (ინგეჰვიუ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ მაია ნინიძესთან და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ ეკატერინე მიხელიძესთან). ჟურნ. „კარიბჭე“, №9(44), 5-18 მაისი. თბილისი. 2006.

## **Ekaterine Mikhelidze**

### **Pseudo-Spirituality –Disguise or sheltering one’s existence? (According to Davit Kldiashvili’s two stories)**

Hypocrisy, insincerity, living under the disguise of an honest person and acting only for one’s well-being, is not the virtuous kind of path which God is guiding the humanity through; the way of living, mentioned above, is the sign of deviousness and untruthfulness, none of which are justified neither in Christian nor in material, unreligious understanding of moral life.

The question is, how does Davit Kldiashvili's work reflect the issue of pseudo-spirituality. How do the characters act and live? Do they have the sinful quality of dishonesty inside them? The two stories where the most accurate answers lie, are "Solomon Morbeladze" and "Hardships of Kamushadze".

What forces the characters of Kldiashvili's stories to be insincere? Is untruthfulness not one of the worst sins one could commit? At some level, the urge for survival and struggling for existence justify the wrong way of living, but at the same time, this is what makes their life miserable.

The society, which Davit Kldiashvili lived in, was surely not the best representation of what Christianity preaches and what we read in the Gospel. However, the author reaches his goal to show how destructive dishonesty can be.

The author's statement that humans should seek the purest way of living successfully finds its place in the present, XXI century Georgia.

## ივანე მჭედელაძე

### ანდერგრაუნდის კულტურა, კარნავალური კიჩი და პოსტკოლონიური პერსპექტივა: "რეაქტიული კლუბი" და "ბუ-ბა-ბუ"

გარდამავალი პერიოდის ქართულ და უკრაინულ კულტურულ რეალობაში ვხვდებით პოსტსაბჭოთა ფენომენის ე.წ. ანდერგრაუნდ/ალტერნატიული კულტურის გამოვლინებას, რომელიც სწორედ პოსტკოლონიურ პერსპექტივას ემნიშვნება. „თუკი ისმის კითხვა, საბჭოთა პერიოდის რომელი კულტურული სივრცე აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი პოსტსაბჭოთა პერიოდში, ამგვარი თვალსაზრისით გამოირჩევა ალტერნატიული კულტურა, რომლის იდენტიფიკაციისათვის ვეღარ გამოვიყენებთ ალტერნატიულობის ნიშანს, რადგან თანდათან თავად ხდება დომინანტური“ (ნიფურია, 2016:86).

ირაკლი ჩარკვიანი, როგორც ალტერნატიული კულტურის სიმბოლო, თავისი დროის აუდიტორიისთვის უმეტეს შემთხვევაში მიუღებელი პერფორმანსებით საზოგადოების ცნობიერებაში გარდატეხის მოხდენას ცდილობდა. ირაკლი ჩარკვიანი (მეფე) მართლაც აღმოჩნდა ის ფენომენი, რომელმაც, დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, „დროს გაუსწრო“ და თანამედროვეობა მოამზადა ესთეტიკური სიახლეებისთვის. გარდამავალი პერიოდის საქართველოში ისევე, როგორც თითქმის სხვა ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, პროცესები კრიზისულობით აღინიშნება. საქართველოში საოცნებო თავისუფლების მოპოვება განსაკუთრებულად ტრავმული აღმოჩნდა. სამოქალაქო და ეთნიკური კონფლიქტები, დაკარგული ტერიტორიები და უმძიმესი ეკონომიკური სიტუაცია ჯერ კიდევ ახალბედა ქართული სახელმწიფოსთვის სრულიად დამანგრეველი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი მძაფრი ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესები უკრაინაში არ განვითარებულა, რამაც გარდამავალ საზოგადოებაში სხვა ტიპის კრიზისი, კერძოდ, მენტალური ცვლილებებისადმი სტაგნაცია გამოიწვია. ამ კუთხით საქართველო და უკრაინა განსხვავებულ მოცემულობაში აღმოჩნდნენ. მსგავსი კულტურული მოვლენები

მეტ-ნაკლებად განსხვავებული შიდა ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტებითაა განსაზღვრული.

ირაკლი ჩარკვიანის შესახებ დაწერილი მოგონებების წიგნში უამრავი უნიკალური ინფორმაციაა თავმოყრილი. მამამისი, გელა ჩარკვიანი, წერს: „ხშირად გამიგია, რომ ირაკლისთვის მისი შემოქმედება იყო პროტესტი საკუთარი პრივილეგირებული ბექგრაუნდის მიმართ. ვფიქრობ, რომ ეს უფრო რეაქცია იყო არსებულ მოდუნებულ, ან, სულაც ჩამკვდარ რეალობაზე, რომელშიც მას და მის მეგობრებს მოუწიათ ახალგაზრდული წლების გატარება. როცა საქართველოს მაშინდელ პარლამენტში მისი „შენ აფრენ“ გაარჩიეს და მიიჩნიეს, როგორც ქვეყნისათვის საფრთხის შემცველი, ირაკლი აშკარად კმაყოფილი დარჩა. ხდებოდა ის, რაც მას სურდა“ (ამბავი მეფეზე, 2014:3).

მის შემოქმედებაში ინოვაციურ კულტურულ მოდელებთან ერთად გვხვდება ნაციონალური არქეტიპების დანაშრევები:

„მე ვდგავარ დიდი, როგორც ხეოფსი,  
არ ველოდები არაფერს.  
ხალხის მსახური, პრომეთეოსი,  
ვინც მოუტანა ცეცხლი ქალაქებს“  
(ჩარკვიანი, 2016:6).

ირაკლი ჩარკვიანის, კოტე ყუბანეიშვილისა და პაატა ქურდაძის მიერ დაარსებული არტჯგუფი პროვოკაციული სახელწოდებით „რეაქტიული კლუბი“ გარდამავალი ეტაპის პოსტსოციალისტური სივრცის მაგალითზე შესაძლებელია განზოგადდეს, როგორც ანდერგრაუნდის კულტურის გამოვლინება, რომელიც ამავე პერიოდში ბევრ რესპუბლიკაში და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკრაინაშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. იგი უპირისპირდებოდა სტერეოტიპებს და ცდილობდა ახალი ხელოვნების ჩამოყალიბებას, რომელიც ტიპოლოგიურად სწორედ ძალადობრივად შეწყვეტილ ავანგარდს მიემართებოდა:

„რეაქტიული მარტოობა,  
დაძაბული,  
გამოუთქმელი შიში შეხების  
საგნებთან,  
საყვარელთან –  
გაქრა.



რომანტიკული ბილიკის  
რიტმის ბოლოა..  
შელამაზების,  
ვაზისყურება ქალიშვილების  
ირმისთვალური სევდა –  
გაქრა.  
სოც-რომანტიზმის  
ცისფერთვალეობა ღმობიერება –  
გაქრა.  
ვარდს გაეფურჩქნა ატმური სოკო.  
რკინა-ბეტონის ჯუნგლებში  
დაკაცდა მაუგლი,  
პარაბელუმით ხელში.  
დადგა დრო  
გამოთხოვებისა ტყესთან,  
დრო უბრალო,  
მართალ ფერთა ხელჩაკიდების,  
დრო წითლად ხატვის  
წითელ ქალღმერთზე.  
მაშინებელი,  
დაუნდობელი,  
როგორც ყოველი მართალი..  
დრო“  
(ჩარკვიანი, 2016:17).

ეს არ უხეობდა მხოლოდ კომუნიზმის იდეალების მსხვრევას. კლუბის დაშლიდან 13 წლის შემდეგ ასე შეაფასა რეაქტიული კლუბის ფუნქცია მისმა ლიდერმა: „კლუბს თერაპიული მიზნები ჰქონდა. ჩვენ, ფაქტობრივად, „ერის აიბოლიტები“ ვიყავით. კონკრეტულად იმ სტერეოტიპებს ვებრძოდით, რომელმაც ქართველი ერი დეგრადაციამდე მიიყვანა. სტერეოტიპები კი ქართველებს მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში არ გვაკლდა, თუნდაც კომუნიზმი. ჩვენ ვებრძოდით იმ კულტურულ პრესს, რომელიც მე-20 საუკუნეში შესამჩნევად ზემოქმედებდა ქართულ კულტურაზე“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ციტირებულია ბლოგიდან: [http://mshvidicurva.blogspot.com/2010/06/blog-post\\_-26.html](http://mshvidicurva.blogspot.com/2010/06/blog-post_-26.html)

უკრაინულის მსგავსად ქართულ პოსტსაბჭოთა კულტურაშიც ასევე გამოვლინდა შეწყვეტილი ავანგარდისტული ესთეტიკის გაგრძელების მცდელობებიც. გ. ლომიძე ერთ-ერთ ამგვარ ფაქტად 90-იანი წლების დასაწყისში პოეტ დათო ჩიხლაძის მიერ დაარსებული მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის თეატრს მოდერნისტების ნიღბების ესთეტიკის განმეორებად მიიჩნევს.

90-იანი წლების საქართველოშიც გამოჩნდა არტ-პერფორმანსები, რომლებიც ავანგარდის ეპატაჟურობის მსგავსი იყო და მასში მონაწილეობდნენ პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები, ფოტოგრაფები.. საბჭოური ფენომენის რეაბილიტაცია იყო პოეტ დათო ბარბაქაძის სამიზდატის წესით მომზადებული ჟურნალები, რაც, ასევე, ავანგარდისტული გამოცდილების ერთგვარ გაზიარებად შეიძლება ჩავთვალოთ. ავანგარდის ესთეტიკის გაგრძელებად მიიჩნევა 90-იან წლებში შოთა იათაშვილის პოეტური მისტიფიკაცია – დიანა ვაჩნაძის სახელით დაბეჭდილი ნაწარმოები.

დადაისტური ესთეტიკის გაგრძელებას ვხვდებით ქარვასლაში ჩატარებულ ცნობილ სკანდალურ პერფორმანსში. შოთა იათაშვილი და თემო ჭავჭავაძე დადა ლექსებს კითხულობდნენ. ნიღბიანი პოეტი ზურა რთველიაშვილი ავტომატით შევარდა სცენაზე, ხალხს მიუშვირა და ყვიროდა: „ვიბრძოლებ, რათა აღარ იყოს ამდენი და-და-და-და-და და დარჩეს დადა“. ზურაბ რთველიაშვილი დადა მეფე-პრეზიდენტად აირჩიეს. ცნობილია, რომ „ზურაბ რთველიაშვილმა თავისი გამარჯვება სწორედ მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ ავანგარდისტ პოეტს, გრიგოლ ცეცხლაძეს მიუძღვნა, „რითაც კიდევ ერთხელ მიანიშნა 70-წლიანი იძულებითი წყვეტის დასასრულსა და ქართული კულტურის ორგანულ, დასავლურ გეზთან დაბრუნების ფაქტზე“ (ლომიძე, 2016:105).

დღეს პოეტი ემიგრაციაში იმყოფება შვედეთში. ელექტრონული, ინტერნეტმედიაზე დაყრდნობით,<sup>1</sup> შვედეთში გამართულ პოეტის საღამოზე დახვდა წარწერა დადაიზმი+ანარქიზმი=ზურა რთველიაშვილს. ზურა რთველიაშვილის შემოქმედების კვლევა

<sup>1</sup> იხ. ბმული: (ზურა რთველიაშვილი – პოეტი ემიგრაციაში <https://www.radiotavisupleba.ge/a/zurab-rtveliashvili/26556147.html>).

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში პროფ. ნანა გაფრიდაშვილს ეკუთვნის. განიხილავს, რა თანამედროვე ქართველი პოეტის სინკრეტულ, ინტერმედიურ პოეზიას, მკვლევარი მიდის დასკვნამდე, რომ მისი პოეზია სარგებლობს დადაიზმისა და ფუტურიზმის, ზაუმის ტრადიციებით" (გაფრიდაშვილი, 2017: <http://www.spekali.tsu-ge/index.php/ge/article/viewArticle/11/105>).

მოდერნიზმის, ვესტერნიზაციის შეწყვეტილი ესთეტიკური ამოცანის გაგრძელებას ხედავენ მკვლევრები ირაკლი ჩარკვიანის ზაუმურ პოეზიაში. ქართული ზაუმის ნიმუშია მისი "იავნანა":

„ბარუმ სამბე, გარდი მან,  
აბონამო სიმგანი,  
ლიბუნ, დაბო ლარდივან,  
გარუმსაბე ინბანი.  
ორამ სალუმ არამი,  
არ უამბნე გამანა.  
ადამბარუმ გვარანი,  
არ ამბორემ რამანა,  
სინდი ბანდი გერანდო,  
არ დასანდო ბანდალი.  
ინესენდო ვერანდო  
ა, დანდალი, დანდალი“  
(ჩარკვიანი, 2016:55).

ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედებისადმი ინტერესი დღითიდღე მატულობს. მისი პერსონა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ასოცირდება ერთდროულად ყველაზე ნაციონალურ და ინტერნაციონალურ შემოქმედთან. მან გააგრძელა საუკუნის დასაწყისის ევროპული ორიენტირები და ეროვნული საფუძველით მსოფლიო კონტექსტში ჩართო თანამედროვე ქართული კულტურა. ასეთი მასშტაბური შემოქმედი, ასეთი ღრმა არქეტიპულობითა და ინოვაციებით, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ის იყო: „ირაკლი ჩარკვიანის წინამორბედად შეგვიძლია დავასახელოთ გალაკტიონი. გალაკტიონი იმიტომ, რომ განწყობით და აზროვნების მიმართულებით მასთან ბევრი საერთო აქვს.

თითქოს ირაკლი ჩარკვიანის პიროვნებაში თავი მოიყარა ერთბაშად რამდენიმე ქართველმა კლასიკოსმა წინამორბედმა და მან

საკუთარ თავში მოიცვა – გალაკტიონი თავისი ფატალურობითა და ქართული და ევროპული კულტურების დაახლოების უნიკალური უნარით, კონტექსტით თუ მასშტაბურობით თუ საკუთარი მნიშვნელობის და ტვირთის სრული გაცნობიერებით და იმავდროულად დიოგენესეული ჰიპური თვითირონიით და ჩარჩოების მსხვრევით (რომ მეფე ვარ და პოეტი/მე ვდგევარ დიდი როგორც ხეოფსი)... სი-ახლოვით ქართველ მოდერნისტებთან აპოკალიფსური და დადაისტური პოეზიით, ილია ჭავჭავაძესთან მასშტაბური აზროვნების უნარით, საზოგადოების ცნობიერებაში გამონვეული რევოლუციით; ბართაშვილთან რომანტიკული იკაროსისეული თვითშეწირვით („ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“/„ჩვენ მოვიგებთ ომს“) (ამბავი მეფეზე, 2014:194-195).

**ბუ-ბა-ბუ კარნავალური კიჩი:** 1980-იანი წლების დასასრულისთვის უკრაინის კულტურულ ცხოვრებაში გამოჩნდა მემამბოხე გაერთიანება სკანდალური სახელწოდებით ბუ-ბა-ბუ (ბურლესკი, ბალაგანი, ბუფონადა). ჯგუფში ქართული რეაქტიული კლუბის მსგავსად, იყო სამი ახალგაზრდა ხელოვანი: იური ანდრუხოვიჩი, ვიქტორ ნებორაკი და ალექსანდრ ირვანეცი. რეაქტიული კლუბისგან განსხვავებით ჯგუფმა შედარებით მეტხანს იარსება. ფაქტობრივად, დაარსდა 1985 წელს და პირველი საჯარო პერფორმანსი 1987 წელს გამართა. მათი გამორჩეულობა მდგომარეობდა იმაში, რომ პოეტების ჯგუფი ორიენტირებული იყო საჯარო გამოსვლებსა და პერფორმანსებზე, რაც ტრადიციული უკრაინული ლიტერატურული პროცესისთვის არ იყო ბუნებრივი პროცესი, თუმცა ტიპოლოგიურად ეს მოვლენაც უკავშირდებოდა ავანგარდულ ექსპერიმენტებს. 20-იანი წლების კიევის კაბარეებში, „სახელოვნებო სარდაფი“ „კრივი ჯიმში“ თუ ხარკოვის „მფრინავი თავი“, ხშირად იმართებოდა მსგავსი ღონისძიებები, თუმცა ესეც არ იყო მასშტაბური ხასიათისა. ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ავანგარდისტული კიევის კაბარეებისა („ნილაბი“, „გროტესკი“, ხრეშატიკის თავისუფალი თეატრი) და კაფეების პერფორმანსები და პოეტური საღამოები იყო, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ უცხოელი და უკრაინელი ავანგარდისტებიც (სემენკო, ხვილოვი, სოსიურა და სხვ.). ამგვარი ტენდენციების გაგრძე-

ლებად შეიძლება განვიხილოთ პოსტსაბჭოთა ეპოქის რეალობა, რომელიც, ქართულის მსგავსად, სამოცდაათწლიანი წყვეტის გაგრძელების მცდელობა იყო. როგორც ბოლო პერიოდის ინტერნეტ-გამოცემებშია აღნიშნული, „ალკოჰოლი, სექსი, ეპატაჟი და ბოჰემურობა, ეს ყველაფერი ახასიათებდა „დახვრეტილი აღორძინების“ ავანგარდისტულ პერფორმანსებს“ (კოცარევი [http://texty.org.ua/pg/article/newsmaker/read/4847/Alkohol\\_seks\\_jepatazh\\_bogemni\\_vytivky\\_Rozstrilanogo\\_vidrodzhenna](http://texty.org.ua/pg/article/newsmaker/read/4847/Alkohol_seks_jepatazh_bogemni_vytivky_Rozstrilanogo_vidrodzhenna)).

„დახვრეტილი აღორძინების“ თაობის ავანგარდისტებსაც ახასიათებდათ ეპატაჟური ჩაცმულობა, მაიკ იოჰანსენი ინგლისური ბრიჯებითა და გეტრებით იწონებდა თავს, ვალერიან პოლიშჩუკი ხშირად ქალის მოსასხამით დადიოდა ქუჩაში და სხვ. მსგავსი ეპატაჟურობა ახასიათებდათ ქართველ ავანგარდისტებსაც.

„ბუ-ბა-ბუ-ს“ წევრების უცნაური მუსიკალური და პოეტური ექსპერიმენტებიც ამგვარი ტრადიციის გაგრძელებაა. ალექსანდრ ირვანეცი ამტკიცებდა, რომ მათ დააბრუნეს პოეზიაში თამაშის პრინციპი. არის ერთგვარი საერთო/მსგავსი მიზანდასახულობა ქართველი და უკრაინელი ანდერგრაუნდის კულტურის წარმომადგენლებს შორის, უკრაინელი ხელოვანები ამ პერიოდში საკუთარ მოღვაწეობას მიიჩნევდნენ „დეპრესიის დაძლევის რადიკალურ საშუალებად, ანტიდეპრესანტად“ (ვ. ნებორაკი), მსგავს მოსაზრებას აჟღერებს ასევე ირაკლი ჩარკვიანიც ამავე პერიოდის თავიანთ კულტურულ მიზნებზე, ერთ-ერთ ინტერვიუში იგი ამბობს, რომ „ჩვენ ერის აიბოლიტები ვიყავით“. გარკვეულწილად უახლოვდება აღნიშნულ მოსაზრებებს უკრაინული ჯგუფის ლიდერს და დღეს როგორც მოიხსენიებენ, ბუ-ბა-ბუს პატრიარქის, იური ანდრუხოვიჩის პოზიციაც. ანდრუხოვიჩის აზრით, მათი გაერთიანება იყო თვითგადარჩენის ერთგვარი საშუალება ოთხმოცწლიანი წლების დასასრულის უკრაინაში.

ზაუმის ენა, როგორც ავანგარდის კონცეპტი, ორივე ქვეყნის ახალი თაობის შემოქმედებისთვის საერთო მახასიათებელია. ამ მხრივ უკრაინელი ავანგარდისტებიდან გამოირჩევა ვიქტორ ნებორაკი:

«Малюйте БАБУ голуБУ  
гуБАми дивиться доБА

БУ дифірамБАм БУ таБУ  
вам зуби втавит БУ-БА-БУ  
росте поезія в горБА  
в горбі з грошима боротьБА  
та Бунтом Буде БУ-БА-БУ  
від азБУк голова слаБА  
гуБАми виБУхає Бард  
чим світ сичить – кричить театр  
зиграєш вірш якого варт  
потрапиш в рай (чи на монмартр)  
БУ смерті і безсмертю БУ  
і БУ і БА і БУ-БА-БУ»

(<http://www.poetryclub.com.ua/dread.php?id=1966>).

гардамავალი პერიოდში ჯგუფის წევრები აცხადებდნენ საზოგადოებისთვის გაუგებარ, ბუნდოვან კრედოს, რომელიც ნამდვილად ფუტურისტული მელანქოლიისა და უარყოფის ელემენტების მატარებელია:

ჩვენი ცხოვრება – ბუბაბუ  
ჩვენი ისტორია – ბუბაბუ  
ჩვენი პოლიტიკა – ბუბაბუ  
ჩვენი ეკონომიკა – ბუბაბუ  
ჩვენი კონფესიები – ბუბაბუ  
ჩვენი ხელოვნება – ბუბაბუ  
ჩვენი ქვეყანა – ბუბაბუ<sup>1</sup>

(<http://fil.ocvita.com.ua/turizm/471/index.html?page=89>).

ფუტურისტული ამბოხი, ნიჰილიზმი, ახალ და სტრესულ რეალობაში აღმოჩენილი ქართული და უკრაინული კულტურებისთვის ასევე იდენტური მოვლენაა. წარსულის უარყოფისა თუ ბუნდოვანი ანმყოს განწყობილებებით გამოირჩევა ი. ჩარკვიანის „გოელერო“:

„სრული სტალინიფიკაცია სულის,  
აქსელერაცია სურვილის  
და გულმავიწყო სირქაღემა  
ჩემი წარსულის.

---

<sup>1</sup> თარგმანი ჩვენია.

ბედი დარვინის ანაბარა,  
მიგდებული იდეა,  
იმედის ბიდეა,  
სიყვარულივით.  
შენი სიტყვების,  
უშინაარსო ცისართყელა,  
როგორც გამხმარი ქრიზანთემა  
ბალმონტის ტომში,  
მაგონებს ვაგნერს,  
და ყვითელ თოლიებს შორის  
ჩვენს სარჩობელას"  
(რეაქტიული კლუბი 2, 1992:9).

პოსტმოდერნიზმის აღიარებული უკრაინელი მკვლევრის, თ. ჰუნდოროვასა და მაიამის უნივერსიტეტის სლავისტიკისა და გენდერის კვლევების პროფესორის, ვიტალი ჩერნეცკის აზრით, ბუბაბუს გამოჩენით უკრაინაში დაიწყო კარნავალური პოსტმოდერნიზმი. „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია – წერს ვ. ჩერნეცკი – ბუბაბუ იყო ერთადერთი ლიტერატურული ჯგუფი თუ მოძრაობა, რომლის წარმომადგენლებისთვის ბახტინის კარნავალურობა გახდა მთავარი წყარო“ (ჩერნეცკი, 2013:307). თუმცა, ზურაბ რთველიაშვილის ნიღბიანი პერფორმანსი და დადას მეფე-პრეზიდენტად არჩევაც კარნავალურ ხასიათს ატარებს. ამ პრინციპითაც არის გარკვეული მსგავსება ქართველებისა და უკრაინელების განწყობებს შორის.

ამ პერიოდში უკრაინაში პოპულარობით სარგებლობდა ლეს პოდერევიანსკის დრამატული სცენა-დიალოგები, რომლებიც არსებითად წარმოადგენდა ახალ, რეპრეზენტაციულ კიჩს. იგი ქმნიდა ახალ ენას, გვიანსაბჭოთა შავი იუმორის გამოყენებით, ახდენდა საბჭოთა მითოლოგიის ირონიზებასა და პაროდირებას.

90-იანი წლების უკრაინულ კულტურაში შეიქმნა ახალი კარნავალური კიჩი, მის შემქმნელებს შორის იყვნენ ჯგუფის „ბუ-ბა-ბუ“ ბიჭები. ჯგუფი 80-იანი წლების დასასრულის უკრაინული კულტურის მოძველებულ ატმოსფეროში იქცა ერთგვარ ახალგაზრდულ ოაზისად. როგორც ისტორიამ აჩვენა, ეს მოძრაობა ერთგვარი ნიშანსვეტი გახდა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის გასაყარზე მყოფი უკრაინის სოციოკულტურული ცვლილებებისთვის. მათი ეპატაჟური

პოეტური თუ მუსიკალური პერფორმანსები ემსახურებოდა ჰერმე-  
ტული კულტურული სივრცის გარღვევას და დასავლურ/პოსტმო-  
დერნულ/მასობრივ კულტურასთან კავშირს. როგორც ეს სამეცნიე-  
რო ლიტერატურაშია აღნიშნული: „ბუ-ბა-ბუს“ სტიქიას წარმოადგენ-  
და კარნავალიზაცია და ჯგუფის წარმატება უკავშირდებოდა იმას,  
რომ მისმა წარმომადგენლებმა გამოხატეს „დროის მოძრაობა“. მათ უარყვეს, მრავალი წლის განმავლობაში უკრაინაში წაროდნი-  
კული ტრადიციებითა და მოგვიანებით – საბჭოთა პოპულიზმითა და  
იდეოლოგიზმებით განმტკიცებული ლიტერატურის სერიოზული  
აღქმა“ (ჰუნდოროვა, 2008:237-238). ვიქტორ ნებორაკის პერფორმან-  
სზე „მფრინავი თავით“ ჯგუფის წევრები გამოვიდნენ ღვოვის ოპე-  
რის თეატრის სცენაზე, ასევე კიევის ახალგაზრდული თეატრის სცე-  
ნაზე და წარმოადგინეს კარნავალი ნიღბებითა და საკარნავალო  
ფორმებით.

ამ ჯგუფის პერფორმანსებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო  
ფესტივალი „ვიციხი-92“. ალტერნატიული კულტურის ეს ფესტივალი  
ორჯერ ჩატარდა ღვოვში 1990 და 1992 წლებში. მასში, „ბუ-ბა-ბუ-ს“  
წევრების გარდა, მონაწილეობას იღებდა ყველა ხელოვანი, რო-  
მელთათვისაც მისაღები იყო მსგავსი ექსპერიმენტები. ავანგარდუ-  
ლი კულტურის ფენომენად იქცა ფესტივალის აფიშების უცნაური  
დიზაინი და სკანდალური წარწერები.

ასევე საინტერესო ავანგარდული პერფორმანსი იყო 1992 წლის  
1-4 ოქტომბერს ე.წ. „პოეზოოპერის“ წარმოდგენა ლესია უკრაინკას  
სახელობის რუსული დრამის თეატრის სცენაზე სახელწოდებით  
„კრაისლერი-იმპერიალი“. წარმოდგენაზე პოეტები მუსიკის თან-  
ხლებით კითხულობდნენ ლექსებს. ამ პერიოდისათვის ორივე ეს  
მოვლენა ერთგვარი კულტურული ბუნტი იყო უკრაინაში და თანა-  
მედროვე კულტურის განვითარებას ემსახურებოდა. ამ რიტუალურ  
კულტურულ მოვლენებს პენსილვანიის უნივერსიტეტის მკვლევარ-  
მა მაიკლ ნაიდენმა მეტაფორულად უწოდა „პანდორას ყუთი“  
თავისუფალი უკრაინის კულტურის ისტორიაში“ (ნაიდენი, 2006:455).

1992 წელს უკრაინისგან განსხვავებით საქართველოში ომი და  
განუკითხაობა მძვინვარებდა, რასაც თან პოლიტიკური და ეკონო-



მიკური კრიზისი ახლდა. ამდენად, თბილისში იმ მასშტაბის ღონისძიებების დაგეგმვა, რაც უკრაინაში განხორციელდა, გასაგებია, რომ ვერ მოხდებოდა. 1992 წლის ერთ-ერთი ყველაზე ნოვატორული ქართული გაზეთის „7 დღე“ ფურცლები სავსეა ამ ტრაგიკული მოვლენების ამსახველი ინფორმაციებით, მათ გვერდით თბილისის ავანგარდული კულტურის პროცესებიც იკავებს მოკრძალებულ ადგილს. როგორც აღნიშნული მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რეაქტიული კლუბის პოეტებმა თბილისში სხვადასხვა ადგილას რამდენჯერმე გამართეს ასეთი პერფორმანსი. 2 ივნისს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ჩატარებული „დადა-პოეტთა გასტრონომული რითმები“ – ექსპერიმენტული პოეზიის საღამო მაშინვე შედარებულ იქნა 30-იანი წლების თბილისის ბოჰემურ საღამოებთან. თბილისის არტისტულ კაფეებში გამართულ ასეთ ბოჰემურ ავანგარდისტულ საღამოებს ჰგავდა რეაქტიული კლუბისა და მხატვრების კარლო კაჭარავასა და ნიკო ლომაშვილის გამოფენა სახელწოდებით „ჩვენში – ჩვენ ირგვლივ“, რომელზეც ლითონის, ნეონის ნათურებითა და ფოტოებით შესრულებულ კომპოზიციებთან ერთად გამართა რეაქტიული კლუბის პოეტების ახალი ნაწარმოებების კითხვა.

90-იანი წლების საქართველოში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა მწერალთა კავშირში გამართულ თანამედროვე ხელოვნებისადმი მიძღვნილ დისკუსია-გამოფენას, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდა ქართველი პოეტები: შოთა იათაშვილი, დათო ბარბაქაძე, კოტე ყუბანეიშვილი, მხატვარი კარლო კაჭარავა და სხვები. კოტე ყუბანეიშვილმა და შოთა იათაშვილმა წაიკითხეს თამამი ლექსები და გამოკვეთეს ქართულ პოეზიაში კლიშეების დანგრევისა და ახალი თავისუფლების დანერგვის ტენდენციები. როგორც გაზეთი „7 დღე“ იუწყება გამართა სხვადასხვა შეხედულების შემოქმედთა შორის დისკუსია, იყო თუ არა თანამედროვე ხელოვნება ავანგარდული და რომ ის მწვავე კრიზისის ფაზაში იმყოფებოდა (წიბახაშვილი, 1992:12).

ასეთი ექსპერიმენტები ცალსახად წარმოაჩენს საბჭოთა სინამდვილის მიერ იძულებით შეწყვეტილი, დაუსრულებელი ავანგარდის აღორძინებას თუ განვითარებას როგორც საქართველოში,

ასევე უკრაინაში. პოსტმოდერნულ ეპოქაში ის მართლაც წარმოდგება, როგორც მოდერნიზმის გაგრძელება. ბ. წიფურიას მოსაზრება ამ პერიოდის ავანგარდული გამოვლინებების შესახებ შეიძლება უკრაინული რეალობისთვისაც რელევანტურად მივიჩნიოთ: „80-იანი წლების ბოლოსვე, საბჭოური კონტექსტისგან თავის დაღწევას და თანამედროვე მსოფლიო კულტურულ კონტექსტში მოქცევას უშუალოდ ავანგარდული ესთეტიკის, ან უფრო ზოგადად, თანამედროვე ხელოვნების მეშვეობით ისახავენ მიზნად. ავანგარდის არეალში მოქცევა იმ პერიოდის ქართველი ხელოვანებისთვის უკავშირდება, ერთი მხრივ, ისტორიული ავანგარდის ევროპული და, ასევე, ქართული გამოცდილების აღდგენას, მეორე მხრივ კი თანამედროვე ავანგარდის სინამდვილეში ინტეგრირებას“ (წიფურია, 2016: 358-359).

ქართულ-უკრაინულ ანდერგრაუდის კულტურაზე დაკვირვებით ჩანს საერთო ტენდენცია: ის დიდი მუხტი, რაც რეპრესირებული ავანგარდის შემთხვევაში არსებობდა, ნეოავანგარდში პოვებს გაგრძელებას ორივე ქვეყანაში მსგავსი გამოვლინებებით. ეს მოვლენები იზიარებს მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის საერთო მარკერს – ხელოვნების კრიზისულობას; ორივე ქვეყნის გამოცდილება იდენტურია – მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმშიც მათ ძირითად ამოცანას წარმოადგენს დასავლური კულტურასთან მიზანმიმართული სინქრონიზაცია და კოლონიური სტატუსის დაძლევა.

ანდერგრაუნდიდან დაწყებული ალტერნატიული კულტურა 90-იან წლებში ამავდროულად ამზადებს ახალი კულტურის წიაღს პოსტმოდერნიზმის ასათვისებლად და ასევე, პოსტსაბჭოთა პერიოდში საბჭოთა ტრავმატული მემკვიდრეობის გასააზრებლადაც.

## ლიტერატურა:

1. **ამბავი მეფეზე 2014:** ამბავი მეფეზე. რედაქტორი გაგა ლომიძე, თბილისი, 2014
2. **გაფრინდაშვილი 2017:** გაფრინდაშვილი, ნ. „საუნდ პოეზია“ ახალი სინკრეტიზმის კონტექსტში. რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“. # 11, 2014 <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/11/105>

3. **კოცარევი 2009:** Коцарев, О. Алкоголь, секс, епатаж: богемні витівки "Розстріляного відродження" // ТЕКСТИ.ORG.UA. [http://texty.org.ua/pg/article/-newsmaker/read/4847/Alkohol\\_seks\\_jepatazh\\_bogemni\\_vytivky\\_Rozstrilano-go\\_vidrozhenna](http://texty.org.ua/pg/article/-newsmaker/read/4847/Alkohol_seks_jepatazh_bogemni_vytivky_Rozstrilano-go_vidrozhenna)
4. **ლომიძე 2016:** ლომიძე, გ. მოდერნიზმის ოპოზიციური რიტორიკა და საბჭოური იდეოლოგემა. წიგნში: ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016
5. **ნაიდენი 2006:** Naydin Michael M. Ukrainian Avantgarde Today: Bu-Ba-Bu and Others. Slavic and East European Journal. Vol. 50 #3, 2006. pp. 452-468.// <http://www.jstor.org/stable/pdf/20459313.pdf?refreqid=excelsior%3A13c03dbe900257ab481dc479920415e2>
6. **რეაქტიული კლუბი 1992:** რეაქტიული კლუბი 2, თბილისი, 1992
7. **ჩარკვიანი 2016:** ჩარკვიანი, ი. ავტოპორტრეტი. ლექსები, მოთხრობები. თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი, 2016
8. **ჩერნეცკი 2013:** Чернецький, В. Картографуючи посткомуністичні культури. Росія та Україна в контексті глобалізації. Авторизований переклад з англійської. Київ: Критика, 2013
9. **წიბახაშვილი 1992:** წიბახაშვილი, გურამ. „მე არ ვიცი რა არის ავანგარდი. თუ იცით მითხარით“. გაზეთი „7 დღე“, 10-16 დეკემბერი, #45
10. **წიფურია 2016:** წიფურია, ბ. ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016
11. **ჰუნდოროვა 2008:** Гундорова, Т. Кітч і літератра. Травестії. Київ «Факт», 2008

## Ivane Mtchedeladze

### **“Reactive Club” and “Bu-Ba-Bu”: Underground Culture, Carnival Kitch and Postcolonial Perspective**

#### S u m m a r y

While working on the thesis, the functions of the prominent groups “Reactive Club” and “Bu-Ba-Bu”, in the history of the transitional period of Georgian and Ukrainian culture, were identified as Neo-Avant-Gardist trends, typological links to the Avant-garde tendencies of the 20-30’s (Irakli Charkviani and Viktor Neboraki Zaum Poetry). The art-group founded by Irakli Charkviani, Kote Kubaneishvili and Paata Kurdadze with the provocative name “Reactive Club”, on the example of the post-socialist space of the transition phase, can be generalized as the underground culture, which, during the same period, was one of the important events in Ukraine. The club challenged stereotypes and tried to create new art. The study revealed that the underground culture of both countries was typologically projected at the forcefully stopped Avant-Garde. The 90’s of XX Century’s art-performances in Georgia were similar to the Avant-Garde and included poets, musicians, painters, photographers. The 90’s poetic mystification of Shota Iatashvili, the work printed under the name Iana Vachnadze, was considered to be the continuation of the avant-garde aesthetics. We see the continuation of the Dadaist aesthetics in the famous scandalous performance in Karvasla. Similar is the phenomenon of “Bu-Ba-Bu” (Jurij Andrukhovych, Viktor Neborak, and Oleksandr Irvanets) in Ukraine. The strange musical and poetic experimentation of the members of the “Bu-Ba-Bu” is also a continuation of this tradition. There is a similar purposefulness between the representatives of the Georgian and Ukrainian underground culture, “radical means of overcoming depression”, “the anti-depressant”, wrote V. Neborak about “Bu-Ba-Bu”; “We were Aybolits of the nation”, said Irakli Charkviani about “Reactive Club”. Both groups reflect the carnival kitch elements. Zurab Rtveliashvili’s masked performance and Dada becoming the king-president are both carnivals. At this time in Ukraine, dramatic scene-dialogues of Les Poderevianski were essentially a new representative kitch. In this sense, there is a similarity in the post-Soviet history of Georgian and Ukrainian culture. The works by T. Hundorova, M. Tkachuk, V. Chernetsky, M. Naiden, as well as Georgian and Ukrainian newspapers and journals of 90’s were used to study the problem (newspapers – “7 Dghe”, “Kritika”, “Tanamedroveoba”, “Sityva da Dro”), also works by Georgian literary researchers (N. Gaprindashvili, G. Lomidze, B. Tsipuria).

## ნინო ნასყიდაშვილი

### პავლო ტიჩინას „მზის კლარნეტები“ და შემოქმედებითი ტრანსფორმაციები

მეოცე საუკუნის დასაწყისის ახლაგაზრდა უკრაინელი მწერლების სურვილს, რომ უკრაინული თანამედროვე ლიტერატურა განვითარების ახალ ეტაპზე გადასულიყო, თავისი საფუძველი და მიზეზი ჰქონდა. ამ პერიოდის უკრაინული რეალიზმი უფრო მეტად სოციალური რეალიზმი იყო, რომელიც მხოლოდ ერთი კლასის ცხოვრებას, ყოფას ასახავდა და საჭირო იყო ლიტერატურული დიაპაზონის გაფართოება, როგორც პრობლემატიკისა და თემატიკის, ასევე ხასიათების, და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, ენის, ლექსიკის თვალსაზრისით. სახალხო რეალიზმი უნდა ჩაენაცვლებინა მოდერნიზმს, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებდა ინდივიდუალიზმს, პიროვნებას, პიროვნების უფლებას და არა საზოგადოების აბსტრაქტულ ინტერესებს, საერთო პრობლემასა და თანაგრძნობას.

მეოცე საუკუნის უკრაინელი პოეტის, პავლო ტიჩინას შემოქმედება საკმაოდ საინტერესოდ და იდენტურად ასახავს ეპოქალურ ცვლილებებს. მის ადრეულ ლექსებში მკაფიოდ იგრძნობა როგორც სიმბოლიზმის, ასევე იმპრესიონიზმის, ფუტურიზმის, ბაროკოს ნიშნები, თუმცა, მას მაინც სიმბოლისტ პოეტად მოიხსენიებენ რიგი მიზეზების გამო: 1917-1922 წლებში პავლო ტიჩინა სიმბოლისტ პოეტთა ჯგუფ „მუზაგეტში“ იყო გაერთიანებული, რასაც საფუძვლად დასავლური სიმბოლიზმი ედო თავისი თვითშეფასების, სუვერენობისა და დამუკიდებლობის პრინციპებით. უკრაინაში 1918 წელს გამოცემული პავლო ტიჩინას ლექსების პირველი კრებული „მზის კლარნეტები“ მეოცე საუკუნის ისტორიული და ეპოქალური გარდაქმნების ფონზე, ყველაზე მკაფიოდ გამოხატული ლირიკული რეფლექსების ამსახველი კრებული გახდა და პოეტს „კლარნეტისტი პოეტის“ სახელი დაუმკვიდრა.

პავლო ტიჩინას კლარნეტიზმი პოეზიის განსაკუთრებულ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ხასიათს ავლენდა, წარმოდგენილი იყო

სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის საოცარი სინთეზი, სხვადასხვა შეგრძენებების, ხმების, მუსიკის, ფერების სინქრონიზაცია, რიტმულ ნოვატორობას ავსებდა გრაფიკა, არატრადიციული რითმები და უამრავი ექსპერიმენტი, მარტივი მსოფლმხედველობა და სამყაროს აღქმა.

უკრაინელი ლიტერატურათმცოდნეები მეოცე საუკუნის მწერლებს რამდენიმე თაობად ყოფენ. პირველ თაობას იმ მწერლებს მიაკუთვნებენ, რომლებიც დაიბადნენ წინა საუკუნეში და მათი შემოქმედების დებიუტი შედგა რევოლუციამდე, თუმცა არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: ან უნდა გამხდარიყვნენ საბჭოთა მწერლები და მიეღოთ პარტიული მოთხოვნები, ან შეგუებოდნენ ფიზიკურ განადგურებას. მწერლების მეორე თაობა იმ მწერლებს აერთიანებს, რომლებიც დაიბადნენ მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში, ახალგაზრდობაში მოუწიათ ცხოვრება ამ პერიოდში, ხოლო ლიტერატურაში გამოჩნდნენ ოციან წლებში. ამ თაობის მნიშვნელოვანი ნაწილი უნებურად, თუ შეგნებულად, „გასაბჭოვდა“ და ჩადგა „საბჭოთა უკრაინის“ სამსახურში. მესამე თაობის მწერლები უკრაინული ლიტერატურაში 30-იან წლებში გამოჩნდნენ, როდესაც საბოლოოდ მოძლიერდა სტალინის ხელისუფლება და ყველაფერი უნიფიცირებული გახდა. ამ მწერლებს ზოგადად ახასიათებენ, როგორც უნიჭო მწერლებს, რომლებიც იძულებული იყვნენ ეწერათ შეკვეთით, მითითებულ თემებსა და განსაზღვრული დირექტივებით. მეოცე საუკუნის მწერალთა მეოთხე თაობა მწერლების ის თაობაა, რომელიც უკრაინული ლიტერატურაში გამოჩნდა სტალინის გარდაცვალების შემდეგ (1954) წელს, როდესაც გაფართოვდა სოცრეალიზმის შემოქმედებითი საზღვრები და უკრაინულ ლიტერატურაში განვითარების ახალი ტალღა წამოვიდა. ამ თაობას სამოციანელთა თაობა ეწოდა. (Семчишин М.:1993).

პავლო ტიჩინას მოღვაწეობა ამ ურთულეს პერიოდს დაემთხვა. უკრაინელი მკვლევრები მას ორ პერიოდად ყოფენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რაც ასე მკაფიოდ თვალშისაცემია. მცირე დროის პერიოდში გამოცემულ მის ორ კრებულს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა, „მზის კლარნეტები“ (1918), რომელიც სავსეა საოცარ რიტმებით, მუსიკალურობით, ლირიზმით და „ჩერნიგოვი“ (1931 წელი) -

საბჭოთა იდეოლოგიით გაჯერებული, ნაკლებად პოეტური და არამუსიკალური, რომელიც დაინერა შვიდწლიანი პაუზის შემდეგ - ესაა ერთი შემოქმედის ორი სრულიად განსხვავებული პოეზიის ორი მხარე.

„მზის კლარნეტების“ გამოსვლდან ერთი წლის შემდეგ, 1919 წელს პავლო ტიჩინამ სრულიად უკრაინის ლიტერატურულ კომიტეტს, რომელიც შეიქმნა საუკეთესო რევოლუციური ჰიმნის გამოსავლენად, წარუდგინა თავისი „რევოლუციური ჰიმნი“, სოცრეალისტური ნაწარმოები, რითმებით ღარიბი, არალირიკული და არამუსიკალური ნაწარმოები: «Все прямую, все працюю, / буржуазний світ руйнуєм! / Із раба зробити брата – / гасло пролетаріата!». რომელიც, შემდგომში საფუძვლად დაედო მის ცნობილ ლექსს «Партія веде».

„კლარნეტისტი“ პოეტი ძალიან მოკლე დროში გარდაიქმნა საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდისტად, რომლის ლექსებსაც საერთო თითქმის აღარაფერი ჰქონდათ კალრნეტის ჟღერადობასა და ხმოვანებასთან და მეოცე საუკუნის მწერალთა იმ თაობას შეუერთდა, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო, ნებით, თუ უნებლიედ, „გასაბჭოვდნენ“ და ფიზიკური გადარჩენის ხარჯზე სულიერი გარდაცვალება განიცადეს.

პავლო ტიჩინას პოეზიაში სახე იცვალა რითმებმა, პოეტურმა ჟღერადობამ, ბუნების საოცარმა პეიზაჟებმა. ეს სახეცვლილება რა თქმა უნდა გამონვეული იყო ეპოქალური კატაკლიზმებით, რომელსაც თან დაერთო პირადი, ოჯახური ტრაგედია, კერძოდ, 1923 წელს ანტისაბჭოთა საქმიანობის გამო, დააპატიმრეს პავლო ტიჩინას ძმა, ნოვობასანის ტაძრის საეკლესო გუნდის ლოტბარი, საფრთხე დაემუქრა თავად პოეტსაც, რომელიც დაპატიმრებისაგან იხსნა ძველმა მეგობარმა ვ. ელან-ბლაკიტინიმ და კიევიდან ხარკოვში წაიყვანა. ამ გადასვლის შემდეგ დაიბეჭდა კიდევ მისი კრებული: „ქარი უკრაინიდან“.

1923 წელს გამოცემული პოეზიის ახალი კრებული „ქარი უკრაინიდან“ – ტიპური საბჭოთა პოეზიის ნიმუშია. არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნული კრებული ტიჩინამ ლენინის გარდაცვალების გავლენით დაწერა. ცნობილი მკვლევარი ი.მ. ლიპნიცკა იმასაც მოწმობს, რომ ტიჩინას იმდენად ეშინოდა დაპატიმრების, რომ თითქოს

დღიურსაც კი წერდა სპეციალურად ამისათვის. ამის დასტურად ერთი ჩანაწერიც საკმარისია იმის შესახებ, თუ როგორ გაუხარდა, როდესაც მ. გორკიმ მას ლენინის და გააცნო. (I.M. Липницка: 196). კრებულის გამოსვლის შემდეგ უკრაინელმა პოეტმა, ევგენი მალანიუკმა დაწერა ლექსი, სათაურით: „ორი ეპოქის გასაყარზე“, რომელშიც პავლო ტიჩინას შემდგნაირად მიმართავდა: „შენი კლარნეტისგან შეღებული საყვირი შემოგვრჩა...“

ბევრი უკრაინელი მკვლევარი წერდა, რომ პავლო ტიჩინამ იმდენად მოირგო საბჭოთა მოხელის, პარტიული მუშაკის როლი, რომ გამომეტყველებაც კი გოროზი გაუხდა, ბევრი აკრიტიკებდა ამის გამო, კიცხავდა, თუმცა, ზოგი მის დიდებულ უნარზეც წერდა – მთელი ცხოვრება შენიღბულად ეცხოვრა და კარგად ეთამაშა იძულებითი როლი, იმდენად კარგად, რომ თითქმის შეუძებლი გახდა ქვეშარტი შემოქმედის გარჩევა პარტიის მეხოტბისგან.

პავლო ტიჩინას შემოქმედებაში გარდამტეხი აღმოჩნდა კრებული „ჩერნიგოვი“ (1931 წელი), რომელმაც საბოლოოდ დაადასტურა მისი გადასვლა ე.წ. „ოფიციალურ პოეტთა“ რიგებში.

1931 წლის შემდეგ პავლო ტიჩინა რომელიც მთლიანად მიმართულია პარტიული იდეოლოგიისკენ, პროპაგანდისკენ (კრებულები: „ერთიანი ოჯახის გრძნობა“, „გამარჯვება და სიცოცხლე“, „პარტია გვიხმობს“ და ა.შ.), რითიც სამოქალაქო პოეზიის მისია და მისი, როგორც საბჭოთა პოეტის როლი წარმატებით შესრულდა.

1959 წელს დაიბეჭდა იური ლავრინენკოს ანთოლოგია: „დაცხრილული აღორძინება“, რომელიც გამოსაცემად მოამზადეს ცნობილმა ლიტერატურათმცოდნეებმა, ი. ჩეხოვმა, ი. კოშელიცმა, გრ. კოსტიუკმა, ვ. ბარკამ და სხვებმა. ანთოლოგიის გამოცემის ტექნიკური პრობლემები საკუთარ თავზე აიღო პოლონური დიასპორის გამომცემლობა „კულტურამ“, რომლის საქმიანობა სცილდებოდა პოლონეთის საზღვრებს და ვრცელდებოდა მიუნხენში, პარიზსა და დასავლეთ ევროპის სხვა ცენტრებში. ანთოლოგია იყო ლიტერატურის სულის გამოძახილი, რომელსაც საფუძვლად ძლიერი ჰუმანური ძალა და ევროპული კონტექსტი ედო.

ლიტერატურული ნაწარმოებების, როგორც ხელოვნების ნიმუშების აღქმამ ი. ლავრინენკოს საშუალება მისცა, შეექმნა უკრაინუ-



ლი ლიტერატურის 20-იანი წლების მართლაც ესთეტიკური პანორამა, მაგრამ ამავე დროს ეს პანორამა პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა, რადგანაც იმ წლებში, როგორც არასდროს, ბოლშევიკური სისტემა ცდილობდა ყველა ავტორის შემოქმედება ერთხელ და სამუდამოდ პოლიტიკური ამბიციებისთვის გამოეყენებინა, ან უბრალოდ გაენადგურებინა. მწერალთა ნაწილი ამ სისტემას უსიტყვოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ემორჩილებოდა, მაგრამ უმეტესობა, ძირითადად ნიჭიერი მწერლები, ვერ ეგუებოდნენ დაწესებულ ჩარჩოებს. „დაცხრილული“, - ი. ლავრინენკოს აზრით, არ იყვნენ მხოლოდ ისინი, ვისაც სიკვდილი ეწვია იმის გამო, რომ არ უარყვეს პირადი პრინციპები, არამედ ისინიც, ვინც სიცოცხლის ფასად თავისუფლება დაკარგა და სინამდვილეში სულიერად გატყდა და არასრულფასოვან შემოქმედად იქცა.

ანთოლოგიაში შევიდა 1920-30 წლების უკრაინული პოეზიის, პროზისა და ესეისტიკის საუკეთესო ნიმუშები. ამ ათწლეულში (1921-1931) უკრაინულმა კულტურამ შეძლო, მოეხდინა სამასწლიანი ბატონობის კომპენსირება და თავი დაედნია სხვა კულტურის, კერძოდ რუსული კულტურის გავლენისაგან (1925 წლის 1 ოქტომბრისთვის უკრაინაში ირიცხებოდა დაახლოებით 5000 მწერალი).

„დაცხრილული აღორძინების“ პერიოდის მწერლების შემოქმედებითი ნოვატორობა იყო აჯანყების ტოლფასი, დამოუკიდებელი აზროვნება და რწმენა საკუთარ იდეალებში. მათ გარეგნულ „საბჭოთაში“ იმალებოდა ღრმა და შინაარსიანი შემოქმედებითი ნატურა.

სწორედ ამ მიზნით აღმოჩნდა ი. ლავრინენკოს ქრესტომათიაში პ. ტიჩინა, მ. რილსკი, ი. იანოვსკი და ო. დოჟენკო, მ. ბაჟანი და ვ. სოსიურა, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს 20-იანი წლების რეპრესიები და სხვებისაგან განსხვავებით უფრო მეტად შეუვალელები და შემოქმედებითად დამოუკიდებლები დარჩნენ (Лавріненко Ю. А.: 1959). ი. ლავრინენკოს შეხედულება მოგვიანებით გაამყარა ვასილ სტუსმაც, რომელმაც 1970-იანი წლების დასაწყისში პავლო ტიჩინას შემოქმედებაზე დაწერა ლიტერატურული გამოკვლევა, სათაურით «Феномен доби (Сходження на Голгофу слави)», რომელშიც ასე დაახასიათა: „მსოფლიო ლიტერატურაში ალბათ არ მოიძებნება სხვა ისეთი მაგალითი, როდესაც პოეტი თავის ნახევარ სიცოცხლეს

მიუძღვნის მაღალ პოეზიას, ხოლო მეორე ნახევარს - თავის გენიალურ ნიჭთან დაუნდობელ ბრძოლას“ (Стус В.: 1993).

პავლო ტიჩინას შემოქმედება აშკარა მაგალითია იმისა, თუ როგორი გავლენა მოახდინა საბჭოთა რეჟიმმა მეოცე საუკუნის უკრაინულ ლიტერატურაზე, რომელიც, შეიძლება სულ სხვა რაკურსით განვითარებულიყო.

### **ლიტერატურა:**

1. **ბაქანიძე 2003:** ბაქანიძე თ. ოქროს ქნარებით, თბილისი, 2003 წ.
2. **Лавріненко 1959:** Лавріненко Ю. А., «Розстріляне відродження: Антологія 1917–1933: Поезія—проза—драма—есеї». Париж, 1959 р.
3. **Ліпницька 2013:** Ліпницька І.М., Павло Тичина, Історія української літератури ХХ-поч. ХІХ ст. 1 том. Київ, 2013 р. 196.
4. **Семчишин 1993:** Семчишин М. Тисяча років української культури. К., 1993.
5. **Стус 1993:** Стус В., Феномен доби або сходження на Голгофу слави.– К., Наукова думка., 1993. – С.- 92.

Nino Naskidashvili

## **“Sun clarinets” by Pavlo Tychyna and creative transformations**

The creative work of twentieth century Ukrainian poet, Pavlo Tychyna with great interest and identity reflects the epoch-based changes. His earlier poems are characterized with the signs of symbolism, as well as impressionism, futurism, baroque, though in Ukrainian literature he is yet known under the name of symbolist poet. Though, the Soviet Union has completely changed the world view of poet and has directed the creative work of symbolist poet towards the party-based ideologue, propaganda and this period of Ukrainian literature has developed in other recourse.

## ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია, გიორგი ყუფარაძე

### პარემიოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური სპეციფიკა (ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)

გასულ საუკუნეში, ანდაზები და თქმები გახდა ფრაზეოლოგიის ახალი დარგის – პარემიოლოგიის შესწავლის ობიექტი. ფრანგულ და ინგლისურ ენებში არტიკლის ფუნქცია მრავალმხრივია. წინამდებარე კვლევაში, ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ პარემიოლოგიური ერთეულებისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია განსაზღვრული ან ნულოვანი არტიკლის გამოყენება, ვიდრე განუსაზღვრელია.

ერთეული საგნებისა და აბსტრაქტული ცნებების აღმნიშვნელი არსებითი სახელების განსაზღვრული ან ნულოვანი არტიკლით ხმარებას წარმოგვიდგენენ ისეთი ნიმუშები, როგორებიცაა: **à tout heure la mort est proche; at all times death is near** ‘ყოველი საათი სიკვდილს აახლოვებს’; **le temps guérit tout; time heals everything** ‘დრო ყველაფრის მკურნალია’; **au petit Bonheur; at Little happiness; haphazard** ‘ალაღბედზე’.

8. Kvachadze, L. (1988). *Georgian Language Part I*. Tbilisi: Ganatleba.
9. Kvachadze, L. (1988). *Syntax of Modern Georgian Language*. Tbilisi: Ganatleba.
10. Makharadze, M. (2010). *Modality in English language and its expressing means*. International Scientific Conference. *Language and Culture*. Works, Kutaisi. 1, 235-240.
11. Palmer, F. R. (2001). *Mood and Modality*. Second Edition. Cambridge University Press.
12. Qoridze, E. (2010). *For the Problem of Contrasting Languages*.
13. International Scientific Conference, *Language and Culture*, works. 1, 421-424.
14. Quirk, R., Greenbaum, S., Leech, G., & Svartvik, J. (1985). *A Comprehensive grammar of the English Language*. Longman Inc., New York.
15. Thomson, A. J., & Martinet, A. V. (1986). *A Practical English Grammar*. Fourth Edition. Oxford University Press.
16. Wilde, O. (1979). *Selections*. Volume One. Moscow: Progress Publishers.
17. Zambakhidze, N., & Zambakhidze, M. (2012). *English Grammar*. Tbilisi: Egrisi.
18. Du, J. B. (2004). *Forensic Linguistics*. Shanghai: Shanghai Foreign Language Education Press.
19. Du, J. B., Zhang, F., & Yuan, L. (2004). *Problem in Chinese legal translation and its solution*. *Chinese Translators Journal*, 3, 72-76.
20. Gao, L. J. (2010). *A Corpus-based analysis of key modal verbs in legal texts*. *Journal of Shaoxing University*, 2, 69-73.
21. Halliday, M. A. K., & Matthiessen, C. (2008). *An Introduction to Functional Grammar* (3rd ed.). Beijing: Foreign Language Teaching and Research Press.
22. Hatim, Basil, & Mason, Ian. (2002). *Discourse and the Translator*. London: Longman.
23. Hu, Z. L., Zhu, Y. S., Zhang, D. L., & Li, Z. Z. (2005). *An introduction to systemic functional linguistics*. Beijing: Peking University Press.
24. Huang, W. (2002). *On translators' creativity in legal translation*. *Chinese Translators Journal*, 2, 41-43.
25. Jin, C. W., & Hu, A. P. (2000). *A study of existing problems in legal translation*. *Chinese Translators Journal*, 3, 45-50.



26. Jin, C. W. (2009). On formal equivalence in legal translation. *Chinese Translators Journal*, 2, 62-67.
27. Li, K. X. (2010). On static equivalence in translating legal texts. *Foreign Language Teaching and Research*, 1, 59-65.
28. Li, K. X. (2007). Functions of modal verbs in legal documents and their translation. *Chinese Translators Journal*, 6, 54-60.
29. Peng, X. B., & Zhang, X. H. (2007). Pragmatic principle of English-Chinese legal translation. *Journal of Northwest University*, 2, 147-156.
30. Peng, X. W. (2000). A comparative study of English and Chinese discourse. Shanghai: Shanghai Foreign Language Education Press.
31. Shi, G., & Xin, B. (2008). An analysis of the modality system in the Constitution of the United States. *Foreign Language Research*, 2, 55-59.
32. Sun, H. R., & Yang, J. D. (2009). A Parallel Corpus of China's Legal Documents. <http://corpus.zscas.edu.cn/> (retrieved on June Tao, B. (2004). *Legal English: English-Chinese Bilingual Legal Documents*. Shanghai: Fudan University Press.
33. Xiao, Y. S. (2001). The characteristics, etymology and translation of legal terms both in English and Chinese. *Chinese Translators Journal*, 3, 44-47.
34. [18] Xin, G. (2003). Translation of titles of laws and regulations. *Chinese Science & Technology Translators Journal*, 3, 25-28.
35. Xiong, D. M. (2006). Comparison and contrast between English and Chinese person deixis in legal language. *Foreign Language Education*, 3, 81-86.
36. Yang, M. (2008). A study of willingness to power of legislative discourse. *Foreign Languages and Their Teaching*, 4, 5-8.

## ნინო პოპიაშვილი

### აბუსერიძე ტბელის „გალობანი სამთა იოვანეთა“ – ზოგიერთი მხატვრული თავისებურება

აბუსერიძე ტბელი, ხით-აჭარის ერისთავთ-ერისთავ ივანეს ძე, მე-13 საუკუნის მოღვაწე იყო. ზედწოდება ტბელის მიხედვით აკად. კ. კეკელიძე ასკვნის, რომ „ის იყო მტბევარი, ან ტბეთის ეპისკოპოსი. ის ამასთანავე ნიჭიერი, განათლებული და ნაყოფიერი მწერალი ყოფილა“ (კეკელიძე 1960, გვ. 330). ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მნიშვნელოვანი კვლევები ეკუთვნის პროფ. რ. ხალვაშს. მისი დაკვირვებით, „ტბელ აბუსერისძე (დაახლ. 1190-1250) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცნობილ ფეოდალთა გვარს ეკუთვნოდა. საეკლესიო განათლება მან ვარძიაში მიიღო, სადაც მისი მოძღვარი და მასწავლებელი იყო იოანე შავთელი. 1216 წელს ტბელ აბუსერისძეს ვხედავთ დვინში, სადაც ესწერება ივანე მხარგრძელის (ათაბაგის) ინიციატივით გამართულ სასამართლოს... რუსთველის უმცროსი თანამედროვის, ტბელ აბუსერისძის სახით ჩვენს წინაშეა საზოგადო მოღვაწე და მრავალმხრივი შემოქმედი - მწერალი, ღვთისმეტყველი, მეცნიერი, პედაგოგი, რომელი თავის თანამოაზრეებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რუსუდან დედოფლის დროინდელი საქართველოს იდეოლოგიურ ცხოვრებაში“ (ხალვაში 2005-2006).

აბუსერიძე ტბელი რამდენიმე თხზულების ავტორია. მათ შორის არის ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულება „სასწაული წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“, რომელშიც გარდა წმინდა გიორგის სასწაულმოქმედებისა, წარმოდგენილია იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრების სურათები. ასევე, „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“; „გალობანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი სარწმუნოებისათვის მართლისა“; „ქორონიკონი სრული მისითა საუნწყებლითა და განგებითა“, რომელიც თავდაპირველად იოანე შავთალს მიეწერებოდა, კ. კეკელიძის აზრით, სწორედ აბუსერიძე ტბელის შექმნილია. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ავტორი „XIII

საუკუნის მეორე მეოთხედის საქართველოში მომხდარ კატაკლიზმებს საეკლესიო მოღვაწის პოზიციიდან აფასებს და ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარების მიზეზს ერის „ცოდვებში“ ხედავს, ამიტომ ყოველმხრივ ცდილობს მის სულიერ განმტკიცებას და ქვეყნის ეკლესიური ერთიანობის აღდგენას. როგორც ირკვევა, ეს პრობლემა იმ პერიოდის საქართველოში სერიოზულად იდგა, რადგან ტბელ აბუსერიძის შემოქმედებაში შეინიშნება დოგმატურ-პოლემიკური ტენდენციების მკვეთრი ხაზგასმა“ (ხალვაში 2005-2006). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აბუსერიძე ტბელის ნაწარმოებების ჟანრული მრავალფეროვნება წარმოდგენას გვიქმნის ავტორის მრავალმხრივობასა და განსწავლულობაზე.

„აბუსერიძე ტბელს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე „გალობანი სამთა იოვანეთა: ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა“ (კეკელიძე 1960, გვ. 331). მკვლევარი აქვე დასძენს: „ყოველ შემთხვევაში, ის რასაც ამბობს, რომ ეს საგალობელი მის მიერაა შემატებული ხელნაწერში, რომელშიაც მას სხვა ავტორთა ნაწარმოებნიც მოუქცევია“ (კეკელიძე 1960, გვ. 331). „გალობანი წმიდათა იოვანეთა“ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო რ. ხალვაშმა (ტბელ აბუსერიძე 1992). მისი აზრითაც აღნიშნული ჰიმნოგრაფიული ძეგლი აბუსერიძე ტბელს უნდა ეკუთვნოდეს. საგალობელი ისტორიული-ლიტერატურული თვალსაზრისით შესწავლილია. ჩვენ ამ ძეგლის მხატვრული მხარის ზოგიერთ თავისებურებაზე შევჩერდებით. „გალობანი წმიდათა იოვანეთა“ შეიცავს 32 დასდებელს. თითოეულ გალობაში ოთხი დასდებელია, სადაც სამი პირია შექებული, სამი იოვანე: ნათლისმცემელი, მახარებელი და ოქროპირი. აღსანიშნავია, რომ „საგალობელში ერთდროულად სამი პირის შექება იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ქართულ ჰიმნოგრაფიაში“ (რ. ხალვაშის გამოკვლევა წიგნში ტბელ აბუსერიძე 1992, გვ. 10).

ცნობილია, რომ ქრისტიანული ღვთისმსახურება საქართველოში თავდაპირველად ბერძნულ ენაზე სრულდებოდა და ჰიმნოგრაფიაც შესაბამისად ბერძნული იყო, მაგრამ „თავისთავად ცხადია, რომ ჰიმნოგრაფიული მწერლობა ქართულ ენაზეც უნდა შექმნილიყო. ამას მოითხოვდა, სხვა არა იყოს რა, ლიტურგიკული საჭიროება და პრაქტიკა. თავდაპირველად ჩვენი ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია

ნათარგმნი იყო. ქართველები თარგმნიდნენ იმ ჰიმნებსა და საგალობლებს, რომელთაც ისინი სხვა ენაზეპოულობდნენ, უფრო კი, ბერზნულზე“ (კეკელიძე 1960, გვ. 589-590). შემდეგ, თანდათან იწყება ორიგინალური ჰიმნოგრაფიაც. პ. ინგოროყვას თავლსაზრისით, ქართული ლექსი მე-5 საუკუნიდან იღებს სათავეს ქართულ პროზასთან ერთად (ინგოროყვა 1954, გვ. 551). ამ აზრს ეთანხმება კ. კეკელიძეც.

აბუსერიძე ტბელის „გალობანი სამთა იოვანეთას“ მხატვრული თვალსაზრისით განხილვისათვის უთუოდ მნიშვნელოვანია ის ჰიმნოგრაფიული ტრადიციები, რც არსებობდა ქართულში, ასევე, ის მიმართებები, რაც ქართულ საგალობლებს ბერძნულ-ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიასთან ჰქონდა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ აბუსერიძე ტბელის დროისათვის ქართულ ჰიმნოგრაფიას მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები უხვად მოეპოვებოდა, ხშირად გვხვდება აგრეთვე საზომთა, სიტყვათა, ფორმათა გადმოტანა ბერძნულიდან ქართულში.

ტექსტის ლექსწყობის საკითხის განხილვის საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ქართული ენა მახვილის უძრაობის გამო ხელსაყრელ პირობებს ქმნის სილაბური ლექსწყობისათვის... ქართულ ლექსმცოდნეობაში გავრცელებული აზრი ქართული ლექსის სილაბურ-ტონურობისა მართებული არ არის. ძველ-ქართული ლექსი სილაბური იყო და საერთოდ ლექსწყობის სხვა სისტემებს შორის ქართული ყველაზე მეტ სიახლოვეს სილაბურ ლექსწყობასთან პოულობს“ (ხინთიბიძე 1992, გვ. 38-39).

როგორც პ. ინგოროყვა აღნიშნავდა, „ძველ-ქართულ ლიტერატურაში არსებულა არა ერთი სახის ლექსწყობა, არამედ სამი სახის ლექსწყობა, რომლებიც თავისი წყობით, მეტრულ-რიტმული სტრუქტურით, სხვადასხვა სისტემებს წარმოგვიდგენენ“ (ინგოროყვა 1954, გვ. 551). პ. ინგოროყვას აზრით, ქართული ჰიმნოგრაფიაში სამი სახის ლექსწყობა გამოიყოფა (დანვრილებით იხ. პ. ინგოროყვა 1992, გვ. 553-734). აღნიშნულიდან გამომდინარე, აბუსერიძე ტბელის „გალობანი სამთა იოვანეთა“ ახლოს დგას სილაბურ-მუხლედოვან საზომთან, რადგან ამ საზომის საფუძველს შეადგენს სხვადასხვა ზომის სილაბური მუხლედი ორმარცვლიანიდან ცხრამარცვლიანამდე,

რომლებიც ერთმანეთისაგან ცეზურით გამოიყოფა. არსებობს მოკლე (2-3 მარცვლედნი), საშუალო (4-7 მარცვლედნი) და გრძელი (8-9 მარცვლედნი) მუხლედები.

აბუსერიძე ტბელის აღნიშნული ნაშრომი სწორედ მოკლე, საშუალო და გრძელი მუხლედებით არის დაწერილი, რომელნიც ერთმანეთისაგან ცეზურით გამოიყოფა. ამასთან, მოკლე მუხლედები იშვიათია. უმეტესად, საშუალო და გრძელი მუხლედებია გამოყენებული. მაგალითად:

საშუალო                      საშუალო                      საშუალო  
„მთად და კიბედ, / ტაკუკად და / სასაკუმევლად  
საშუალო                      საშუალო  
კიდობნად შკულისა / კუერთხად და ფიცრად“  
(*ტბედ აბუსეხიძე 1992, გვ. 23*)

მოკლე                      საშუალო  
„უცხო მყავ / ნივთთა სურვილისაგან,  
გრძელი  
ქალწულებისა სახეო,  
საშუალო                      საშუალო  
გულსმოდგინე-მყავ / მოგებად მისისა  
საშუალო                      საშუალო                      მოკლე  
და ოქროსფერიტა / მოძღურებითა / სხუაო  
საშუალო                      გრძელი  
იოხდი ჩემთვს / ოქრო-სახელო მამაო“  
(*აბუსეხიძე ტბედი 1992, გვ. 24*)

საშუალო                      მოკლე  
„უბინოდ ჰგიე, / ქალწულო,  
საშუალო                      საშუალო                      მოკლე  
სულიტა / და ხორციტა / მარადის  
გრძელი                      მოკლე  
პირველმიდმომილებასა / საღმრთოსა“.  
(*აბუსეხიძე ტბედი 1992, გვ. 24*)

მარცვალთა ევფონიური ჟღერადობა საგალობელში არ არის სტაბილური, მაგრამ მთავარი მიზანი, რომ ტექსტი ადვილად წასაკითხი და ადვილად საგალობელი გახდეს, მიღწეულია. ამ მხრივ,

პირველ რიგში, აღსანიშნავია რითმა, რომელიც საკმაოდ განვითარებული და დახვეწილია მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო ჰიმნებსა თუ საგალობლებს მაღალმხატვრული და ევფონიურად ჟღერადი რითმა არ ახასიათებს.

„მაღლითა ტაკუკნი  
განგზავნეს ღირსთა  
მაღლისა ღმრთისა მოსახელეთა სამთა:  
იოვანე დიდმან წინამორბედმან  
და იოვანე ღმრთისმეტყუელებისა თავმან,  
იოვანე ოქროდსა  
საშუებლისა ღუარმან  
და მაღლითა ქადაგებითა გვბრძანებენ შუებად“.

(აბუსერიძე 1992, გვ. 20)

აღსანიშნავია, რმ „გალობანი სამთა იოვანეთა“ ინტერვალიანი და ჯვარედინი რითმებით არის დაწერილი. აქ გარითმულია: მეორე-მეექვსე-მერვე-მეათე (ღირსთა, ოქრობსამაღლითა, ქადაგებითა); მესამე-მეხუთე-მეშვიდე (სამთა, თავმან, ღუარმან), მეოთხე-მეცხრე (წინამორბედმან, შუებად) სტრიქონები.

ჰიმნოგრაფიული ძეგლი განსაკუთრებით მდიდარია შიდა რითმებით: მაღლითა, მაღლითა - ქადაგებითა;

„ნიავესუნელად, რომელთა-იგი საღმრთოდ  
მოსლვა ა ეცნა დიდსა  
ელიზას, გიცნობთ, ახლო ელია,  
დაღრუბელად სამჯედროდ სიტყვსა  
გიცნობთ, ქრისტეს შეყუარებულს,  
და ცუარად მოძღურებათა წვმისა,  
ღმრთივ-ცურეულად გხადით, ოქროპირო“.

(აბუსერიძე 1992, გვ. 21)

მოყვანილ სტროფში შიდა რითმებია: ეცნა-გიცნობდი-გხადით; ნიავესუნელად-ღრუბლად-ციურად-ცურეულად; საღმრთოდ-მოსლვად. ერთმანეთს ერთმება მეორე-მეოთხე-მეექვსე (დიდსა-სიტყვსა-წვმისა), მეხუთე-მეშვიდე (შეყუარებულს-ოქროპირო) სტრიქონები.

„სარწმუნოებისა დიდად  
სახის-დასაბამად წინამორბედსა

და სახარებისა მდიდრად  
და ვრცლად უფსკრულად - ღმრთისმეტყუელსა  
ხოლო ოქროსა ნესტუსა ღმრთისა სახესა  
სიყუარულისა სეხნიად ვდებ“.

(აბუსერიძე ტბრლი 1992, გვ. 23)

მოცემულ ნაწყვეტში შიდა რითმებია სარწმუნოებისა-სასოები-  
სა-ოქრობსა-სიყუარულისა; დასაბამად-ვრცლად-უფსკრულად. გარე-  
რითმებია: პირველი-მესამე (დიდად-მდიდრად), მეორე-მეოთხე-მე-  
ხუთე (წინამორბედსა-ღმრთისმეტყუელსა-სახესა) სტრიქონები.

„სამზისა, ერთ-ღმრთეებისა  
სამ-ნათელთა ელვათა,  
ჩუენ შორის მყოფისაებრ  
საღმრთოდას ხატებისა  
იოვანეს - დმასა  
სიტყუსა სულად,  
ღმრთისმეტყუელსა - გონებად  
და ოქროპირსა - სიტყუად,  
სიტყუსა მის არსთადასა  
მომთხროველად, ვიცნობთ“.

(აბუსერიძე ტბელი 1992, გვ. 28-29)

აღნიშნულ ნაწყვეტში შიდა რითმებია სამზისა - საღმრთობსა  
- ოქროპირსა - სიტყგსა; სამზისა-სამნათელთა-ღმრთისმეტყუელ-  
სა. გარე რითმებია: პირველი-მეოთხე-მეცხრე (ღმრთებისა-ხატები-  
სა-არსთაბსა), მეექვსე-მერვე (სულად-სიტყუად) სტრიქონები.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სტროფი მოვიყვანეთ იმის დასადას-  
ტურებლად, რომ აბუსერიძე ტბელის აღნიშნულ საგალობელში ხში-  
რია შიდა და გარე რითმები. გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს  
სტროფები არავითარ გამონაკლისს ამ მხრივ არ წარმოადგენენ და  
სხვა დანარჩენი სტროფებიც იგივენაირად უხვია ევფონიური ჟღე-  
რადობით.

გარდა შიდა და გარე რითმებისა, აღსანიშნავია ფრაზებისა და  
სტრიქონების გართმვაც. მაგალითად:

**„მთად და კიბედ, ტაკულად და საკუმეველად“**  
**„ნიავესულნელად, რომელთა-იგი საღმრთოდ მოსვლად“**  
**„და ვრცლად უფსკრულად - ღმრთისმეტყუელსა“**

**„სამშხისა, ერთ-ღმრთეებისა“**

**„საღმრთოფსა ხატებისა“**

**„შუდთა ეულისა მადლითა**

**შუდ არედ ერთრად“**

ევფონიური ჟღერადობის მხრივ, ამ საგალობელში აღსანიშნავია ალიტერაცია-ასონანსი.

**ც ბგერის ალიტერაცია:** ეცნა, გიცნობთ, გიცნობთ, ცუარად, ცურეულად („სამებაო წმიდაო“, დასდებელი 1); რიცხვთა, ცემულთა, ცნობისა, მეცნიერებისა („რაჟამს წინასწარმეტყუელმან“, დასდებელი 1).

**ს ბგერის ალიტერაცია:**

**„სარწმუნოებისა დიდად**

**სახის-დასაბამად წინამორბედსა**

**და სასოებისა მდოდრად**

**და ვრცელად უფსკრულად-ღმრთისმეტყუელსა**

**ხოლო ოქროდნესტუსა ღმრთის სახელსა**

**სიყუარულისა სეხნიად ვდებ“.**

**მ ბგერის ალიტერაცია:**

**„ვითარცა-რაჲ**

**მადლისა საღმრთომან**

**მსახურმან, წინამორბედო,**

**განმწმინდე მე და ვითარცა**

**მღვდელმან განათლებისა**

**ღირს-მირჩინე, ღმრთისმეტყუელო,**

**და ვითარცა ღვდელთმთავარმან დიდმან,**

**სრულყოფად მომმადლე**

**ოქრო-ბრწყინვალეთა**

**ოზათა შენთა მიერ, ოქროპირო“.**

გვხვდება სხვადასხვა სიტყვათა ალიტერაციაც:

**„კიბედ იაკობისად იწოდე შენ“**

**„ვითარცა წვმაჲ სანმისსა ზედა“**

**„რამეთუ სახედ შენდა იხილა**

**მოსე მთასა ზედა სინასა**

**მაყუალი მგზნებარე და არაშემწუარი“**



## ა ბგერის ასონანსი:

„აღმოსავალით მაღლითაბაღმოსრულსა მის მზიასა სანთელსა  
ელვად საღმრთობნათლისა  
ვქადაგებთ, ხოლო  
სიტყვსა მკერდსა მიყრდნობილსა ცუარად  
და ოქროპირსა-მარგალიტად წმიდად  
არსთა ცნობისა სიღრმესა დაფარულად.

აღსანიშნავია, რომ ამ ჰიმნოგრაფიულ ძეგლში ა ხმოვნის ასონანსი განსაკუთრებით ხშირია.

აბუხერიძე ტბელის სტილისათვის დამახასიათებელია პოეტური გამეორება:

„კეთილთა **დასაბამისა**,  
**ვითარცა დასაბამიან** მადლისამან  
მოგებად გულსმოდგინე-მყავ,  
წინამორბედო,  
და განზოგადებად, **ვითარცა** საშუვალმან,  
ღმრთისმეტყუელო, და სრულყოფად მისსა,  
**ვითარცა** დასასრულმან, ოქროპირო“.

მოტანილ ნაწყვეტში აღსანიშნავია აგრეთვე ოპოზიციური წყვილი: დასაბამიან-დასასრულმან, რაც ასევე პოეტური გამეორებით არის გაძლიერებული: ვითარცა დასაბამიან-ვითარცა დასასრულმან.

პოეტური გამეორების ნიმუშია შემდეგი სტროფიც:

„მოსლვაჲ **ეცნა** დიდსა  
**ელიას, გიცნობთ**, ახლო, **ელია**  
და ღრუბლად სამწედროდ სიტყვსა  
**გიცნობთ**, ქრისტეს შეყუარებულო“.

აბუხერიძე ტბელი ხშირად მიმართავს **პოეტურ გადატანას**. მაგალითად:

„და წინამორბედად **სასუფევლად**  
**ღმრთისა** აღიარებოდეთ, **ხოლო**  
**ღმრთისმეტყუელი** - სასუფევლად ცათა“

ასევე:

**„უპირატესთა  
სამ-მწყობრთა დასთა შორის საყდრად  
ღმრთისა განსასუენებლად  
ვიცნობთ ქადაგსა,  
ხოლო ქერობინებრად  
პირად-ნაშობსა  
ზეცისა ქუხილითასა  
და სერაბინად-ოქრობსა ქნარსა“.**

აღსანიშნავია, რომ „ჰიმნი განსაკუთრებით მდიდარია პერიფრაზებით, სადაც ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა სიტყვებითაა გამოხატული... საგალობელში მრავლად გვხვდება მეტაფორები და ალეგორიები“ (რ. ხალვაშის წინასიტყვაობა, აბუსერიძე ტბელი 1992, გვ. 13). ტექსტში ხშირად გვხვდება შედარებებიც, მაგალითად:

**„დაჯსნილობისა ღრუბლითა მოცვული  
განმაფრთხე, ვითარცა რაჲ  
სიტყვსა დდიდო ქადაგო,  
და ვითარცა სიტყუამან, პირ-უტყუ ქმნული  
სიტყვერ-მყავ, ღმრთისმეტყუელო, და ვითარ  
პირმან ქრისტესმან, ოქროპირო,  
ვნებათა მღვმით აღმომიყვანე“.**

აგრეთვე:

**„კიბედ იაკობისად იწოდე შენ,  
რომელსა გარდამოჯდა  
დამბადებელი მჭჩუნდა,  
ვითარცა წვმაჲ სასმისსა ზედა.  
მდუმრიად შენგან გამოგვბრწყინდა,  
დაბადებულთა დედოფალო,  
ამოსთვს ყოველნი გადიდებთ“.**

გასათვალისწინებელია, რომ „ჰიმნოგრაფები თავის სათქმელს გამოხატავდნენ მზა რელიგიური ფორმულებით, პოეტური ენა ეფუძნებოდა ამ რელიგიურ-დოგმატურ ფრაზეოლოგიას თუ მზა სახეებსა და გამოთქმებს. ტროპული სახეები არ გამოირჩეოდნენ ორიგინალ-

ლობით, ისინი გადადიოდნენ საგალობლიდან საგალობელში“ (გრიგოლაშვილი 1987, გვ. 519). აბუსერიძე ტბელის „გალობანი სამთა იოვანეთა“, რასაკვირველია, მიჰყვება შუა საუკუნეების პოეტური სტილისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, გამოხატვის ხერხებსა და საშუალებებს, მზა რელიგიურ დოგმებს, მაგრამ ეს ჰიმნოგრაფიული ძეგლი გამოირჩევა ზოგიერთი მხატვრული თავისებურებით. მაგალითად, შიდა და გარე რითმების სიუხვით, სიტყვათა და ბგერათა ალიტერაცია-ასონანსით. ეს ყოველივე კი, შეიძლება ითქვას, რომ აბუსერიძე ტბელის სტილისათვის არის დამახასიათებელი, რითაც იგი სცილდება არსებულ მზა ფორმებსა და ორიგინალურ შინაასობრივ და მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს.

### ლიტერატურა:

1. **გრიგოლაშვილი 1987:** გრიგოლაშვილი ლ., ბოლოსიტყვაობა წიგნში: „ქართული მწერლობა“, ტ. 2. თბ., 1987
2. **ინგოროყვა 1954:** ინგოროყვა პ., „გიორგი მერჩულე“, თბ., 1954
3. **კეკელიძე 1969:** კორნელი კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. 1, თბ., 1960
4. **ტბელ აბუსერიძე 1992:** ტბელ აბუსერიძე, „გალობანი წმიდათა იოვანეთა“, ტექსტი გამოსცა რამაზ ხალვაშმა, ბათუმი, 1992
5. **ხალვაში 2003:** ხალვაში რ., „ტბელ აბუსერისძის „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“, თბ., „ქართული წიგნი“, 2003
6. **ხალვაში 2004-2005:** ხალვაში რ., „ტბელ აბუსერისძე - რუსთველის უმცროსი თანამედროვე“, „რუსთველოლოგია“, 2005-2006, №4, თბ., შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
<http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=periodika&cl=CL2.21&d=HASH01ee35ded344bb9fe8ccdcdd.2.8>
7. **ხინთიბიძე 1992:** ხინთიბიძე აკ., „ქართული ლექსმცოდნეობა“, თბ., 1992

## Nino Popiashvili

### Several Artistic Features in *The Songs by three Johns (Galobani Samta Iovaneta)* by Abuseridze Tbel

#### Summary

Abuseridze Tbel was a writer of the XIII century and the son of the feudal John. By the title "Tbel" the Academician Korneli Kekelidze assumed that either he was from the region of Tbeti or was the Bishop of Tbeti. Abuseridze Tbel wrote several noteworthy books, such as *The Miracles of Saint George*, where he writes not only about the miracles performed by Saint George but about the life in western Georgia at that time. *The Songs by three Johns (Galobani Samta Iovaneta)* was published and researched by R. Khalvashi in 1992. According to him, this hymnographical work belongs to Abuseridze Tbel.

The Hymn has been studied from a historical and literary point of view. The paper deals with several artistic features in the work. Christian Masses in Georgia were held in Greek, thus hymnography was Greek as well. Afterward, original hymnography came to existence. According to Pavle Ingorokva, Georgian Verse started in the V century along with the Georgian Prose (Ingorokva 1954:551). The same hypothesis is being shared by Korneli Kekelidze.

The euphonic sound of the syllables is not stable in the hymn, but the aim of the text is to be read easily and easily sung. In this respect, the rhythm is rather important which is developed and delicate, despite the fact that hymns and songs do not stand out by their highly artistic or euphonic sound of a rhythm.

While researching Abuseridze Tbel and *The Songs by three Johns (Galobani Samta Iovaneta)* due to their artistic features, the hymnography traditions that existed before should be taken into account, also the relations that Georgian hymn shared with Greek and Byzantine Hymnography. Despite the fact that during the times of Abuseridze Tbel Georgian hymnography was rich with its artistic expressions, there are numerous meters, words, forms taken from Greek into Georgian.

*The Songs by three Johns (Galobani Samta Iovaneta)* by Abuseridze Tbel follows the medieval pattern, which characteristic to the poetical style and uses the elements, means of expression and ready-made religious dogmas, but this hymnography is outstanding due to the rich internal and external rhythms, as well as alliteration. Thus, Abuseridze Tbel overcomes the existing frameworks and creates a totally new piece of work.

## სოფიო ჩხატარაშვილი

### ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი შემოქმედების რეფლექსია მიკოლა ვინგრანოვსკის პოეზიაში

ქართული ლიტერატურის თარგმნის ტრადიცია უკრაინული მწერლობის ისტორიაში მე-19 საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს. მეოცე საუკუნეში იგი განსაკუთრებით აქტიური და ნაყოფიერია. გასულ საუკუნეში მოღვაწე უკრაინელი მწერლები თარგმნიდნენ ქართული ლიტერატურის როგორც კლასიკოს მწერლებს, ასევე თანამედროვე ქართულ პოეზიას, და პროზასაც.

ქართული რომანტიზმის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, პოეზიით უკრაინელი პოეტები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაინტერესებულან. პავლო გრაბოვსკის უთარგმნია: „ჩემი ლოცვა“, მიკოლა ბაჟანს „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მეფე ირაკლის საფლავი“; ივან კულიკს „ხმა იდუმალი“, „ღამე ყაბახზედ“, „ქართლის ბედი“.

მეოცე საუკუნეში საბჭოთა სივრცეში მყოფ საქართველოსა და უკრაინაში ისტორიული და ლიტერატურული მოვლენები მეტ-ნაკლებად საზიარო იყო, რაც ხელს უწყობდა საზოგადოების დაინტერესებას უცხო ქვეყნისადმი, რომელიც მის ბედს იზიარებდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში უკრაინაში ჩნდება შემოქმედთა ახალი ტალღა, რომელიც „სამოციანელების“ სახელით შვეიდა ისტორიაში. სამოციანელი მწერლები კონტაქტობდნენ, მეგობრობდნენ ქართველ მოღვაწეებთან, თარგმნიდნენ მათ ნაწარმოებებს, ერთმანეთთან ჰქონდათ მიმოწერა. აღნიშნულ პერიოდში ლიტერატურული და კულტურული დიალოგი ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებში განსაკუთრებით გამყარდა. უკრაინელი „სამოციანელები“ ქართული სამყაროს, როგორც „უცხოს“ კულტურული სახის საინტერესო რეცეფციას გვთავაზობენ. დმიტრო პავლიჩკოს „ქართული სიმღერა“, „საქართველოს საელჩოსთან რომში“, ლინა კოსტენკოს – „...ჩელოს სიმებად ქარები ჟღერდნენ“, „...გოგონავ, სახით თინათინის სადარო, მართლა...“, ბორის ოლიინიკის – „ქართველები ცეკვავენ“, ვიტალი კოროტიჩის „ზაფხული ქუთაისში“ , „კავკასიონი“, „მხიარუ-

ლი პურობა“, რომელიც ნოდარ დუმბაძეს ეძღვნება, „ვუსმენ ქართველი პოეტების ხმას“, „საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი ვფიქრობ თბილისზე“, ივან დრაჩის – „ივერიული მიზიდულობა“, „საქართველოს სადიდებელი“, „ლანჩხუთში“, „წერილი ტიციან ტაბიძეს“, „ნიკო ფიროსმანი გავლით კიევში“, „ყოფნა დავით გურამიშვილად“, მიკოლა ვინგრანოვსკის – „მოდღვარი“ და ა.შ. იმაგოლოგიური კვლევების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვან და ვრცელ მასალას წარმოადგენს.

ერთ-ერთი „სამოციანელი“ მწერლის, მიკოლა ვინგრანოვსკის შემოქმედებაში ჩნდება ქართული თემატიკა, მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია. მის კალამს ეკუთვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ორი ლექსის „მერანი“ და „ჩემი ლოცვა“ თარგმანი და ერთი მიძღვნილი ხასიათის ლექსი „გუძღვნი ნიკოლოზ ბარათაშვილს“.

უკრაინელი პოეტების შემოქმედებაში ქართული თემის გაჩენა გახლავთ უცხო თემატიკის, როგორც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ქვეტიპის კვლევის საგანი: „ნებისმიერი ერის ლიტერატურაში უცხოეროვნული თემატიკის გაჩენა იმაზე მიუთითებს, რომ მას განსაკუთრებული ინტერესი გაუჩნდა იმ ერისადმი, რომლის შესახებაც წერს, მისი ისტორიის, კულტურის, ხალხისა თუ ყოფა-ცხოვრებისადმი. ამ ფორმის ერთ-ერთი ფუნქცია ისიცაა, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია, უკეთ ჩავწვდეთ უცხო ქვეყნის, მისი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებულ და განსაზღვრულ ხასიათს, მის ყოფა ცხოვრებას. მართალია ჩვენს ეპოქაში თითქმის ყველა ხალხის შესახებ არსებობს ზღვა ინფორმაცია, რომლითაც შეიძლება საფუძვლიანად გავცნოთ მის ისტორიას, კულტურას, ყოფა-ცხოვრებასა თუ ტრადიციებს, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ამ შემთხვევაში მხატვრულ ლიტერატურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მხატვრულ სამოსში გახვევა და მწერლის ფანტაზია ხალხის ცხოვრების ფაქტებსა და მოვლენებს მეტ მიმზიდველობას ანიჭებს და ინტერესსაც მეტს იწვევს, რაც შემეცნებით და ესთეტიკურ ფენომენტა ორგანული შერწყმითაა განპირობებული- (გაფრინდაშვილი 2013: 131-132).

„სამოციანელთა“ შემოქმედების გაჯერება ქართული თემატიკით მოულოდნელი არ უნდა იყოს. მიმდინარე პოლიტიკური ვითარება საშუალებას იძლეოდას ქართველ და უკრაინელ (ისევე როგორც ქართველ და რუს, ბელორუს და ა.შ.) მწერლებს ერთმანეთი გაეცნოთ, დაგეგმილი ღონისძიებები, პრესისა და გამომცემლობის მიზანმიმართული მხარდაჭერა ხელს უწყობდა როგორც ტექსტების გაცნობასა და აღქმას, ისე მათ ინტერპრეტაციას სხვადასხვა ეროვნული კულტურის ქრილში.

XX საუკუნის 60-იან წლებში უკრაინელი მწერლები თანამედროვე ქართული სინამდვილით, ისტორიული და ლიტერატურული პროცესებით ინტერესდებიან, თარგმნიან ქართულ ლიტერატურას და აცნობენ მას უკრაინულ აუდიტორიას. რეცეფციის ეს პროცესია სწორედ საინტერესო და ყურადსაღები ჩვენთვის.

მიკოლა ვინგრანოვსკის მრავალმხრივი ნიჭი თვალსაჩინო იყო უკრაინელი მკვლევრებისათვის. „მ. ვინგრანოვსკის პოეზია, რასაკვირველია, მისი მრავალმხრივი ტალანტის ერთ-ერთი მხარეა. ის გახლავთ ასევე ნიჭიერი მსახიობი, კინო-რეჟისორი, სცენარისტი, მოთხრობებისა და რომანების ავტორი. იგი მსოფლიოს ყველა პლანეტის საკუთრებაა, მაგრამ ამავე დროს განუზომლად პატრიოტი შემოქმედი გახლავთ“ (სემკოვი 2013: 3) - წერს თანამედროვე მკვლევარი რ. სემკოვი.

მიკოლა ვინგრანოვსკი დაიბადა 1936 წლის 7 ნოემბერს მიკოლაივის ოლქის სოფელ ბოგოპოლიში (იგი ახლა ქ. პერვომაისკის ეკუთვნის). 1955 წელს დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა. სწავლობდა კიევის ივან კარპენკო-კარის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო განყოფილებაზე. ცნობილი კინორეჟისორისა და მწერლის, ო. დოვჟენკოს განსაკუთრებული მოთხოვნის საფუძველზე მ. ვინგრანოვსკიმ ჩააბარა მოსკოვის სახელმწიფო საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1960 წელს. ამ დროიდან მუშაობდა ო. დოვჟენკოს სახელობის კიევის კინო-სტუდიაში. მ. ვინგრანოვსკის პირველი პოეტური ნაწარმოებები 1957 წელს გამოქვეყნდა. 1961 წლის აპრილში „ლიტერატურნა გაზეტა“ მისი ნაწარმოებების ვრცელ ნაწილს აქვეყნებს. მომდევნო წელს გამოიცა მისი წიგნი „ატომური პრელუდიები“. შე-

მოქმედებითი ზრდის პროცესში გზადაგზა გამოდიოდა მისი 57 კრებულები „ასი ლექსი“ (1967), „ლექსები“ (1971). უკვე 80-იან წლებში კი „კიევი“ (1982), „ტკბილი ტუჩებით და მბრწყინავ თვალებით“ (1981). როგორც ვხედავთ, მიკოლა ვინგრანოვსკის ნაწარმოებების გამოცემის ტემპი, მისი მრავალწლიანი დუმილი ანალოგია იმ მრავალწლიანი პაუზებისა, რაც ახასიათებდა დმიტრო პავლიჩკოს, ივან დრაჩის, ყველაზე მეტად კი ლინა კოსტენკოსა და ვასილ სიმონენკოს პოეზიას. არცერთი პოეტი, რომელიც აშკარა ოპოზიციურ დამოკიდებულებას გამოხატავდა ხელისუფლებისა და გაბატონებული რეჟიმის წინააღმდეგ, ამ აკრძალვების გარეშე არ გადარჩებოდა.

მიკოლა ვინგრანოვსკის პოეზია ლირიკული ხასიათის ლექსებით კომპლექტდება. „როდესაც ისტორიკოსები 60-80-იანი წლების ლიტერატურული პროცესის სურათს ხატავენ, ჩვენ, დარწმუნებული ვარ, დავინახავთ სახელდობრ იმას, რომ უკრაინულ პროზაში ვინგრანოვსკი იყო ერთ-ერთი მაცნე „ქიმერათა“ იმ აფეთქებისა, რომლის მოწმენიც გახლავართ“ (ძიუბა 2013: 721) ასე აფასებს მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი კრიტიკოსი ივან ძიუბა უკრაინულ მწერალს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიით დაინტერესება გასაკვირი არ გახლავთ უკრაინელი მწერლის მხრიდან, რომელიც იცნობდა უამრავ ქართველ მწერალს, ეცნობოდა ქართულ ლიტერატურას და, როგორც ირკვევა, თარგმნიდა კიდეც მას. სევდისა და დაუმორჩილებლობის მოტივები ქართველი რომანტიკოსის შემოქმედებიდან, იყო სრულიად ორგანული და ნაცნობი უკრაინელი სამოციანელი პოეტისათვის.

მ. ვინგრანოვსკის ლექსი „მერანი“, ისევე როგორც „ჩემი ლოცვა“ თავისებური რემინისცენციაა ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის პროტოტექსტისა. მართალია, უკრაინელი მწერლის ტექსტი თითქმის თანმიმდევრულად მიჰყვება ქართული კლასიკის ნიმუშს, მაგრამ ძნელია თქმა ეს არის თარგმანი, თუ მიბაძვა-გადმოკეთება. აღსანიშნავია, რომ ლექსს წარწერა აქვს: „ნიკოლოზ ბარათაშვილის მიხედვით“, რაც დაგვეხმარება თარგმანსა და მიბაძვას შორის არჩევანი გავაკეთოთ; თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1968 წლის „ლიტერატურა უკრაინას“ სექტემბრის ნო-



მერში (გამოცემაში) დაბეჭდილი „მერანის“ და „ჩემი ლოცვის“ უკრაინული ვერსიები თარგმანადაა მოხსენიებული.

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
უკან მომჩხავის თვალბედიანი შავი ყორანი!  
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!  
(ბარათაშვილი 1968: 120)

Без дороги-сліду мчить мене Мерані.  
Сивий ворон карка в чорному тумані.  
Мчи ж мене, Мерані, в чорному тумані,  
Сині мої думи ворону не знані.  
(Вінграновський 2013:234)

ასევე: „ჩემი ლოცვა“

გულთამხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:  
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე,  
და ჩემთა ბაგეთ რალა დაუშთთ შენდა სათქმელად?  
მაშა, დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!  
(ბარათაშვილი 1968: 108)

Ти, серцезнавцю, вовіки і нині  
Знаєш ти все на дорозі людській,  
Прошу: прости по своїй благостині  
Всі недомовки в молитві моїй.  
(Вінграновський 2013:235)

XX საუკუნის მეორე ნახევრის უკრაინული ლიტერატურა ქართული იმაგოლოგიური ელემენტების საინტერესო ვარიაციებს გვთავაზობს. პოეტები, რომლებიც ამ დროს მოღვაწეობენ და ლიტერატურის რეკონსტრუქტორებად გვევლინებიან.

რამდენადაც მრავალფეროვანია თემატიკა, მით უფრო მნიშვნელოვანია იგი. ქართული იდენტობა, ისტორიული და ლიტერატურული გამოცდილება მიმზიდველი და საინტერესოა უკრაინელი მწერლებისთვის. ამ პერიოდის უკრაინელი ახალგაზრდები კარგად

იცნობენ შოთა რუსთაველს, მისი პოემის ისტორიასა და თარგმანს მშობლიურ, უკრაინულ ენაზე. შესაბამისად, მათი ინტერესის სფერო ბევრად უფრო ვრცელი ხდება. ამას ემატება ოკუპაციურ რეჟიმში გაერთიანებული საქართველო და უკრაინა, როგორც მსგავსი ბედის სახელმწიფოები და დამოკიდებულება და მოლოდინი მხარდაჭერისა ბევრად უფრო მკაფიო ხდება.

შემთხვევითი არ უნდა იყოს მიკოლა ვინგრანოვსკის მიერ შერჩეული ლექსების თემატური თანხვედრა ერთმანეთთან. მას არ აურჩევია სატრფიალო მოტივი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიიდან, დფფვბბვ იგი ირჩევს მეტად მტკივნეულ და საჭირობოტო თემას: ბედი მდევარი, მოძმეზე ზრუნვა, შესაძლო სასონარკვეთა... თუმცა, როგორც ჩანს ნიკოლოზ ბარათაშვილის ოპტიმიზმი გადამდებია და მიკოლა ვინგრანოვსკის სულიერ განწყობილებას ემთხვევა: - „ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის...“, „ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა, დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!“

როგორც ჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებამ, სულით ობლობის, ბედთან ჭიდილისა და დაუმორჩილებლობის მოტივებმა შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა უკრაინელ მწერალზე და 1970 წელს იგი ქმნის ორიგინალურ ნაწარმოებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. ლექსში ერთმანეთს ერწყმის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ელემენტები ქართველი რომანტიკოსის შესახებ:

Чужинцем варене на мило,  
Тираном прокляте у снах,  
Хоронене у ста могилах  
І рубане у ста боях —

Непохоронене, невбите, —  
Мерані золотий, лети! —  
Твоє ім'я, мій тату-світе,  
Поете мій, мій дух святий!

Затятий дух мій із древлени  
На пил — не пил, на згин — не згин!  
...Блакитні пальці Катерини  
І царська ласка трьох могиლ...

(Вінграновський 2013:235)

ქედმოუხრელო სულო მაღალო,  
ტირანის მიერ სიზმარშიც კრულო,  
ათასჯერ მიწაგადანაყარო,  
ათას ბრძოლაში დაშავებულო,

განუგმირავო, დაუმარხავო,  
მეუფევ ლექსთა, ხმათა და ფერთა,  
გადაიარე გზები ახალი,  
გასწი, გაფრინდი მერანთან ერთად!

უქრობო სულო ძველი მითების,  
ვერ გფარავს სამი სამარის მიწა!  
ეკატერინეს ლურჯი თითები  
შენს უკვდავებას მარადის იცავს.

*თაჩგმნა ნია აბესაძემ*  
(აბესაძე 1989:107)

„ეკატერინეს ლურჯი თითები“ მოწმობს მასზედ, რომ არა მხოლოდ შემოქმედებას იცნობდა მიკოლა ვინგრანოვსკი, არამედ მისი ცხოვრების სხვადასხვა ნიუანსებსაც კი, რაც ტექსტისა და ავტორის ურთიერთმიმართების კვლევის თვალსაზრისით ასევე საინტერესო დეტალია.

მიძღვნითი ხასიათის ლექსები, შეიძლება, ცალკე ციკლად გამოვყოთ ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი „სამოციანელთა“ შემოქმედებაში. მიკოლა ვინგრანოვსკი გამონაკლისი არ ყოფილა მათგან, ვინც ქართულ თემაზე წერდა ორიგინალურ ნაწარმოებებს. მას ლექსი მიუძღვნია კონსტანტინე გამსახურდიასთვის. ლექსის სახელწოდებაა „მოძღვარი“ და იგი სხვადასხვა დროს უთარგმნიათ ნია აბესაძესა და რაულ ჩილაჩავას.

ნადი, ნაბრძანდი! ჩემში შენი დარჩება სახე!  
მშვიდობით, კარგო... მყვარებიხართ ძალიან ცოტა...  
ის სიყვარული გაანათებს ჩემს მცირე სახელს-  
მას არ დავფერფლავ, არ გავატან დინებად დროთა

*თაჩგმნა ხაუდ ჩილაჩავამ*  
(ჩილაჩავა 2014: 445)

ცხადია, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებმა გამოცხადებული პოეზია მიკოლა ვინგრანოვსკის შინაგან სამყაროში, მონათესავე სული ტაქტოს „მერანმა“ უკრაინულ ლექსში აღმოაჩინა და უკრაინულ ლიტერატურას მემკვიდრეობად დარჩა მიკოლა ვინგრანოვსკის შესანიშნავი სტრიქონები.

### **ლიტერატურა:**

1. **აბესაძე 1989:** „ნიკოლოზ ბარათაშვილს“; წიგნში „გამარჯობა უკრაინა“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1980.
2. **ბარათაშვილი 1968:** ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1968.
3. **გაფრინდაშვილი 2012:** შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012.
4. **ვინგრანოვსკი 2013:** Мирослав Лазарук//Микола Вінграновський, Київ, «смолоскип», 2013.
5. **ჩილაჩავა 2014:** დანისპირებით გაფოთლილ ბაღში, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2014.
6. **ძიუბა 2013:** Микола Вінграновський, Київ, «смолоскип», 2013.

## **Sopio Chkhatarashvili**

### **Reflection of Nikoloz Baratashvili and his work in the poetry of Nikola Wigranowski**

#### **S u m m e r y**

The tradition of translating Georgian literature dates from the late 19th century. In the twentieth century it was particularly active and productive. Ukrainian writers of the last century have translated classical and modern Georgian writers.

It seems that the works of Nikoloz Baratashvili, the motives of anguished cry, struggle for freedom, disobedience, impressed the young Ukrainian writer and in 1970 he created an original work on Nikoloz Baratashvili.

The bent for Nikoloz Baratashvili's poetry is not surprising from a Ukrainian writer who knew many Georgian writers, met them often and also translated them.

## ნინო წერეთელი

### თანამედროვე ქართული ლიტერატურის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ

თანამედროვე, პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურაში საინტერესო ტენდენციები გაჩნდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბინარული ოპოზიციის, „ჩემი-სხვისი“, განვითარება, რომელიც, ბუნებრივია, უფრო მკვეთრად გამოიხატება დოკუმენტურ პროზაში, თუმცა ამ თვალსაზრისით მხატვრული ტექსტების საინტერესო მასალას წარმოადგენს. საყურადღებოა მალხაზ ხარბედიას მოსაზრება ბლოგში „საჭირბოროტო ძეგლები და პრესტიჟული საფლავები“. კრიტიკოსი გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას მწერალ ბასა ჭანიკაშვილის რადიო „თავისუფლების“ ინტერვიუსთან დაკავშირებით, რომელშიც მან, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ როგორ შემოდიოდა უცხოეთი ქართულ ლიტერატურაში. მისი აზრით, ბოლო 7-10 წლის განმავლობაში, ძალიან ბევრი ქართველი ავტორის წიგნი გამოვიდა, რომლებშიც მოქმედება უცხოეთში ვითარდება: „პერსონაჟებთან ერთად ავტორებიც მოხვდნენ საზღვარგარეთ. დაიწყო ერთგვარი ფსიქოლოგიური ძვრები და ეს ნაწარმოებებშიც აისახა. ბასას აზრით, რაც უფრო მეტი მკითხველი ეყოლება ასეთ წიგნებს, ევროპასა და საქართველოს შორის არსებული საზღვარი მით უფრო მალე გაიხსნება“ (ხარბედია, 2013:60 ). როგორც კრიტიკოსი აღნიშნავს, ბ. ჭანიკაშვილმა ძალაუწებურად მეტ-ნაკლებად სუსტი ქართული რომანებით დასახა ქართული ლიტერატურის „ბედის გახსნის“ პერსპექტივები. მ. ხარბედია ყურადღებას ამახვილებს ერთ ძალიან მნიშვნელოვან პრობლემაზეც: „ჩვენს რეალობაში უცხოეთში გაქცევა თავის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად იქცევა ხოლმე. ქართულ რომანში კი ავტორები სიუჟეტის, ამბის გადარჩენისთვის მიერეკებიან თავიანთ პერსონაჟებს თბილ ქვეყნებში. რატომ ხდება ეს, რატომ იქცა ეს ტენდენცია რეალობის ლამის ერთადერთ ნიშნად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში - ეს ცალკე საკითხია“ (ხარბედია, 2013:61 ).

უცხოელი პერსონაჟები მრავლადაა ახალგაზრდა ქართველი მწერლის, თეონა დოლენჯაშვილის პროზაში. წინამდებარე მისი გახმაურებული მოთხრობა „ფიდაი, ანუ ამინა სამიდან ხუთამდე“, დღესდღეობით მსოფლიოსთვის ყველაზე აქტუალურ თემას – ტერორიზმს – შეეხება. პარიზის 2015 წლის 13 ნოემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ საფრანგეთი, ევროპა და მთელი მსოფლიო კიდევ ერთხელ დადგა უსაფრთხოების უმწვავესი პრობლემის წინაშე. თეონა დოლენჯაშვილი იმდენად ბუნებრივად აღწერს უცხოეროვნულ გარემოს, ადამიანებს, რომ მკითხველს ეჭვიც არ ეპარება, რომ მწერალი თუ არა ხანგრძლივად, ტურისტად მაინც არის ნამყოფი თავისი მოთხრობების სივრცეში. სავსებით მართებულად შენიშნავს პოეტი შოთა იათაშვილი: „თეონა დოლენჯაშვილის გმირები – ზოგჯერ ქართველები, ზოგჯერ არაქართველები, ზოგჯერ გაურკვეველი წარმომავლობისანი – მთელს დუნიას არიან მოდებულნი: პარიზი, ვენეცია, ბანგკოკი, სიდნეი, ნიუ-იორკი, რომი, რიო-დე-ჟანეირო... ვის ძალუძს ამ ქალაქების (ძირითადად მეგაპოლისების) აღწერა? ნამდვილ ტურისტს? მას, ვინც თავისი თვალთ იხილა ეს ქალაქები? მაგრამ თეონა დოლენჯაშვილს პოსტსაბჭოური სივრცის მიღმა დღემდე ფეხიც არ გაუდგამს. და, პრინციპში, მის პროზას ეს არც ესაჭიროება. შეიძლება ხელს უწყობს კიდევ, ავტორის ისტორიულ-კულტუროლოგიური, ვირტუალური თუ საცნობარო ცოდნიდან თავისებურ მეტროპოლიურ ფანტაზიებს აღვივებს. თანამედროვე სამყაროს აღქმა-აღწერა ხომ მასთან ტურისტული, რეალისტურ-დოკუმენტური სულაც არ არის. თუმცა მას რაღაც მანქანებით (მწერლური თუ ჟურნალისტური თუ ქალური გუმანით) დაჭერილი და ნაგრძნობი აქვს თანამედროვე (თუ სუპერ/ჰიპერთანამედროვე) ყოფის გამოცდილება და ამ გამოცდილება-განცდის ექსტრაქტით ქმნის ქალაქების ისეთ ხატებებს, სადაც შესაძლებელი ხდება ისეთი პერსონაჟების ჩასახლება-ამოქმედება, რომლებიც თავიანთი პიროვნული ბედისწერით ცივილიზაციის გლობალურ კატასტროფათა და საფრთხეთა ტვირთს ზიდავენ“ (იათაშვილი [ელექტრონული რესურსი]).

თეონა დოლენჯაშვილისთვის უფრო საინტერესოა იმ ქვეყნებისა და გარემოს აღწერა, სადაც არა თუ არ უცხოვრია, არამედ არც არასდროს ყოფილა. როგორც თავად ავტორი ერთ-ერთ ინტერვიუში

აღნიშნავს, „ხანდახან უკვირთ, რა ზუსტად არის დაჭერილი განწყობა, ქალაქის სახე, ფერები, ხასიათი. მაგალითად „ვენეტაში“ – ვენეციის კოსმოპოლიტი ვარ, თუმცა ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ვიცხოვრებდი. ჩემი ქვეყანა, ეს მიწა, „მხრებზე მანევს“. ეს ის არის, რასაც სულ თან დავატარებთ. ჩემს ქვეყანას ვერაფერი შემიცვლის, მიუხედავად იმისა, რომ აქ ბევრი რამ არ მომწონს და ბევრ რამეს შევცვლიდი“ (დოლენჯაშვილი [ელექტრონული რესურსი]). ქართველი მწერლები გვერდს ვერ უვლიან უცხოეთში სამუშაოდ წასული ქართველების მძიმე, ტკივილიანი ცხოვრების ამსახველ სხვადასხვა ამბავს. თითოეული ამბავი რეალურ ისტორიებს გვახსენებს. ქართულ ნარატივში შემოდიან უცხოელი გმირები, რომლებსაც უკეთესი, სტაბილური მომავლის ძიებაში ქართველი ქალები თავიანთ ბედს უკავშირებენ. ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ ჩნდება რუბრიკა „ემიგრანტული პროზა“, რომლის მაგალითად წარმოვადგენთ საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთის, „ელადის“ რედაქტორის, ანა ყურშავაშვილის მოთხრობას – „ფეხსაცმელი ჩამაცვით“. მოთხრობის სიუჟეტი ნაცნობია, თუმცა ნოსტალგიით აღსავსე ემიგრანტული ცხოვრების ნარატივი მკითხველს გულგრილს არ ტოვებს... საქართველოდან იძულებით, ოჯახის სარჩენად წასული ქალი ათენში მოხუცებულს უვლის. მას ვერასდროს წარმოედგინა მომაკვდავის მოვლა თუ შეეძლო. „აქ, ათენში, ცრემლი გაუშრა. ან რომელი ერთი ეტირა, მოხუც მშობლებს თავიანთი ღვიძლი შვილებიც კი აღარ ტირიან. წავიდაო. ასე იტყვიან... რის სიკვდილი, რა გარდაცვალება... ისე რა ძნელია უცხო ტრადიციებთან შეგუება. მიცვალებულის დაკრძალვის დღეს ჭირისუფალთა გამოსამშვიდობებელი სიტყვის თქმისას დანარჩენები ტაშს უკრავენ. ქართველები ლამის სამარემდე მიჰყვებიან“. ყოველდღიური ერთფეროვნება, ერთი და იგივე, მომქანცველი პროცედურები, მოთხრობის გმირმა „რა არ ნახა, აქ, ათენში“, თუმცა სამსახურის დაკარგვის შიში იოლად დასაძლევია არ არის. ნეტავი იცოცხლოს, ოღონდ იცოცხლოს, ცოტაც. შობა-ახალწელმა მაინც ჩაიაროს. ამ საზეიმო დროს არცერთ ოჯახს არ უნდა ახალი მოსამსახურე... აღარ შევალ მძიმე ავადმყოფებთან. იქნებ მოსიარულე ბებია ვიშოვო, ხანდახან გარეთ მაინც გავისეირნებ, მიწაზე მაინც დავადგამ ფეხს“ (ყურშავაშვილი, 2010:53) მის-

თვის სიკვდილის აღქმა შეიცვალა. ქალბატონი ეფთალია კვდება და სიკვდილის წინ ფეხსაცმლის ჩაცმას ითხოვს. „მქუხარე ტაშით გაისტუმრეს ქალბატონი ეფთალია იმ ქვეყნად. ცრემლგამშრალი დაბრუნდა ანიკო ეფთალიას სახლში, ტანსაცმელი ჩაალაგა, სამსახურის ძებნისათვის განეწყო. ახალი გოლგოთა იწყებოდა“. მოსიარულე ბებია – ქალბატონი მარია – იპოვა და თითქოს ემიგრანტული ცხოვრება ცოტა იოლი გახდა, მაგრამ მოულოდნელმა ავარიამ მოხუცი კვლავ საწოლს მიაჯაჭვა და მისი მომვლელის ცხოვრება განსაკუთრებით დამძიმდა. მისი სიკვდილით ისევ იცვლება ემიგრანტის ცხოვრება, რომელიც კვლავ ახალი სამუშაო ადგილის ძიებას იწყებს.

გია არგანაშვილის პატარა მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნას?“ უცხოეთში სამუშაოდ წასულ ქართველ ქალებს ეძღვნება. ამერიკაში ოჯახის სარჩენად გადახვენილი ქართველი ბებიის ფიქრები მკითხველსაც სევდით და ემოციით ავსებს. ქართველი ქალი ფიქრებით მუდმივად საკუთარ ოჯახთან არის და სამშობლოში დატოვებულ ოჯახის წევრების მონატრება ამძიმებს. ამერიკელი ბავშვის ქართველი ძიძა საკუთარი შვილიშვილივით ზრდის პატარას. და როცა აძინებს, მისი სახელით მიმართავს. „აჰ, ბავშვი მაინც ბავშვია, გინდა ამერიკელი იყოს, გინდა ქართველი. ახლა ეს პატარა მაიკლი, ყველასთვის გაუგებარ ენაზე რომ მეჟღურტულება, ხელში აყვანას მთხოვს... უთუოდ ეძინება, მაგრამ როგორ ავიყვანო? თუ გამიგეს... მშვიდობით ამერიკავ, იმ კუთხეში ავიყვან ხელში, იქ ჯერ არ დაუყენებიათ კამერა. ვერავინ დაგვინახავს... -ეჰ, ნეტავი ახლა ჩემი შვილიშვილიც ხელში მყავდეს და ვაძინებდე. აბა, ამ სიშორიდან როგორ მივანვძინო ჩემი ნანა“ (არგანაშვილი, 2003: 29).

გვანცა ჯობავა წიგნში “Check in” ახსენებს სოსო მეშველიანს, „სოსო ქართველი პოეტია, წლებია ესპანეთში ემიგრანტად ცხოვრობს და იქ შრომობს“ (ჯობავა, 2014: 143). სოსო მეშველიანი პროზაულ ნაწარმოებებსაც ბეჭდავს ქართულ პერიოდულ გამოცემებში. მოთხრობაში „სისტემა და რომერ“ ემიგრანტის რთულ და წინააღმდეგობრივ გზაზე მოგვითხრობს.

„რთულია თვეები, შეიძლება წლებიც, იმ ხალხის გარემოცვაში გაატარო, ერთხელაც ვერ გადააწყდე ისეთ თვალებს, ისეთ გამო-



ხედვას, სულ მცირედი სიყვარული ან პატივისცემა რომ გამოსჭვივის შენ მიმართ. ასეთ დროს, ცხადია, შენც იხურები მათთვის, იკეტები საკუთარ თავში, შინაგანად მძიმდები. მერე ისეც ხდება, ზოგიერთი აქეთ გადმოდის შეტევაზე“ (მეშველიანი, 2015:37).

ლაშა მილორაგას მოთხრობაში „ხვალიდან მე კონფორმისტი ვიქნები“ ჩანს ბავშვის დამოკიდებულება ჩემი/სხვისის მიმართ. ბავშვის, რომელსაც „ჰარი პოტერს და საიდუმლო ოთახს“ აჩუქებენ, წინაშე ახალი, სრულიად განსხვავებული სამყარო გადაიშლება. „მამა, შეიძლება ითქვას, უცხოურს ვერაფერს იტანდა, თანამედროვე ევროპელ და ამერიკელ მწერლებს „კოსმოპოლიტურ ნაგავს“ ეძახდა და სურდა მეც თანდათან ქართულზე გადმოვრთულიყავი. დიდი ხვენწა-მუდარის შემდეგ ჰარი პოტერის პირველი ნაწილი ვაყიდინე, მაინტერესებდა ეს ყველაფერი როგორ დაინყო. შემდეგ ხელში შემოჩეჩებული „ოთარაანთ ქვრივი“ და „ხვეისბერი გოჩა“ მაგიდის უჯრაში დავმალე და უცნაურნაიარევიანი ჯადოქარი „აჩკარის“ ისტორიას ხარბად დავწნაფე. თითოეულ სიტყვას ვისის-ხლხორცებდი და ალბათ გულის სიღრმეში ვიმედოვნებდი, რომ ერთხელ ეს სანატრელი წერილი მეც მომივიდოდა და აქაურობას თავს დავაღწევდი“ (მილორაგა, 2013: 96)

პოსტკოლონიური ქართულ ლიტერატურაში, როგორც აღვნიშნავდით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ემიგრაციის თემას და, შესაბამისად, ოჯახთან დაკავშირებულ პრობლემებს. ერთი მხრივ, ოჯახის წევრები ეხმარებიან სამშობლოში დარჩენილ ოჯახებს, მეორე მხრივ კი, შორდებიან მათ. ცდილობენ შეეგუონ ახალ გარემოს და ეს გარემო სულ არ ჰგავს მათ საოცნებო ადგილს. უცხოეთში „ჩემი“/„სხვისი“ ჭიდილი ძალზე თვალშისაცემია, შერეული ოჯახის შექმნაც ყოველთვის არ მთავრდება იდეალურად და არც ოჯახებში ბავშვებისთვის ეროვნული ღირებულებების თავისმოხვევას მოაქვს სასურველი შედეგი. პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს თემა – პოსტკოლონიური კონფლიქტი, რომელიც რუსეთის, როგორც კოლონიზატორის და საქართველოს ხანგრძლივი დაპირისპირების შედეგია. უამრავი ქართული ოჯახი ქვეყანაში ლტოლვილად იქცა. ისინი თავიანთ ქვეყანაში ცხოვრობენ, მაგრამ თავიანთ მშობლიურ

ადგილებში ჩასვლა აკრძალული აქვთ. საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის პრობლემა ისევ სერიოზულ, გადაუჭრელ პრობლემად და გამონწვევად რჩება ქვეყნისთვისაც და საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. თანამედროვე ქართველი ავტორები ცდილობენ, ასახონ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემები, გაიაზრონ ოჯახის თემა, როგორც მარადიული ღირებულება, რომელიც დღეს აშკარად ტრანსფორმაციას განიცდის და რიგ შემთხვევებში შექმნან ის ავტორისეული მოდელები, რომელიც ტრადიციული ოჯახური ფასეულობის აღდგენისკენ არის მიმართული.

### **ლიტერატურა:**

1. **გია არგანაშვილი 2003:** გია არგანაშვილი, „შეავსეთ სიცარიელე“, თბილისი, „საუნჯე“, 2003.
2. **სოსო მეშველიანი 2015:** სოსო მეშველიანი, „სისტემა და რომერო“, „ცისკარი“, N2, 2015.
3. **ანა ყურშავაშვილი 2010:** ანა ყურშავაშვილი, „ფეხსაცმელები ჩამაცვით“, „ქართული მწერლობა“, N6, 2010.
4. **მალხაზ ხარბედია 2013:** მალხაზ ხარბედია „მამაჩემი, ბობ დილანი და კაცი საკაბელოდან“, ესეები/ბლოგები, თბილისი, „დიოგენე“, 2013.
5. **გვანცა ჯობავა 2014:** გვანცა ჯობავა, „Check in“, სამოგზაურო რომანი, თბილისი, „ინტელექტი“, 2014.

### **ინტერნეტრესურსები:**

1. [biblioteka.litklubi.ge.id.=7767](http://biblioteka.litklubi.ge.id.=7767).  
შოთა იათაშვილი „თეონა დოლენჯაშვილის დუნია“ [ელექტრონული რესურსი]
2. <http://www.marao.ge/sakithkhavi/interviu/174-literaturidan-literaturamde.html>.  
თეონა დოლენჯაშვილი ლიტერატურიდან ლიტერატურამდე [ელექტრონული რესურსი]

## **Nino Tsereteli**

### **About the tendencies of the Modern Georgian literature**

#### **S u m m a r y**

Literary critic Malkhaz Kharbedia in his blog "needful" monuments and "prestigious" graves. He highlights an interesting issue: "In our reality fleeing home usually becomes the only means of survival and in the Georgian novel, the authors for the rescue of the plot, the story, drive their characters overseas." The issues of family separation due to emigration are also acute. Over the years, being away from each other in order to improve their social life, formally undivorced families gradually lose each other and become estranged. The most acute problem of post-colonial Georgia is unemployment. It is because of this problem that Georgians who fled home leave their own families, homeland and naturally, this topic is often reflected in the literature. Currently, 20 percent of Georgia's territory is occupied. A large number of Georgian families from Abkhazia and Samachablo became internally displaced. They live in their native country, but they are prohibited to visit their hometowns. The term "postcolonial conflict" corresponds to the Georgian-Abkhazian and Georgian-Ossetian conflict which is the result of a long confrontation between Russia as a colonizer and Georgia.

The Georgian-Abkhazian relations have become an urgent topic of discussion in literature during the last three decades. The Abkhazian-Georgian conflict was naturally reflected in the literature of the end of the 20<sup>th</sup> century and nowadays too. Representation of these themes in literature are significant for the reader and the public.

## რუსუდან ქანტურიშვილი

### სოფიო ჯაფარიძის „სულის პურის“ მიმოხილვა

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ეგიდით ქართველ-მა მკითხველმა ძვირფასი წიგნი მიიღო – სოფიო ჯაფარიძის „სულის პური“, ლიტერატურულ-ფოლკლორული წერილები (გამომც. „ჩვენი მწერლობა“, თბ., 2016). ამ წიგნის მკითხველი არ შეიძლება არ დაეთანხმოს წიგნის რედაქტორს, ბატონ **როსტომ ჩხეიძეს**, რომელიც თავის წინასიტყვაობაში – „კარნავალის სიტყვები“ აღნიშნავს: სოფიო ჯაფარიძის „სულის პური“ ძალიან ნააგავს პოეტურ კრებულს: სტილური დახვეწილობით, შინაგანი ტევადობით, ს ლირიკული ნაკადით“.

მთელი წიგნი, მართლაც, ერთი სულის მოთქმით, პოეტური მუხით არის დაწერილი და დიდი ინტერესით იკითხება. იგი ავტორის მკითხველისადმი მიმართვით იწყება: „ძვირფასო მკითხველო, ეს მცირე წიგნი წლებით მოგვრილი განცდებისა და განსჯის კრებულაა. მასში გაერთიანებული წერილები ჩემი სულის სახიზრად იქცა, ამიტომაც გავბედე მათი მანიფესტაცია. თუკი თქვენც მოგიფონებთ, მათ გაქვეყნებას გამართლებულად ჩავთვლი. გაგმარჯვებოდეთ „სულის პურის“ ძიების გზაზე!“ (ჯაფარიძე ს. გვ.2).

მე, როგორც ერთ რიგით მკითხველს, სოფიოს წიგნმა ნამდვილად „მომიფონა“ და ამიტომაც გადავწყვიტე გამოვეხმაურო ამ მართლაც თბილსა და სულის დამპურებელ წიგნს.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: ლიტერატურული წერილები და სილუეტები; ფოლკლორული ძიებანი.

სოფიოს ყველა წერილს ნამდვილი ფოლკლორისტის და, საერთოდ, ფილოლოგის ხელი ეტობა. წერს დახვეწილად, ემოციურად და, ამასთანავე, ლაკონიურად.

ლიტერატურული წერილები და სილუეტები იწყება წერილით „მარტობით განწირული სული“, რომელიც **ოტია იოსელიანის** 80 წლის საიუბილეო თარიღს ეძღვნება. წერილის დასაწყისშივე სოფიომ დიდი მწერლის ყველა ღირსება ჩამოთვალა და მკითხველს

დაჰპირდა, რომ ახლა მისი პორტრეტის კონტურებს მოხაზავდა და ისე მოხაზა, მარტო კონტურები კი არა, ჩვენი საყვარელი მწერლის შასანიშნავი ფერწერული ტილო მივიღეთ. სოფიოს ამ წერილში გამოიკვეთა ის, რაც შემდეგ სხვა წერილებშიც გამოჩნდა – მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების უმთავრესი მომენტების წინ წამოწევა. ოტია იოსელიანთან მიმართებაში ეს უმთავრესი თავად მწერლის ღრმა რწმენაა, რომ მწერალი „ბიოგრაფიაა“. წერილის ავტორი ამ სიტყვებს ჩაეჭიდა და აზრი განავრცო: „ჩვენ კი დაეჭვების რა უფლება გვაქვს, რვა ათეული წლის ადამიანს სიმართლე კი არა, სიზმარიც დაეჭერება“ (ჯაფარიძე ს. გვ.7) და სოფიოც ცდილობს ბ-ნი ოტიას ბიოგრაფიიდან, მისი შემოქმედებიდან ის უმთავრესი არ გამოორჩეს, რომლის გამოტოვებაც არ შეიძლება. ეს უმთავრესი, მწერლის აღმზრდელი ბებია ქრისტინე ავალიანია, რომელმაც, სოფიოს სიტყვებით რომ ვთქვათ, „აუნონავი ამაგი დასდო მომავალი მწერლის ცხოვრებას“. ბებიის გარდაცვალებამ კი, „დიდმა სადარდელმა, დიდი სათქმელიც მოიყოლა, პირველი რომანი – „ვარსკვლავთცვენა“. ასე გადაიხადა „ქვეყნის უკეთესი ბებიის, მისი თაობის ნაადრევად შეწყვეტილი, „დაკარგული ბავშვობისა“ და ომის ხარკი“ (იქვე, გვ. 9).

ოტია იოსელიანის ლიტერატურული პორტრეტი სოფიოს წერილში მწერლის ბავშვობიდანვე გამომჟღავნებულ ხალას ნიჭსა და შრომისმოყვარეობასთან ერთად, „ღირსების სიმძიმითაა აღბეჭდილი, მერე კი იმ პასუხისმგებლობით, თითოეული მკითხველისათუ გადაამკითხველის წინაშე რომ უტვირთავს მწერალს“ (იქვე, გვ.10). პასუხისმგებლობის გრძნობა და სიმართლის თქმა განუყოფელია ერთმანეთისაგან. ამიტომაც წერს სოფიო, რომ „ხანდახან, გაუსაძლისად სუსხიანია მისი მართალი სიტყვა, მაგრამ ნუგეშიანიც“ (იქვე, გვ.10).

ვკითხულობთ სოფიო ჯაფარიძის წერილს და თვალწინ გვიდგას ბ-ნი ოტია, ხან სკოლის მოსწავლე, რომელიც უფროს ძმას წულას უკერებს და ძმა კი „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავს; ხანაც უკვე მოხუც მწერალს ვხედავთ თავის ბაღში ახალგაზრდულად მოფუსფუსეს, სხვასთან საუბრის დროსაც რომ არ შეეძლო უქმად გაჩერება.

ცნობილია, რომ კორესპონდენტები ათასნაირი შეკითხვით ხშირად დადიოდნენ ბ-ნი ოტიასთან, „მაგრამ ცხოვრების არსის შე-

სახებ მწერლის ფიქრი აინუნშიც არავის მოსდის“მ – აღნიშნავს სოფიო და მკითხველს ურჩევს წაიკითხოს ოტია იოსელიანის მოთხრობა-მონოლოგი „ჯიხვი და მონადირე“ – „ვაჟკაცობისა და ცხოვრების საზრისის ეს შეუდარებელი აპოლოგია“.

სოფიო ჯაფარიძე სახელოვან მთამსვლელ ჯაფარიძეთა შთამომავალია და, ბუნებრივია, ყურადღების გარეშე არ გამორჩა ბ-ნი ოტიას აზრი მთამსვლელებზე: „მთამსვლელობა ჰუმანური ომია, სხვას არ ვნებს, სხვას არაფერს სტაცებს, მაგრამ სიკვდილს კი ყოველ ნაბიჯზე უსწორებს თვალს“ (იქვე, გვ. 14).

მკვლევარი წერს იმ მაღალი რანგის მწერალსა და ზნესრულ ადამიანზე, რომელიც თვითონაც მთამსვლელს შეიძლება შევადაროთ, ვინაიდან თავისი მწერლობით იყო ჰუმანურ ომში ჩაბმული, ადამიანის ზნეობრივად გადარჩენაზე ფიქრობდა და შესანიშნავად იცოდა, რომ „ყოველი დღე ადამიანის კაცობის გამოცდაა დაბადებიდან სიკვდილამდე. კაცის ცხოვრება ყოველდღე უფსკრულის პირზე ბორძიკს ჰგავს“... (იქვე, გვ.14).

ოტია იოსელიანის მოთხრობებზე, ლექსებზე, პიკესებსა თუ ძღაპრებზე აღრზდილმა ადამიანმა უნდა გაუძლოს კაცობის გამოცდას და სოფიოს წერილიც ხომ ამას შეახსენებს თანამედროვე მკითხველს.

სოფიო ჯაფარიძის ეს ნარკვევი პირველად „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა. ამასთან დაკავშირებით წერს პროფესიით სპელეოლოგი, მკვლევარი და ჟურნალისტი, ოტია იოსელიანის მეგობარი **ჯუმბერ ჯიშკარიანი** თავის წიგნში „ჩვენი ოტია“: „სოფიო ჯაფარიძემ საყვარელი მწერლის შემოქმედებას შესანიშნავი ნარკვევი უძღვნა. „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდილი „მარტოობით განმმენდილი სული“, უკანასკნელი ნაწარმოები აღმოჩნდა, რომელიც ბატონმა ოტიამ წაიკითხა... ორი დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა“ (ჯიშკარიანი ჯ. გვ. 118).

\* \* \*

წიგნი ნამდვილად სულის პურია და პირველი წიგნი, სულიერად ჩვენი დამპურებელი ხომ ზღაპრების წიგნია. სოფიო ჯაფარიძის წერილი „ვეება ნაბიჯებით“ (გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების მიხედვით) სწორედ ასეთ წიგნზე მოგვითხრობს. ეს წიგნია **გურამ**

**პეტრიაშვილის** „პატარა ქალაქის ზღაპრები“. 2014 წელს გამოცემულმა ამ წიგნმა სოფიოს ბავშვობა მოანატრა. იგი აღნიშნავს, რომ ეს ზღაპრები „ფილოსოფიური სიღრმეებით ბავშვობადავინწყებული დიდებისთვისაც მისწრებაა“ ( ჯაფარიძე ს. გვ.76 ).

თუ გავიხსენებთ ოტია იოსელიანის სიტყვებს – „მწერალი ბიოგრაფიაა“, ვნახავთ, რომ ეს აზრი ზუსტად მიესადაგება გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებს და სოფიომ ეს შესანიშნავად იგრძნო. ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას უერთგულესი თანამებრძოლი – გურამ პეტრიაშვილი წლების განმავლობაში იყო საქართველოს მონყვეტილი და ბედით საქართველოს თანაზიარ უკრაინაში იმყოფებოდა. მისი ზღაპრები, რა თქმა უნდა, ნაღვლიანია. როგორც სოფიო აღნიშნავს, „სამშობლოს ნატრულ კაცზე შესაბრალისი ძნელად თუ იპოვება სულიერი ქვეყნად, მაგრამ არა შემოქმედი, აქეთ რომ გაგვიცხადებს: „ყვავილი ვიდრე მიწაშია ფესვებით, მანამ აქვს ნამდვილი სურნელიო“ (იქვე, გვ. 76). გურამ პეტრიაშვილი სამშობლოდან შორს მყოფიც სამშობლოსთან იყო მიჭაჭვული ქართული სულისკვეთებითა და ქართული სიტყვებით, რომლებითაც ქართველი ბავშვებისათვის ქართულ ლექსებსა და ზღაპრებს წერდა. სამშობლოში დაბრუნებულმა კი განაგრძო ის, რაც არასოდეს შეუწყვეტია და „პატარა ქალაქის ზღაპრები“ კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ბ-ნი გურამი მსოფლიო მნიშვნელობის მეზღაპრეა.

თავის პატარა, მაგრამ ბევრისმომცველ წერილში სოფიო ჯაფარიძე წიგნის თითქმის ყველა ზღაპარს შეეხო. პარალელი გაავლო ხალხური ზღაპრის გმირსა და გურამ პეტრიაშვილის ერთი ზღაპრის გმირს შორის. იგი წერს: „თუ ნაცარქექია ცალი ხელით ცას ჰკიდია, რომ დედამინა არ დაამძიმოს, გურამ პეტრიაშვილის ყირამალა, „უკუღმა“ სამყაროს გმირი ფეხით მიბჯენია მას, მიწას კი ხელით ელოლიავება, ასე უკეთ შეუგრძვნია ეს „მინამყარი“ (იქვე, გვ.77).

გურამ პეტრიაშვილის ყველა ზღაპარი ადამიანისადმი დიდი სიყვარულით არის გაჯერებული. სიყვარული კი გადამდებია. იგი ყველაზე მნიშვნელოვანია „სულის პურის“ ძიების გზაზე.

გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებს სოფიო ჯაფარიძე უმშვენიერეს ნოველებს უწოდებს და მათთან მიმართებაში გოგერძი ჩოხე-

ლის სამყაროს იხსენებს. საუბრობს ამ მწერალთა სულიერ ნათესაობაზე. სამართლიანად აღნიშნავს, რომ „თავისი ერთ-ერთი ყველაზე უცნაური მოთხრობის ეკრანიზაციისას შემთხვევით არ ანდო გოდერძი ჩოხელმა მთავარი როლი ბ-ნ გურამს> ( იქვე, გვ.78).

\* \* \*

ახლა უპრიანია, გავიხსენოთ სოფიო ჯაფარიძის წერილი „მაგიური მთიული (სამყაროს გროტესკული აღქმა **გოდერძი ჩოხელის** შემოქმედებაში)“.

გროტესკი, როგორც ცნობილია, „მხატვრული ხერხია, რაც დამყარებულია მეტისმეტ გაზვიადებაზე, მკვეთრი კონტრასტების – რეალიზმისა და ფანტასტიკის, ტრაგიკულია და კომიკურის შეხამებაზე“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გვ.113). გროტესკულია ასეთი ხერხით შექმნილი ნაწარმოები.

სოფიო ჯაფარიძის აზრით „სამყაროს გროტესკული ჭვრეტა კოლექტიური ცნობიერების შემადგენელი ელემენტია, რომელიც ხდომილებათა აღქმის დისკურსს იმთავითვე განსაზღვრავს. საგულისხმოა, რომ ქართული ხალხური შემოქმედების თითქმის ყველა რელიეფური ჟანრის ჩვენეულმა ნაკითხვამ „გროტესკი“ ქართული ფოლკლორისთვის ძალზე სახასიათო მოვლენად წარმოაჩინა“. იქვე დასძინა: „ჩემთვის სასიხარულო აღმოჩენაა, რომ გოდერძი ჩოხელიც ამ ტრადიციიდან ამოზრდილი შემოქმედი“ (ჯაფარიძე ს. გვ. 18).

გოდერძი ჩოხელის მთელ შემოქმედებას ავტორი აღიქვამს როგორც სწორედაც მიითოსურს, მაქციურსა და გროტესკულს. ამ კუთხით განიხილა მან გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებები: „მთავარი როლის შემსრულებელი“, „დევების ნასოფლარი“, „მგელი“, „გუგულის ღალა“, „თევზის წერილები“.

სოფიო ჯაფარიძე მართებულად აღნიშნავს, რომ, „როგორც კაცობრიობის გარიჟრაჟზე ცდილობდნენ კარნავალებით, სატურნალებითა და ათასგვარი სახიობით პროფანული დროის გარღვევას, ასევე ცდილობს ეროვნული სიბრძნით უხვად ნასაზრდოები, ხალხური სიტყვიერების ზედმინევენით მცოდნე შემოქმედი მისთვის მიუღებელი სისტემიდან თავის დაღწევას“ ( იქვე, გვ. 18).

ცხოველისა თუ ფრინველის ნიღბის მორგება, ერთგვარი გარდასახვა ადამიანს მეტ თავისუფლებას ანიჭებს. მკვლევარი ყუ-



რადღებას ამახვილებს მწერლის იმ ნამუშევრებზეც, სადაც მრავლად გვხვდება „გატრიზავება-გამასხარავების შემთხვევები“ და გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებთა გვერდით, პარალელურად ხალხური ზღაპრებიდან ნიმუშებსაც იშველიებს. ამის საშუალებას ბევრი მისი ნაწარმოები იძლევა.

სოფიო ერთ საინტერესო პარალელსაც ავლებს მაშვნიას – გორედძი ჩოხელის ერთი ნოველის გმირსა და ბრიტანული კოლუმბიის მკვიდრს – კვაკიუტლის ტომის მამაკაცს შორის. მაშვნია სასიკვდილოდ გაიმეტებს თავის ვაჟს, რომელიც ყველასათვის საცნაურს ხდის მამის მბზინვარე უღვაშის საიდუმლოს. ასევე სასიკვდილოდ გაიმეტებს თავის პატარა ქალიშვილს კვაკიუტლის ტომის მამაკაცი, როცა გოგონა ცერემონიისთვის საჭირო ნიღბის მორგებისას თავს წამოადგება.

მკვლევარი საუბრობს მცენარეთა სახელებზე, რომელიც „მხოლოდ მწერლის ხალხური კიდობნიდან, მისი „ჰერბარიუმიდანღა“ თუ შეგვიძლია შევიტყოთ და შევიგრძნოთ“ (იქვე, გვ.32). დიდ ღირსებად უთვლის მწერალს, რომ მან „დასაკარგავად განწირული საკუთარი კუთხის ეს ლექსიკური საგანძურიც გადაგვირჩინა“ (იქვე, გვ.33).

\* \* \*

სოფიო ჯაფარიძე მთელი თავისი არსებით ფოლკლორისტია. მას მთელი საქართველო აქვს მოვლილი. ხალხში გაბნეულ სიბრძნეს აგროვებს და თუ ღირსეული მთქმელი შეხვდა, როგორც კი დროს იხელთებს, სულ მისი ბრძნული ნაამბობის მოსმენას ეშურება. ასეთი სიბრძნის წყაროა მისთვის მიღმახვეელი პოეტი **მურღვა არდოტელი**, პირიქითა ხევსურეთის უმშვენიერეს სოფელ არდოტიდან.

თავის წერილში „მთის ვეშაგი“, რაც მთის ყარაულს, მტრის მოსასვლელი გზის მცველს ნიშნავს, სოფიომ მკითხველებს გადმოგვცა ის, რაც ზედმინწვნით ჩაიწერა ამ ხევსური პოეტის მონათხრობიდან და უწოდა მას „ხევსურული ბალადა ანუ სურათები მიღმახვეელ პოეტის მურღვა არდოტელის ცხოვრებიდან“ (ჯაფარიძე ს. გვ.37).

ამ ახალგაზრდა ფოლკლორისტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოველგვარი ჩართვისა და თავისი კომენტარების გარეშე მისცა საშუალება ხევსურ პოეტს თავისი წინაპრებისა და ხევსურეთის ძველი თუ ახალი ამბები გადმოეცა, თავისი გულისტკივილი გამო-

ეთქვა იმის გამო, რომ მთის სოფლები ცარიელდება და ახალგაზრდებმა აღარ იციან ის სიბრძნე, რაც მათი წინაპრებისათვის იყო ცნობილი. ამიტომაც შესტკივა გული:

„სულს სხვა რა უნდა სტკიოდეს,  
თუ არ სამშობლო თავისა!..“

(იქვე, გვ.39).

მურღვა არდოტელის მონათხრობში ხშირად არის ჩართული მისივე ლექსები, რომლებიც ნამდვილად მომაჯადოვებელია.

ყოველი ტაეპი გულში ჩამწვდომია. აი, თუნდაც:

„თვალში მძინარე ცრემლი ვარ,  
მამულზე ჩამოსატირი...“

(გვ. 42).

ყველამ უნდა იცოდეს თავისი გვარის ისტორია. ბატონი მურღვასათვის მისი წინაპრების 20 თაობის ისტორიაც ცნობილია. არდოტში ორი გვარი ყოფილა: ჭინჭარაულები – მისი წინაპრები და გიგაურები – ზვიადაურთა წინაპრები. აქვე საინტერესო ცნობაა ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ ზვიადაურის შესახებ: „ხალხისთვის უცნობია, ვაჟა-ფშაველასთან „სტუმარ-მასპინძელში“ გამოყვანილი ზვიადაურის, ლაგაზათ ზვიადის საფლავი რომ არდოტშია. ძმები იყვნენ (ლაგაზად ზვიადი და ზუედი), კარგი ვაჟკაცები“ (იქვე, გვ.46).

როცა მურღვა უნივერსიტეტში სწავლობდა, ჩვენს სახელოვან პოეტს – ტარიელ ხარხელაურს –მისთვის კალამი უჩუქებია და უთქვამს: აბა, შენ იცი, წერეთ...“ (გვ.62).

აღბათ ძნელია უფრო პოეტურად ისაუბრო ლექსებზე, ვიდრე ბ-ნი მურღვა საუბრობს: „ლექსები, როგორც კარგი იარაღი, ისეთია“; „ვინც კარგად გრძნობს ლექსის ძალას, ის არ შეიძლება ბეჩავი იყოს“; „პოეზია სულის სისხლია“ (იქვე,გვ.64-65).

ვეცნობით მურღვა არდოტელის ნააზრევს და თითქოს უკეთესები ვხვდებით. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ მიმტევებლები უნდა ვიყოთ, არ უნდა გადავსხვაფერდეთ, სამშობლოს უნდა მივხედოთ და „სამზეოს უქმად სიარული არ შეიძლება“ (იქვე, გვ.70).

„მთის ვეშაგის“ ხევსურული ბალადის ბოლოს სოფიო ჯაფარიძე ლაკონურად და ძალიან მართებულად აფასებს ბატონი მურღვას ბრძნულ ნააზრევს და მკითხველს მიმართავს: „მთის ვეშაგზე“, მურღვა არდოტელზე მინდოდა გცოდნოდათ... და თავად ვაამბობინე, ახალუხლებმა კარგად რომ უწყოდნენ ჩვენ დროთა გმირი და „მიღმახევის პოეტების მეფე“. (იქვე, გვ.73).

\* \* \*

სოფიო ჯაფარიძეს მთების ანდრეზულ სამყაროსთან ნაზიარები ადამიანები იზიდავენ. სწორედ ასეთი ადამიანის – **მარიამ ნიკლაურის** – საყმაწვილო წიგნის, „ბრანდი-ბრუნდის“, შთაბეჭდილებით დაწერა სოფიომ წერილი „ჩემი საყვარელი დევები“.

„ბრანდი-ბრუნდის“ განხილვას მკვლევარი ასე იწყებს: „ბრანდი-ბრუნდი“ ძველი, „აბრაკადაბრული“ შელოცვა თუა, სხვაგვარად როგორ შეძლებდა მარიამი, ქვეყნის დაუძინებელი მტრები – დევები, ერთ სივრცეში კეთილმეზობლურად დაესახლებინა კუს, ზღარბის, კალიების, ობობების, ყანჩას, ბუს, ციცქნა გოგონების, გველუშაპების, იებისა და ენძელუების, ოჩოპინტრესა თუ ოჩოდალის გვერდით ისე, რომ ფრჩხილიც არავის წამოსტკივებოდა“ (ჯაფარიძე ს. გვ. 83).

სოფიო ჯაფარიძე სიღრმისეულად განიხილავს მარიამ ნიკლაურის ამ საყმაწვილო წიგნს, რომელშიც ამბები ბავშვებისათვის გასაგები ენით დაწერილი ლექსებით არის გადმოცემული. მარიამის პერსონაჟი დევების პარალელურად სოფიო ხალხური თქმულებების პერსონაჟ დევებს იხსენებს და ყოველ ნაბიჯზე რწმუნდება, რომ მარიამი კარგად იცნობს ხალხურ ანდრეზულ სამყაროს და მისი წიგნის დევები სწორედ ხალხური ლეგენდების დევებს ენათესავებიან და არა ზღაპრების დევებს. მსგავსება ჩანს მათ სახელებში, ქცევაში, თვისებებში. მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მარიამის დევებს ხალხურ დევებთან „კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთო აქვთ – მკვიდრად შეზავებული კარნავალური და გროტესკული ელფერი“ (იქვე, გვ.85).

სოფიო ჯაფარიძემ ყურადღება მიაქცია იმას, რომ მარიამი თვითონაც ქმნის მითს. ამ მხრივ საინტერესოა მისი ლექსი „როგორ გაჩნდა შავი არაგვი“. მარიამის სწორედ ამ ლექსშია ნათქვამი, რომ

მელანო - დევის ქალის ცხრა შვილს არაგვში დაუბანიათ თავიანთი ქუჩყიანი ტორები და არაგვიც „მას მერე მოდის ასე ამღვრეული და შავი“. მზის დაბნელებაც იმიტომ მომხდარა, რომ დევის ქალს უამრავი სარეცხი გაურეცავს და გასაშრობად თოვზე გადაუფენია, რამაც მზე დაჩრდილა.

მარიამ წიკლაურის ამ საინტერესო წიგნზე საუბარი სოფიო ჯაფარიძის სიტყვებით მინდა დავამთავრო: „ის დემიურგია – თავად ქმნის ახალ, 21-ე საუკუნის მითოსს ისე, რომ წამითაც არ სწყდება ფესვებს“ (იქვე, გვ.111).

\* \* \*

სოფიო ჯაფარიძე მთელი თავისი ცხოვრებით, საქმიანობით, წინაპრებითა თუ ტოლ-ამხანაგებით მთასთან არის დაკავშირებული. ბევრი სიხარულის მომტანია მთა, მაგრამ ბევრი მწუხარებისაც. სოფიოს წერილი „იქნებ სიზმარია ან ლეგენდა?“ პოეტ **ზურაბ ჯაფარიძის** მოსაგონარია. ამ არაჩვეულებრივ პოეტს 1995 წლის 10 ნოემბერს პირიქითა ხევსურეთიდან ფეხით მომავალს ქარიშხალმა მოუსწრო და „არაგვის ხეობაში, მდინარის ნალოკ ლოდს შეეზარდა და გაზაფხულამდე დაუმეგობრდა“, – წერს სოფიო (ჯაფარიძე ს. გვ.140).

თავის წერილს სოფიო ჯაფარიძე მურმან ლებანიძის იმ ცნობილი ლექსის გახსენებით იწყებს, რომელიც პოეტმა გურამ თიკანაძის შხარაზე დაღუპვის წლისთავზე დაწერა. სოფიო პარალელს ავლებს ამ ორ შესანიშნავ პიროვნებას შორის. ორივე მთაში და ორივე 30 წლისა დაიღუპა. ზურაბ ჯაფარიძემ სიცოცხლეში ერთი ლირიკული კრებულის – „თოვლის როიალის“ – გამოცემა მოასწრო. „სულის ანარეკლი“ კი 2010 წ. მისმა ახლობლებმა და პოეტის ნიჭის თაყვანისმცემლებმა გამოსცეს. სოფიო იხსენებს ამ წიგნის პრეზენტაციას მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარკეებიან დარბაზში, სადაც „მარად ახალგაზრდა ჭაბუკის სული თანაბრად აერეკლა დარბაზის სარკეებსა და მონატრებით გათანგულ ახლობელთა სახეებს“ (იქვე, გვ.142).

სოფიო ჯაფარიძის წერილში ჩართულია ნაწყვეტები ზურაბ ჯაფარიძის წინასწარმეტყველური ლექსებიდან. გთავაზობთ ერთ ნაწყვეტს:

„ვიცი, მეც მელის არაგვის ბედი  
და თაობები ლექსს გახედნიან...  
რა არის ერთი პოეტის სისხლი,  
საუკუნენი როცა კვდებიან ?!”

(ჯაფარიძე ზ. გვ. 77).

ზურაბ ჯაფარიძე მუშაობდა ლაშა თაბუკაშვილის ჟურნალში „XX საუკუნე“, გაზეთებში: „მამული“, „მადლი“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ანონსი“. ჰქონდა გამომცემლობა „ამარანტები“. იყო პოეტური ორდენის- „მარად ახალი ქნარის“ წევრი. მისი დაღუპვის მერე გამოცემულ ნიგნში „სულის ანარეკლი“, პოეტის ლექსებსა და პროზაულ ჩანაწერებთან ერთად, დაიბეჭდა წერილები ზურაბ ჯაფარიძეზე. ყველა წერილი გულიდან არის ამოხეთქილი და ადრე დაღუპული პოეტის დიდბუნებოვნებაზე ლაღადებს.

\*\*\*

ზურაბ ჯაფარიძის სათნო მეუღლის, **ქეთევან დოლიძის**, პოეტური კრებული „ზეცის სარკეში“ 2016 წელს გამოიცა და ნიშანდობლივია, რომ მისი რედაქტორი სოფიო ჯაფარიძეა. რედაქტორის წინათქმა სათაურით „ერთი სიცოცხლე“... სოფიოს ნიგნშიც დაიბეჭდა.

წერილი ჩილელი ნობელიანტი პოეტი ქალის – გაბრიელა მისტრალის – სიტყვებით იწყება: „მომიტევონ იმ ადამიანებმა, რომელთათვისაც სიცოცხლე მხოლოდ სიამოვნებაა“. შემდეგ კი სოფიო ქეთევან დოლიძის მკითხველს სთხოვს: „არ განიკითხოთ, თუკი თვალსაც დაგინამავთ და გულსაც ყრუდ, მაგრამ მაინც აგატკივებთ მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია თუ ბიოგრაფიული შემოქმედება“ (ჯაფარიძე ს. გვ. 182).

სოფიო ჯაფარიძის წინათქმა არ გამოირჩევა ჭარბსიტყვაობით, მაგრამ აქ ნათქვამია მთავარი, რასაც მკითხველი ქეთევან დოლიძის ლექსების სათავისაკენ მიჰყავს. ეს არის ადამიანის, ბუნების, მთების სიყვარული. სოფიო ისე წერს თავისი მეგობარი პოეტის შესახებ, როგორც გრძნობს, ხედავს და სათქმელს თვითონაც პოეტურად გამოთქვამს: „ხშირად მთას მიაშურებს, „ლექსებს ვით ბალახს“, ისე გაუნვდის ნაძმობ ლექსის კაცებს, ფილტვებს ჯიხვების გამონასუნთქი თითო ჰაერით გამოივსებს და ბარად სალექსოდ დაბრუნდება“ (იქვე, გვ.183). სოფიო ჯაფარიძის ეს სიტყვები უკვე გა-

ნაწყობს მკითხველს, რომ ქეთევან დოლიძის „სულის სარკეში“ ჩაიხედოს და მისი ლექსების სამყაროს „აემგზავროს“.

მკვლევარი ისეთ პიროვნებებზე წერს, რომელთა ნააზრევიც დასაკარგად არ ემეტება. თავად ამ ადამიანების შემოქმედებაშიც ხომ მოყვასისადმი ზრუნვა და სიყვარულია გამოხატული. ამის ნიმუშად გთავაზობთ ბოლო სტროფს ქეთევან დოლიძის ლექსიდან „ზეცის ლილია“, რომელიც მივიწყებულ პოეტებს ეძღვნება:

„საფლავს გახეთქავს, ლოდებს შორის ამოინთება,  
ცისარტყელაზე იყვავილებს ზეცის ლილია,  
სიბრძნე ტევრებად გაიშლება, ლექსი – კვირტებად...  
მივიწყებულ პოეტებო, ნუ გეშინიათ!“

(დოლიძე ქ. გვ.142)

\*\*\*

სოფიო ჯაფარიძე იმ ადამიანების ლიტერატურულ პორტრეტებს ხატავს, ვისაც იცნობს ან იცნობდა, ვისი შემოქმედებაც გულთან ახლოს მიუტანია და გაუთავისებია. ასეთი ადამიანი იყო **გოგიტა არაბული** – სოფიოს უნივერსიტეტელი მეგობარი, ფოლკლორული ექსპედიციების აქტიური წევრი, თსუ-ში ახალგაზრდა მწერალთა წრის თავმჯდომარე, ბოლოს კი „საკუთარი მტკიცე ნებით წუთისოფელს თავგარიდებული“ (ჯაფარიძე ს. გვ.179).

გოგიტა არაბულის პოეტური კრებული „მკვდართა დარდის მზებუდობა“ 2003 წელს გამოიცა, როცა პოეტი უკვე ცოცხალი აღარ იყო. სოფიო იხსენებს ამ წიგნის პრეზენტაციასა და პოეტის საღამოს „კავკასიურ სახლში“, მსჯელობს მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, მკითხველს სთავაზობს ამონარიდებს გოგიტას ტკივილიანი ლექსებიდან. აი, ერთი მათგანი:

„დღეს ჩემთვის ყველა დაყრუებულია,  
მსოფლიო მოდის ყალბი განგაშით.  
ცხოვრებისაგან მოტყუებული  
ბალღივით ვტირი ლექსის ქარქაშში“

(იქვე, გვ.179).

სოფიოს წერილში ვკითხულობთ გოგიტა არაბულის უკანასკნელ ჩანაწერს მისი უბის წიგნაკიდან: „ჩვენი ცხოვრება გაიცრიცა,

გაუფერულდა. ის მიზანს ასცდა. ბევრი ვეცადე, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ადამიანებს ჰგონიათ ცხოვრობენ, მაგრამ არა, ისინი ერთმანეთს ტანჯავენ...” (იქვე, გვ.180).

თავისი წერილით სოფიომ განგაშის ზარი შემოჰკრა და საზოგადოებას შეახსენა, რომ ასეთი მგრძნობიარე ახალგაზრდები დაუცველები არიან და დიდ ყურადღებას, სიტბოსა და საქმიან დახმარებას საჭიროებენ. პატიოსან და ნიჭიერ ადმიანს გაფრთხილება უნდა!

\*\*\*

თანამედროვეთა გვერდით სოფიო ჯაფარიძე იმ ადამიანებსაც ახსენებს, ვინც თავის დროზე სამშობლოს სადარაჯოზე იდგა და თავისი ხალხის მეობისა და ზნეობის გადასარჩენად იღვწოდა. სწორედ ასეთ პიროვნებაზე – **მიხა ხელაშვილზე** – მოგვითხრობს იგი წერილში – „ხელაშვილს მეძახიანო!“

მიხა ხელაშვილი ფშაველი იყო. როგორც ცნობილია, იგი 1922-1924 წლებში მონაწილეობდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით მოწყობილ შეიარაღებულ გამოსვლებში ფშავსა და ხევსურეთში. გავრცელებული ვერსიით საკუთარ დაბადების დღეს, 25 წლის ასაკში, მოკლა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა მეგობარმა. სხვა ვერსიით დაიღუპა დუშეთის მილიციის რაზმთან შეტაკების დროს.

თავის წერილში სოფიო ჯაფარიძე იხსენებს 2010 წ. 25 იანვარს პოეზიის მოყვარულთა შეკრებას ჩარგალში, მიხა ხელაშვილის საფლავზე. მაშინ ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა თადეოზმა, თურმე, საუბრისას „წმინდა მიხა ხელაშვილი“ წარმოთქვა. ამისთან დაკავშირებით სოფიო ასეთ კომენტარს აკეთებს: „ბუნებრივია, მეუფე თადეოზის სიტყვაც მიხაზე შემთხვევითი არ იყო. უფლის მსახურმა კარგად უწყის, რომ სამშობლოს შეწირულ მამულიშვილს- დევნილს, ნაწამებს, მოკლულსა და ასო-ასო დამარხულს, სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა მარტვილსა და წმინდანს“ (ჯაფარიძე ს. გვ.134).

სოფიო ასახელებს იმ საღამოს ადგილობრივ თუ ჩამოსულ ორგანიზატორებს: პოეტ მიხეილ ღანიშაშვილს, პოეტ დიმიტრი წიკლაურს, „პიკის საათისა“ წამყვან ეკა ტალახაძეს და საქართველოს მთის მოსახლეობის უღალატო ქომავს – ერეკლე უგრელიძეს, „ფშა-

ვის აღორძინების კავშირის“ წევრს – გელა ტუქსიშვილს. მიხა ხელაშვილის საფლავზე თბილისელ სტუმრებს წაუღიათ პოეტ ქეთევან დოლიძის ლექსი – „მიხა ხელაშვილს“. ერეკლე უგრელიძის ყოფილი სტუდენტი ლევან წიქარიშვილი და მისი მეგობრები კი „გაუნელებლად ამღერებდნენ მიხა ხელაშვილის ან უკვე ყველასათვის ცნობილ ლექსზე შექმნილ სიმღერას „ლექსო ამოგთქომ“...(იქვე, გვ.137).

სახალხო პოეტისა და გმირის საფლავზე მუხლის მოდრეკა, მისი ხანმოკლე, მაგრამ სახელოვანი ცხოვრების გახსენება, მიღმიერ ქართველებთან სულიერი კავშირი, სოფიოს სიტყვებით „ის ფესვია, რომელმაც ქართველი ქართველად შეინახა მშობლიურ მიწაზე და სამუდამოდ მიაჭაჭვა კიდევ მას. ეს არის ის ძალა, რაც კვებავდა და ასზრდობდა მიხა ხელაშვილს, რამაც აღავსო იგი უბადლო მოქალაქეობრივი შეგნებით და სიცოცხლის ფასადაც არ უტია ერთხელ არჩეულ გმირ წინაპართა გზას“ (იქვე, გვ.138).

\* \* \*

„სულის პური“ მართლაც შესაფერისი სათაურია სოფიო ჯაფარიძის ემოციურად დატვირთული ლიტერატურულ-ფოლკლორული წერილებისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: „ლიტერატურული წერილები და სილუეტები“ და „ფოლკლორული ძიებანი“.

„ლიტერატურულ წერილებსა და სილუეტებში“ ლიტერატურული პორტრეტების მთელი გალერეაა. იმ ადამიანებს შორის, რომელთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზეც გვესაუბრება ავტორი, უმრავლესობა მთასთან, მთის მითოსთან, მთაში აღძრულ ეროვნულ სულისკვეთებასთან არის დაკავშირებული. ამის საუკეთესო ნიმუშია სოფიო ჯაფარიძის წერილი – „რაა სიცოცხლე, თუნდაც ერთ მწვერვალს, თუ წამით ფეხი ვერ დააბიჯე“ (მთამსვლელის დღიურიდან – მცირე მოგონება **ლევან გოთუაზე**). მწერალი გვაცნობს საარქივო მასალას – ცნობილი მთამსვლელის, ალპინიზმის ინსტრუქტორთა საკვალიფიკაციო კომისიისა და საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის წევრის, 1940 წლის კავკასიონოს დიდი ტრავერსის მონაწილის, ალპინიადების ინსტრუქტორისა და სამთო-სადიებო ჯგუფების ხელმძღვანელის – **არჩილ ღუდუშაურის** მოგონე-



ბას მისი დღიურიდან, რომელიც მკვლევარს ბატონი არჩილის შვილიშვილმა და მისმა მოსახელემ – უმცროსმა არჩილ ლუდუშაურმა მიაწოდა. სოფიო ჯაფარიძემ თავის წიგნში ზემოხსენებული დღიურიდან ის მოგონება გაგვაცნო, რომელიც **არჩილ ლუდუშაურის, ალიოშა ჯაფარიძისა და ლევან გოთუას** ურთიერთობას შეეხება. დღიურიდან სათანადო ადგილების ციტირებასთან ერთად, მკვლევარი თავისი სიტყვებით მოგვითხრობს ლევან გოთუასა და არჩილ ლუდუშაურის, როგორც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაზე: „ვლადიკავკაზში, 1927 წლის აგვისტოს, 22 წლის ლევან გოთუა, სლოვეციის კუნძულზე საკონცენტრაციო ბანაკში გატარებული პირველი პატიმრობის შემდეგ, თავისუფალ გადასახლებაში ითვლებოდა... 1927-29 წლებში დაუგის სკოლის მასწავლებელი თავს არ ზოგავდა ქართული საქმისათვის. ამის შედეგი გახლდათ, რომ 1930-იან წლებში ბევრი ქართული ოჯახი საცხოვრებლად თბილისს გადმოსულა. მუდმივი მეთვალყურეობით განაწამები და აფორიაქებული მასწავლებელი ყოველთვის ნახულობდა სასიცოცხლო ძალებს ეროვნული საქმის სასიკეთოდ“ (ჯაფარიძე ს. გვ.150-151). სწორედ დაუგის სკოლაში სწავლობდა მაშინ არჩილ ლუდუშაური და სწორედ ლევან მასწავლებელმა ჩაუნერგა მას და მის მეგობრებს სამშობლოს სიყვარული, პირველად მან აიყვანა ისინი კავკასიონის ქედის კალთებზე მოკალათებულ „სასადილო მთაზე“ და მთამსვლელობას აზიარა, თუმცა თვითონ მაშინ მთამსვლელი არ ყოფილა. სკოლის დამთავრებიდან 10 წლის მერე მოსწავლე და მასწავლებელი ისევ კავკასიონის ქედზე შეხვდნენ ერთმანეთს. ეს შეხვედრა 4000 მეტრის სიმაღლეზე შესანიშნავად აქვს აღწერილი არჩილ ლუდუშაურს და სოფიო ჯაფარიძეც ისე ცოცხლად გადმოგვცემს ამ ამბავს, თითქოს ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა. სწორედ მაშინ გააცნო, თურმე, არჩილ ლუდუშაურმა თავისი მასწავლებელი ლევან გოთუა ცნობილ მთამსვლელს – ალიოშა ჯაფარიძეს – და სწორედ იმ დღიურიდან დაწყებულა ამ ორი შესანიშნავი ადამიანის – ცნობილი მწერლისა და ცნობილი მთამსვლელის – მეგობრობა. მკვლევარი აქვე ახსენებს ლევან გოთუას ნარკვევს – „ხდედალეულნი“ – და გვთავაზობს ამონარიდს მწერლის დღიურიდან: „ალიოშამ თოკი წელზე შეიბა და კლდეს შეახოხდა. არჩილი დამცველად დაუდგა და თოკს

ნელ-ნელა უშვებს კლდეზე დახვეულს... თოკჩაბმულნი ჩაყყევით მყინვარს. წინ ხან ალიოშაა, ხან არჩილი. ვაჭედებთ ტერფებს. წრიაპებს წკრიალი გააქვთ. ვცდილობთ ერთ ნაკვალევში სიარულს“... (იქვე, გვ.156). ლევან გოთუას ამ სიტყვებს ფილოსოფიურ შრილში განიხილავს სოფიო ჯაფარიძე: „მთამსვლელობა მხოლოდ ზვიადი და „ფარცხალა“ მთების დალახვრა როდია. ის სწორედ „ერთ ნაკვალევში“ ჩამდგარ იმ ადამიანთა ერთობაცაა, სიფხიზლითა და სიყვარულით რომ უნდა უცქერდეს თანამოძმეს, საფრთხის დროს მისი დამცველი თოკი მთელი ძალით მოზიდოს და სიცოცხლე სიკვდილზე აზვიმოს“ (იქვე, გვ.156).

ყოველი ქეშმარიტი მთამსვლელის სულისკვეთებას გამოხატავს სოფიო ჯაფარიძის ეს სიტყვები. არც არის გასაკვირი, იგი ხომ ცნობილი ქართველი ალპინისტების – სვიმონ, ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეების ძმის – ასევე ალპინიზმით გატაცებული ნოე ჯაფარიძის შვილიშვილია; მთამსვლელთა ისტორიას კი მამამ, გეოგრაფია-მინერალოგიის მეც. დოქტორმა, ცნობილმა ჟურნალისტმა და ქართული ალპინიზმის ისტორიის მკვლევარმა ბატონმა ივანე ჯაფარიძემ აზიარა. სოფიო თვითონაც ბუნებით მთამსვლელია. ამიტომაც აირჩია პროფესიად ფოლკლორისტობა, რომ მთასთან, მთის ფოლკლორთან მუდმივი კავშირი ჰქონოდა; რომ თვითონაც ეგრძნო ის უზომო სიყვარული, რაც მის წინაპრებსა და მათ თანამოაზრეთ მთებისაკენ, მწვერვალებისაკენ ეზიდებოდა. ჩემს ნაშრომში, ჭაშნიკად, სწორედ ამ პიროვნებების ლიტერატურული პორტრეტები მიმოვიხილე, თუმცა სხვა წერილებიც სოფიო ჯაფარიძის ამ წიგნში ნამდვილად ყურადღების ღირსია; ყოველი წერილი ალლოიან ფოლკლორისტსა და მწერლობის ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას წარმოაჩენს.

### **ლიტერატურა:**

1. **დოლიძე 2016:** დოლიძე ქ. ზეცის სარკეში, თბ., „საარი“, 2016.
2. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., „განათლება“, 1989.
3. **ჯაფარიძე 2010:** ჯაფარიძე ზ. სულის ანარეკლი, თბ., „პეგასი“, 2010
4. **ჯაფარიძე 2010:** ჯაფარიძე ი. მყინვარწვერიდან ევერესტამდე, თბ., „ფორმა“, 2010.

5. **ჯაფარიძე 2012:** ჯაფარიძე ს. მაგიური მთიული (გოდერძი ჩოხელი და ქართული ფოლკლორი). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი – შემოქმედება საზღვრების გარეშე“ სამეცნიერო შრომები. თბ., „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ გამომცემლობა, 2012.
6. **ჯაფარიძე 2016:** ჯაფარიძე ს. სულის პური (ლიტერატურულ-ფოლკლორული წერილები), თბ., „ჩვენი მწერლობა“, 2016.
7. **ჯიშკარიანი 2014:** ჯიშკარიანი ჯ. ჩვენი ოტია, თბ., „აზრი“, 2014.

## Rusudan Chanturishvili

### Sophie Japaridze “The Soul Bread” (Literary-Folk Investigations)

#### S u m m a r y

Published under the aegis of Aleksandre Orbeliani Society in 2016, Sophie Japaridze's book "The Soul Bread" (Literary-Folk Investigations) consists of two parts: "Literary Letters and Silhouettes" and "Folk Investigations".

There is a whole gallery of literary portraits in >Literary Letters and Silhouettes“. Among the people whose lives and creative work are spoken by the author, the majority is connected to the mountains, rural life, the highland mythology, the national spirit that originated in the mountains. In my work, I have reviewed the literary portraits of these personalities.

“Literary Letters and Silhouettes” begins with a letter "The Soul Purified by Solitude" written in dedication to writer Otia Ioseliani's 80th anniversary. At the beginning of the letter, Sophie Japaridze listed all the honors of the great writer, putting forward the main moments of the writer's biography and creative legacy. She shared the deep belief of the writer himself that a "writer is [his/her] biography". The researcher has created a great pictorial literary portrait of a high-profile writer and virtuous person, whom she compares to the mountaineer. All along his life Otia Ioseliani has been contemplating over the moral survival of humanity and this thought is reflected in his legacy; he knew but too well that "every day is the test of humanity - from birth to death. Men's life is similar to balancing on the edge of the abyss "...

Books are truly bread for the soul and the first book of our childhood, nourishing our souls is usually the book of fairy tales. Sophie Japaridze's literary letter >Giant Steps," tells us about this type of book. It is Guram Petriashvili's "Tale of the Small City". In her short, but comprehensive writing, Sophie Japaridze addressed almost all the fairy tales of this book, and talked about the significant distinctive signs of folk tails and literary fairy tales of Guram Petriashvili. Guram Petriashvili's fairy tales are filled with enormous love for the human. Love is contagious, and it is the most important in the process of the search for the "soul bread." Sophie Japaridze calls Guram Petriashvili's fairy tales remarkable novellas; she says that they remind her of Goderdzi Chokheli's world. Sophie Japaridze speaks about spiritual relatedness of these two writers.

In her literary letter about Goderdzi Chokheli, "Magic Highlander (Grotesque Perception of the World in the Works of Goderdzi Chokheli)", Sophie Japaridze speaks of the author's legacy as mythical, magic trickster-like and grotesque. Exactly from this point of view, she discussed several works of Goderdzi Chokheli, namely: "The Leading Role Performer", >Divs' (Giants') Deserted Village", "Nostalgia", "The Wolf", "Fish Letters", and etc. The researcher correctly notes that nourished by the national wisdom, the artist, who is a profound master of folk verse, tries to escape the unacceptable system using grotesque and trickster-like methods.

Adjusting the animal or a bird mask is a certain kind of transformation, it gives people more freedom. The author draws our attention to those works of the writer, where there are many examples of "trivializing and ridiculing". She also praises the author for reviving and using intensively in his work the unique lexical treasure of his birthplace, which was doomed to perish otherwise.

Sophie Japaridze is a folklorist with every fiber of her being. She has traveled all over Georgia. She collects the scattered wisdom among ordinary people. One of the sources of such wisdom for her is the poet Murghva Ardoteli, from the beautiful Khevsureti village of Ardoti. In her letter, "Mountain Weshag", which means watchman of the mountains, the one, who guards the pass against the enemies, Sophie has given us a thorough record of this Khevsur poet's narrated stories and called it "Khevsurian Ballad or the Pictures from the Life of Poet Murghva Arodoteli". The folklorist gave the poet possibility to talk about his ancestors, old and new stories of Khevsureti, and to express his concern that the mountain villages are being deserted and young people are no more aware of the wisdom that was known to their ancestors. Murghva Ardoteli's narrative is enriched by his poems, which are heartrending. Sophie Japaridze laconically and very correctly eval-

uates Murghva Ardotel's creative work by naming him "the king of the Mighmakhevi poets".

Sophie Japaridze is attracted to people initiated into the Andresian (religious and mythological stories of eastern Georgian mountainous regions) world of the mountains. It was exactly the kind of author' - Mariam Tsiklauri's book for youth - "Brandi-Brundi" that inspired her to write a piece "My Favorite Divs (Giants)". The researcher discusses thoroughly this book by Mariam Tsiklauri, the book that is comprised of poems written in a language, understandable to children. Together with the Divs, characters of Mariam's book, she recalls the Divs from folk tales. She becomes convinced that Mary is well acquainted with the folk Andrezian world and the Divs of her book are related to the Divs of folk legends, not the Divs from the folk fairy tales.

Mountains are the source of many joys but also of many sorrows. Sophie Japaridze's letter "Is it a Dream or a Legend?!" is a piece written in the memory of poet Zurab Japaridze who died in the Aragvi river in 1995. The poet was 30 years old. He managed to publish only one lyrical poetic collection - "Snow Piano". "Reflection of the Soul" was another collection of his poems published with the help of his relatives and talent appreciators in 2010. Sophie Japaridze's letter includes excerpts from the prophetic poems of Zurab Japaridze. The author presents the literary portrait of the deceased poet laconically and very emotionally, by revealing the atmosphere of the evening, dedicated to his memory in the Mirror Hall of the National Palace of Youth.

Poetical collection of Zurab Japaridze's kind wife, Ketevan Dolidze named "In the Mirrors of Heaven" was published in 2016. It is remarkable, that the editor is Sophie Japaridze. The editor's preface, entitled "One Life" was included in "The Soul Bread" too. Sophie Japaridze asks the reader: "Do not judge if you get misty-eyed and your heart feels dull pain because of his creative biography or biographical creativity". Sophie Japaridze's letter underlines those main things that lead the reader to the origins of Ketevan Dolidze's poems. This is the love for humanity, nature, and mountains.

Sophie Japaridze creates the literary portraits of people whom she knows or knew, whose works touched upon her the heart and became like her own. Gogita Arabuli was such person – he was Sophie's friend from the university, chairperson of the TSU Young Writers' society, who tragically, committed suicide. Gogita Arabuli's poetry collection >Solstice of the Sorrow of the Dead" was published in 2003 when the poet was no longer alive. The researcher discusses his life and legacy and offers readers excerpts from his aching poems. With her letter, Sophie Japaridze sounded the alarm and reminded the public that sensitive young people like

Gogita Arabuli are insecure and need attention, warmth and skilled help from society.

Along with the modern authors, Sophie Japaridze also recalls people, who back in the days stood in defense of their homeland and were guardians of their people's identity and morale. Sophie Japaridze writes about one of such persons - Mikhail Khelashvili, in her letter - "They Call Me Khelashvili!" As it is known, Mikha Khelashvili participated in the armed resistance in Pshavi and Khevsureti regions, headed by Kakutsa Cholokashvili against the Soviet regime in 1922-1924. That is why he was killed when he was 25 years old on his birthday. Mikha Khelashvili's name was banned during the Soviet period, and his excellent poems were published in an anthology of folk poetry without the mentioning of the author's name. Today Mikhail Khelashvili is already a recognized hero and a poet. At his resting place in Pshavi village Chargali, on January 25th (birth and death day) poetry lovers gather. Sophie recalls the first event conducted in 2010 and notes that the kneeling at the grave of national hero and poet, remembering his short, but glorious life is symbolically turning back to the roots that saved Georgians as Georgians on their homeland and tied them to it forever. This is the power that was feeding and empowering Mikha Khelashvili.

Among those people, whose life and creative work is described by the author in her book, the majority is connected to the mountains, mountain myths, national spirit originated in highlands. The best example is Sophie Japaridze's article >What is life, if you do not step upon at least one summit, at least for a second!" The piece is based on the diary from 1937 of Archil Ghudushauri – mountaineer and the leader of the mountain-searching group. In the letter, the author narrates vividly how two famous people: well-known mountaineer, Merited Master of Sports – Aliosha Japaridze and celebrated author of historical novels – Levan Gotua ascended together to one of the peaks of Kazbegi - Shani (Shavana).

Sophie Japaridze's "The Soul Bread", with its entire letters, is written in one breath, inspired by a poetic muse and is read with great interest. It is a collection of experiences and judgments, lived through by the author over the years. The whole book reveals an insightful folklorist and a talented writer personality.

## **Ранние аланы: вопросы политической и этнической истории**

Одним из интереснейших вопросов истории евразийских степей является история аланов. Нас в данном случае интересует история аланов в каспийско-аральском регионе в I-V в. н.э. Заданием данной статьи является освещение вопросов происхождения и миграций аланов. Эти вопросы изучали В. Кузнецов (Кузнецов, 1992), Н. Лысенко (Лысенко), А. Туаллагов (Туаллагов, 2014а; Туаллагов, 2014б), Ф. Гутнов (Гутнов, 2001; Гутнов, 2016), Т. Габуев (Габуев, 2000), А. Цуциев (Цуциев, а), А. Скрипкин (Скрипкин, 2001).

